# კვირის პალიტრა

№ 19 (480) ◆ 10 – 16 მაისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის გამო რუსეთს სამაგიერო არ მოუთხოვია



**ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს**

ის, ვინც საკუთარი ამბიციის წინ წამოწევას შეეცდება, უთუოდ დაკარგავს მხარდაჭერას...

...ასლან აბაშიძეს ვუთხარი, რისი ღირსია ის, ვინც ხიდების აფეთქება გირჩიათ-მეთქი. როდესაც ივანოვი აჭარაში ჩამოფრინდა, ჩვენ ბათუმში, ქობულეთსა და ჩოლოქთან აბსოლუტურად ვაკონტროლებდით სიტუაციას. აბაშიძის ნებისმიერი გაბრძოლება უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის იყო, შეტაკების პრეცედენტი არ დაგვეშვა. გვ.7

## „რუსებმა აბაშიძე პირველად 1992 წელს „დაავერბოვკეს“ გვ.5,24



ექსპერტების აზრით:

**აბაშიძე მოსკოვის ხელში კოზირად რჩება**

პირველად რუსებმა მაშინ გადაარჩინეს ასლან აბაშიძე, გახსოვთ, ალბათ, როცა „მხედრიონი“ აჭარაში შესვლას გეგმავდა. აბაშიძეს საშუალება არ ჰქონდა, აჭარა „მხედრიონელთა“ თარეშისგან ეხსნა. ეს მომენტი რუსეთის გრუ-მ მაშინ სწორად გააანალიზა... იმავდროულად, რუსებმაც სასურველი ფიგურა გაიჩინეს კავკასიაში... შესაძლოა, არსებობდეს ფარული გეგმა, რაც პოსტაბაშიძისეულ აჭარაში ახალი სცენარების გათამაშებას გულისხმობს.

## ხელისუფლებას ყოველთვის აქვს საშუალება, ვინმეს „კანონიერად“ მიედავოს



უსისხლოდ რომ მივაღწიეთ წარმატებას, მართლაც სადღესასწაულო განწყობა მქონდა. ასეთ არაორდინარულ ვითარებაში კაცმა რომ შენი კომენტარები „აკვეტო“ თავის გამოჩენისა და პოპულარობისთვის, სწორად არ მიმაჩნია. ჩემი დუმილის მიზეზი ისიც იყო, რომ პარტიიდან წამოვედი და ამაზე ლაპარაკიც არ მინდოდა... გვ.13

## სამხედრო თემაზე: როდის ესტუმრება ახალი „დიოსკურია“ ყოფილ დიოსკურიას?

გვ.8,9



## „მეტალურგიულ კომბინატში სიმინდის დათესვას აპირებენ“(?!)

გვ.6,13



## „ალბათ ჩეჩნეთშიც ვერ ნახავთ იმდენ იარაღს, რამდენიც აჭარაშია“



**„მიმდინარეობს აქტიური განაღმვა“**

„ხელშეუხებლობის გარანტია იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დროულად მოეგებოდნენ გონს და არა პოსტფაქტუმ, როცა აბაშიძის წასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო“. გვ.11

## რატომ განაცხადა უარი ტაისონმა კანდელაკთან ჩხუბზე? გვ.24



## როგორ გამოიყენებს მთავრობა აჭარის ეკონომიკურ რესურსებს გვ.27

დღევანდელი ვითარება საშუალებას გვაძლევს, ვაქციოთ აჭარა იმ ეკონომიკურ ფანჯრად, რომლის საშუალებითაც მოვიზიდავთ სერიოზულ ინვესტიციებს.

მთავარია, შევქმნათ ქვეყანაში სტაბილური საინვესტიციო გარემო და მივიღოთ ლიბერალური საგადასახადო კოდექსი.

...აქცენტი უნდა გაკეთდეს ექსპორტზე, ანუ ვალუტის შემომტან მეურნეობაზე.

## მთამ თუ ერთხელ ჩაგიხუტა, აღარ გაგიშვებს

**ექსკლუზიური ფოტოები უახლესი ისტორიიდან**

1951 წელს ჭუბერის სკოლაც კი გადავიღე. დირექტორმა — ჩვენთან ფოტოგრაფი არ დადის, ეგება რამე გაგვიხერხოო... 53 წელი გავიდა მას შემდეგ. ეს სურათი სოფელში რომ ჩავიტანე, ატირდნენ... ნახე, რა ქართველები არიან! ამ ფოტოებს ვერაფერზე გავცვლი. იცით, რა ხალხი იყო ჩემი წინაპრები — გულანთებულები, მლოცველები... გვ.17



**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## 9 მაისი ბათუმში

9 მაისი განსაკუთრებულად ბათუმში აღინიშნა. ამ დღეს აჭარის რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან საავტომობილო გზით დამაკავშირებელი ჩოლოქის ხიდიც გახსნეს. 9 მაისს აჭარაში ევროპის დღესაც აღნიშნავდნენ, ამიტომაც უმასპინძლა ამ დღეს ბათუმმა საერთაშორისო ფორუმს და ევროპელ ელჩებს, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბათუმის უნივერსიტეტს ესტუმრნენ, სადაც პრეზიდენტმა მოსახლეობას აბაშიძის მიერ დატყვევებული არწივის გათავისუფლებისა და დიდი ხნის წინ ბათუმიდან „გადახვეწილი" დელფინების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ აუწყა. მიხეილ სააკაშვილს 9 მაისს, აჭარის უნივერსიტეტში ყოფნისას, არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ ვინ იქნება უნივერსიტეტის რექტორი. მისი თქმით, ეს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გადასაწყვეტია. ბათუმის საფეხბურთო სტადიონზე კი გაიმართა აუქციონი, სადაც გამოტანილი იყო აბაშიძის მანქანები, თუმცა მყიდველი არ ჩანდა. სააკაშვილის თქმით, აბაშიძის ქონების აუქციონზე გაყიდვის შედეგად შემოსული თანხები აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობას მოხმარდება. საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის რწმუნებულად დანიშნულ ლევან ვარშალომიძეს უნივერსიტეტში სტუმრობისას კატეგორიულად განუცხადა — თუ იგი აჭარაში თანამდებობებზე დანიშნავს თავის ნათესავებს, მას არა მარტო გადააყენებენ პოსტიდან, არამედ ირაკლი ოქრუაშვილი დააპატიმრებს კიდეც. სააკაშვილი აუცილებლობად მიიჩნევს, სასწრაფოდ შემუშავდეს აჭარის აღორძინების გეგმა, ოღონდ არა ისე, როგორც ამას აბაშიძის „აღორძინება" აკეთებდა. მიხეილ სააკაშვილი ბათუმში არა მარტო საქართველოს ყოფილ მთავრობას და აბაშიძეს აკრიტიკებდა, იგი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერსაც გადასწვდა და უკმაყოფილება არ დაფარა ჩოლოქზე აბაშიძის მიერ ხიდების აფეთქების გამო შვიმერის ნათქვამზე — მხარეებმა დიალოგის უნარი დაკარგესო. სააკაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა შვიმერი და განაცხადა, — აქ არანაირი მხარეები არ არსებობდა და საერთოდ, ის ბათუმში იყო, ხალხი რომ დაარბიეს, ჩაჯდა თვითმფრინავში და წავიდა, მაგან რა უნდა გვასწავლოს. ქართველები იქით ვასწავლით ყველას, როგორ უნდა კონფლიქტების მოგვარებაო.

## აჭარის დროებითი მმართველობა

აბაშიძის მმართველობის დამხობის შემდეგ აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობა გამოცხადდა. ავტონომიას ივნისში აჭარის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებამდე საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაკომპლექტებული დროებითი საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს. ასლან აბაშიძეს კი, დროებით, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური რწმუნებულის სტატუსით საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელი, აჭარელი ლევან ვარშალომიძე შეცვლის. საბჭო 8 მაისიდან შეუდგა მუშაობას. 19-წევრიანი დროებითი მმართველობითი ორგანო ხუთი კომისიით დაკომპლექტდა: საკანონმდებლო საკითხთა კომისიას „ჩვენი აჭარის" ლიდერი თამაზ დიასამიძე უხელმძღვანელებს, ეკონომიკურ საკითხთა კომისიას — „მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი წევრი ზურაბ მიქელაძე, განათლებისა და კულტურის საკითხებს — „ნაციონალი" ელგუჯა მაკარიძე, „ჩვენი აჭარის" კიდევ ერთი ლიდერი, კობა ხაბაზი იმ სტრუქტურას უხელმძღვანელებს, რომელიც ცოტა ხნის წინ მას დევნიდა — მან სამართალდამცველები ჩაიბარა. ქალაქის მერის ფუნქციას კი 11-წლიანი აბაშიძისეული ტყვეობის შემდეგ კვლავაც თენგიზ ასანიძე შეასრულებს. იგი არ მალავს, რომ სიამოვნებით „იკისრებს ამ ტვირთს", თუ რა თქმა უნდა, აჭარის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბათუმელებიც აირჩევენ ამ პოსტზე.

## ამოღებულია იარაღი და უძვირფასესი ხატები

აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრი სოსო გოგიტიძე სამშვიდობოსაა. ქართველი ძალოვნების მიერ მის სამუშაო კაბინეტში 8 მაისს ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტროს პირველი პირების გადაწყვეტილებით, ჩხრეკა სოსო გოგიტიძის საცხოვრებელ სახლშიც უნდა ჩატარებულიყო. სამართალდამცველებს მძარცველებმა ან სულაც გოგიტიძის ხალხმა დაასწრო და სანამ მის სახლში ჩხრეკა ჩატარდებოდა, იქაურობა თითქმის პირწმინდად გაძარცვეს. გოგიტიძის სამუშაო კაბინეტში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ცეცხლსასროლი იარაღის არსენალი და უძვირფასესი ხატები, რომლებიც პრეზიდენტის განკარგულებით საპატრიარქოს გადაეცემა. საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას განცხადებით, გოგიტიძის კაბინეტიდან ამოღებული იარაღის დიდი ნაწილი უცხოეთშია შეძენილი და თითოეულის ფასი 20-30 ათასი დოლარია. მისივე თქმით, აჭარის უშიშროების სამინისტროში შტატები გაბერილი იყო და თუ დასავლეთ საქართველოში უშიშროების უწყებაში სულ 100 თანამშრომელი მუშაობდა, აჭარის უშიშროებაში 600 პირი ირიცხებოდა, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის პირად სამსახურში იყვნენ და ძირითადად, მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. გიგი უგულავა ადასტურებს გოგიტიძის სახლის გაძარცვის ფაქტს. როგორც ირკვევა, სამხედრო ფორმებში ჩაცმულმა მძარცველებმა(?!) ნივთები რამდენიმე მანქანით გაზიდეს. საინტერესოა, სად იმყოფებოდნენ ამ დროს სამართალდამცველები, რომლებიც წესით, ბათუმის ქუჩებში საგანგებო პატრულირებას უნდა ეწეოდნენ წესრიგის დაცვისა და მაროდიორობის ალკვეთის მიზნით? 9 მაისს სამართალდამცველებმა დააკავეს გოგიტიძის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი, რომელსაც ბრალი აჭარის უშიშროების იზოლატორში უკანონოდ დაკავებული პატიმრების გამო ედება.

## დუმბაძე ციხეშია, კეკელიძე — შინაპატიმრობაში

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ნაცვლად სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს სწრაფი რეაგირების ძალების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად კეკელიძე. მას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოერთვა. სწრაფი რეაგირების ძალების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად კეკელიძე 5 მაისს თბილისში დააკავეს. მას თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილი მეთაურისათვის, გენერალ რომან დუმბაძისთვის სამხედრო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიწოდებას ედავებიან. თვით გენერალი რომან დუმბაძე კი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩება. მას სახელმწიფომ დაუნიშნა ადვოკატი. დუმბაძე დუმილის უფლებას იყენებს და კითხვებზე პასუხს არავის სცემს. ნათესავები მის გათავისუფლებას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ ასლან აბაშიძისგან რომან დუმბაძეზე დიდი ზეწოლა ხორციელდებოდა და მას თვეობით არ ჰქონდა ოჯახის წევრების ნახვის უფლებაც კი.

## დროებითი ჟამი?!

აჭარა არა მარტო აბაშიძის, არამედ ელექტროენერგიის გარეშეც დარჩა, თუმცა დროებით. ასლან აბაშიძის რუსეთში წასვლის შემდეგ რუსეთმა აჭარაში ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტა და რეგიონი დროებით უკუნში აღმოჩნდა. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადებით, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობას 100-პროცენტიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფენ.

„გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად, აჭარას 100%-იანი ელექტრომომარაგება არ ეკუთვნის, მაგრამ რეგიონი ელექტროენერგიის შემდგომში გადახდის პირობით მიიღებს", — აცხადებენ საბითუმო ბაზარში. როგორც ირკვევა, აღნიშნული გადაწყვეტილება ბაზრის სამეთვალყურეო საბჭომ აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მიიღო.

აჭარისთვის „კავკასიონის" გადამცემი ხაზის მეშვეობით რუსეთიდან უკვე ორ თვეზე მეტია 50 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდებოდა, რომელიც 6 მაისს შეწყდა.

## დავითაშვილი ბიუჯეტის წინააღმდეგ

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი უკმაყოფილებას გამოხატავს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გამო და აცხადებს, რომ მისი მიღება არ შეიძლება, რადგან იგი „კონსტიტუციის და სახელისუფლებო ბლოკის მიერ მოსახლეობისთვის მიცემულ პირობას არღვევს".

„კომიტეტის თავმჯდომარეების გამოსვლა ვიტალი ხაზარაძის გამოსვლას მაგონებს. თქვენს ასეთ კრიტიკას საქმე არ შეეხება, რადგან მთავრობა ასე არ დაგეგმავთ", — მიმართა კობა დავითაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას კოლეგებს.

„წარმოდგენილი პროექტის მიღება დაუშვებელია, რადგან იგი კორუფციის ლეგალიზაციას უწყობს ხელს. თუ სახელმწიფო მოხელეებს საარსებო მინიმუმს არ მივცემთ, მათ არჩევანის წინაშე დავაყენებთ: ან სამსახურიდან უნდა წავიდნენ, ან ჩაერთონ კორუფციაში.

მთავრობა პარლამენტარებს აიძულებს მოსახლეობის წინაშე დადებული ფიცი გატეხონ, რადგან დანაპირებს, რომელიც საგადასახადო ლიბერალიზაციას შეეხება, უგულებელყოფს. ჩვენ მოსახლეობას დავპირდით, რომ მცირემეწარმეები ორი წლით გათავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლო ხელისუფლება საქართველოში უნდა გაუქმდეს, რადგან აღსრულების ფონდისთვის ბიუჯეტში მხოლოდ 2 მილიონი ლარია ჩადებული. ეს იმას ნიშნავს, რომ რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს სასამართლომ, იგი არ აღსრულდება, რადგან ამისთვის ბიუჯეტში თანხები არ იქნება გათვალისწინებული. ამით ჩვენ კონსტიტუციის 42-ე მუხლს ვარღვევთ", — განაცხადა დავითაშვილმა და მოუწოდა პარლამენტარებს, „საკუთარ თავთან იყვნენ მართლები და ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირონ".

## აფხაზები შეშფოთებულნი...

აჭარის ამბების შემდეგ აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლება შეშფოთებას ვერ მალავენ, თუმცა ცდილობენ, ნირის ნახდენა არ შეიმჩნიონ. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა პრესისთვის მიწერით საქართველოს განცხადებას აჭარის შემდეგ აფხაზეთის დაბრუნების შესახებ „ეიფორიული განწყობის შედეგს" უწოდებს და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სერიოზული პოლიტიკოსები აჭარასა და აფხაზეთში შექმნილ ვითარებას შორის პარალელს ავლებენ. „სიტუაცია აჭარასა და აფხაზეთში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. აჭარლები ეთნიკური ქართველები არიან, მათ არასდროს გამოუთქვამთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილი. აჭარაში განვითარებული მოვლენები თბილისისა და ბათუმის პოლიტიკურ ელიტებს შორის კონფლიქტი იყო", — აღნიშნა არძინბამ. მისი აზრით, აჭარის მოსახლეობისაგან განსხვავებით, აფხაზ ხალხს საუკუნეების მანძილზე ჰქონდა საკუთარი ნაციონალური ინტერესები, რომლის მთავარი კომპონენტი დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის მშენებლობაა(?!).

არძინბას განცხადებით, აფხაზმა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზადაა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და დღეს აფხაზურ სახელმწიფოს ყველა საშუალება აქვს უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადოდ უნდა შეაფასოს ვითარება აფხაზეთში და თავად უნდა მიხვდეს, რომ აგრესიული განცხადებებით არა მარტო შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, არამედ არღვევს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებიც გაეროსა და რუსეთის მონაწილეობით იქნა მიღწეული.

## ხალვაში ტუსაღია

ასლან აბაშიძის ერთგული და „პატრონისგან" მიტოვებული ქობულეთის რაიონის ყოფილი გამგებელი ტარიელ ხალვაში აჭარის უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას განცხადებით, ხალვაში მის მიმართ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო დააკავეს, მას მშვიდობიანი მოსახლეობის პერმანენტულ დარბევებსა და უკანონო ბანდფორმირებების ორგანიზატორობაში ედება ბრალი. უგულავას განმარტებით, ხალვაშისთვის ხელშეუხებლობის გარანტია არავის მიუცია და მიუხედავად იმისა, რომ მან გადადგომის შესახებ საგანგებო განცხადება მასმედიის საშუალებით ასლან აბაშიძის გადადგომამდე ერთი დღით ადრე გააკეთა, ხალვაში ფაქტობრივად, დღესაც ქობულეთის გამგებლად ითვლებოდა. ხალვაშის დაკავებაში მონაწილეობდნენ პრეზიდენტის რწმუნებულები სარფის საბაჟოსა და ბათუმის პორტში, დავით ახალაია და ვასილ სანოძე. გიგი უგულავას განმარტებით, აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის გადადგომის შემდეგ სანოძე და ახალაია აღარ ასრულებენ ადრე დაკისრებულ მოვალეობებს, უშიშროების რიგითი თანამშრომლები არიან და ამდენად, „აბსოლუტურად კანონიერად მონაწილეობდნენ ხალვაშის დასაკავებლად განხორციელებულ სპეცოპერაციაში".

## თვითმფრინავი დაგვიბრუნეთ

8 მაისს ბათუმის აეროპორტში სამოქალაქო თვითმფრინავი „იაკ-92" დაეშვა, რომელმაც მოსკოვიდან შეასრულა რეისი. ერთი თვის განმავლობაში „იაკ-92" მოსკოვის აეროპორტში იდგა და გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე მის პრივატიზებას ცდილობდა. ნავიგაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის, გიორგი კარბელაშვილის თქმით, თვითმფრინავის ბათუმის ავიაკომპანიისთვის დაბრუნება პრეზიდენტ სააკაშვილის ძალისხმევით მოხერხდა. კარბელაშვილის თქმით, „იაკ-92" ბათუმის ავიაკომპანიას გადაეცა და იგი ჩვეულ რეჟიმში, კვირაში ორჯერ სამოქალაქო რეისს „ბათუმი-მოსკოვი" შეასრულებს და ამიერიდან პრივატიზების საფრთხეც აღარ დაემუქრება.

## ჯანდაცვას კვლავ ახალი მინისტრი ჰყავს

გიგი წერეთლის მიერ სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე უარის თქმისა და პარლამენტში დეპუტატად დაბრუნების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ ახალი მინისტრი, „ნაციონალი" ლადო ჭიპაშვილი წარადგინა. „ქართველ ხალხს უნდა დავუბრუნოთ დაკარგული ჯანმრთელობა და ექიმებს — წართმეული ღირსება", — ჰპირდება ჭიპაშვილი საზოგადოებას. ჯანდაცვის ახალი მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ვარდების რევოლუციის შემდეგ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ხელმძღვანელობდა. იგი ქვეყნის მოსახლეობას ჰპირდება, რომ სამინისტროში შეიქმნება ცხელი ხაზი, რომელიც დახმარებას გაუწევს ისეთ ავადმყოფებს, რომელთა მკურნალობა დიდ ხარჯებს საჭიროებს და რისი საშუალებაც მათ არ აქვთ. ჯანდაცვის სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მითითების შესაბამისად, უპირველესად, დაეხმარება თირკმლის სიმსივნით დაავადებულ წლინახევრის გოგონას, რომელმაც მკურნალობა უცხოეთში უნდა ჩაიტაროს, რაც 50 ათას ევროს საჭიროებს. ეს თანხა მას გია ჯოხთაბერიძის მიერ ბიუჯეტში გადარიცხული 15 მილიონი დოლარიდან გამოეყოფა.

## პოლიციაში ხანძარი გაჩნდა?!

მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის საგამოძიებო ნაწილს 9 მაისს, გამთენიისას, ხანძარი გაუჩნდა. მეხანძრეებმა ხანძრის ჩაქრობა 40 წუთში შეძლეს. განადგურებულია ნივთმტკიცებები, დამნაშავეთაგან ამოღებული ოქრო და ფული. თბილისის პროკურორი მომხდარს დივერსიის კვალიფიკაციას აძლევს. საქმის გამოძიებაში ჩართულია შსს-ს გენერალური ინსპექცია. ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გაირკვა ზოგიერთი ფაქტი. „ეს ვანდალური აქტი, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელთა მიერ არის ჩადენილი. მოვიწვიეთ შსს-ს გენერალური ინსპექცია, ერთობლივად ვაწარმოებთ კვლევას და დამნაშავე მხილებული იქნება", — აცხადებს ვალერი გრიგალაშვილი. ძალოვნების განცხადებით, დანაშაული განზრახ ჩადენილია და ძიების პირველ ეტაპზე საეჭვო პირებიც გამოიკვეთა.

## გამარჯვების დღე

ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ზარ-ზეიმით აღინიშნა. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს თბილისში გამარჯვების 59-ე წლისთავი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, დედაქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და ქვეყნის პირველმა ქალბატონმა სანდრა რულოვსმა მიულოცეს. გამარჯვების (ვაკის) პარკში ზეიმი ტრადიციულად, ომის დროინდელი სიმღერებისა და სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდეგ ვეტერანები პატარკაციშვილის ფონდმა საგანგებოდ მათთვის გამართულ სადღესასწაულო სადილზე მიიწვია რესტორანში, სადაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და მოფერების საშუალება ჰქონდათ. ისინი უკმაყოფილონი არიან მათთვის განკუთვნილი მცირე სოციალური დახმარებებისა და პენსიების დაგვიანების გამო, მაგრამ იმედს არ კარგავენ და აცხადებენ, რომ უკეთესი მომავლის სჯერათ. პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ კი ომის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ქვეყანაში ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მათ საზოგადოების უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებად იგრძნონ თავი.

## ლოთი ქობალია გაათავისუფლეს

9 მაისი ბედნიერად გაუთენდა ლოთი ქობალიას. ეროვნული გვარდიის ყოფილ სარდალს უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, რაც საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ 20-წლიანი პატიმრობით შეუცვალა. ვახტანგ (ლოთი) ქობალია ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის მკვლელობასა და სამშობლოს ღალატში იყო დადანაშაულებული. რამდენიმე წლის წინ იგი გურამ აბსანძესთან ერთად გაიქცა ციხიდან, თუმცა ხელახლა დააკავეს რაჭის მთებში. ქობალია ჯერ არ ლაპარაკობს სამომავლო საქმიანობაზე, თუმცა აცხადებს, რომ სასწრაფოდ დასაბრუნებელია აფხაზეთი, რისთვისაც იგი საქართველოს ხელისუფლებისადმი მხარდაჭერისთვის მზადყოფნას გამოხატავს. ყოფილი პატიმარი აცხადებს, რომ მალე დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას მკვლელობაში, რომელიც მას ერთ-ერთ ბრალდებად ჰქონდა წაყენებული. ქობალიამ ციხიდან წაიღო განუყრელი ნივთები: ზვიად გამსახურდიას სურათი, ხელნაკეთი ეკლესიის მაკეტი და წაიყვანა ორი პატარა ძაღლი, რომელთა მიმართ იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ციხეში ყოფნის დროს. ამით ქობალიას 10-წლიანი პატიმრობა დასრულდა.

## ტერაქტი გროზნოში




9 მაისს ჩეჩნეთში ტრაგედია დატრიალდა — გროზნოში ტერაქტი განხორციელდა. აფეთქება მოხდა გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გამართული კონცერტის მსვლელობისას, სტადიონის იმ ტრიბუნაზე, სადაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი და სხვა სამხედრო და ოფიციალური პირები იმყოფებოდნენ. პრეზიდენტი ახმად კადიროვი და ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების სარდალი გენერალი ვალერი ბარანოვი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. თვითმხილველთა განცხადებით, სტადიონზე ორი აფეთქების ხმა გაისმა. ტერორისტებმა პირველად სწორედ კადიროვის და ბარანოვის ადგილსამყოფელი ააფეთქეს. სამართალდამცველთა განცხადებით, აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი ნაღმიც, რომელიც სპეციალისტებმა გააუვნებელყვეს. გროზნოში ტერაქტს 10 ადამიანი ემსხვერპლა, 40 დაჭრილია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ, ტერაქტში ეჭვმიტანილთა ჯგუფი დააპატიმრეს.

# „ბევრი გაკეთდა, მაგრამ ათასი ამდენი გასაკეთებელია“

## დაუჯერებელია, ქობალია რაიმე კონკრეტული მიზნისა თუ გეგმის გარეშე გამოეშვათ



გამარჯვებული კაცის უპირველესი მტერი – ეიფორიაა. ბევრი გაკეთდა, მაგრამ ათასი ამდენი გასაკეთებელია. ძალთა გადანაწილებაშიც გაგვიმართლა – კონსტრუქციულად მოაზროვნე ოპოზიციაც არსებობს და ხელისუფლებაშიც არის კაცი, რომელსაც, თანამოაზრეებთან ერთად, ხალხის აყოლიება და მიზნისკენ წარმართვა შეუძლია. მაგრამ თუ გზას ღირსეულად, ერთად არ გააგრძელებენ, მათი მომავლისთვის აჯობებდა, რაც კარგი გააკეთეს, არც ის გაეკეთებინათ, რადგან, მერწმუნეთ, ახლა უკვე მოთხოვნილებაგაჩენილი ხალხის რისხვა გაცილებით სასტიკი იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

**გ**იორგობიდან — გიორგობამდე. ასეთი იყო გასულ კვირაში ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) საინფორმაციო საშუალებათა ლაიტმოტივი. შევარდნაძის მმართველობის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ მისი რეგიონული კარიკატურის — აბაშიძის ზეობასაც ბოლო მოეღო. თუმცა ის, რაც გასული კვირის მანძილზე აჭარაში ხდებოდა, გაცილებით სახიფათო, მნიშვნელოვანი და ისტორიულიც კი იყო, ვიდრე ექვსი თვის წინ, საქართველოს დედაქალაქში მომხდარი ვარდების რევოლუცია. დღეს, აბაშიძის კლანის წევრთა კაბინეტებიდან თუ ადმინისტრაციული შენობების სახურავებიდან ამოღებული არსენალის რაოდენობა და ხარისხი ნათლად მეტყველებს, რომ ასლან აბაშიძის ბათუმში ყოფნის თითქმის უკანასკნელ წუთამდე საქართველო ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა — ძმათა შორის ატეხილ ომს სხვა სახელს ვერ დავარქმევთ...

უკვე თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მთელ კავკასიაში, რუსეთის გავლენა სწრაფად სუსტდება. „პოლიტიკური მიქელ-გაბრიელი“, იგორ ივანოვი, ჩვენთან დღესასწაულებზე ჩამოდის ხოლმე და პოლიტიკაში „გარდაცვლილნი“ მორჩილად მიჰყვებიან უკან... თუმცა, ხმები დადის, არც ისე მორჩილადო — როგორც ჩანს, „ტირილის დროს“ განებივრებას მიჩვეულმა პატარა დიქტატორმა ივანოვის დანახვაზე უკანასკნელად მოსინჯა გაჯიუტება, თუმცა რუსებს მისი ჭირვეულობისთვის აღარ ეცალათ. აბაშიძის დასაბუთებულ „წინადადებაზე“, — მე ხალხის არჩეული ვარ და ჩემს გადასაყენებლად, კონსტიტუციის დაცვით, სახალხო რეფერენდუმის ჩატარება მოგიწევთო, ივანოვს უხმოდ მიუწოდებია მისთვის ტელეფონის ყურმილი. თუ ვინ დაელაპარაკა მას ან რა უთხრეს აბაშიძეს მოსკოვიდან, მხოლოდ მისი საქციელით შეიძლება დავასკვნათ — ასლან აბაშიძე უხმოდ გაჰყვა ივანოვს მოსკოვში.

ბათუმში კი ათიათასობით ადამიანი ერთი კაცისგან გათავისუფლებას ზეიმობდა. თუმცა ყველაფერი არც ისე ლამაზად და არც ისე უბრალოდ მოხდა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ბათუმურ რევოლუციას წინ უძღოდა ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა (უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, ერთიანი საქართველოს მომხრეთა) სასტიკი დარბევა და ცემა-ტყეპა ბათუმში; აბაშიძის მომხრეთა მოსყიდვა-გადმობირება შეშინების, მოქრთამვისა თუ პროპაგანდის გზით; აბაშიძის გრძნობებსა და კერძოდ, შიშზე თამაში და მისი „აგდება“; რაც მთავარია, ხალხის გათამამება და აყოლიება სააკაშვილის მიერ და, ამის კვალდაკვალ, რა თქმა უნდა, აქტიური და კულუარული „კონსულტაციები“ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. პოლიტიკურ პერიპეტიებზე მსჯელობა საზოგადოებას მომავალშიც არ მოაკლდება. ვფიქრობთ, პოლიტიკოსებისა და ხალხის ამჟამინდელი და მომავალი განწყობა-ქმედების როგორც პოლიტიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვა გაცილებით საინტერესო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ მოვლენათა განვითარებაში, საერთაშორისო დიპლომატიასთან ერთად, გადამწყვეტი როლი სწორედ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა ითამაშა.

ვესაუბრებით ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილს**:

**— განვლილი თვეების მანძილზე, ძალიან ხშირად, დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ — აბაშიძე არ არის შევარდნაძე და მისი გადაყენების მცდელობას შესაძლოა, სისხლის ღვრაც მოჰყვეს, რადგან უკან არაფერზე დაიხევსო. მაინც რამ ითამაშა მთავარი როლი — შიშმა თუ ამერიკისა და რუსეთის შესაძლო მოლაპარაკებამ?**

— თქვენ მიერ აღნიშნული ორივე ფაქტორი ამ შემთხვევაში, ერთმანეთთან არის დაკავშირებული. დიდ პოლიტიკაში უსაფუძვლოდ არაფერი ხდება. მოვლენათა განვითარებაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უდავოდ დიდი როლი ითამაშა. მაგრამ რომ არ ყოფილიყო სახალხო გამოსვლები ბათუმში და ამას აბაშიძე არ შეეშინებინა, ბუნებრივია, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არც რაიმე მოლაპარაკებას თუ ზეწოლას ექნებოდა საფუძველი. აქ თავიდათავი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაში მდგომარეობს. ცხადია, რომ აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოშორება გაცილებით რთული იყო, ვიდრე შევარდნაძისა, რადგან აქ ძალაუფლება ერთ, ლოკალურ რეგიონში იყო განმტკიცებული. რეგიონში, სადაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და, ზოგადად, საზოგადოება ბევრად უფრო მონოლითურად კონტროლდებოდა, ვიდრე თბილისში. აქედან გამომდინარე, თბილისს უამრავი ფაქტორის გამოყენება დასჭირდა — დაწყებული სახალხო მღელვარების აზვირთებით და დამთავრებული აბაშიძის პროვოცირებით, მისი გარემოცვის გადმობირებითა და მის ხელისუფლებაში ნაირგვარი ინტრიგების გაბმით. მაგრამ, გავიხსენოთ, ჰქონია თუ არა პრობლემის მოგვარების ამგვარად მასშტაბური მცდელობა ედუარდ შევარდნაძეს. არასოდეს. მისი ურთიერთობა ბათუმთან, მასა და აბაშიძეს შორის პოლიტიკური ვაჭრობის დასასაბუთებლად გამართული პოლიტიკური თამაში იყო. შევარდნაძე ერთი ჯიბიდან იღებდა და მეორეში იდებდა. ამ ყველაფერს კი აბაშიძის წინააღმდეგობით ამართლებდა, ანუ „აპრავებდა“, როგორც დღეს ჟარგონით ამბობენ ხოლმე. საკმარისი იყო საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ძალებს სერიოზული პოლიტიკური ნება გამოეჩინათ, რომ მიზნის მიღწევაც შესაძლებელი გახდა. ასლან აბაშიძე არ იყო ძნელად დასამარცხებელი — მას ხომ რაიმე დიადი მიზანი არ ჰქონია. ერთი პატარა, ადგილობრივი მასშტაბის დიქტატორი გახლდათ, რომელსაც საკუთარ თავზე სასაცილოდ დიდი წარმოდგენა ჰქონდა... მანქანების, თხების, არწივების კოლექცია სწორედ მის მარტივ ბუნებაზე მეტყველებდა — ძალაუფლებას ის მოსკოვისა და გარს შემოკრებილ მლიქვნელთა მცირე ჯგუფის წყალობით ინარჩუნებდა. ჩვენი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა სწორედ მისი ნამდვილი სახის წარმოჩენა გახლდათ. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი აჭარაში მცხოვრებ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებით იქნებოდა შესაძლებელი. მიზანი მიღწეული იქნა და ხალხი განუდგა თავის დიქტატორს. აბაშიძის უსუსურობის სურათმა კიდევ უფრო მკაფიო კონტურები შეიძინა, როდესაც კონფლიქტის ესკალაციის ბოლო დღეებში მისი უახლოესი გარემოცვის წევრები ბათუმიდან თბილისში გამორბოდნენ. აბაშიძე დიქტატორისთვის აუცილებელი ატრიბუტიკის გარეშე დარჩა — მისი ალარ ეშინოდათ ალარც „ფართო ფენებს“ და ერთგულებას ალარც ქვეშევრდომთა ვიწრო წრე ეფიცებოდა. თუმცა, „ბათუმური მოვლენის“ შეფასებისას ძალიანაც არ უნდა გადავაჭარბოთ. მიუხედავად მისი „მონაპოვრისა“, აჭარის მმართველისთვის სიტყვა „დიქტატორი“ ზედმეტად ღირსეული იქნება. ბოლო წუთებშიც კი, მას დიქტატორებისთვის დამახასიათებელი ამბიციური ღირსების ნატამალიც კი არ გამოუვლენია. გადადგომაც კი ვერ გათვალა — ვერ გაბედა და ვერც გაითამაშა — რუსეთიდან კაცი ჩამოვა და იმას მოველაპარაკებიო. რუსეთიდან ჩამოსულმა კაცმა კი, აბაშიძე მოსკოვში ლამის ხელჩაკიდებული წაიყვანა, როგორც ატირებული და გაჯიუტებული ბავშვი მიჰყავთ ხოლმე მშობლებს მაღაზიიდან, რადგანაც საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთობა აჭარის მმართველის ბოლო იმედთან, კრემლთანაც მოგვარებული ჰქონდა ქვეყნის, და არა ერთი კაცის სასარგებლოდ, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა ხოლმე...

> ამჟამად აჭარაში არსებული ვითარება საკმაოდ სპეციფიკურია. რასაკვირველია, მოსახლეობას რევანში სწყურია. მეორე მხრივ, უპატრონოდ დარჩენილ აბაშიძის ერთგულ ქვეშევრდომებსაც ექნებათ ხალხში გამოსვლის, უბრალო და უშელავათო ცხოვრებაში დაბრუნებით გამოწვეული როგორც უხერხულობისა და სირცხვილის, ასევე აგრესიულობის განცდაც. ამიტომ ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული – მან რევანშისტული ნაბიჯები და მოსახლეობის მხრიდან ამის ინიციატივა არ უნდა წაახალისოს.

**— აჭარის მმართველის გარემოცვა ახსენეთ. აბაშიძის „წაყვანის“ შემდეგ, ერთი და იმავე დანაშაულისთვის აბაშიძის გარემოცვიდან ზოგს სამშობლოს ღალატის ბრალდების მუხლი მიუყენეს, ზოგსაც — პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საყოველთაო პატიების პოლიტიკური ამნისტია...**

— ვფიქრობ, გენერალ დუმბაძის ტრაგედია დრომ განაპირობა. ის არც უარესია და არც უკეთესი იმ ადამიანებზე, ბოლო წუთებში, ბოლო საათებში, ან ბოლო დღეებში აბაშიძეს რომ უგანეს და ცენტრალური ხელისუფლების ბანაკში გადავიდნენ. უბრალოდ, მათგან განსხვავებით, დუმბაძე მაშინ დააყენეს არჩევანის წინაშე, როდესაც აბაშიძის დიქტატორული რეჟიმი თითქოსდა ჯერ კიდევ შეურყეველი იყო და მის მორჩილ ქვეშევრდომებს სჯეროდათ, რომ პატრონის ერთგულებით მიღებული სიკეთეებით კიდევ დიდხანს ისარგებლებდნენ... შემდეგ კი, მოვლენათა ესკალაციის დროს, დუმბაძეს თავის გადარჩენის სურვილიც რომ ჰქონოდა, ამის განხორციელებაში სამშობლოს მოღალატის უკვე მიწებებული იარლიყი შეუშლიდა ხელს... რომ არა ეს მომენტი, ვფიქრობ, არც დუმბაძე იტყოდა უარს ქვეყნის სამსახურში ჩადგომაზე. სხვა რამეც არ უნდა დაგვავიწყდეს — წლების მანძილზე მთელ საქართველოში მხოლოდ პირადი გამორჩენისთვის ზრუნვა, ყველა საშუალებით მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესება, ლამის წესად ითვლებოდა. მაგრამ დანარჩენ საქართველოში არასოდეს დამდგარა ასე მკვეთრად სახელმწიფო და პირადი ინტერესების გამიჯვნის მოთხოვნა. როდესაც ეს მომენტი აჭარაში დადგა, აბაშიძის მორჩილმა განცხრომაში მყოფმა გარემოცვამ ვერც კი გაიგო, ისე გახდა ქვეყნის მოღალატე... ასე რომ, პირიქით, კიდევ კარგი, დუმბაძის მსგავსად, სხვა დანარჩენებიც არ დადგნენ დროზე ადრე არჩევანის წინაშე, თორემ სისხლის ღვრა გარდაუვალი იქნებოდა, რადგან ეს ხალხი ისე მოიქცეოდა, როგორც კუთხეში მიმწყვდეული, განწირული ცხოველი და აბაშიძის წასვლის შემდეგ უკან ალარაფერზე დაიხევდა, რადგან მისი პერსპექტივა, გენერალ დუმბაძის მსგავსად, წინასწარ იქნებოდა დეკლარირებული. ასე რომ, მორალური თვალსაზრისით, ჩემთვის არავითარი განსხვავება გასამართლებულ და ნაპატიებ აბაშიძის მომხრე თანამდებობის პირთა შორის არ არსებობს.

**— აქ უკვე „პოსტრევოლუციური“ საფრთხეებიდან ყველაზე საშიში მომენტი — შურისძიების საკითხი დგება. მით უმეტეს, ისეთ ლოკალურ რეგიონში, როგორიც აჭარაა. აქ ხომ საზოგადოება მჩაგვრელებად და დაჩაგრულებად იყო დაყოფილი — მეტნაკლები ხარისხით, რა თქმა უნდა...**

— ამჟამად აჭარაში არსებული ვითარება საკმაოდ სპეციფიკურია. რასაკვირველია, მოსახლეობას რევანში სწყურია. მეორე მხრივ, უპატრონოდ დარჩენილ აბაშიძის ერთგულ ქვეშევრდომებსაც ექნებათ ხალხში გამოსვლის, უბრალო და უშელავათო ცხოვრებაში დაბრუნებით გამოწვეული როგორც უხერხულობისა და სირცხვილის, ასევე აგრესიულობის განცდაც. ამიტომ ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული — მან რევანშისტული ნაბიჯები და მოსახლეობის მხრიდან ამის ინიციატივა არ უნდა წაახალისოს. სხვათა შორის, სრულიად ვამართლებ ხელისუფლების პოლიტიკას — აჭარაში მხოლოდ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს იჭერენ და აბაშიძის წასვლას მასობრივი დაპატიმრებები არ მოჰყოლია. როგორც ფსიქოლოგმა, კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ სააკაშვილმა საკმაოდ გონივრული ნაბიჯი გადადგა, როდესაც განაცხადა — გარკვეული ხნით დარჩებოდა აჭარაში და საყოველთაო შემწყნარებლობასა და პატიებას გამოაცხადებდა. აჭარის დატოვება აბაშიძის წასვლის შემდეგ არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან გამარჯვებული და დამარცხებული ხალხი უთუოდ საბედისწეროდ დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს. სააკაშვილსაც და ბათუმში მყოფ მთავრობის დანარჩენ წევრებსაც, ახლა ივანოვისთვის აბაშიძის „გატანებაზე“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი — სამოქალაქო მშვიდობის დამყარება ეკისრებათ. ჯერჯერობით, ამ მისიას ეს ახალგაზრდები წარმატებით ართმევენ თავს. მათ მოახერხეს ხალხის აყოლიება. იქ კი, სადაც სამშობლოზე და საყოველთაო კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, არ შეიძლება ვინმემ შურისძიებასა და ამ გზით საზოგადოებაში დამკვიდრებაზე ან პირად, ან თუნდაც მისადმი დაქვემდებარებული უწყების რაიმე მატერიალურ გამორჩენაზე იფიქროს და იზრუნოს, მით უმეტეს, თუ ამ შურისძიებას მას არავინ ეკითხება...

**— გასულ კვირას განვითარებულ მოვლენებში მთავარი როლი მაინც ხალხმა — აჭარის მოსახლეობამ — ითამაშა. მანამდე, როდესაც აბაშიძის ხელისუფლებაზე მსჯელობდნენ, ერთ-ერთი მძლავრი არგუმენტი მისი დაუმარცხებლობისა, ეს ფაქტორი გახლდათ — აბაშიძეს ხალხი „საიმედოდ“ ჰყავდა დამორჩილებული. მაგრამ სულ რაღაც ერთ ღამეში სწორედ ეს ხალხი სულ სხვა სახით წარმოჩნდა...**

— ხალხის ფსიქოლოგია გასაოცარია... ხშირად ამბობენ, რომ ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. არა, ჩემო ბატონო! ხალხი ისეთი იქნება, როგორიც მთავრობა ეყოლება — უფრო სწორად კი, როგორი ხალხის ყოლასაც მოინდომებს მთავრობა. როგორც გაგება და ცნება — ხალხი — ცოცხალი და ამავე დროს უნივერსალური ორგანიზმია, ის შეიძლება იყოს მებრძოლი, პატრიოტულად განწყობილი, სამართლიანი და მორჩილი, მაბეზღარა, ქურდი და მპარავი. ის ისეთი იქნება, როგორადაც აქცევენ; სახელმწიფოს მართვის ხელოვნება არა ამ მმართველობის მიღწევაში, არამედ სწორედ ამ ხალხის ტრანსფორმირების, „გადაქცევის“ უნარი გახლავთ. თქვენ აჭარაში მცხოვრები ხალხის ერთ ღამეში სახეცვლილებაზე ლაპარაკობდით, რომელიც ათი წლის განმავლობაში აბაშიძეს ჰყავდა დამორჩილებული და ზოგიერთის გარდა, პროტესტს არავინ გამოთქვამდა. უფრო დიდი მაგალითი შემიძლია გითხრათ — მთელი საქართველო, აჭარის ჩათვლით, 70 წელი რუსეთს ჰყავდა დამონებულ-დაჩაჩანაკებული. ამ ხნის განმავლობაში, ისევ ცალკეული ინდივიდების გარდა, ხალხი თავის მდგომარეობას ბოლო მომენტამდე არ აპროტესტებდა. მეტიც, ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ურუსეთოდ ცხოვრება არ შეეძლო. ანუ მსჯელობდნენ, რომ მონა პატრონის გარეშე ვერ იარსებებდა... იგივე ხალხი ერთ ღამეში, 9 აპრილის შემდეგ, როგორც ერთი კაცი, ისე შეიცვალა და დამოუკიდებლობის იდეის გარშემო გაერთიანდა, დაჩაჩანაკებული და დაჩაგრული ხალხი ერთ ღამეში ამაღლდა... ხალხს მიზანი და ცოცხალი მაგალითი სჭირდება. 1989 წელს მიზანი — დამოუკიდებლობა იყო, მაგალითი კი — ამ დამოუკიდებლობისთვის დახოცილი ხალხი. სიმბოლურია, რომ 2004 წელს ასეთი მიზანი საქართველოს გაერთიანება აღმოჩნდა, ცოცხალი მაგალითი კი — ხიდების დანგრევა და დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტის საფრთხის გათავისება გახდა. გამოდის, რომ 15 წელი ფუჭად დაგვიკარგავს — უმიზნოდ გვივლია... ახალი ხელისუფლების ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ეს მიმაჩნია — სახალხო მიზნის დასახვა. ხალხისთვის მთავარი მაინც სოციალური მდგომარეობა გახლავთ. ასე იყო ყოველთვის. ბუნებრივია, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა ერთი ხელის დაკვრით არ მიიღწევა. ხალხს კი მოცდა არ უყვარს — სწორედ ამისთვისაც არის საჭირო და აუცილებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის მიზნის — საერთო ეროვნული მიზნის არსებობა. აჭარის, უფრო სწორად კი, აბაშიძის რუბიკონი ხალხის მონაწილეობით გადალახულია. მაგრამ საქართველოს გაერთიანების გზაზე ურთულესი ეტაპი — აფხაზეთი დგას (სამაჩაბლოს პრობლემა ამის შემდეგ თავისთავად მოგვარდება). რატომღაც, ინტუიციურად ვგრძნობ, რომ ეს საკითხიც ძალიან იოლად და უმტკივნეულოდ გადაიჭრება — აბაშიძის რეჟიმის დამხობაც ხომ ძნელი ჩანდა... უბრალოდ, როგორც გითხარით, საერთო-სახალხო მიზნის დასახვა და დეკლარირებაა სასწრაფო და აუცილებელი, და უპირველესად, ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ხელისუფლებაში ერთიანობა შენარჩუნდეს. ხალხს მანამ ექნება ამ ხელისუფლების რწმენა, სანამ ერთიანობა იქნება. მე მორალურ ერთიანობას ვგულისხმობ, თორემ როდესაც მიზანი არსებობს და მისადმი დამოკიდებულება პოლიტიკოსებს დაფიქსირებული აქვთ, მისკენ ვინ რა გზით წავა, ინდივიდუალური საკითხია. მაგრამ პოლიტიკური ინტრიგების გამო, ხელისუფლების გახლეჩა მით უმეტეს დღეს, როდესაც გზას ვადგავართ, დაუშვებელი და უპატიებელია. გამარჯვებული კაცის უპირველესი მტერი — ეიფორიაა. ბევრი გაკეთდა, მაგრამ ათასი ამდენი გასაკეთებელია. ძალთა გადანაწილებაშიც გაგვიმართლა — კონსტრუქციულად მოაზროვნე ოპოზიციაც არსებობს და ხელისუფლებაშიც არის კაცი, რომელსაც, თანამოაზრეებთან ერთად, ხალხის აყოლიება და მიზნისკენ წარმართვა შეუძლია, არის კაცი, რომელსაც პოლიტიკისთვის აუცილებელი ინტრიგების მართვა ძალუძს. საქართველოს შიდაპოლიტიკური წონასწორობისა და ღირსებისთვის აუცილებელი — ქალი ლიდერიც ჰყავს, თანაც იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო — პარლამენტის სათავეში. მაგრამ თუ გზას ღირსეულად, ერთად არ გააგრძელებენ, მათი მომავლისთვის აჯობებდა, რაც კარგი გააკეთეს, არც ის გაეკეთებინათ, რადგან, მერწმუნეთ, ახლა უკვე მოთხოვნილებაგაჩენილი ხალხის რისხვა გაცილებით სასტიკი იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

**— გასულ კვირას აჭარასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი მეორე, არანაკლებ საინტერესო და დასაფიქრებელი საკითხით დასრულდა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაპატიმრებულ გენერალ დუმბაძეს ამავე ბრალდებით ციხეში მყოფი ქობალიას გამოშვებით ადგილი გაუთავისუფლეს?**

— ამ ეტაპზე რაიმეს ხელაღებით მტკიცება ცოტა არ იყოს, გამიჭირდება. სავარაუდოა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ხელისუფლების მიერ ჩაფიქრებული აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გეგმის ერთი ნაწილი შეიძლება იყოს. მით უმეტეს, რომ გათავისუფლების პირველსავე დღეს ქობალიამ აფხაზეთის დაბრუნებაზე თუ აფხაზეთში დაბრუნებაზე ილაპარაკა. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება მორალური მხარის მოგვარება — ვფიქრობ, დუმბაძის შემთხვევა ლოთი ქობალიასგან კარდინალურად განსხვავებული უნდა იყოს — ქობალიას ბრალი უმძიმეს დანაშაულებში ედებოდა... მის გათავისუფლებასაც აპროტესტებდა ის ხალხი, ვისი შვილიც მის მიერ, სამოქალაქო ომის დროს იქნა დახვრეტილი... ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებითაც, დაუჯერებელია, ქობალია რაიმე კონკრეტული მიზნისა თუ გეგმის გარეშე გამოეშვათ.

***დაჩი გრძელიშვილი***

# გამარჯვებული — დღემდე არაფერი მომიგია!...



გურამ ბენდელიანი

უამრავი ჩვენი თანამემამულისთვის საპარლამენტო არჩევნების ვნებათაღელვა კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ აფხაზეთიდან ლტოლვილი, ქუთაისში მცხოვრები გურამ ბენდელიანი და მისი ოჯახი, ალბათ კარგა ხანს ვერ გამოვლენ „საარჩევნო ეიფორიიდან". ბატონი გურამი „კვირის პალიტრის" მიერ საარჩევნოდ გათამაშებული ვიქტორინის გამარჯვებული გახლავთ. მან ზუსტად გამოიცნო 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგები და პრიზი — უზარმაზარი ფერადი ტელევიზორიც მოიგო. გამარჯვებულს ვულოცავთ და მასთან ინტერვიუსაც გთავაზობთ:

**— ბატონო გურამ, „კვირის პალიტრას" ხშირად კითხულობთ?**

— რას მეუბნებით, ხშირად კი არა, მუდმივი მკითხველი ვარ. აფხაზეთიდან ლტოლვილი გახლავართ. ხარკოვში ვცხოვრობდი ერთხანს. 1997 წელს საქართველოში დავბრუნდი. მეუღლეს შეუძენია „კვირის პალიტრა", ძალიან მომეწონა. იმის შემდეგ ყოველი ორშაბათი ჩვენი გაზეთით იწყება ჩვენს ოჯახში. თანაც, ყველა ეგზემპლარს ვინახავთ...

**— თქვენ თქვით, ჩვენი გაზეთიო...**

— დიახ, ასეა. ზოგჯერ, როცა უცნობს წავაწყდები, „კვირის პალიტრას" რომ კითხულობს, ასე მგონია, ჩემი ახლობელია. ობიექტური და მრავალფეროვანი გაზეთი გვაქვს. ძალიან მიყვარს მესამე გვერდი, ზურაბ მჭედლიშვილიც კარგად წერდა და დაჩი გრძელიშვილიც ნამდვილი „მემკვიდრე" გამოდგა. ამ გვერდს ბოლოსთვის ვინახავ ხოლმე საგულდაგულოდ წასაკითხად. ლეჩხუმელი ვარ წარმოშობით და ჩემებური კაცის, ზვიად ჩაკვეტაძის სტატიებიც მომწონს. „შენიშვნაც" მაქვს — მინდა სპორტს მეტი ადგილი დაუთმოთ. და კიდევ, სულ მინდოდა მეურნე კაცისთვისაც მიგექციათ ყურადღება, თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდით, გაზეთში რუბრიკა „მამულ-დედული" გაჩნდა... ისე, „კვირის პალიტრის" კითხვა რომ დავიწყე, მაშინ 16-გვერდიანი იყო, ახლა 36-გვერდიანია და მიხარია, რომ ფასი იგივე დარჩა.

**— აფხაზეთზე რას გაიხსენებდით?**

— აფხაზეთში დავიბადე, სკოლაც იქ დავამთავრე და ინსტიტუტიც. აგრონომად ვმუშაობდი. 1989 წლამდე თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ვერც ვიფიქრებდი, რომ მოვლენები ისე სავალალოდ განვითარდებოდა...

**— ამბობენ, არც მანამდე ვცხოვრობდით ქართველები დალხენილად**

## „ძალიან გამახარეთ"

**აფხაზეთშიო...**

— ასე იყო. აფხაზი ყოველთვის პრივილეგირებული გახლდათ. ბოლო პერიოდში მაინც ძალზე გამაღიზიანებელი იყო, როცა მოურიდებლად ჩვენ თვალწინ აჟღარუნებდნენ იარაღს, ჩვენ კი სანადირო თოფებიც კი ჩავაბარეთ სამართალდამცველებს.

**— დღეს ხშირად გაიგონებთ, აფხაზეთში ქართველებმაც შეიტანეთ წვლილი სიტუაციის გაუარესებაშიო.**

— აფხაზს არავინ ჩაგრავდა, პირიქით მათ გაზულუქებას ვუწყობდით ხელს. როგორ გვიხაროდა ქართველებს, როცა იქ ჩვენი შეიარაღებული ძალები შემოვიდა. ზოგი ამბობს — არ უნდა შემოსულიყვნენო. რატომ? რა სახელმწიფო ხარ თუ შენს რომელიმე კუთხეში წესრიგს ვერ დაამყარებ? მე ვიბრძოდი აფხაზეთის ომში, მარტო მარჯვენა ხელზე ოცი ჭრილობა მაქვს. საერთოდ კი 40 იარა დამრჩა ამ ომიდან. 1993 წლის 16 სექტემბერს სანგარში, დილის 4 საათზე კბილებამდე შეიარაღებული აფხაზები დაგვესხნენ თავს. სისხლის ფასად შევძელით მაშინ სოფლის, ოჯახების გადარჩენა.

მოკლედ, რაც იყო, იყო... დღეს რეალურად მესახება აფხაზეთის დაბრუნება. რადგან ჩვენი ქვეყანა უკვე გამარჯვების გზას ადგას. ნოემბრის მოვლენების დროს თბილისში ვიყავი. გიორგობა აქ ვიზეიმე, მაისის გიორგობასაც თბილისში მომიწია ყოფნა და მართლა გავიხარე... მაგრამ აფხაზეთს მგონი ორი-სამი გიორგობა არ ეყოფა... თუმცა, დარწმუნებული ვარ, 2-3 წელში აფხაზეთს აუცილებლად დავიბრუნებთ...

**— ახლა იმის შესახებ, თუ როგორ შეძელით საპარლამენტო არჩევნების შედეგების წინასწარ განსაზღვრა?**

— 2 ნოემბრის არჩევნებისთვის 8 ქვითარი გამოვაგზავნე, მარტში კი 4, თანაც მარტში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი და ხეირიანად დაფიქრებისა და ბილეთების შევსების დროც კი არ მქონდა. მაგრამ მესამე ვარიანტმა გაამართლა... ძნელი გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ ქობულეთში რომ არჩევნების შედეგები არ გაეუქმებინათ, „აღორძინება" გამიფუჭებდა საქმეს, მესამე ადგილზე გავიდოდა და ტელევიზორის გარეშე დამტოვებდა (*იცინის*)... სიმართლე გითხრათ, ამ გამარჯვებას ნაკლებ ველოდი. ორშაბათს, საღამოს, გაზეთი რომ ავიღე და მეოთხე გვერდი გადავშალე, თავდაპირველად სტატიების კითხვა დავიწყე. წავიკითხე ერთი სტატია, მეორე და უცებ თვალი გამექცა ქვემოთ, სადაც შავით თეთრზე ეწერა, დაპირებული ფერადი ტელევიზორი გათამაშდაო. გულდასმით დავიწყე კითხვა და მიუხედავად იმისა, რომ მახსოვდა, რაც ჩავწერე ბილეთებში, არც მიფიქრია, რომ გამარჯვებული მე ვიქნებოდი. გურამ ბენდელიანი რომ „აღმოვაჩინე", ყვირილი ავტეხე სიხარულისაგან. ძალიან გაუხარდათ ბავშვებს. აქამდე შავთეთრი ტელევიზორი გვქონდა, ისიც ჩემი დისგან ნათხოვარი... მართლა უზომოდ გამახარა ამ ამბავმა. იმასაც გეტყვით, რომ დღემდე არასდროს არაფერი მომიგია. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ აზარტული ვარ. სხვათა შორის, ყმაწვილობაში, ვიტალი დარასელიასთან ერთად ვთამაშობდი ფეხბურთს ოჩამჩირის „ამირანში". ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან მოგვიანებით ახლო ურთიერთობაც კი მქონდა, მათ შორის დათო ყიფიანთან.

**— აფხაზეთში როცა დაბრუნდებით, სად იცხოვრებთ, თქვენი სახლი გადარჩა?**

— კი. იქ ჩემი ძმისშვილი ცხოვრობს, რომელიც აფხაზზეა გათხოვილი.

***ეკა ლომიძე***

# აუღიარებელი „ქველმოქმედი"

## ტროლეიბუსი ქალაქში მეზობლის ბავშვივით დადის...

არც ისე დიდი ხნის წინ თბილისელებს დედაქალაქი ტროლეიბუსის გარეშე ვერ წარმოედგინათ. ახლა კი ტროლეიბუსი მეზობლის ბავშვივითაა — მორიდებით შემოჩოჩდება ცენტრალურ პროსპექტებზე და შებინდებისას სადღაც ქრება. არადა იყო დრო, სწორედ ტროლეიბუსი დაგვახრიგინებდა მთელ ქალაქში. მისი ფანჯრებიდან ჩანდა ყველაზე მომხიბვლელად ღამის თბილისი და შეგვიანებული მგზავრიც მის იმედად იდგა გაჩერებაზე. ახლა თბილისში ტროლეიბუსს უკვე „კაცადაც არ თვლიან". მისი მძღოლები უცნაური მოთმინებით იტანენ უწესრიგო ქალაქს და აუღიარებელ „ქველმოქმედებას" ეწევიან: — ტროლეიბუსით შეიძლება იმგზავრო 10 თეთრით, უფასო სამგზავროებით ან სულაც ფულის გადაუხდელად...

რუსთაველზე ცხვირწინ გაჩერებულმა ტროლეიბუსმა ძველი თბილისი გამახსენა, ნერვები არ დავზოგე და გავყევი. არც მინანია. თურმე ტროლეიბუსის ყველაზე კოლორიტულ და სტაჟიან მძღოლს დავმგზავრებივარ. სხვათა შორის, ჩვენ თუ ტროლეიბუსს გავექეცით, ბატონი ჯუმბერ ლებანიძე პერსპექტიულ მსახიობობასა და პოეტობას გაექცა და 43 წელიწადი ტროლეიბუსში გაატარა.



**— ამდენი ხანი როგორ გაძელით ტროლეიბუსში?**

— მაშ, ქალაქი მიმეტოვებინა? იყო დრო, მეტროც ჩერდებოდა 11 საათის შემდეგ.... ხალხს ტაქსის ფული არ ჰქონდა. რა უნდა მექნა? — თუ დენი იყო, ღამის ორის ნახევრამდე ვმუშაობდი, თუ არა — ვიდექი, იჯდა ხალხი და დენს ელოდებოდა. სიცივეში ყოფნას აქ ერჩივნათ. ტროლეიბუსების მძღოლებს რკინის ნერვები გვაქვს. მა, რა გგონიათ? — ბიგელებში 600-ვოლტიან დენსაც „ვუძლებთ". ამხელა სიმძლავრის დენი ჯან-ღონეს ანადგურებს. ერთ დროს მთავრობა რძეს უფასოდ გვაძლევდა...

**— ხელფასს რამდენს გიხდიდათ ის მთავრობა?**

— 400-450 მანეთს. ეს ფული ოჯახს ჰყოფნიდა. ოჯახი მეც მაწვა ზურგზე და ამ ხელფასის ხათრით ცეკვაც მივატოვე. ახალი „თანამდებობა" ვიშოვე. ვარ ჩემთვის წყნარად — „სკამს" არავინ მეცილება.

**— ახლა ვინ შეგეცილებათ, 30 ლარზე მეტი არც გექნებათ ხელფასი.**

— ზუსტად გამოიცანი, თვეში 20-30 ლარს გვაძლევენ, თანაც, თითო წრეზე 1,80 ლარი უნდა ჩავაბაროთ სახელმწიფოს...

**— თუ ასეა, ცოტა შემოსავალი „გვერდიდანაც" დაგრჩებათ.**

— რა უნდა დამრჩეს? აქ არ ზიხართ, ვერ ხედავთ რამდენმა გადაიხადა? აქ 80% უბილეთო ამოდის, გაჭირვებული ხალხია, რა უნდა ვუთხრა, ხმის გაღებას რომ დავაპირებ, შემრცხვება ხოლმე და ვჩუმდები.

**— თქვენს „ქველმოქმედებას" თუ აფასებენ?**

— მადლობას მიხდიან, მაგრამ ზოგი გამოერევა ოხერი... ის ზოგი ჰყოფნის ამ საცოდავ ტროლეიბუსებს. დანითაა დაჭრილი სკამები, ხან ერთი ვედრო „სემიჩკის" ჩენჩო გამაქვს სალონიდან. ხან ფანჯარაა ჩალეწილი, რას ვიზამთ... ვხლაფორთობთ. წვალებით ვცვლით ნაწილებს. აღარც ხელოსნები არიან, თითო-ოროლა ასაკოვანი კაცი დარჩა, მოწაფეებიც არა ჰყავთ...

**— ახალ ტროლეიბუსს არ გპირდებიან?**

— საიდან, შვილო, იცი, რა ფული ღირს? ეს ტროლეიბუსიც დიდი ხნის წინ უკვე ნახმარი ჩამოიყვანეს საბერძნეთიდან. ევროპაში ტროლეიბუსს საკუთარი თავივით უვლიდნენ. ჭკვიანი ხალხია — ტროლეიბუსს გამონაბოლქვი არა აქვს. საწვავიც არ სჭირდება, ეკონომიურია...

**— რაჭველი ხართ და თან ლებანიძე, მურმან ლებანიძის ნათესავი ხომ არ ხართ?**

— ვარ. აბა, არ ვარ! ჩვენი ბაბუები იყვნენ ძმები. კარგი კაცი იყო მურმანი. ჩემი ნათესავი რომ იყო, იმიტომ კი არ ვამბობ...

**— თქვენც ხომ არ წერდით ლექსებს?**

— ახალგაზრდობაში — რამდენსაც გინდა. მერე შევეშვი. პოეტად ერთი ლებანიძეც საკმარისი იყო...

**— 70 წლის კაცი ასეთი დატვირთვით როგორ მუშაობთ?**

— თუ დამიჯერებთ, ველარც ვგრძნობ, რომ ვმუშაობ. ვერ წარმომიდგენია ყოველდღე თბილისი არ ვნახო, ძალიან გამოიცვალა, მაგრამ უიმისოდ ვერ გავძლებ.

***ეთერ ერაძე***

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ერთ ბოთლ არაყში ნახევარ კილოგრამ ოქროს ითხოვდნენ" — 88 ხმა
2. **ეკა ლომიძე** — „აქეთ მზეა, იქით მთვარე..." — 66
3. **დაჩი გრძელიშვილი** — „ასლან აბაშიძემ პოლიტიკური „ხარაკირი" გაიკეთა..." — 57

4-5. **მარინა ბაბუნაშვილი** — „პირადი ჩანაწერები, ანუ მოგზაურობა „ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში" — 35

4-5. **იზო რიკაძე** — „ამ შენობაში დოლარების უხილავი „სტანოკი" მუშაობდა" — 35

6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 22
7. **ინგა ჯაყელი** — „წუთისოფლის სტუმრები ვართ!.." — 18

მკითხველის სახელით პრემიას კვლავ **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 371-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

ყველაფერი უძრავი ქონების შესახებ ახალ ყოველკვირეულ, სამენოვან ჟურნალში



ბარდა სარეკლამო ინფორმაციებისა ჟურნალშია უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, რჩევები პროგნოზები

ნუ დაძაბავთ გონებას, ენდეთ „უძრავ ქონებას"!

ექსპერტების აზრით, ბოლო ექვსი თვის მანძილზე მომხდარ ორ რევოლუციას ბევრი რამ აქვს საერთო. მაგრამ იგივე ექსპერტები ამავე დროს განსხვავებებზეც ლაპარაკობენ. ისინი, უპირველესად, რევოლუციის ფინალურ ეტაპს გულისხმობენ. მიხეილ სააკაშვილის დაპირება, რომ ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს შეეძლო საქართველოში დარჩენა და მშვიდად ცხოვრება, დღემდე ძალაში რჩება. სააკაშვილმა იგივე დაპირება გასცა ასლან აბაშიძის სახელზეც. ამ უკანასკნელისთვის პრეზიდენტის სიტყვა მიუღებელი აღმოჩნდა. მან თავის ყოფილ იმპერიაში დარჩენას, მოსკოვში გადასახლება ამჯობინა. ამასთან, ეს ისე გააკეთა, რომ შევარდნაძისგან განსხვავებით, გადადგომაზე სიტყვაც არ დასცდენია. სპეცსამსახურების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აბაშიძის მოსკოვში გაფრენა მხოლოდ მის სურვილზე არ ყოფილა დამოკიდებული. ამაში მნიშვნელოვანი როლი რუსეთის სპეცსამსახურებმაც შეასრულეს. კრემლს ხელს არ აძლევდა აბაშიძის საქართველოში დატოვება. ამ თემაზე „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **ამირან ბერიძე** საკმაოდ სკანდალურ განცხადებას აკეთებს: — შევარდნაძისგან განსხვავებით, ასლან აბაშიძეს ბევრი მიზეზი ჰქონდა, სამშობლოში დარჩენაზე უარი ეთქვა. მე არ ვგულისხმობ აბაშიძის შიშს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ცამეტი წლის მანძილზე აბაშიძემ აჭარაში ძალიან ბევრი მტერი გაიჩინა. იმდენად ბევრი, რომ შესაძლოა პრეზიდენტიც კი ვერ ყოფილიყო მისი უსაფრთხოების გარანტი. ამიტომ სწორად გათვალა, როცა წასვლა ამჯობინა. აქ მეორე ფაქტორმაც იმოქმედა — თვითონ რუსებს არ აძლევდათ ხელს, რომ აბაშიძე საქართველოში დარჩენილიყო.

— **ბოლო დღეებში, როცა აბაშიძე აჭარის ტელევიზიით გამოდიოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი არაადეკვატურად აფასებda მოვლენებს და ბოლომდე არ სჯეროდა, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევდა.**

— მისი არაადეკვატური საქციელი დროის მოგებაზე იყო გათვლილი. სინამდვილეში, აბაშიძემ კარგად იცოდა, რაც ხდებოდა და ეს რომ მისი მბრძანებლობის დასასრულს მოასწავებდა, შეგუებული იყო. უბრალოდ, ის იგორ ივანოვის ჩამოსვლას ელოდა. ეს პრეზიდენტმა სააკაშვილმაც იცოდა. ეტყობა, პუტინთან სატელეფონო საუბრისას დაისახა გეგმა, რომ აბაშიძე მოსკოვში წავიდოდა. ამაზე სააკაშვილმა თანხმობა განაცხადა. შესაძლოა მას სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან უარი რომ ეთქვა, სრულიად სხვა სცენარი გათამაშდებოდა.

— **კონკრეტულად, რა შეიძლებოდა მომხდარიყო?**

— ბოლო პერიოდში აბაშიძეს დასაყრდენი ძალა მთლიანად გამოეცალა. ფაქტობრივად,

# „მალე დავამტკიცებთ, რომ აბაშიძე არძინბას ეხმარებოდა“

## აბაშიძე მოსკოვის ხელში კოზირად რჩება



იგი მეფე ლირივით მარტოდმარტო დარჩა. 6 მაისის ღამეს მისი დაპატიმრება სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა... თუ ამ ვარიანტს გავაანალიზებთ, დავასკვნით, რომ ამით ქვეყანა უფრო მოიგებდა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში დარჩებოდა და რუსეთში ვეღარ წაიღებდა იმ თანხებს, რომლებიც, ჩემი ინფორმაციით, ბევრად აჭარბებს მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტს. მაგრამ ეს არ მოხდა. აბაშიძემ თავისი მილიონებით მშვიდობიანად გააღწია ქვეყნიდან. პრეზიდენტს ეს იქნებ არც აწყობდა, მაგრამ არჩევანის საშუალებაც არ ჰქონდა. სააკაშვილმა რამდენჯერმე განაცხადა, რუსებს აღვუთქვი, რომ აბაშიძის გადმოცემას არ მოვითხოვთო.

> რუსებმა აბაშიძე 1992 წელს „დაავერბოვკეს“. პირველად რუსებმა მაშინ გადაარჩინეს ასლან აბაშიძე. გახსოვთ, ალბათ, როცა „მხედრიონი“ აჭარაში შესვლას გეგმავდა. აბაშიძეს მაშინ საშუალება არ ჰქონდა, აჭარა „მხედრიონელთა“ თარეშისგან ეხსნა. მაგრამ ეს მომენტი რუსეთის გრუ-მ მაშინ სწორად გააანალიზა.

— **რატომ დასჭირდა მოსკოვს აბაშიძის მფარველის როლის თამაში?**

— წლების მანძილზე აბაშიძემ რუსეთში ბევრი მეგობარი შეიძინა. ისეთები, რომლებიც კრემლის პოლიტიკაში ამინდს ქმნიან. ეს მეგობრობა შორსმჭვრეტელმა აბაშიძემ თავის დროზე ფულითა და საჩუქრებით იყიდა. ამ ხალხისთვის გადამდგარი აჭარის ლიდერიც სასურველი პერსონაა. ამიტომ ვერ დაუშვებდნენ მის ბოლომდე განადგურებას. ამასთან, მხოლოდ მეგობრობაც არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დღევანდელი სცენარი გათამაშდა. ასლან აბაშიძე რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შესახებ კავკასიის რეგიონში ღირებულ ინფორმაციას ფლობდა. ასეთი კაცის დატოვება იმ ქვეყანაში, სადაც რუსეთს ამრეზით უყურებენ, დაუშვებელი იქნებოდა.

— **საიდან უნდა ჰქონოდა აბაშიძეს ინფორმაცია კავკასიაში კრემლის გეგმებზე?**

— თავის დროზე აბაშიძის აღზევებაში სწორედ რუსებმა ითამაშეს მთავარი როლი. გაქცეულ კაცზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ რუსებმა აბაშიძე 1992 წელს „დაავერბოვკეს“. პირველად რუსებმა მაშინ გადაარჩინეს ასლან აბაშიძე. გახსოვთ, ალბათ, როცა „მხედრიონი“ აჭარაში შესვლას გეგმავდა. აბაშიძეს მაშინ საშუალება არ ჰქონდა, აჭარა „მხედრიონელთა“ თარეშისგან ეხსნა. მაგრამ ეს მომენტი რუსეთის გრუ-მ მაშინ სწორად გააანალიზა. თუკი ისინი აბაშიძეს დაეხმარებოდნენ, სამაგიეროდ, თვითონ გაძლიერდებოდნენ საქართველოს ამ სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონში. ამიტომ სასწრაფოდ იდგმება ჩოლოქის საზღვარზე ბარიერები, უცებ ჩნდება იარაღი აჭარაში და ურიგდება სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ სამხედრო ფორმირებებს. ამ გათვლამ გაამართლა. „მხედრიონმა“ აჭარაში ვეღარ შებედა. ასეთი ნაბიჯი მისი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. აბაშიძემ კი დაასკვნა, რომ რუსეთის არაოფიციალური მფარველობის შემთხვევაში მას აჭარაში საკუთარი იმპერიის შექმნა გაუადვილდებოდა, რაც სულ მალე მოახერხა კიდეც. იმავდროულად, რუსებსაც სასურველი ფიგურა ჰყავდათ კავკასიაში, რომელიც მათ მანიპულირების საშუალებას აძლევდა.

— **სპეცსამსახურების ისტორიებიდან ჩანს, რომ ასეთ ფიგურებს ბოლოს მაინც იშორებდნენ ხოლმე. გრუ, როგორც თქვენ ამბობთ, პირიქით მოიქცა და ბოლომდე აბაშიძის მფარველად დარჩა. რატომ?**

— მიაქციეთ ყურადღება, რომ აბაშიძეს გადადგომის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია — ისე გადადგა. ზუსტად მეორე დღეს მისი დაცვის წევრები გამოდიან ბათუმის ქუჩებში და ჰაერში ავტომატით ისვრიან. ისინი სამი თვის(!) ხელფასების გაცემას მოითხოვენ. ერთი შეხედვით, სასაცილო და თავხედური სიტუაციაა. გამოდის, სააკაშვილმა უნდა გადაიხადოს აბაშიძის დავალიანება, თანაც რაში? ეს ხალხი ხომ სწორედ სააკაშვილსა და მის მომხრეებს არაერთხელ დაპირისპირებია. მაგრამ ამ მოვლენის მხოლოდ ამ კუთხიდან განხილვა გულუბრყვილობა იქნებოდა. შესაძლოა, არსებობდეს ფარული გეგმა, რაც პოსტაბაშიძისეულ აჭარაში ახალი სცენარების გათამაშებას გულისხმობს. ვგულისხმობ მოსალოდნელ დესტაბილიზაციას ამ რეგიონში, რუსეთის ბაზების არსებობის შემთხვევაში ეს გამორიცხული არ არის. ასეთ პირობებში ნებისმიერი პროვოკაცია ადვილი მოსაწყობია. კიდევ ერთხელ მიაქციეთ ყურადღება: აბაშიძე გაძევებულია და არა — ოფიციალურად გადამდგარი. ახლა შეიძლება ძნელი სათქმელია, რა მოხდება, მაგრამ აბაშიძე მაინც მთავარ კოზირად რჩება რუსეთის ხელში, რომლის გამოყენება მოსკოვს ყოველთვის შეეძლება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 24)*



# „სამწუხაროდ, ჩვენს სიმდიდრეს ბევრი მუშტარი ჰყავს“

***აკაკი ასათიანს*** *არ მოსწონს, რომ მემედ აბაშიძის ძეგლს კალთაში მისი შთამომავლის ცეცხლმოკიდებული სავარძელი ჩაუდეს და აცხადებს, — ასლან აბაშიძის შეცდომების გამო მისი წინაპარი არ უნდა შეურაცხყონო. ტრადიციონალისტთა ლიდერს და ოდესღაც ასლან აბაშიძის მეგობარს აჭარაში მომხდარი მოვლენების შესახებ ვესაუბრეთ:*



— ეს ყველაფერი ძირითადად, აბაშიძის შეცდომებმა განაპირობა. სამწუხაროდ, ვერ გავაგებინე მას, რომ რუსები გაწირავდნენ (სადამ ჰუსეინის მაგალითიც კი მოვუყვანე) და როგორც ვნახეთ, მართლაც გაწირეს. კაცმა იქამდე არ უნდა მიიყვანო საქმე, შენი სამშობლოდან ვინმეს წასაყვანი გახდე. ბოლოს ასლან აბაშიძე საბედისწერო ნაბიჯებს დგამდა. ხიდების აფეთქება იმ არგუმენტით, რომ ხელისუფლება ფოთშიაო, არ იყო გონივრული. ამასთან, ამით მხოლოდ საქართველო არ დაზარალებულა, სატრანზიტო გზებიც ჩაიკეტა — ამ შეცდომის შედეგი ხომ მაინც უნდა გაეთვალა ასლანს? ის ვერ მიხვდა, რომ ასეთი ქმედებით თავისი მეგობარი რუსეთიც გაანაწყენა. აღარ გამოესარჩლა არავინ, რაკი დაინახეს, აბაშიძე პრობლემებს გვიქმნისო.

ასლან აბაშიძე ვერ მიხვდა, რომ მმართველობის სტილი უნდა შეეცვალა. სახელმწიფო გადატრიალების შემდგომაც (1991-92 წ.წ.) მან აჭარაში სტაბილურობა უზრუნველყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სტაბილურობის შესანარჩუნებლად მას უფრო მკაცრი ზომების მიღება დასჭირდა, ვიდრე ეს დემოკრატიის საფუძვლებს შეესაბამებოდა. მაგრამ შევარდნაძის წასვლის შემდეგ სხვა ვითარება შეიქმნა და, შესაბამისად, ასლან აბაშიძის მმართველობის სტილი და მეთოდები მიუღებელი გახდა. აბაშიძემ შეცდომები დაუშვა, რის შედეგადაც მომხრეებიც შემოეცალა. ამ ხელისუფლებამ კი, რომელმაც პიარი ძალიან კარგად იცის, მარჯვედ გამოიყენა აბაშიძის შეცდომები. აბაშიძის ქმედებებიდან გამომდინარე, ჩანდა, რომ ის რეალურ ინფორმაციასაც არ ფლობდა. სხვათა შორის, ასლან აბაშიძესთან ურთიერთობისას სულ ერთი რამ მქონდა გასარკვევი — რამდენად ობიექტურ ინფორმაციას ითხოვდა და რამდენად სწორად აანალიზებდა მას. საბჭოთა კავშირი იმან დაშალა, რომ მისი მმართველები მხოლოდ მათთვის სასურველ ინფორმაციას ითხოვდნენ. ერთ ამბავს გავიხსენებ: 70-იან წლებში ერთი საბჭოთა აგენტი დასავლეთში დარჩა. როცა ჰკითხეს, რატომ დარჩიო, თქვა, როდესაც მოხსენებით ბარათში დავწერე ამ ქვეყანაში საბჭოთა კავშირი არ უყვართ-მეთქი, მოსკოვში დამიბარეს და დამტუქსეს — ამას რომ წერ, ზემოთ ეს როგორ მოვახსენოთო. რომ ვკითხე, სიმართლე არ გინდათ-მეთქი, მომიგეს, — სიმართლე კი არა, რაც ზემოთ ესიამოვნებათ, ის უნდა წეროო.

ვფიქრობ, ეს პრობლემა აბაშიძესაც ჰქონდა — მასთან მხოლოდ მისთვის სასურველი

**„ბათუმის პორტს ხელში ის ჩაიგდებს, ვისთანაც ამ ხელისუფლებას ექნება ვალდებულებები აღებული“**

ინფორმაცია მიჰქონდათ.

— **რას იტყვით ივანოვის როლზე?**

— სააკაშვილი ვითომ კი პროდასავლელობს, მაგრამ ის რუსეთისკენ მაყურებელი კაცია. ფუჭი ლაპარაკია, ვითომდა დამოუკიდებელ პოლიტიკას ვახორციელებდეთ. თუ ასეა, რატომ ჩამოდის ივანოვი ყოველთვის კრიტიკულ მომენტში?

ქართველებმა ჩვენი პრობლემა თვითონვე უნდა გადავწყვიტოთ, იმიტომ, რომ სხვისი ნებისმიერი ჩარევა ყოველთვის რაღაც ვალდებულებების აღებას ნიშნავს.

ქვეყნის სათავეში არაქართული (ეთნიკურ წარმომავლობას არ ვგულისხმობ) ხელისუფლებაა. ამას გრძნობენ ჩვენს არაქართულენოვან რეგიონებში და ამის დასტური იყო სამხრეთ საქართველოში სომხების მიერ აჭარლების ცემა, რაზეც რატომღაც ხმა არავინ ამოიღო. დრო მოვა და ფარდა აეხდება, რა ინტერესები იყო ჩადებული საქართველოში მოვლენების ამგვარ განვითარებაში. ერთი საკითხია, რომ აბაშიძის მმართველობა ისევე მიუღებელი იყო, როგორც შევარდნაძისა, მაგრამ მეორე საკითხია, ვინ განაცხადებს პრეტენზიებს ბათუმის პორტსა და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებზე. სამწუხაროდ, ჩვენს სიმდიდრეს ბევრი მუშტარი ჰყავს და ასეთი მხოლოდ სოროსი რომ არ იქნება, გარწმუნებთ.

— **კიდევ ვის გულისხმობთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მე, თქვენ და ქართველები რომ არ ვიქნებით, ცხადია. ბათუმის პორტს ხელში ის ჩაიგდებს, ვისთანაც ამ ხელისუფლებას ექნება აღებული ვალდებულებები და გარიგება. რომ ამბობენ, შესაძლოა აჭარაში გავლენის გამო „დემოკრატებმა“ და „ნაციონალებმა“ იჩხუბონო, მთლად ასე არ იქნება. ისინი ნამცეცებისთვის იბრძოლებენ, რეალური სიმდიდრისთვის კი სხვა ძალები იაქტიურებენ.

— **აბაშიძის წასვლის შემდეგ როგორ ელით მოვლენების განვითარებას აჭარაში?**

— რამდენიმე თვეში შესაძლოა ზოგს სანანებლად გაუხდეს ის, რაც მოხდა. აზრის გამოთქმის მხრივ კი იქნება მეტი თავისუფლება, მაგრამ სხვა მხრივ დიდად არაფერი შეიცვლება. პირიქით, დიდი ვაჭრობა და ქიშპი გაჩაღდება ბათუმის ნავსადგურზე, საბაჟოზე, ნავთობტერმინალსა და კიდევ ბევრ რამეზე.

— **იქნებ არ მოხდეს ასე და ყველაფერი ცივილიზებული ფორმებით წარიმართოს, როგორც ეს ნორმალურ ქვეყნებში ხდება.**

— ორი-სამი თვე დიდი დრო არ არის, დავიცადოთ და ყველაფერი გამოჩნდება.

— **დღეს ლაპარაკია აჭარის ავტონომიის სტატუსზე. რამდენადაც ვიცი, თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ იმიტომ დაუჭირა მხარი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აბაშიძის დანიშვნას, რომ იგი დაჰპირდა, — ავტონომიას გავაუქმებო, მაგრამ აბაშიძემ პრეზიდენტი მოატყუა. აჭარის მთიანი სოფლებიდან მოლები ჩამოიყვანა და განაცხადა — ავტონომიას არ გავაუქმებო.**

— კი, ასე იყო. ზვიადმა, მე და ჩვენი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა ასლანისგან მივიღეთ პირობა, რომ ავტონომიის სტატუსი შეიცვლებოდა, მაგრამ მაშინ ბევრი აფათურებდა ბათუმში ხელებს, თუნდაც მოსკოვი და თურქეთი. მაღალმთიანი აჭარიდან მაჰმადიანების ჩამოყვანაც არ ყოფილა მთლად ასლანის სურვილი. ვფიქრობ, ავტონომიის სრულიად გაუქმებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი — შესაძლოა ავტონომიური ოლქის შექმნაზე ვიფიქროთ. არ უნდა ვიჩქაროთ, მაგრამ ეს საკითხი აუცილებლად უნდა წამოიჭრას განსახილველად.

*იზო რიკაძე*

# „მეტალურგიულ კომბინატში სიმინდის დათესვას აპირებენ“

გავკადნიერდები და ჩვენს მკითხველს მურმან ლებანიძის ერთი ლექსის რამდენიმე სტრიქონს შევახსენებ: *„...შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,/ ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!/ ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,/ ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!/ ...დაიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,/ დაიხსომე, განჯღრევდი და გაღვიძებდი!“*

ეს ლექსი პოეტმა ჯერ კიდევ 1971 წელს დაწერა, მაგრამ რად გინდა, მის სიტყვებს ყური არავინ ათხოვა და დღეს შიდა ქართლში ქართველი მოსახლეობა კატასტროფულად არის შემცირებული. გავოცდი, რომ გავიგე — რუსთავში თურმე ბინების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესის მოცულობა რამდენჯერმე აჭარბებს თბილისისას. თუმცა ჯობს, 1995 წლის მოწვევის პარლამენტის წევრს, **ვანო შათირიშვილს** მოვუსმინოთ: „ჩემი მონაცემებით, ყოველწლიურად რუსთავში ქართველი მოსახლეობა ათასობით ბინას ყიდის. რუსთავი ქართველებისგან იცლება და თუ ასე გაგრძელდა, მალე იქ ქართველი აღარ დარჩება. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობასთან, მაგრამ გული მტკივა, როდესაც ქალაქში ქართველების ბინებს მასობრივად აზერბაიჯანელები ყიდულობენ. აზერბაიჯანის კომერციულ ბანკებს დავალებული აქვთ სესხების შეუზღუდავად გაცემა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე, რათა მათ ქალაქ რუსთავში შეისყიდონ ბინები. ვერ გეტყვით, დავალება სახელმწიფო სტრუქტურებისგან მიიღეს ბანკებმა თუ რელიგიური ორგანიზაციებისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ბანკები დავალებას პირნათლად ასრულებენ. დღეს რუსთავში ერთოთახიან ბინას 400-500 დოლარად იყიდი. 200 დოლარსაც თუ დაუმატებ, ოროთახიანსაც იშოვი. სხვათა შორის, მყიდველი ხშირად ახალ ბინაში არ ცხოვრობს, ყიდვის შემდეგ კეტავს. იკითხავთ, ალბათ, რატომ ყიდიან რუსთაველები ბინებსო. ამას უბრალო ახსნა აქვს. მოგეხსენებათ, რუსთავი მეტალურგთა ქალაქი იყო. თითქმის 50 წლის განმავლობაში მეტალურგიული კომბინატი ქართველთა გამრავლებისა და ამ რეგიონში მათი დამკვიდრების ფორპოსტის მოვალეობას წარმატებით ართმევდა თავს. მაშინ აზერბაიჯანელი მოსახლეობა, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად 1997 წლიდან შეიცვალა, ანუ მას შემდეგ, რაც მეტალურგიულმა კომბინატმა მუშაობა შეწყვიტა. ულუკმაპუროდ დარჩენილი მეტალურგები საშოვარზე თურქეთში გადაიხვეწნენ, ხოლო ზოგიერთებმა ბინები გაყიდეს და სოფლებში გადასახლდნენ. რამდენიმე თვის წინ, როდესაც იტალიელმა ინვესტორებმა მეტალურგიული კომბინატის ნაწილი, კერძოდ კი მილსაგლინავი საამქრო აამუშავეს, სოფლებიდან ქართველი მეფოლადეები ჩამოიყვანეს. რუსთავში ხალხი გამოცოცხლდა, ყველა გახარებული იყო იტალიელი ინვესტორების საქმიანობით, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ქარხნის ამუშავებიდან სამი თვის შემდეგ მავანმა ბიზნესმენებმა და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა ინვესტორებს მუშაობა შეაჩერებინეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ იტალიელები საქართველოდან წასვლაზე ფიქრობენ, უფრო სწორად, აიძულებენ ქარხნიდან წასვლას“.



**„ქარხანასაც ავამუშავებთ და ცოტა მეტსაც ვიზამთ...“**

გახსოვთ, ალბათ, გასულ თვეს „კვირის პალიტრამ“ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს ამომწურავი ანალიტიკური სტატია მიუძღვნა. ამიტომ, ბუნებრივია, კვლავ სტატიის მომზადებას აღარ ვაპირებდით. მაგრამ დამაინტრიგებელმა ინფორმაციამ გადაგვაწყვეტინა კვლავ ამ თემას მივბრუნებოდით. ჩვენ დავუკავშირდით რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიური ინვესტორი ფირმის წარმომადგენელს, ამჟამად კომბინატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, **ალექსანდრ სერიოგინს**, რომელმაც განაცხადა: — ჩვენ გავეცანით თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას რუსთავის მეტალურგიული კომბინატის შესახებ. სტატიაში გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას ვიზიარებთ, მაგრამ ერთი შეცდომა თქვენც დაუშვით, როდესაც მეტალურგიული კომბინატის ადრინდელ ფსევდოინვესტორების რიცხვს ჩვენი ფირმაც მიათვალეთ.

ქარხანა 1997 წლიდან გაჩერებული იყო, მეტიც, დღე-დღეზე ბანკროტად უნდა გამოეცხადებინათ. ქარხანას სხვადასხვა კრედიტორის უზარმაზარი ვალი დაუგროვდა — თანხამ ჯამში 180 მილიონ დოლარს მიაღწია. იტალიელმა საინვესტიციო ფირმა „არეს-ინტერნეიშენელმა“ იკისრა 15 წლის განმავლობაში ვალის გადახდა, ქარხნის ამუშავება, მისი მოდერნიზაცია და 130 მილიონი დოლარის დაბანდება ქარხანაში. მომზადდა ქარხნის სარეაბილიტაციო პროგრამა და 2003 წლის 11 ნოემბრიდან მილსაგლინავი საამქრო ავამუშავეთ. უცხოეთში წინასწარ შევიძინეთ 16 ათასი ტონა მილნამზადი, გავარემონტეთ დაზგა-დანადგარები და დავიწყეთ მილების წარმოება. სულ ამ პერიოდში 8,4 მილიონი დოლარის ინვესტიცია განვახორციელეთ ქარხანაში. დავიწყეთ ხელფასებისა და პენსიების გაცემა, შევიტანეთ ბიუჯეტში 2 მილიონი ლარი. დავიწყეთ საქართველოსგან მოხმარებული ბუნებრივი აირის ერთი მილიონი დოლარის ოდენობით დავალიანების გადახდა თურქმენეთისთვის. დავასაქმეთ 2 ათას კაცამდე მუშახელი. ერთი სიტყვით, ქარხანა მწყობრში ჩადგა, მაგრამ გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებმაც პირადი ინტერესების გამო ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს. პრესით და ტელევიზიით ბინძური კამპანია გაჩაღდა. თანამდებობა დაატოვებინეს რეაბილიტაციის მმართველს — გამოცდილ ქართველ მეტალურგს და მის ნაცვლად მეტალურგიაში სრულიად გამოუცდელი პირი დანიშნეს. ამით უხეშად დაარღვიეს საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. კერძოდ, ამ კანონით რეაბილიტაციის მმართველს კავშირი არ უნდა ჰქონდეს ქარხნის კრედიტორებსა და მევალეებთან. ბატონ ბენო ქაშაკაშვილს კი პირდაპირი კავშირი აქვს ქარხნის მევალეებთან, მამამისი, ბატონი გურამ ქაშაკაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქარხანას. მის დროს დაედო ქარხანას „გაზპრომის“ ვალი. იმავდროულად ბატონი გურამი ქარხნის კრედიტორიცაა. ასე რომ, მისი ვაჟის დანიშვნა კანონით არ შეიძლებოდა. როდესაც მავანნი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, ბატონმა გურამ ქაშაკაშვილმა უარი თქვა თავის ვალზე, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს. რეაბილიტაციის მმართველის უკან ის ძლიერი პოლიტიკური პირები და ბიზნესმენები დგანან, რომლებიც ცდილობენ უარი გვათქმევინონ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აღორძინებაზე. გაიძახიან, ქარხანა სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდესო. ეს ხომ იდიოტიზმია, სახელმწიფოს არ გააჩნია სახსრები ქარხნის სარეაბილიტაციოდ, ხოლო ქარხანას თუ სხვას მისცემენ, მაშინ რა აზრი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ვინ შეავსებს მის სალაროს? ყოველივე ამის უკან მავანთა პირადი ინტერესები იმალება. მათ ერთი რამ სურთ, — აქედან ჩვენი გაყრა და ქარხნის გაჩერება, რათა შემდეგ ჯართად დაჭრან და ქარხნის ადგილზე სიმინდი დათესონ. ეს ხალხი არ იცნობს მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარს, არა აქვთ გამოცდილება, პროდუქციის გასაღების არხებიც კი არ იციან.

— **დაგვისახელეთ ის პირები, თუნდაც პოლიტიკური ფიგურები, რომლებსაც ხელს არ აძლევს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამუშავება.**

— ეს ის ხალხია, რომლებიც ამჟამად პასუხს აგებენ საქართველოს ეკონომიკაზე. მე სხვა სახელმწიფოში ვარ და კონკრეტული პირების დასახელებას ჯერჯერობით მოვერიდები. ისინი ხომ დაინტერესებული უნდა იყვნენ კომბინატის მუშაობით? გვედავებიან, უკანონოდ გაყიდეთ სამი ათასი ტონა ჯართიო. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სამი ათასი ტონა ჯართი გავყიდეთ და ისიც საქართველოს კანონის სრული დაცვით და ფული არ ჩაგვიჯიბავს, ქარხანას მოვახმარეთ. თანხა ქარხნის ბალანსშიც არის დაფიქსირებული. მუშაობაში ხელს გვიშლის ქართული მხარის მიერ დანიშნული ქარხნის გენერალური დირექტორი ნოდარ ღვამბერიაც. თავიდან ტაშისცემით შეგვხვდა, მაგრამ როდესაც ახლოს გავიცანით, მასთან საქმიანი ურთიერთობისგან თავი შორს დავიჭირეთ. იკითხეთ, მაშინ, როდესაც ქარხანა გაჩერებული იყო, როგორ მოახერხა ქარხნის გენერალურმა დირექტორმა სამსართულიანი სახლის აშენება? რა შემოსავლით? მე გეტყვით — დაჭრილი დანადგარებით, რომლებიც ჯართად გაყიდა.

— **რით დაამტკიცებთ ამას?**

— მე ხელთ მაქვს ხელშეკრულება, რომელიც გასული წლის 10 თებერვლითაა დათარიღებული. ხელშეკრულებაში ლაპარაკია კომბინატის კოქსოქიმიისა და ელექტროფოლადსადნობი საამქროების დაზიანებული 2000-მეტრიანი ლითონის ღობის აღდგენაზე. ღვამბერიამ ღობის აღდგენა ხელშეკრულებით დაავალა მოქალაქე თენგიზ ძინძიბაძეს. მან ეს სამუშაო შეასრულა, ანუ ფოლადის ღობე შეცვალა ბეტონის ფილებით. ძინძიბაძეს ანაზღაურების სახით დაზიანებული ღობის ლითონის ფურცელი მისცეს, სულ 500 ტონა. ძინძიბაძეს ადგილზე რომ გაეყიდა ხუთასივე ტონა ლითონი, ვთქვათ, ერთი ტონა 250 ლარად, 125 ათას ლარს მოიგებდა. შესრულებული სამუშაო კი, ანუ ღობის აღდგენა ბეტონის ფილებით 60 ათას ლარზე მეტი არ დამჯდარა. საკითხავია, რატომ აჩუქა ღვამბერიამ ძინძიბაძეს დარჩენილი 65 ათასი ლარი? იქნებ არ აჩუქა და თავისთვის დაიტოვა? ასეთი უამრავი ფაქტის მოყვანა შემიძლია ქარხნის ხელმძღვანელობაზე.

ალექსანდრ სერიოგინის ხელშეწყობით იტალიური საინვესტიციო ფირმის „არეს-ინთერნეიშენელის“ მიერ მოწვეულ, იტალიაში ცნობილი სამრეწველო ჯგუფის „მეტალგრუპის“ ხელმძღვანელს, **ჯან-კარლო ონჯისაც** ვესაუბრეთ. ჩვენი შეხვედრა თარჯიმნის თანდასწრებით შედგა.

— **გამარჯობათ, ბატონო ჯან-კარლო, თქვენი ინფორმაციით, ვის არ აძლევს ხელს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამუშავება?**

— სამწუხაროდ, ასეთი პირები მართლაც არსებობენ. ხელისუფლების რამდენიმე დიდჩინოსანზე მაქვს ეჭვი, მაგრამ შეიძლება ვცდებოდე. ამიტომ თავს შევიკავებ. თუმცა რამდენიმე დღის წინ დახურულ კარს მიღმა გამართულ სხდომაზე ბევრ რამეს აეხადა ფარდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის გამო რუსეთს სამაგიერო არ მოუთხოვია

*„ასლან აბაშიძე გაიქცა, აჭარა თავისუფალია!“ — გვახარა პრეზიდენტმა გიორგობის ღამეს. „გვეღირსა!“ — აღმოხდათ აჭარლებს... ასე დასრულდა „აჭარის ლომის“ პოლიტიკური შულერობა საქართველოში და ამით იწყება მისი ნოსტალგიით (ალბათ, ასე იქნება!) აღსავსე ოდისეა რუსეთსა და შემდგომ ავსტრიაში. აბაშიძემ მოახერხა ისტორიაში „გამორჩეული“ ადგილის დამკვიდრება — ოდესღაც ხიდების აშენებით თავმომწონე ფეოდალი მატიანეში „ხიდების ამფეთქებლის“ სახელით შევა. წესით, მემედ აბაშიძის შთამომავალს საქართველოსთვის რაიმე უკეთესი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ხომ გახსოვთ ანდაზა — „ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო...“*

*ასლან აბაშიძის უსისხლოდ მოცილების შემდეგ, პრეზიდენტმა გულმოწყალების მაგალითი გვიჩვენა, როდესაც მისი ყველა ქვეშევრდომი შეიწყალა, მაგრამ რას უზამს სააკაშვილი აბაშიძის მიერ მსხვერპლივით მიგდებულ გენერალ დუმბაძეს? არ გაუჩნდება პრეზიდენტს ეჭვი — რატომ დამიტოვა აბაშიძემ მისთვის თავგადაკლული გენერალიო? იქნებ დუმბაძე აბაშიძის მორიგი ნაღმია, რომელზეც პრეზიდენტის კაცთმოყვარე იმიჯი უნდა „აფეთქდეს“... პრეზიდენტმა უნდა აირჩიოს, რა ჯობს — სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად ურჩი გენერლის სამაგალითო დასჯა თუ რუსთველისეული შეგონების გახსენება — „მოსამართლე და მოწყალე“ ქვეყნის მმართველივით მოქცევა. აჭარის ვარდობისთვის რევოლუციის შეფასება და მოსალოდნელი პროცესების შესახებ კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარეს,* ***ნინო ბურჯანაძეს*** *ვთხოვეთ:*

— დიდი განსაცდელის წინაშე ვიდექით, მოვლენების ტრაგიკულად განვითარების რეალური საშიშროება იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მშვიდად არ ვყოფილვარ. თავის დროზე, აჭარაში დიდძალი იარაღი დარიგდა და შენახულიც ბევრი ჰქონდა ასლან აბაშიძეს. ერთ პროვოკაციულ გასროლას შესაძლოა უმართავი პროცესები მოჰყოლოდა — ეს კი კატასტროფა იქნებოდა არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ღვთის წყალობით, ყველაფერი მშვიდობიანად და უსისხლოდ დასრულდა.

იმ ღამით, როდესაც ასლან აბაშიძე საქართველოდან წავიდა, განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო. არაერთი საგანგაშო ინფორმაცია გვქონდა იმის თაობაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ ასლან აბაშიძე და მისი გარემოცვა. ყოველ 1 საათში ისეთი ინფორმაციები მოგვდიოდა, რომლებიც დაუყოვნებელი და ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებდა. მთელი საღამო პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში ვიყავი და ვხედავდი, როგორი ძალისხმევა იყო საჭირო ვითარების განსამუხტავად. სიტუაციის მოსაგვარებლად ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში მეც ვმოქმედებდი. ძალზე მძიმე ღამე იყო, საოცრად დაძაბულები ვიყავით მანამ, სანამ გავიგებდით — ასლან აბაშიძე გაფრინდაო.

იმ ღამესვე რამდენიმე მნიშვნელოვანი სატელეფონო საუბარი მქონდა. მათ შორის იგორ ივანოვთანაც და მას განვუმარტე — დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემა სწრაფად გადაიჭრას, დროის გაჭიანურება უფრო დაძაბავს სიტუაციას-მეთქი.

ბოლო სამი დღის განმავლობაში ტელეფონით რამდენჯერმე ვესაუბრე თვითონ ასლან აბაშიძეს. ხშირად ვესაუბრებოდი გიორგი აბაშიძესაც. პირველივე საუბრისას ვუთხარი ასლან აბაშიძეს — ჯობს, გადადგეთ-მეთქი. მას რომ ჩემი რჩევა ყურად ეღო და ობიექტური რეალობა გაეთვალისწინებინა, ბევრად უკეთესი იქნებოდა მისთვის, უფრო დააფასებდნენ მის გადაწყვეტილებას.

**— როგორი იყო ასლან აბაშიძის რეაქცია, როდესაც გადადგომა შესთავაზეთ?**

— კატეგორიულად უარყო. ვფიქრობ, მას არ ჰქონდა ობიექტური ინფორმაცია, არ იცოდა, რეალურად რა ხდებოდა... თუმც გიორგი აბაშიძე თავიდანვე კონსტრუქციულად იყო განწყობილი. ვფიქრობ, ასლან აბაშიძის გადადგომის გადაწყვეტილებაზე სწორედ მისმა ვაჟმა მოახდინა გავლენა. ამასთან, აბაშიძე იმაშიც დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო.

ხიდების აფეთქების შემდეგ ვესაუბრე გიორგის — ნორმალურია, როდესაც რეგიონის ხელმძღვანელი ასე იქცევა-მეთქი? თვითონაც შეშფოთებული იყო, არ ვიცოდი, მამა ამას რომ აპირებდა, თორემ უთუოდ გადავაფიქრებინებდიო. ასლან აბაშიძეს კი ვუთხარი, რისი ღირსია ის, ვინც ხიდების აფეთქება გირჩიათ-მეთქი. როდესაც ივანოვი აჭარაში ჩამოფრინდა, ჩვენ ბათუმში, ქობულეთსა და ჩოლოქთან აბსოლუტურად ვაკონტროლებდით სიტუაციას. აბაშიძის ნებისმიერი გაბრძოლება უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის იყო, შეტაკების პრეცედენტი არ დაგვეშვა.

**— კულუარებში აინტერესებთ, — ნეტავ რა უთხრა ივანოვმა ასლან აბაშიძეს ისეთი, რომ აჭარიდან წასვლაზე დაიყოლიაო.**

— არ ვიცი მათი საუბრის დეტალები, მაგრამ ვფიქრობ, ბატონმა ივანოვმა რეალური სურათი დაუხატა ასლან აბაშიძეს და დაუდასტურა პრეზიდენტ პუტინის პოზიციაც, რომ რუსეთი ამ საქმეში არ ჩაერეოდა, არ დაეხმარებოდა მას. ამიტომ აბაშიძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა და წავიდა.

**— ასლან აბაშიძეს ოფიციალურად არ განუცხადებია გადადგომის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ამით მან კოზირი და მიდავების საფუძველი დაიტოვა.**

— არა მგონია, გამიზნულად მოქცეულიყო ასე. სხვათა შორის, გადადგომაზე არც შევარდნაძეს გაუკეთებია განცხადება.

**— მაგრამ მან ის მაინც თქვა — სახლში მივდივარო.**

— კი, მაგრამ არა მგონია, ასლან აბაშიძე ახლა მაინც ვერ აღიქვამდეს რეალობას. არა



ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს

ასლან აბაშიძეს ვუთხარი, რისი ღირსია ის, ვინც ხიდების აფეთქება გირჩიათ-მეთქი. როდესაც ივანოვი აჭარაში ჩამოფრინდა, ჩვენ ბათუმში, ქობულეთსა და ჩოლოქთან აბსოლუტურად ვაკონტროლებდით სიტუაციას. აბაშიძის ნებისმიერი გაბრძოლება უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის იყო, შეტაკების პრეცედენტი არ დაგვეშვა.

მგონია, მან რაიმე მოქმედებები დაიწყოს — ეს უდიდესი შეცდომა იქნება და უშედეგოდ დასრულდება. ვფიქრობ, იმდენად რთული ვითარება იყო, რომ განცხადებების გაკეთებაზე ბატონმა ასლანმა დრო აღარ დაკარგა — ალბათ, ამ მიზეზით ვერ მოვისმინეთ მისგან — გადავდექიო.

როგორც პოლიტიკური ფიგურა, ასლან აბაშიძე საქართველოში ვერასოდეს დაბრუნდება. ის, რაც აჭარაში მოხდა, არ ყოფილა ხელოვნურად პროვოცირებული. თუმც ასლან აბაშიძე ფიქრობდა — ყველაფერი განგებ ამიგორესო. მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით შესაბამისი ქმედებები განახორციელა, მაგრამ ხალხიც მზად იყო საამისოდ. მოსახლეობის უკმაყოფილებამ, იმათმა საპროტესტო განწყობამ მოამწიფა ვითარება. ჩვენ აჭარაში პრობლემები ხელოვნურად კი არ შეგვიქმნია, უბრალოდ, არსებული პრობლემების შესახებ და მათი გადაწყვეტის გზებზე ავლაპარაკდით.

ფორმალურად კარგი იქნებოდა, რომ მას განცხადება გაეკეთებინა, მაგრამ ვფიქრობ, ამას დღეს აღარ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

**— ვინ იყო აჭარის მოვლენების მთავარი გმირი?**

— ხალხი. ხალხის მხარდაჭერის გარეშე წარმატებას ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ მოიპოვებს. ხალხის შემდეგ კი ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი საქართველოს პრეზიდენტმა შეასრულა. 5 მაისის ღამეს, როდესაც მის სამუშაო ოთახში ვიყავი და განვიხილავდით არსებულ მდგომარეობას, გამაოცა მისმა ენერგიამ და გამბედაობამ. ის არეგულირებდა ამ პროცესებს. რომ არა სააკაშვილის ეს თვისებები, გამარჯვებას ასე იოლად ვერ მოვიპოვებდით.

**— დღესდღეობით აჭარაში რამდენიმე მეტ-ნაკლები გავლენის მქონე ფიგურაა. ხელისუფლებაში წამყვანი პოზიციის დაკავების სურვილი ხომ არ გამოიწვევს განხეთქილებას სურმანიძეს, ინაიშვილს, ასანიძეს, დიასამიძეს, ხაბაზსა და ვაშალომიძეს შორის? თანაც უკვე საჯაროდ მსჯელობენ აჭარის ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვლენ თუ „დემოკრატებიო“.**

— დღეს არ გვაქვს იმის დრო, რომ ვინმეს ამბიციებს გადავაყოლოთ გამარჯვება. აჭარაში არჩევნები ჩატარდება და გამოჩნდება, რომელ ლიდერს ჰყავს მეტი მხარდამჭერი. ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი პირები საკმაოდ გონიერები არიან. ისინი ალბათ მოილაპარაკებენ და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც აჭარისთვისაც სასარგებლო იქნება და მთლიანად საქართველოსთვისაც. ის, ვინც საკუთარი ამბიციის წინ წამოწევას შეეცდება, უთუოდ დაკარგავს მხარდაჭერას. რაც შეეხება ნათქვამს — „ნაციონალები“ მეტნი იქნებიან აჭარის ხელისუფლებაში თუ „დემოკრატებიო“ — ნელ-ნელა ამ პარტიებს შორის ზღვარი იშლება. გავიხსენოთ ჩოლოქზე პრემიერ-მინისტრის გადასვლა და ისიც, თუ როგორ მიჰყვებოდნენ მას „ნაციონალებიც“ და „დემოკრატებიც“. შესაძლოა ტაქტიკაში იყოს სხვაობა ამ ორ ძალას შორის, მაგრამ ჩვენ უკვე დავანახვეთ საზოგადოებას, — როდესაც საქართველოს უჭირს, სამი ლიდერი ერთად ვართ და ხალხიც, რომელიც ჩვენ ირგვლივ არის, ერთ მუშტად იკვრება. ჩვენ ვდაობთ და ვკამათობთ კიდეც, ერთმანეთს ზოგჯერ არ ვეთანხმებით, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებისას ვერთიანდებით და სწორედ ჩვენი განსხვავებულობის წყალობით, ვიღებთ სწორ გადაწყვეტილებას. ამიტომაც ამ საკითხშიც გადაწყვეტილებას პარტიული ინტერესებიდან კი არა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ.

**— რამდენადაც ვიცით, აჭარაში თავის დროზე დიდძალი რუსული კაპიტალი ჩაიდო. ინვესტორების უმეტესობა ასლან აბაშიძის მეგობარია. რა ბედი ელით მათ.**

— ყველაფერი ძველებურად დარჩება, ისინი ჩვეულებრივ გააგრძელებენ მუშაობას და ვეცდებით, კიდევ მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ აჭარაში. დღემდე ბევრ ინვესტორს სწორედ აჭარაში არსებული რეჟიმი და არადემოკრატიული გარემო აბრკოლებდა. ჩოლოქის არსებობაც ბევრ ინვესტორს უკან ახევინებდა. ყველანაირად ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს და შევეცდებით არა მარტო აჭარაში, საქართველოს ნებისმიერ კუთხეშიც მეტი ინვესტიცია განხორციელდეს.

ფინანსური ინტერესები მხოლოდ მეგობრობას არ ეფუძნება, ამიტომაც ასლან აბაშიძის მეგობრები რომ დაინახავენ — ჩვენი პროექტები წარმატებულიაო, უთუოდ გააგრძელებენ ინვესტირებას. ყოველივეს მიუხედავად, ჩვენ არ ვემხრობით საქართველოში შავი ფულის გათეთრებას. თუ ასეთი ეჭვი გაჩნდება, ცხადია, შესაბამისი ორგანოები უთუოდ დაინტერესდებიან ამ ფაქტებით. კეთილსინდისიერ ინვესტორებს კი შეეძლებათ საქმიანობა მშვიდად გააგრძელონ.

**— რაკი უკვე გაისმის ლაპარაკი აჭარის ავტონომიის სტატუსის შეცვლაზე, ხომ არ იქნება უპრიანი ამის რეალური განხორციელება — ამით თავიდან ავიცილებდით აბაშიძის კლანის სხვებით ჩანაცვლებასაც.**

— დღეს ავტონომიის გაუქმებაზე ლაპარაკი დიდი შეცდომაა. მოვლენების ელვისებურად განვითარებამ, როგორც ჩანს, ზოგიერთს ვერ დაანახვა, რა ავიცილეთ თავიდან. როდესაც კობა დავითაშვილმა პარლამენტში ასე იოლად დასვა ეს საკითხი, გამახსენდა 5 მაისის საშინლად ემოციური ღამე, როგორი განცდები გვქონდა მე, პრეზიდენტს, ჩვენ ირგვლივმყოფთ, ჩემს 10 წლის შვილს, რომელიც გამუდმებით მირეკავდა — დედა, ომი ხომ არ იქნებაო. რატომ გვავიწყდება, რამხელა საშიშროების წინაშე ვიდექით — შესაძლოა ბათუმის ქუჩებში (და არა მხოლოდ იქ) დღეს ომი ყოფილიყო. დიდ პატივს ვცემ და კეთილგანწყობილი ვარ კობა დავითაშვილის მიმართ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამად ავტონომიის გაუქმება მართებული იქნება. როდესაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა მოსაგვარებელია, აჭარის ავტონომიის სტატუსის ხელყოფა არცთუ გონივრული ნაბიჯი იქნება. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ოდესმე შესაძლოა მართლაც ვკითხოთ აჭარის მოსახლეობას, უნდათ თუ არა ავტონომია (ან თავად გვითხრან ეს), მაგრამ ამის გაკეთება დღეს და ხვალ არ შეიძლება.

ქვეყნის ხელისუფლება არ დაობს, რომ ავტონომიის სტატუსი ძველ ებურად უნდა დარჩეს, მაგრამ სავსებით სწორია თქვენი შენიშვნაც — აჭარის კანონმდებლობა და სტრუქტურები აჭარისა და სრულიად საქართველოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა თანამდებობაზე მოსული რომელიმე კონკრეტული პირისა და მისი ნათესავების ინტერესებს. ამიტომ უპირველესად კანონმდებლობაშია სამართლებრივი და კონსტიტუციური გარანტიები გასათვალისწინებელი. და ერთიც, არა მგონია, ვინმემ სააკაშვილს ის გაუბედოს, რასაც შევარდნაძეს უბედავდნენ. ის, რაც 10 წლის მანძილზე ვერ გააკეთა შევარდნაძემ, 4 თვეში მოაგვარა სააკაშვილმა. ეს რეალობაა.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ხელისუფლებამ გენერალ დუმბაძის შეწყალების საკითხი განიხილოს თუნდაც იმიტომ, რომ დღეს მხოლოდ დუმბაძე ზის განსასჯელის სკამზე მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძის გარემოცვაში გაცილებით საშიში პირები იყვნენ.**

— ვესწრებოდი პრეზიდენტისა და ჯემალ გოგიტიძის საუბრებს. სააკაშვილმა აღუთქვა — საპრეზიდენტო სიტყვას გაძლევ — არც შენს, არც აბაშიძის და არც სხვათა მიმართ არ იქნება სისხლისსამართლებრივი და პოლიტიკური დევნა, მაგრამ ეს არ ეხება დუმბაძესა და ნეტკაჩოვსო. დუმბაძე სამხედრო პირია და მას არ ჰქონდა უფლება, დაპირისპირებოდა მთავარსარდალს. თუ გვინდა, სხვა გენერლებს ასეთი განზრახვა არ გაუჩნდეთ, სიმკაცრე გვმართებს. შესაძლოა პრეზიდენტმა მოგვიანებით სხვა გადაწყვეტილებაც მიიღოს დუმბაძესთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ გენერალი დამნაშავეა. ლაპარაკი, რომ დუმბაძე ასლან აბაშიძისგან ზეწოლას განიცდიდაო, უსარგებლო არგუმენტია — იმ გენერლის ფასი, რომელსაც აშანტაჟებენ, კაპიკია.

**— ოპოზიცია კრიტიკულად უყურებს ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას რუსების აქტიურობას. ამბობენ, ივანოვმა თუ არ მოგვიგვარა პრობლემები, ჩვენ ვერ მოვაგვარებთო?**

— ამაოდ ცდილობენ ამ გამარჯვებაში საქართველოს ხელისუფლების როლის დაკნინებას. რუსეთმა ამ პროცესებში პოზიტიური როლი შეასრულა, არადა შეეძლო ცუდად ჩარეულიყო. ამ მოვლენებში რუსეთის სამხედრო ბაზის ჩარევა უსათუოდ შეცვლიდა პროცესების კონტექსტს და არც ის დავივიწყოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2 რუსული სამხედრო ბაზაა. არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ რუსეთმა ამ პრობლემის მოგვარებაში პოზიტიური როლი შეასრულა. როდესაც რუსეთი კარგად იქცევა, ეს უნდა ვთქვათ კიდეც. როდესაც ივანოვმა აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტიებზე დასტური მისცა და სასწრაფოდ გაიყვანა აჭარიდან — ამით სერიოზული პრობლემა აგვაცილა. პრეზიდენტი სააკაშვილი ორჯერ ესაუბრა პრეზიდენტ პუტინს და კმაყოფილი იყო ამ დიალოგით. არასოდეს შემშინებია რუსების გაკრიტიკება და არც იმის აღნიშვნა შემეშინდება, როდესაც ის პოზიტიურად იმოქმედებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ეს ჟესტი ყოველგვარი პირობების გარეშე გააკეთა. ამ კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის გამო მას სამაგიერო არ მოუთხოვია და ამის დაუნახაობა არ ივარგებს.

**— ოპოზიციის აზრით, ხელისუფლება დასავლეთში დაწერილი სცენარების მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებელია და ეს არის მისი წარმატების საიდუმლო ნოემბერსა და მაისში.**

— თუ ვინმე ასეთ კარგ სცენარებს გვიწერს (და ჩვენ ასე კარგად ვასრულებთ), ურიგო არ იქნება, რომ ასეთივე სცენარები აფხაზეთსა და სამაჩაბლოზეც დაწერილიყო და მერწმუნეთ, მათაც ხალისით შევასრულებდით. რა სცენარები სჭირდებოდა ჩოლოქის ზღუდის არსებობას — ისეთი უჭკუოები ვიყავით, რომ ვერ ვხვდებოდით, ეს ცუდი რომ იყო? როცა ჩოლოქთან პასპორტებს გვისინჯავდნენ, ამერიკელებს უნდა ეკარნახათ, ეს ურიგო რამ არისო? ვინც ასე ფიქრობს, მათ გასაგონად ვიტყოდი, — გაცილებით უკეთესი წარმოდგენა მაქვს ჩვენს ხელისუფლებასა და ხალხზე. კარგად ვიცი, რა ნაკლიც გვაქვს, მაგრამ დადებითსაც კარგად ვხედავ. ზოგიერთებს ვურჩევდი, ობიექტურად შეაფასონ პოლიტიკური ოპონენტების ნაბიჯები და მხოლოდ და მხოლოდ ხინჯსა და ნაკლს ნუ გვიძებნიან. ეს თავად მათთვის იქნება უკეთესი. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ აჭარაში ასე მშვიდობიანად განვითარდა მოვლენები. ვფიქრობ, მომხდარმა სერიოზული გავლენა უნდა იქონიოს საქართველოს მომავალზე. ერში უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა, რადგან ხალხი ხედავს ხელისუფლებაში მოსულ ისეთ პირებს, რომელთაც მძიმე პრობლემების მოგვარება შეუძლიათ. ისინი ხედავენ, რომ ჰყავთ ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია საკუთარი ძალაუფლებაც კი სასწორზე დადოს, თუკი ქვეყნის მომავალს არგებს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა (და ჩვენც) სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა საკუთარი ხელისუფლება. მან არჩევანი გააკეთა მკვეთრ, რისკიან გადაწყვეტილებასა და უნიათო ყოყმანს შორის. თუკი 10 წელი მიუტევებდნენ შევარდნაძეს ჩოლოქის საზღვრის არსებობას, ჩვენ 3 წელს მაინც არ გვაპატიებდნენ? მაგრამ ქვეყნისთვის იქნებოდა ცუდი, ქვეყანა ვერ გაიმართებოდა წელში. ამიტომაც სააკაშვილის სიმამაცეს დიდად ვაფასებ. მან ბეწვის ხიდზე გაიარა. სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაშია საქართველო, რომ რისკი საჭიროა. ნელ-ნელა ჭაობიდან ვერ ამოვალთ, სერიოზული ძალისხმევა გვჭირდება. ხელი თუ ვერ გავანძრიეთ იმის შიშით, ვაითუ ჩავიძიროთო, უთუოდ ფსკერისკენ წავალთ.

***იზო რიკაძე***

# გამარჯვება საკუთარ თავზე!

## პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაუძლო დიდ ცდუნებას და აჭარაში სამხედრო ძალა არ გაგზავნა

რაც გასულ კვირას მოხდა საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს მხარეში, აჭარაში, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შეფასდეს — ეს იყო პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარება სამხედრო ძალის ჩაურევლად!

დღემდე, დაახლოებით ამავე სახის კონფლიქტებში გამარჯვებას ცენტრი, ანუ ოფიციალური თბილისი, ძალის გამოყენებით ცდილობდა, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნისთვის ახალ დავიდარაბად იქცეოდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძეს რუსეთის ხელისუფლების (განსაკუთრებით კი რუსეთის გენერალიტეტისა და სახელმწიფო დუმის) ზოგიერთი წარმომადგენელი აქეზებდა — შენი პოლიტიკურ-კრიმინალური გამოხდომებით გაბრაზებული სააკაშვილი, ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, შეიტყუე აჭარაშიო, საბედნიეროდ, არ მოხდა; მიუხედავად ემოციუროობისა და ახალგაზრდობისა, პრეზიდენტი სააკაშვილი არ აჰყვა ამ გამოწვევას და აჭარაში ტანკების ნაცვლად ნაცადი „ვარდების რევოლუციის“ ტექნოლოგია გამოიყენა.

2 მაისამდე მიმდინარეობდა ნერვების გამოცდა — ვინ შეცდებოდა პირველი.

პირველს — ასლან აბაშიძეს დაელია მოთმინება და 2 მაისს, შუადღისას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვარზე ხიდების აფეთქება ბრძანა.

ფაქტობრივად, მანიაკური შიშით წლობით შეპყრობილმა აბაშიძემ ვერ გაუძლო „ცივ ომს“. ხიდების აფეთქებით დაიწყო მისი რეჟიმის ელვისებური რღვევა.

ახლა შეიძლება იმის თქმა, რასაც 1-2 მაისს ვერ ვიტყოდით — გამართლებული არ იქნებოდა. „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, 1-ელი მაისის საღამოს, განიხილებოდა გეგმა, რომლის თანახმადაც, სოფელ მერიის აეროდრომზე დროებით დისლოცირებულ ჯავშანსატანკო ჯგუფს უნდა განეხორციელებინა სწრაფი რეიდი ჩოლოქის ხიდის ახლოს და უკანვე დაბრუნებულიყო. ამ გეგმის შემდგენლებს აინტერესებდათ ჩოლოქის ხიდზე გამაგრებული აბაშიძის ერთგული საბრძოლო დანაყოფებისა და თავად აბაშიძის რეაქცია. გათვალისწინებული იყო ისიც, რომ ჩოლოქზე „ასლანისტებს“ ეყენათ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების გასაშვები კომპლექსები, რომლიდანაც კუმულაციური რაკეტა ტანკს 2 კმ-დანაც ხვდება. ამიტომ ჯავშანსატანკო ჯგუფი მეტისმეტად არ უნდა მიახლოებოდა ჩოლოქის ხიდს. ეს გეგმა არ შესრულდა. ჯერ ერთი, ტექნიკური მიზეზის გამო: ერთ-ერთი ხიდის ქვეშ ტანკებს სივრცე არ ეყოფოდათ და რადიოსადგურების ანტენებს „წაიმტვრევდნენ“.

მეორე, და ალბათ მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეს დამაშინებელი რეიდი თბილისმა ბოლო წუთს აკრძალა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა აბაშიძის რეჟიმთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად ძალიან საინტერესო ტაქტიკა გამოიყენეს. ერთი მხრივ, აბაშიძეზე ხორციელდებოდა ძლიერი პოლიტიკური ზეწოლა; ამასთანავე, სააკაშვილი ბოლომდე ინახავდა მომგებიან სვლებს და თავიდანვე არ მოუთხოვია აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

პარალელურად, კულისებში მუშაობდნენ აბაშიძის რეჟიმისთვის საყრდენის შიგნიდან გამოსაცლელად: თბილისმა მისი გარემოცვიდან ათობით მნიშვნელოვანი პირი გადმოიბირა — დაჰპირდა, თანამდებობებსაც მოგცემთ და არც დაგაპატიმრებთო. და „ციხეც შიგნიდან გატყდა“.

თვალნათლივ კი ჩანდა, ყოველდღიურად როგორ იზრდებოდა და მრავლდებოდა სახალხო დემონსტრაციები აბაშიძის რეჟიმის დამხობის მოთხოვნით. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეუიარაღებელი ხალხი „ფრონტის“ წინა ხაზზე იდგა. აბაშიძე და უფრო მისი უახლოესი გარემოცვა მათ უფრო ხშირ-ხშირ დარბევაზეც არ იტყოდნენ უარს, საერთაშორისო რეზონანსისა რომ არ შეშინებოდათ.

აჭარის მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალიან ბევრს წყვეტს დიდი პოლიტიკა, ანუ რომ არ ყოფილიყო აშშ-ის დაჟინებული მოთხოვნა და რუსეთის პრეზიდენტის თანხმობა, აჭარაში დაძაბულობა თავისუფლად შეიძლებოდა გადაზრდილიყო შეიარაღებულ კონფლიქტში.

თავის დროზე ამერიკას ასევე მხურვალედ რომ დაეჭირა მხარი ჩვენთვის ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ეს ტერიტორიები დღეს უკონტროლო არ გვექნებოდა...

ცხოვრება წინ მიდის — ნახევარ წელიწადში ორი უსისხლო რევოლუცია პრეზიდენტ სააკაშვილის ავტორიტეტს განსაკუთრებულად ამაღლებს, ხალხი მისგან კვლავ ახალ გამარჯვებებს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ელოდება.

მაგრამ, რამდენად გამოდგება თბილისსა და ბათუმში იღბლიანად გამოცდილი „ვარდების რევოლუციის“ ტექნოლოგია ცხინვალსა და სოხუმში?

ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტ სააკაშვილს, სამშვიდობო პოლიტიკის გატარებასთან ერთად, მოუწევს საქართველოს სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობის გაზრდა.

# როდის ესტუმრება ახალი „დიოსკურია“ ყოფილ დიოსკურიას?

## ქართული სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში ნელ-ნელა ანგარიშგასაწევი ძალა ხდება

7 მაისს, აჭარაში, ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციის ზღვისპირა მდელოზე განცხადების გაკეთების დროს საქართველოს პრეზიდენტს ზურგს მოზრდილი სარაკეტო კატარღა „უმაგრებდა“.

საგანგებოდაა აღსანიშნავი კატარღის შეიარაღება. დღემდე ყველაზე ძლიერი შეიარაღებით ყოფილი ფლაგმანი ბორტი №302 „თბილისი“ გამოირჩეოდა — მასზე ორი, 76,2 მმ და 30 მმ კალიბრის ავტომატური ქვემეხი და



„დიოსკურია“ — სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი ფლაგმანი

უმაღლესმა მთავარსარდალმა საბერძნეთის მიერ ნაჩუქარი სარაკეტო კატარღა „დიოსკურია“ პირველად 2 მაისს ნახა საპატრულო კატარღა „ქუთაისის“ გემბანიდან, ყულევში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამეთაურო-საშტაბო წვრთნების დროს.

„კვირის პალიტრას“ ექსკლუზიური ინფორმაცია, საბერძნეთიდან სარაკეტო კატარღის ჩუქებისა და მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების შესახებ, ჯერ კიდევ 8 მარტის ნომერში ჰქონდა გამოქვეყნებული.

მაგრამ ერთია სტატიის დაწერა მარტო სურათის მიხედვით და, მეორე — უშუალოდ კატარღის დათვალიერების შემდეგ მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა.

მიუხედავად იმისა, რომ „დიოსკურია“, ყოფილი La Combatante, ჯერ კიდევ 1971 წელსაა აგებული, მოდერნიზების შედეგად, მისი სანავიგაციო სისტემები თანამედროვე დონეს შეეფარდება. ამასთან, კატარღის კაიუტები კომფორტულია და ნათლად ჩანს, რომ იგი საფრანგეთშია აგებული და არა — ყოფილ საბჭოთა კავშირში.

***ჩვენი დოსიე: ქართული სამხედრო ფლოტის ახალი ფლაგმანი „დიოსკურია“ (საბორტე №303) 47 მ სიგრძისა და 7,1 მ სიგანისაა. წყალში 2,5 მ-ით „ზის“. მისი ეკიპაჟი 40-კაციანია, აქედან 4 ოფიცერია. კატარღას 4 დიზელის ძრავა აქვს, თითოეული 3,800 ცხ.ძ-ის სიმძლავრისა, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, განავითაროს ცურვის მაქსიმალური სიჩქარე — 36,5 კვანძი (დაახლოებით 65,7 კმ/სთ).***

ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გასაშვები ორი კონტეინერი იყო დამონტაჟებული.

„დიოსკურიაზე“ კი ორი საქვემეხო დანადგარია. თითოეული — ორლულიანი „ერლიკონის“ ტიპის 35 მმ კალიბრის ავტომატური ქვემეხითაა აღჭურვილი. გემბანის ბოლოში 533 მმ კალიბრიანი ტორპედოს გასაშვები ორი აპარატი დგას (აღსანიშნავია, რომ დღემდე ტორპედოს გასაშვებაპარატიანი კატარღები შეიარაღებაში ქართულ სამხედრო ფლოტს არ ჰყოლია), მაგრამ „დიოსკურიის“ მთავარი სიამაყეა „ექსოზეტის“ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გასაშვები ოთხი კონტეინერი.

„დიოსკურია“ იმ დონის სამხედრო მცურავი საშუალებაა, რომლითაც ქართველ მეზღვაურებს არ შერცხვებათ, მონაწილეობა მიიღონ შავ ზღვაში, საჭიროების შემთხვევაში კი, ხმელთაშუა ზღვაში გამართულ საერთაშორისო საზღვაო წვრთნებსა თუ ოპერაციებში.

*P.S. „დიოსკურიით“ ქართული სამხედრო ფლოტის გამდიდრებამ აწ ყოფილი ფლაგმანი, სარაკეტო კატარღა „თბილისი“ და მისი ტექნიკური პრობლემები არ უნდა დაგვავიწყოს. ჩვენი გაზეთი, რომელმაც ამ კატარღაზე შეფობა ზუსტად სამი წლის წინ აიღო, თავის დანაპირებს ყოველკვირეულად ასრულებს, მაგრამ „თბილისს“ დედაქალაქის მერიის დახმარება სჭირდება. „დიოსკურიას“ რომ სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლება არ დაეხმარება, ცხადია, მაგრამ თბილისის ახალმა მერმა იქნებ მაინც (ძველისგან განსხვავებით) მიხედოს „თბილისს“, მით უმეტეს, რომ საჭირო ტექნიკური დახმარებების ნუსხა თბილისის მერიაში უკვე დიდი ხნის გაგზავნილია.*



# საჰაერო ავარია და არა კატასტროფა

## 6 მაისს ერთი მფრინავი „ნიანგით“ ნაკლები დაგვრჩა

სტატიის დასაწყისშივე ვიტყვით, რომ 6 მაისს ხულოს მაღალმთიან რაიონში საქართველოს საჰაერო ძალების საბრძოლო შვეულმფრენმა Ми-24-მა ავარია განიცადა და არა კატასტროფა, როგორც ეს მასმედიის ზოგიერთმა საშუალებამ გადასცა.

ამ ორ სიტყვას შორის ის განსხვავებაა, რომ ეს საავიაციო შემთხვევა, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დამთავრდა, ავიაციაში კი კატასტროფად იმ უბედურ შემთხვევებს მოიხსენიებენ, რომელთაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვება.

ძალზე სამწუხაროა, რომ ხუთწლიანი „ფინანსური ტყვეობიდან“ ძლივს დახსნილი და ასე ნალოლიავები შვეულმფრენებიდან ერთ-ერთს ვკარგავთ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ავიაციის კანონზომიერება, რომელიც ზუსტად ერთი საუკუნის განმავლობაში სისხლით იწერებოდა — რაც უფრო ინტენსიური ხდება ფრენები, მით უფრო იმატებს საავიაციო შემთხვევების ალბათობა!

გასულ წლებში, როდესაც ძალოვანი სტრუქტურების მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი შვეულმფრენები დაფრინავდა, საავიაციო შემთხვევები იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა — 1998 წლის 28 აგვისტოს გორთან აფრენისას მიწას დაენარცხა და დაიწვა შინაგანი ჯარების 27 წლის Ми-8Т ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი. ეკიპაჟი საბედნიეროდ გადარჩა. ორი წლის წინ კუმისის ტბაში სასაზღვრო ძალების Ми-2 ტიპის შვეულმფრენი ჩავარდა და სამწუხაროდ, მისი ორივე პილოტი დაიღუპა. გასულ წელს წალკის რაიონში ავარია განიცადა ამერიკელების ნაჩუქარმა UH-1H „იროკეზმა“ — ეკიპაჟი და მგზავრები გადარჩნენ.

ღმერთმა ამჯერადაც გადმოგვხედა და 6 მაისს ხულოს რაიონში, აფრენის მომენტში, დაბალი სიმაღლიდან ჩამოვარდნილ „ნიანგში“ მსხდომი, ეკიპაჟის სამი წევრიდან და ხუთი მგზავრიდან ყველა გადარჩა.

მაგრამ საფრენად აღარ ივარგებს ქართული ავიაციის მშვენება ახალგარემონტებული საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24В საბორტე ნომრით „03“.

თუ არ ვცდებით, 2 მაისს თბილისიდან ფოთის სამხედრო პორტში საქართველოს



საბრძოლო შვეულმფრენი ხულოს რაიონის სოფლის ეზოში ჩავარდა

პრეზიდენტი სწორედ ამ შვეულმფრენით ჩამოფრინდა, ორი დღით ადრე კი ამ სტატიის ავტორსაც ჰქონდა საშუალება, მასში მჯდარიყო და სურათებიც გადაეღო.

მკითხველს ალბათ აინტერესებს საჰაერო ავარიის მიზეზები, მაგრამ მისი წინასწარ თქმა, სანამ სპეციალური კომისია არ დაამთავრებს მუშაობას, არაეთიკურია.

საერთოდ, საავიაციო შემთხვევების გამომწვევ მიზეზებად, როგორც წესი, შემდეგი ფაქტორები სახელდება — ადამიანის ფაქტორი, ანუ ეკიპაჟის შეცდომა; საფრენი აპარატის ტექნიკური გაუმართაობა; რთული საფრენოსნო პირობები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.

ქართული „ნიანგის“ ავარიასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი რაიონი, ჰაერის გაუხშოება და მაღალი ტემპერატურა, რადგან შეჯავშნული და შესაბამისად მძიმე Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენის მართვა ცხელ ამინდში მთაში საკმაოდ გართულებულია.



ქართული „ნიანგი“ ავარიამდე რამდენიმე დღით ადრე

Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენები 1970-იანი წლებიდანაა მრავალი ქვეყნის შეიარაღებაში. ის ექვსი Ми-24, რომელთა შორისაც 6 მაისს ჩამოვარდნილი “03“-იც იყო, ქართულ ავიაციას 1992 წელს გადაეცა თელავის საავიაციო პოლკიდან. აქედან სამი Ми-24 აფხაზეთის ომში ჩამოგვიგდეს. შეიარაღებაში მხოლოდ ორი Ми-24-ღა რჩება.

***ჩვენი დოსიე:** 18 მ სიგრძის საბრძოლო შვეულმფრენ Ми-24-ის ეკიპაჟი 3 კაცისგან შედგება. მისი მაქსიმალური სიჩქარე 330 კმ/სთ-ს აღწევს, ხოლო კრეისერული კი 270 კმ/სთ-ს. ფრენის დინამიკური „ჭერი“ 5 კმ-მდეა. საბრძოლო მოქმედების ფრენის რადიუსია 160-290 კმ. მაქსიმალური ასაფრენი მასა 11,5 ტ-ს აღემატება. „ნიანგს“ 2,5 ტ-ს საერთო მასის რაკეტები და ბომბები შეუძლია წაიღოს. Ми-24В-ს შეიარაღებაშია — ერთი 12,7 მმ კალიბრის ოთხლულიანი სწრაფმსროლელი ტყვიამფრქვევი. აგრეთვე უმართავი რაკეტების გასაშვები უნივერსალური ბლოკები ან მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიური რაკეტები. შვეულმფრენს ორი, თითოეული 2,200 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოხრახნიანი ძრავა უყენია.*

ხულოს მაღალმთიან რაიონში უკვე გაგზავნილია სატვირთო ავტომობილები ჩამოვარდნილი „ნიანგის“ ნაწილების ჩამოსატანად. შვეულმფრენი საფრენად ეტყობა აღარ ივარგებს, მაგრამ მისი გადარჩენილი დეტალები გამოდგება დანარჩენი „ნიანგებისთვის“.

თუკი საქართველოს მთავრობა მოინდომებს, „ნიანგების“ შეძენა მეგობრულ უკრაინაში არცთუ ისე ძნელია.

# აბაშიძის არსენალს ძალოვნები ინაწილებენ

## რატომ ასაიდუმლოებენ „250-ათასდოლარიან“ „სუპერიარაღის“ სახეობას?

261 ავტომატი, 200 ხელყუმბარა, ათობით ყუმბარსატყორცნი, ათიათასობით ვაზნა... ეს აჭარაში ამოღებული იარაღის სიაა, ოღონდ არასრული, რადგან ეს პროცესი გრძელდება.

მაგალითად, 7 მაისს, ქობულეთიდან ექვსი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Стрела-2М ამოიღეს, ხოლო ხულოში — გაფუჭებული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 ნახეს.

მძიმე საბრძოლო ტექნიკიდან ამოღებულია ორი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-60ПБ, მათგან ერთ-ერთზე, კოშკურას ნაცვლად, დაყენებული იყო დღეისათვის საკმაოდ იშვიათი — გორიუნოვის დაზგის ტყვიამფრქვევი СГ-43.



ეს საზენიტო დანადგარი ბათუმის ცენტრში კინოთეატრის სახურავზე ეყენა

აგრეთვე ნაპოვნია ოთხი შეჯავშნული სადაზვერვო მანქანა БРДМ-2 და ცხრა ავტომატური საზენიტო ქვემეხი ЗУ-23-2. ერთ-ერთი ამგვარი საზენიტო დანადგარი ბათუმის ცენტრში, კინოთეატრ „თბილისიდან“ ამწეთი ჩამოხსნეს — ამით, აბაშიძე, ეტყობა, სააკაშვილის საჰაერო დესანტის მოგერიებას აპირებდა.

თუმცა, აბაშიძის ოთხ ტანკს — Т-72-ს, რომელზეც ადრე თავად პრეზიდენტი ლაპარაკობდა, ჯერ ვერ მიაკვლიეს.

6 მაისს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალებმა ერთი საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24 ავარიის შედეგად დაკარგა, მაგრამ იმავე დღეს, შსს შინაგანი ჯარების ცალკეულ ავიაესკადრილიას ერთბაშად 11 შვეულმფრენი შეემატა. ბათუმის აეროპორტში მდგარი შვეულმფრენები თავის დროზე აბაშიძემ რუსეთში შეიძინა. ამ Ми-8Т ტიპის შვეულმფრენებიდან ხუთი მწყობრში გახლდათ და ისინი შინაგანმა ჯარმა მაშინვე თბილისში „გამოამგზავრა“.

აბაშიძის არსენალის სიამაყე, სწრაფმავალი კატარღები — „შავი ზვიგენი“ და „ტორნადო“, ასევე ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში გადავიდა. რატომღაც, საიდუმლოდ შეინახეს იმ სპეციარაღის ტიპი და კლასი, რომელსაც უშიშროების სამინისტრომ ამოღებისთანავე ხელი დააფარა.

თუმცა, მაინც ცნობილი გახდა, რომ ლაპარაკია, სავარაუდოდ, 8 ერთეულ მაყუჩიან და ანტისნაიპერულ იარაღზე.

ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ეს სპეციარაღი ასეთ საიდუმლოებას წარმოადგენდეს, თითოეული მათგანი 250 ათასი დოლარი ღირდეს და მისი მსგავსი საქართველოში არ მოიპოვებოდეს.

თავდაცვის სამინისტროს მიერ ექვსი წლის წინათ ნაყიდ ოთხ 12,7-კალიბრიან ანტისნაიპერულ შაშხანა „ფალკონზე“ არაერთხელ დაგვიწერია. იგი მართლაც კარგი იარაღია, მაგრამ დაახლოებით 12 ათასი ღირს.

„ფალკონის“ ანალოგიური კლასის ანტისნაიპერული, ანუ შორსმსროლელი (2 კმ-მდე) იარაღებიდან ყველაზე ძვირი შეიძლება ამერიკული M82A2 „ბარეტი“ ან ავსტრიული 15,2 მმ კალიბრიანი IWS2000 „შტეირი“ იყოს.

რუსული წარმოების ანალოგიური მსხვილკალიბრიანი ანტისნაიპერული შაშხანები — СВН-12,7 და ОСВ-96 ბევრად იაფია და არც მაინცდამაინც სასწაულებრივი იარაღია, რომ ასლან აბაშიძის არსენალში მათი ნახვა ნამდვილ პროფესიონალებს გაკვირვებოდათ.

მაყუჩიან სპეციარაღში, ჩვენი მონაცემებით, შეიძლება იგულისხმებოდეს რუსული წარმოების 9 მმ კალიბრიანი ავტომატური სნაიპერული შაშხანები ВСК-94 და ВСС „ვინტორეზი“ ან სპეციალური ავტომატი АС „ვალი“.

ყველა ეს იარაღი დიდი ხანია გამოიყენება სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტში და ასევე შედარებით თავისუფლად ყიდულობენ ოფიციალური სპეცსამსახურების სტრუქტურები.

ამიტომაც იმის გასაიდუმლოება, თუ რა სპეციარაღი იქნა ამოღებული აბაშიძის მომხრეთა არსენალიდან, არა გვგონია, გამართლებული იყოს.

# „ხიდები მე არ ამიფეთქებია,“ — აცხადებს გენერალი ნეტკაჩოვი

## აბაშიძემ თავს უშველა, მოღალატეებად კი მისი ერთგული სამხედროები ცხადდებიან — ერთი სატელეფონო ზარი გენერალ დუმბაძეს მოღალატის ბრალდებას ააცილებდა

ასლან აბაშიძის მოსკოვში გაფრენამ აჭარა სისხლის ღვრას გადაარჩინა. თუმცა, საკუთარი ინიციატივით იარაღის გამოყენება შეეძლოთ აბაშიძესთან დაახლოებულ, გავლენიან, უკვე მოღალატეებად შერაცხულ პირებსაც, რომლებმაც იცოდნენ, რომ ციხე არ ასცდებოდათ.

მათ შორის, უპირველესად, თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილ მეთაურს, რომან დუმბაძესა და შსს შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეული ბატალიონის ყოფილ მეთაურს პოლკოვნიკ მურად ცინცაძეს ვგულისხმობთ.

დღეს ორივე წინასწარი დაკავების იზოლატორშია და ალბათ სამშობლოს ღალატის მუხლით გაასამართლებენ, თანაც საჩვენებლად, რათა სხვა მაღალჩინოსანი სამხედროებისთვის ეს გაფრთხილებად იქცეს.

არადა გენერალ დუმბაძეს თამამად შეეძლო, თავიდან აეცილებინა ეს ბრალდება.

„კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა ექსკლუზიური ინფორმაცია, რომ ვიდრე პროკურატურა ძებნას გამოაცხადებდა და საქართველოს ქალაქების ქუჩებში ბოძებზე მის ფოტოებს გამოაკრავდნენ წარწერით — „იძებნება“, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გენერალ დუმბაძესთან ლაპარაკი და სიტუაციის გარკვევა ისურვა.

შუაღამისას გენერალ დუმბაძეს შეატყობინეს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც პრეზიდენტი მისგან ზარს ელოდებოდა. გავიდა ერთი, ორი საათი, მაგრამ გენერალი დუმბაძე ვერ ან, უფრო სწორად, არ დაუკავშირდა ქვეყნის მთავარსარდალს. ოფიციალური თბილისის შემდგომი ნაბიჯი უკვე ცნობილია.

სხვათა შორის, უკვე დაკავებულ გენერალ დუმბაძეს ბოლო დღეებში კიდევ ერთი საქმე დაუკავშირდა — დაკავებული იქნა და შემდეგ სასამართლომ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით დროებით გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად კეკელიძე. ამ ელიტარული სამხედრო შენაერთის მეთაური 5 მაისს თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ, დააკავეს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისა და სახელმწიფო ღალატის ბრალდებით. როგორც გამოძიება ირწმუნება, აჭარის მკვიდრი ვიცე-პოლკოვნიკი კეკელიძე საიდუმლო ინფორმაციებს გადასცემდა უკვე განდგომილ 25-ე ბრიგადის მეთაურ გენერალ დუმბაძეს.

დუმბაძის გაგება ალბათ შეიძლება, რადგან იგი ორ ცეცხლშუა იყო მომწყვდეული და აბაშიძე, განდგომის შემთხვევაში, მას არა მარტო მოღალატედ გამოაცხადებდა, არამედ შეიძლება მისი ფიზიკური განადგურებაც ებრძანებინა.

14 მარტს, როდესაც პრეზიდენტის საავტომობილო ესკორტი არ შეუშვეს ჩოლოქზე, ეს გენერალ დუმბაძეს უსამართლოდ დაჰბრალდა, რეალურად, ტელევიზიით ხშირად ნაჩვენები, ბლოკებს უკან ჩაცუცქული, ავტომატიანი და ჯავშანჟილეტიანი ჯარისკაცები გენერალ დუმბაძისა კი არა, შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეული ბატალიონიდან იყვნენ და პოლკოვნიკ მურად ცინცაძეს ექვემდებარებოდნენ.

ცნობილია, რომ პოლკოვნიკი ცინცაძე და მისი ვაჟები ასლან აბაშიძის ყველაზე ერთგული ადამიანები იყვნენ.

აჭარის მოვლენებს რუსეთიდან თავად გენერალ-ლეიტენანტი ნეტკაჩოვიც გამოეხმაურა. მან ერთ-ერთი რუსული საინფორმაციო საშუალებით, პირდაპირი ეთერით განაცხადა, — აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში აჭარაში არ ვყოფილვარ და საქართველოს უშიშროების სამინისტრო ტყუილად მაბრალებს, თითქოს იმ ხანებში მოსკოვიდან ბათუმში სარეისო თვითმფრინავით ჩავფრინდიო.

გენერალ-ლეიტენანტი ნეტკაჩოვი გასული საუკუნის 90-იან წლებში ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდლის მოადგილე გახლდათ. სწორედ მაშინ, ასლან აბაშიძემ მას სწრაფი რეაგირების ბატალიონის შექმნა და გაწვრთნა სთხოვა. რუსმა გენერალმა განაცხადა, რომ მან მიიღო აბაშიძის წინადადება, გადადგა სამხედრო სამსახურიდან და აბაშიძის რეჟიმს 1999-2004 წლებში ზემოხსენებულ ბატალიონს უწვრთნიდა. მისივე თქმით, მან აჭარა 2004 წლის იანვრის დასაწყისში დატოვა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# უკრაინაში „გაგიჟებული“ რაკეტები დაფრინავენ

ასეთი არნახული სარაკეტო დარტყმები II მსოფლიო ომში ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაციის დროსაც არ განხორციელებულა — ქ. მელიტოპოლის ახლოს, ყოველ 5-10 წამში ერთი აფეთქება ხდება, ფეთქდება უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების საარტილერიო შეიარაღების 275-ე ბაზაში დაცული თითქმის ყველა კალიბრის საარტილერიო ჭურვი და რაკეტა. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია.

აფეთქების ეპიცენტრში, 8 მაისს, ცეცხლის ალი 300 მ-ის სიმაღლეზე აიჭრა და ახლოს არ უშვებდა მეხანძრეებს. საქმეს ისიც ართულებს, რომ ცეცხლი მოედო სარაკეტო შეიარაღების საწყობებსაც, სადაც „გრადის“, „ურაგანისა“ და „სმერჩის“ ტიპის უმართავი რაკეტები ინახება. საარტილერიო ჭურვებისგან განსხვავებით, ცეცხლში მოხვედრისას ისინი ადგილზე კი არ ფეთქდებიან, არამედ ირთვება მათი ძრავები და ისედაც უმართავი რაკეტები უსისტემოდ იწყებენ ფრენას; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გრადის“ რაკეტა 21 კმ-ზე მიფრინავს, „ურაგანისა“ — 34 კმ-ზე, ხოლო „სმერჩისა“ კი 70 კმ-ზე, მაშინ ადვილი მისახვედრია, რა დღეში არიან ჩაცვენილი ამ ბაზის ახლოს მცხოვრებნი.

# ერაყელი ტყვეების წამება აშშ-ს ძვირი უჯდება

პატიმრების წამებაში გაწაფული ერაყის ციხეების თანამშრომლებიც კი შეძრწუნებული დარჩნენ, როდესაც ნახეს ფოტოსურათები, რომლებზეც მკაფიოდ ჩანდა, თუ როგორ ექცეოდნენ ამერიკელი სამხედროები ერაყელ პატიმრებს.

ამ ფოტოსურათების ინტერნეტით გავრცელების შემდეგ პენტაგონის შეფის, რამსფელდის ბედი სასწორზე დაიდო. მან მინისტრის სავარძელი მხოლოდ სენატის კომისიის წინაშე მონანიებით შეინარჩუნა.

ბაღდადის ახლოს, „აბუ-გრეიბის“ ციხეში, სადაც ადრე სადამ ჰუსეინის პოლიცია აწამებდა ტუსაღებს, ამჯერად ამერიკელი სამხედროები, მათ შორის ქალებიც, არაადამიანურად აწამებდნენ და დასცინოდნენ ერაყელ პატიმრებს. პრეზიდენტმა ბუშმა თავისი სამხედროების ცოდვის გამოსყიდვა სცადა, როდესაც არაბული ტელევიზიებით, პირდაპირ ეთერში, სინანული გამოთქვა ამ ფაქტის გამო, მაგრამ არაბულმა სამყარომ მას არ დაუჯერა. სავარაუდოდ, ეს ფაქტი, ცხადია, ცუდად იმოქმედებს პრეზიდენტ ბუშის რეიტინგზე არჩევნების წინ.

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

# ცამეტი წელი საათს ეძებდა...

## ქართველი ოპერმუშაკი და ფიდელ კასტროს საათი

კუბის რევოლუციის პირველსავე წლისთავზე, ანუ 1960 წლის პირველ იანვარს იმ დროისათვის უკვე ცნობილ კინოდოკუმენტალისტს ტიტო ალეას მხატვრულ კინოში მუშაობა დაევალა და მასაც უარი არ უთქვამს, მით უმეტეს, რომ იდეა თვითონ ფიდელ კასტროს ეკუთვნოდა და მისთვის უარის თქმა სამშობლოს ღალატად ჩაითვლებოდა. ბუნებრივია, რევოლუციის ბელადი რევოლუციის ამსახველ ჰეროიკულ სურათს ითხოვდა და რაკი დოკუმენტურ კინოში ამ მხრივ ტიტო ალეას ბადალი არ ჰყავდა, გადაწყვიტა, რომ მხატვრული ფილმიც მას გადაეღო. რეჟისორმაც გაუმართლა — მან ზუსტად ისეთი ფილმი გადაიღო, როგორსაც ბელადი ითხოვდა. ფიდელის საამებლად რეჟისორმა მთავარ როლზე პროფესიონალი რევოლუციონერი და კუბელების სათაყვანო მოკრივე ხულიო ბაესი მიიწვია, რამაც წინასწარ განსაზღვრა ფილმის წარმატება. 1961 წლის გაზაფხულზე ქვეყნის ოთხასორმოცდაათივე კინოდარბაზის შესასვლელებში ერთსა და იმავე დღეს გაიკრა აფიშები. ფილმს „მოთხრობები რევოლუციაზე“ ერქვა და არნახული პოპულარობა მოიპოვა. ყველაზე დიდი წარმატება მაინც მთავარი როლის შემსრულებელს ხვდა წილად და კუბელებისათვის აქამდეც საყვარელი ხულიო ბაესი, რომელიც ფილმში ფიდელ კასტროს განასახიერებდა, თითქმის ეროვნულ გმირად იქცა. პრემიერის დღეს ფიდელმა მაჯიდან მოიხსნა თავისი განუყრელი საათი და მსახიობს გადასცა, თუმცა მათი ურთიერთობა ამით არ ამოწურულა. ფიდელმა ჩათვალა, რომ ხულიოს მხოლოდ კინოში კი არა, პარტიული ხაზითაც უნდა გაეგრძელებინა კარიერა და ბაესი მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის კურსანტი გახდა. არ ვიცი, რამდენად გამოიჩინა თავი სწავლისას მომავალმა პარტიულმა მოღვაწემ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ კიდევ ერთი წლის შემდეგ ყოფილი მოკრივე და მსახიობი თანამემამულესთან, ასევე ყოფილ მოკრივესთან, შავკანიან კარლო ენრიკესთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიავლინეს სტაჟირებაზე. ეს ის დრო იყო, როცა თბილისი და საზოგადოდ, საქართველო დანატრებული იყო უცხოელთა ხილვას, რადგან გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში საქართველოდან წასული ფრანგებისა და ინგლისელების შემდეგ ჩვენში უცხოელს თითქმის ფეხიც კი არ დაუდგამს. ყოველ შემთხვევაში, ასე საჯაროდ, ქუჩაში... კუბელებს სულაც არ ეუხერხულებოდათ გამვლელების მუდმივი ყურადღების ცენტრში რომ მოექცნენ. კუბაშიც ასევე იყო — იქაც ასობით თვალი აცილებდა მოკრივესა და მსახიობს. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი „მოთხრობები რევოლუციაზე“ საქართველოშიც აჩვენეს, ხალხს მსახიობი კი არა, უფრო კუბელების უჩვეულო კანის ფერი იზიდავდა. თბილისელებს კუბელების შესახებ ბევრი რამ სმენოდათ, მაგრამ პირისპირ ჯერაც არ ენახათ ფერადკანიანი ადამიანები. კუბელები კი თავისუფლად დასეირნობდნენ ქალაქში. მათ აქ ბევრი რამ იზიდავდა და ხიბლავდა. შაბათ-კვირას იპოდრომს სტუმრობდნენ. ბუნებრივია, მაშინდელი უშიშროების ადგილობრივ ორგანოებს მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვა შინაგანაწესით ევალებოდათ და თავიდან ასეც აკეთებდნენ. ოღონდ ისე, სტუმრებს რომ არ ეგრძნოთ, მაგრამ მერე და მერე, როცა ნახეს, ჩვენებურები რა სიყვარულით ეპყრობოდნენ უცხოელებს, მათ თვალთვალს თავი ანებეს და ძვირადაც დაუჯდათ. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გაჭრილი ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი სამანქანო გზა და თბილისელები ვიწრო, საცალფეხო ბილიკებით სარგებლობდნენ. იპოდრომზე მოსახვედრად ამ გზით უწევდათ სიარული კუბელებსაც და ერთ საღამოს, როცა ორივენი თარჯიმან ქართველ ქალბატონთან ერთად იპოდრომიდან ბრუნდებოდნენ, ვიღაც სამმა უცნობმა ახალგაზრდამ ზურგიდან მიიტანა მათზე იერიში. პირველს, როგორც უფრო კუნთმაგარს, ხულიოს ჩაარტყეს ხის მსხვილი ნაჭერი, მერე ენრიკესაც მოუქნიეს, მაგრამ მოკრივემ ცრუმოძრაობით აიცილა იგი და სამიდან ერთს ისეთი აპერკოტი აჭამა, რომ საბრალომ სადღაც შორს, ბუჩქებში მოადინა ზღართანი.

— აუ, დაგვხოცავს ეს ოხერი, დანა ატაკე ამ ველურს, დანა! — იჩხავლა მეორემ, რომელსაც ის იყო, მკლავში სწვდა ენრიკე და ხევში უპირებდა გადაგდებას, მაგრამ წამის შემდეგ დანანაკრავმა აკივლებული თარჯიმნის ფეხებთან ჩაიჩოქა და მხოლოდ ერთადერთი სიტყვა ამოთქვა — რატომ? თავდამსხმელებმა კი, რომლებსაც აინუნშიც არ ჩაუგდიათ ქალის კივილი, წამში ამოუტრიალეს ჯიბეები კუბელებს. ცოტაოდენი საბჭოთა ფული, სანთებელა, სამაჯური და საათი მოიხელთეს, მერე თავიანთი ყბამონგრეული ძმაკაცი წამოიკიდეს და იქაურობას გაეცალნენ. ძვირად დაუჯდა მაშინდელ საქართველოს „კაგებეს“ უყურადღებობა. ბევრ თანამშრომელს მკაცრი საყვედური გამოუცხადეს, ბევრიც სრულიად დაითხოვეს ორგანოებიდან. არც მილიციისთვის დაუყრიათ უკეთესი დღე. ხუმრობა ხომ არ იყო, დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლები გაძარცვეს.

სამართალდამცველთა დასჯისა და დაწიოკების პირველმა ტალღამ გადაიარა. მათ დრო მისცეს: ან ერთ თვეში საქმეს გახსნით, ანდა არც ერთი არ დარჩებით ადგილზეო, — უთხრეს მოსკოველებმა თავიანთ ქართველ კოლეგებს და მუშაობაც გაჩაღდა. თუმცა მხოლოდ შიშის გამო, მხოლოდ სკამების შენარჩუნებისთვის კი არა, ახლა საქართველოს პრესტიჟი იდო სასწორზე და ამიტომაც უფრო ირჯებოდნენ.

— ზედმეტი არაფერი ვარგა. ახლა რომ მასობრივი დაპატიმრებები დავიწყოთ, დამნაშავეებს დავაფრთხობთ და მეტი არაფერი. უეჭველია, იმ ადგილებში იტრიალებენ — ვაკე-საბურთალოს გადასასვლელს უნდა ვუთვალთვალოთ. ამიტომ აქ არც ვაკის, არც საბურთალოს მილიციების ხალხი არ გამოდგება, გაიშიფრებიან. შავი სამყარო მათ იცნობს. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე არიფებთან გვაქვს, გამოცდილი დამნაშავე უცხოელს, თანაც ასეთი წვრილმანებისთვის, თავს არ დაესხმება, რადგან იცის, რაც მოჰყვება ამას. სხვა რაიონებიდან უნდა მოვიწვიოთ გამოცდილი ოპერმუშაკები და ისინი ვამუშაოთ, — სიტყვა დაამთავრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი შელიამ და თანამშრომლებს წარმატება უსურვა.



### „შეყვარებულები“

იმ გადასასვლელს, რომელზეც დანაშაული მოხდა, ზოგიერთები სიყვარულის ბილიკს ეძახდნენ და არცთუ შემთხვევით, — დილიდან გვიან ღამემდე დასეირნობდნენ აქ წყვილები...

ამჯერად შეყვარებულებს კიდევ რამდენიმე ახალი „წყვილი“ შეემატა და ისეთი ჟღურტულით დასეირნობდნენ წინ და უკან, კაცი იფიქრებდა, მართლა თავგადაკლული შეყვარებულები არიანო. მაგრამ ესენი შეყვარებულები კი არა, ავლაბრის მილიციის ოპერატიული თანამშრომლები: გიორგი გაგლოევი, გური შახინაშვილი და დიმიტრი მშვიდობაძე იყვნენ, რომელთაც „პარტნიორი“ ქალები კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა მილიციის განყოფილებებში გამოძებნეს. მართალია, გოგოებმა საქმის ნამდვილი არსის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ ის კი კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ენისთვის კბილი უნდა დაეჭირათ და ასეც იქცეოდნენ. ერთი სიტყვით, აგერ მეოთხე კვირა იქნებოდა, რაც სიყვარულობანას თამაშობდნენ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

— მეშინია, ცოტა შემცივდა კიდეც, თანაც უკვე ღამის პირველი საათია. წარმოგიდგენია, ახლა აქ რომ მნახოს ჩემმა შეყვარებულმა? — საცოდავად წამოიკნავლა გიორგი გაგლოევის აცახცახებულმა მეწყვილემ და ის იყო, მისმა კავალერმა პიჯაკის გახდა დააპირა, ქალს მოვახურავო, რომ მთვარის შუქზე შენიშნა, იპოდრომის შესასვლელიდან გამოსულ გური შახნიაშვილსა და მის ქალბატონს როგორ აედევნა ორი უცნობი. მაძებარმა იაზრა — ისინი იქნებიან, ვისაც ვეძებთო, „შეყვარებულს“ მიაძახა, ნურაფრის შეგეშინდებაო და მათკენ გაქანდა. მანძილი ფიზიკის ინსტიტუტიდან იპოდრომის ღობემდე ისე უჩუმრად და სწრაფად გაირბინა, რომ უცნობებს არაფერი შეუტყვიათ. გიორგი მაღალს ეძგერა, რომელმაც ის-ის იყო, კეტი შემართა გურისთვის თავში ჩასარტყმელად. გიორგიც და გურიც ღონიერი ბიჭები იყვნენ, მაგრამ არც თავდამსხმელები აღმოჩნდნენ ჯანსუსტები. ჭიდაობა და ძალის დემონსტრირება კარგა ხანს გაგრძელდა. აქეთ „საპატარძლოები“ კიოდნენ — არ გინდათ, ბიჭებო, მაგათ არაფერი დაუშავებიათ, წავიდეთ ჩვენი გზითო — და იმდენი ქნეს, კინაღამ გააშვებინეს ის ორი „უცოდველი კრავი“.

როგორც იქნა, მათივე ქამრებით გაუკრეს ხელები ორივეს. მალე დიმიტრი მშვილდაძეც წამოესწროთ და ბიჭები ვაკის მილიციაში წაათრიეს. გზად მაღალმა ხელზე შებმულ სამაჯურს თითი ღონივრად გამოჰკრა და გაწყვიტა. გიორგის არ გამოჰპარვია ეს... მილიციაში მათ უკვე ელოდებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ქავთარაძე, მისი მოადგილე გიორგი შელია, დედაქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი აბელ ოსეფაიშვილი და სხვა ხელმძღვანელები, მაგრამ ჯერ უნდა დაეზუსტებინათ, რომ ეს ის ხალხი იყო, ვისაც ეძებდნენ. არადა, დაშავებით მართლა არაფერი დაუშავებიათ იმ ბიჭებს. გიორგის ისიც კი აფიქრებდა, მართლა აპირებდა ერთ-ერთი მათგანი გურისათვის კეტის ჩარტყმას თუ მე მომეჩვენაო და სული ფეხებში ეპარებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, რას იტყოდნენ გენერლები? მაგრამ, როცა მაგიდაზე დადო იმ მაღალის გაწყვეტილი სამაჯური, მინისტრმა სიხარული ველარ დაფარა და იყვირა — ეს კუბელების ძეწკვია. ესეც კუბელების სანთებელა, საათი, საათი სადღაა? — იკითხა მინისტრმა, მაგრამ ფიდელ კასტროს ნაქონი საათი არსად ჩანდა.

— გზაში ხომ არ გადააგდებდნენ? — გიორგი შელიამ თავის სეხნიას შეხედა.

— შემიძლია დავიფიცო, ამხანაგო გენერალო, მაღალს მეტი არაფერი ჰქონია, — განაცხადა გაგლოევმა.

— არც მეორეს, — კვერი დაუკრა გური შახნიაშვილმა.

— მესამეც უნდა ვეძიოთ. ისინი ხომ სამნი იყვნენ? შესაძლოა სწორედ იმ მესამემ დაჭრა სტუმარი. ალბათ საათიც მას აქვს. ხომ იცით, ეს უბრალო საათი არ არის, თვითონ დიდმა ფიდელმა აჩუქა ხულიოს. ერთი სიტყვით, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და რაც შეიძლება სწრაფად. ახლა ჯილდოდ თითო თვის ხელფასს მოგცემენ, კიდევ ერთი თვისას მაშინ გადმოგცემთ, როცა მესამე ყაჩაღსა და საათს იპოვით, — დაჰპირდა გენერალი ოპერმუშაკებს.

### ცამეტი წლის შემდეგ

თავი მოიკლეს ბიჭებმა, რა აღარ გააკეთეს. რა ხაფანგები დააგეს, ვინ აღარ გამოიყენეს, მაგრამ ვერც იმ დაკავებულ ორს ათქმევინეს მესამის ვინაობა, და ვერც „შავებში“ მიაგნეს მათთვის საინტერესო უცნობს. მერე, რაკი დაჭრილი კუბელის ჯანმრთელობას აღარაფერი ემუქრებოდა და საქმეც ფაქტობრივად გახსნილი იყო, ის მესამეც მიივიწყეს და ფიდელ კასტროს საათიც. დიახ, მიივიწყეს, მაგრამ გიორგი გაგლოევს არ დავიწყებია გენერლის დავალება. ის მაინც ეძებდა. მართალია, მისი სამოქმედო არეალი ცამეტი წლის განმავლობაში დიდად არ გაფართოებულა, მაგრამ სამაგიეროდ უკვე ოპერატიულ დარგში მილიციის უფროსის მოადგილე იყო და ყველა საქმეში, რომელსაც მის ხელში უნდა გაევლო, იმ მესამისა და ფიდელის ნაქონ საათს ეძებდა.

— უფროსო, გახსოვთ, ამას წინათ ბაზარში რომ ორი კაცი დაგვიჭრეს და საქმე დღემდე გაუხსნელია. როგორ შეიძლება ბაზარში, ხალხის თვალწინ მომხდარი დანაშაული გაუხსნელი დარჩეს. დამნაშავე ოცდაათმა კაცმა მაინც დაინახა და არც ერთი ხმას არ იღებს... — უბნის ინსპექტორი სულს ძლივს ითქვამდა.

ვიღაც სამმა უცნობმა ახალგაზრდამ ზურგიდან მიიტანა მათზე იერიში. პირველს, როგორც უფრო კუნთმაგარს, ხულიოს ჩაარტყეს ხის მსხვილი ნაჭერი, მერე ენრიკესაც მოუქნიეს, მაგრამ მოკრივემ ცრუმოძრაობით აიცილა იგი და სამიდან ერთს ისეთი აპერკოტი აჭამა, რომ საბრალომ სადღაც შორს, ბუჩქებში მოადინა ზღართანი.

— ეგ იმიტომ, რომ ოცდაათივე იცნობს და ოცდაათივეს ეშინია. ჩვენც ის კაცი უნდა ვეძებოთ, ვისიც ასე ეშინიათ. თუმცა მე აგერ ცამეტი წელია უშედეგოდ ვეძებ ასეთ კაცს, — ბოლო სიტყვები ისე ხმადაბლა წარმოთქვა, უბნის ინსპექტორს არც გაუგონია.

— ჰოდა, მეც ვეძებე და მივაკვლიე. უბანში რაფიკა ტარახჩიანია ამნაირი (გვარ-სახელი შეცვლილია). ყველაფერზე ხელს აწერს. მკვლელია და მამაძაღლი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დაუმტკიცეს დანაშაული. ამხელა ღლავს სულ წვრილმანებზე ვიჭერთ. მისი ყველა საქმე ვნახე, მაგრამ არსად არავინ ამბობს, რაფიკამ დააშავაო. ამ დილით ერთმა ჩემმა სანდო პირმა მაცნობა, იმ ორი კაცის დამჭრელი რაფიკაა, ჩემი თვალით ვნახე, მაგრამ მომკალი და, პირზე ვერ დავადგები, — ცოლ-შვილს ამომიწყვეტსო.

— როგორც ვიცი, დაჭრილებიც ხელს აფარებენ. არ ვიცი, ვინ დაგვჭრაო.

— ეშინიათ და იმიტომ... ერთი აზრი ამეკვიატა, თუ გვერდით დამიდგებით, შეიძლება გავბაწროთ, — ინსპექტორმა ეშმაკურად შეხედა გაგლოევს.

— თქვი...

— რამდენჯერაც დათვრება, იმდენჯერ სცემს ცოლს. წარმოიდგინეთ, რა დღეშია უბედური ქალი, სიცოცხლე აქვს გამწარებული. თქვენ რომ დაიბაროთ, იქნებ რაიმე ისეთი გითხრათ კიდეც ქმარზე...

— მართალია, მოიყვანე, ოღონდ ისე, ქმარმა არაფერი შეიტყოს.

მეორე დღეს გიორგი გაგლოევთან ერთი კაფანდარა, დაბეჩავებული ქალი გამოცხადდა. ეტყობოდა, რომ ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. შვილების იმედიღა მქონდა, მაგრამ მამის გამო ორივე სახლიდან გამექცაო, — თქვა და ატირდა, მაგრამ ტირილის თავიც აღარ ჰქონდა საბრალოს.

— ახლა რომ გაიგოს აქა ვარ, დღესვე სულს ამომხდის. ღმერთო, ვინ დამწყევლა, რა დავაშავე? სადმე რომ წავიდე, იქაც მომძებნის და იმათაც ააწიოკებს, ვინც შემიფარებს. ამიტომაც ვერავის ვეკარები. ვარ ასე კეთროვანივით და ველოდები — ან ამაღამ დამახრჩობს, ან ხვალ საღამოს-მეთქი.

— ამაზე ჩვენც ვიფიქრეთ. აქ თქვენი განცხადება ვნახეთ, დაკარგული პასპორტის აღდგენას ითხოვდით. პასპორტი გაგიმზადეთ და ახლავე გადმოგცემენ. იტყვით, რომ ამისათვის იყავით ჩვენთან... ახლა ეს მითხარით, მართლა გინდათ ქმრის მოშორება?

— მე ქმარი კი არა, ჯალათი მყავს სახლში. ამ გარეწარმა მხოლოდ ჩემი ცხოვრება როდი დაამახინჯა, კვირა არ გავა, დანაშაული არ ჩაიდინოს, მაგრამ ამას უცხო წრეში კი არა, თავისიანების გარემოცვაში აკეთებს. ისინი კი დაშინებული ჰყავს და პირზე ვერავინ ადგება. ვხვდები, რასაც ითხოვთ ჩემგან, მაგრამ რა შემიძლია? რა ისეთი სამხილი უნდა მოგაწოდოთ, რომ მოწმის გარეშე აგებინოთ პასუხი. თუმცა... დიდი ხნის წინ შინ ერთი ნივთი მოიტანა, მგონი ზედ წარწერაც აქვს და ამის გამო ვერ მისცა ბარიგას. იქნებ რამეში გამოგადგეთ...

წარწერის ხსენებაზე გიორგის რაღაც ენიშნა.

— არა აქვს მნიშვნელობა, როდის მოიტანა. მთავარია, რა ნივთია...

— საათია, ძვირფასი უნდა იყოს. პირველად ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინ შემთხვევით ვნახე, მერე დიდი ხნით გაქრა. ვიფიქრე, ალბათ გაყიდა-მეთქი. გუშინწინ უმოწყალოდ ნაცემი როცა გონს მოვეგე, სერვანდის ქვეშ ვეგდე. სერვანდის ფსკერზე საიზოლაციო ლენტით აკრული ის საათი დავინახე. მაგის გადამკიდეს სხვა დროსაც ბევრჯერ მიხოხიალია ავეჯის ქვეშ, მაგრამ ასეთი რამ არ მინახავს. როგორც ჩანს, სხვაგან ჰქონდა გადამალული და მას შემდეგ მოიტანა, რაც ავლაბარში უცხოელი ტურისტები გამოჩნდნენ. ალბათ გაყიდვის იმედი აქვს და...

გაგლოევი თითქმის დარწმუნდა, რომ ფიდელის ნაქონი საათი აღმოაჩინა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ აჩქარება არ ივარგებდა. გიორგიმ თავდაპირველად მხოლოდ მილიციის უფროსს გაანდო თავისი ჩანაფიქრი.

— თუ ასეა, დაგვიანება არ ივარგებს. რაიმე მოვიმიზეზოთ და სახლი გავუჩხრიკოთ.

— დღესვე გავაკეთებთ ამას. ამ წუთებში რაფიკა ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე ქეიფობს. სახლში დაბრუნებული ცოლს დაუწყებს ცემას. ჩვენც იმ საბაბით შევალთ...

ტარახჩიანებს ძველებური, შეშით გასათბობი წყლის ბაკი ედგათ სააბაზანოში. ზაფხულის ცხელი დღეები იყო და რაფიკა ევროპელი დენდივით მთვრალი თუ ფხიზელი ყოველ საღამოს აბაზანას იღებდა, — ნერვებს ამშვიდებსო. იმაზე კი არ ფიქრობდა, ამქვეყნად სხვების ნერვების მოშლის მეტს რომ არაფერს აკეთებდა.

რაღა თქმა უნდა, იმ საღამოსაც მთვრალი დაბრუნდა შინ. როგორც კი ქალს ეზოდან მისი ხმა მისწვდა, აბაზანაში ცხელი წყლის ონკანი მოუშვა, შეშის ბოლო ნაჭერი ნაჯახით დააპო, ღუმელში შეუმატა და გარეთ გამოსვლა დააპირა, მაგრამ კარში უკვე რაფიკა იდგა და ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა ცოლს.

— რაო, უკვე გარბიხარ, შენი დედა... მოდი აქ — აბაზანაში ხელი ჩაყო და წყალი ცხელი ეჩვენა, გინება განაგრძო, — მაშ, გინდა დამფუფქო და გაიხარო, არა? ვერ მოესწრები, დედას გიტირებ.

— არაა მანდ ცხელი წყალი. ისევ შარზე ხარ და თავი დამანებე, გამატარე, თუ კაცი ხარ, — და ცუდის მოლოდინში აკანკალებული ქალი სააბაზანოდან გამოსვლას შეეცადა.

— ცხელი არაა? — ისე იღრიალა რაფიკამ, რომ მის გამოხდომებს შეჩვეული მთელი ეზოც კი შეძრა ამ ხმამ, — ცხელი არაა? აბა, შენ ჩაწექი, ჰო, მიდი, მიდი, ჩაწექი. შიგ უნდა ჩაგახრჩო... — რაფიკა ცოლს აბაზანისკენ მიათრევდა, ქალი უძალიანდებოდა, მაგრამ რა შეეძლო მის გალეულ, ნაგვემ სხეულს. წამიც და ალბათ ქალს აბაზანაში მოისროდა, მაგრამ ამ ძიძგილაობაში ცეცხლის შესაკეთებელი მაშა გაებლანდა ფეხებში, გაქანდა და მთელი სხეულით წყალში თავდაყირა მოადინა ტყაპანი. მერე როგორღაც ამოტრიალდა, პირიდან ნაყლაპი წყალი ამოაქცია და აბაზანიდან ამოსვლას შეეცადა, — დაგკლავ შენი, დაგკლავ შე ძუკნა, მაშ, ეს გინდოდა არა, მაჯობე? ახლა მაცალე...

მაგრამ აღარ აცალეს. ქალმა გაუცნობიერებლად იქვე მიყუდებულ ნაჯახს წამოავლო ხელი, ზეალმართა და რაც კი ძალა შერჩენოდა, ქმრის თავზე დაუშვა.

P.S. იმავე წამს მილიციის სპეციალურმა განაწესმა ტარახჩიანების სახლის კიბეზე აირბინა და აბაზანის კარი შეაღო. უკვე გვიანი იყო. მესამე დამნაშავის აღმოჩენისა და საათის პოვნით მინიჭებულ გიორგი გაგლოევის სიხარულს ახლა ამ ქალის ტრაგედია ჩრდილავდა. რაშიც თავის თავსაც ადანაშაულებდა, რომ დროზე ვერ მოასწრო სახლში შესვლა.

იმავე დღეს აცნობეს მოსკოვს მომხდარის შესახებ. საათი, ბოლოს და ბოლოს, თავის მფლობელს დაუბრუნდა... ცამეტი წლის შემდეგ.

*ვაჟა გავაშელი*

# „ალბათ ჩეჩნეთშიც ვერ ნახავთ იმდენ იარაღს, რამდენიც აჭარაშია“



„მიმდინარეობს აქტიური განაღმვა“

მე-20 საუკუნის დასაწყისის მსგავსად, ბათუმიდან მთავრობა 21-ე საუკუნის დასაწყისშიც გაიქცა და თან საქართველოს კუთვნილი უზარმაზარი ქონება გაიყოლა. თუმცა, აბაშიძე ჟორდანია არ არის და არც მტრისგან გადასარჩენად გაურიდებია ქართული განძი. დღეს თითქოს არავის ანაღვლებს, საით ან როგორ გაცურავს კუდამოძუებული აჭარის ლომის საჭედამსხვრეული გემი. ასეა ერთი შეხედვით. ლოგიკა და რეალობა კი სხვაგვარად განსჯის საფუძველს იძლევა: სამწუხაროდ, აბაშიძის გემი გამართულია და მისი მოძრაობის ტრაექტორია კარგა ხანს დაუკარგავს მოსვენებას საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას. კულუარებიდან უკვე გამოჟონა ინფორმაციამ იმ ქონების შესახებ, რომელიც აჭარის ყოფილმა ლიდერმა მშობლიური რეგიონის გაღლეტისა და ათასგვარი ხრიკების შედეგად დააგროვა. აღნიშნული ინფორმაციით, აბაშიძე დაახლოებით 5 მილიარდი დოლარის და დიდძალი უძრავი ქონების მფლობელია, რაც საშუალებას აძლევს, მშვიდად შევიდეს ნებისმიერ პორტში და სიცოცხლის ბოლომდე პოვოს ნავსაყუდელი. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ შესანიშნავად იცის, ასლანი (სპარსულად ლომი) სიმშვიდესა და უმოქმედობას რომ არ არის ჩვეული. იგი ალბათ კვლავაც მრავალჯერ შეეცდება მისი დამმარცხებლის გაღიზიანებას. თუ წასვლამდე ორი-სამი ხიდი ააფეთქა, ამიერიდან იმ უხილავი „ნაღმების“ ასაფეთქებლად იმოქმედებს, რომლებიც კარგა ხნის წინ დაამონტაჟა, მათი სამართავი პულტი კი, სავარაუდოდ, თან გაიყოლა. საქართველოს ძალოვანი სამსახურები ახლა სწორედ ამ „ნაღმების“ აღმოჩენასა და გაუვნებლებაზე მუშაობენ. ეს ალბათ დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ამ მხარეში ერთპიროვნული მმართველი მხოლოდ ასლან აბაშიძე იყო. მისი ხრიკები კი ერთადერთმა კაცმა, მისმა ცოლისძმამ, აჭარის უშიშროების მინისტრმა, აჭარის ლიდერის უერთგულესმა — სოსო გოგიტიძემ იცოდა. თუმცა, სიძეს ცოლისძმა არც ნათესაური კავშირების გამო წაუყვანია თან და არც ერთგულებისთვის. სოსო გოგიტიძის სახით აბაშიძემ ქვეყნის ხელისუფლებას ის „რუკა“ ააცალა, რომელიც აჭარის მძარცველის შესახებ თითქმის ყველაფერს მოჰფენდა ნათელს. ასლანს არასოდეს სჯეროდა ოფიციალური თბილისის და არც ამჯერად ირწმუნა სააკაშვილისეული დაპირება ხელშეუხებლობის გარანტიის შესახებ. ბოლო წუთამდე მის გვერდით მყოფთა და შემდგომ აჭარაში დარჩენილთა გარემოცვიდან გამოსული ხმების მიხედვით, აბაშიძე დარწმუნებული იყო, რომ სოსო გოგიტიძესაც და სხვებსაც, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები მხოლოდ მისი ერთგულების კი არა, სხვა „მოტივების“ გამოც დაიჭერდნენ. ციხეში მოყურყუტე თბილისელი ჩინოვნიკებისგან განსხვავებით კი აჭარლებისგან არა მხოლოდ მიტაცებული ფულების, არამედ ინფორმაციის ამოღებასაც შეეცდებოდნენ. ასეთი იყო აბაშიძის ვარაუდი საქართველოს დატოვებამდე, რის გამოც მან „ფასდაუდებელი“ სოსო გოგიტიძე თან იახლა ემიგრაციაში. საქმეში ნაკლებად ჩახედულნი და მხოლოდ ბრძანების შემსრულებელნი კი ხელისუფლებას „გასართობად“ დაუტოვა. შესაბამისად, აჭარაში დაჭერების სერიალი დაიწყო: გენერალ რომან დუმბაძის დაკავების შემდეგ, ასლან აბაშიძის განკარგულებაში გადასული მამა-შვილი — გენერალ-მაიორი მურად ცინცაძე და ხელვაჩაურის პოლიციის შეფი მერაბ ცინცაძე დააპატიმრეს, ორივე მათგანს სამშობლოს ღალატსა და განსაკუთრებით მძიმე კრიმინალურ ქმედებებში ედებათ ბრალი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებით, აჭარაში დაკავებულთა სია დღითი დღე გაიზრდება, რათა აბაშიძის აშენებული „ბასტილიები“ ბოლომდე დაინგრეს. აჭარაში მიმდინარე მოვლენების შესახებ კომენტარისთვის უშიშროების მინისტრის მოადგილეს **გიგი უგულავას** დავუკავშირდით.

— **ბატონო გიგი, აჭარაში დარჩენილ აბაშიძის მთავრობის ერთგულ წევრებს, რომლებიც რევოლუციის დასრულებისთანავე გაქრნენ, უშიშროება ეძებს?!**

— ვეძებთ მხოლოდ იმ ხალხს, ვის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ მოიაზრება ამ ხალხში?**

— მათ შორის უკვე დავაკავეთ ტარიელ ხალვაში.

— **ჯემალ გოგიტიძესაც ეძებთ?**

— არავის არ ვეძებთ, რომც ვეძებდეთ, ნამდვილად ვერ გეტყოდით (ე.ი. ეძებენ. — ე.ლ.).

— **ვინ არის ხელშეუხებელი და ვინ არა?!**

— ხელშეუხებლობის გარანტია მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილება იყო, რომელიც კონკრეტულად ასლან აბაშიძის მიმართ იყო პირობის სახით მიცემული. თუ იგი არ წავიდოდა, სისხლის ღვრასაც არ მოერიდებოდა. სხვა დანარჩენის მიმართ ხელშეუხებლობის გარანტია იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დროულად მოეგებოდნენ გონს და არა პოსტფაქტუმ, როცა აბაშიძის წასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო. ვინც იმსახურებს, მათ ვაპატიებთ კიდეც, მაგრამ იმ ხალხის მიმართ, ვინც ბოლომდე აბაშიძის მავნებლურ კურსს იცავდა (მიუხედავად იმისა, რომ ისინი აბაშიძემ მიატოვა), ჩვენ არანაირი ვალდებულება არა გვაქვს. ვისაც დაუმტკიცდება სისხლისსამართლებრივი დანაშაული, კანონის მიხედვით ყველა დაისჯება. დანარჩენები ჩვეულებრივ განაგრძობენ ცხოვრებას, — მორალურად დასჯილები იქნებიან თუ არა, თქვენ განსაჯეთ.

— **ალბათ იოლი არც აბაშიძის მიერ დატოვებული „მემკვიდრეობის“ გადაბარებაა, როგორც ვიცით, ყოველ ნაბიჯზე იარაღის სამალავები და საწყობებია.**

— სამწუხაროდ, ალბათ ჩეჩნეთშიც ვერ ნახავთ იმდენ იარაღს, რამდენიც აჭარაშია. მოღვაწეობის მთელ მანძილზე აბაშიძე საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ემზადებოდა, რაც საბედნიეროდ, არ დასცალდა. სხვანაირად ვერ ახსნი ამ ფაქტს. ჩვენი მიზანია შეიარაღებისგან გათავისუფლდეს აჭარა და იქ იარაღი უკონტროლოდ არ დარჩეს. ეს იარაღი საწყობებში დაილუქება და შემდეგ სათანადო სტრუქტურებს გადაეცემა. აჭარიდან იარაღის გარდა არაფერი არ გამოვა. რაც აჭარას ეკუთვნის, ყველაფერი რეგიონს დარჩება.

— **როგორც ითქვა, პლაჟებიც კი დანაღმულია. საკურორტო სეზონი უსაფრთხო იქნება?**

— მიმდინარეობს აქტიური განაღმვა, უშიშროების და თავდაცვის სამინისტროს გამნაღმველები ამაზე მუშაობენ და ზაფხული ნამდვილად უსაფრთხო იქნება.

P.S. მაშ ასე, აჭარა თავისუფალია აბაშიძის რეჟიმისაგან. საქართველოში ახლა ყველას მშვიდობა სურს. ეს კი ერთი ცნობილი ჭეშმარიტების თანახმად, იმას ნიშნავს, რომ კვლავაც „ომისთვის“ ვემზადოთ, „ომისთვის“, რომელიც ალბათ ისევე უსისხლოდ დასრულდება, როგორც ეს აჭარაში მოხდა მაისის მზიან დღეებში.

*ეკა ლომიძე*

# ბრძოლა ბაზრობების გასაკონტროლებლად?!

## ჯერ „ზარალა“, შემდეგ ნუგზარ შევარდნაძე?

გასულ კვირას თბილისში კიდევ ერთი ხმაურიანი დაპატიმრების მოწმენი გავხდით. უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულმა სამსახურმა გიორგი რამიშვილი დააპატიმრა. უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას ინფორმაციით, რამიშვილს იარაღის უკანონოდ შენახვასა და დიდი ოდენობით გადასახადების დაფარვაში ედება ბრალი.

ვინ არის გიორგი რამიშვილი და რატომ დასჭირდა მის დაპატიმრებას ანტიტერორისტული ცენტრის სპეცოპერაცია? რამიშვილი, მეტსახელად „ზარალა“ ყოფილი „ვერის საძმოს“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო. ამბობენ, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა „მხედრიონთან“, რისი საშუალებითაც ბიზნესის სხვადასხვა დარგს აკონტროლებდა. კულუარული ინფორმაციით, „ზარალა“ ელიავას ბაზრობის ერთ-ერთი მეწილეა. თუმცა, გასული წლების მის ყველაზე დიდ მონაპოვრად ტვირთების გადაზიდვის ბიზნესში დამკვიდრება ითვლება, საიდანაც სოლიდური შემოსავლები ჰქონდა.

დაკავებისას რამიშვილის ბინიდან ავტომატები, პისტოლეტები და რამდენიმე ხელყუმბარა ამოიღეს. „ზარალას“ ადვოკატი დავით კორკოტაშვილი აცხადებს, რომ რამიშვილს შინ მხოლოდ გაფორმებული იარაღი ჰქონდა. რაც შეეხება ხელყუმბარებსა და ავტომატებს, მათ არსებობას „ზარალას“ დამცველი კატეგორიულად უარყოფს.

კომპეტენტურ წრეებში მიაჩნიათ, რომ რამიშვილის დაკავება არცთუ სუფთად განხორციელდა და სამართალდამცველები დაპატიმრების ნამდვილ მიზეზს არ ახმაურებენ.

კულუარული ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ რამიშვილის დაკავებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს. არსებობს მონაცემები, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ძმა — გოგლიკო ჟვანია, არაოფიციალურად, გადაზიდვის ბიზნესში არის ჩართული. თუ ასეა, გამოდის, ამ ბიზნესს სწორედ ზურაბ ჟვანია უმაგრებს ზურგს. რამიშვილის დაკავების შემთხვევაში კი ეს კავშირები გახმაურდებოდა. ერთი სიტყვით, ამ ვერსიით „ზარალას“ დაკავება ზურაბ ჟვანიას კომპრომეტაციაზე იყო გათვლილი.

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ვერსია, რომელსაც რამიშვილის დაკავებას უკავშირებენ. ფიქრობენ, რომ „ზარალას“ დაკავება გადაზიდვის ბიზნესში სამართალდამცველების შეღწევის მცდელობაა და ახალი ხელისუფლება უფრო მსხვილ ლუკმას — ნუგზარ შევარდნაძეს უმიზნებს.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში „მხედრიონი“ და რამიშვილი მფარველობდნენ მსხვილ გადამზიდველ კომპანიას „ჯორჯიან ტრანზოილ ინვესტს“. ამ კომპანიის მეპატრონე, ცნობილი ბიზნესმენი რუდიკო გოგუაძე იყო. შევარდნაძეების ეპოქაში გოგუაძეს ნუგზარ შევარდნაძეზე ვერშემდგარი ტერაქტი დაჰბრალდა. მაშინ გოგუაძემ ავსტრიაში გაასწრო, ბიზნესი კი ნუგზარ შევარდნაძეს დარჩა. მართალია, გადაზიდვის ბიზნესში „ზარალამ“ კუთვნილი ადგილი ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ გადაზიდვების „იმპერიის“ სათავეში ექსპრეზიდენტის ძმისშვილი მოექცა. კონფიდენციალური წყარო ჩვენთან საუბრისას არ გამორიცხავს, რომ „ზარალას“ დაკავება სამართალდამცველთა მცდელობაა ამ ბიზნესში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და მთავარ სამიზნეს სწორედ ნუგზარ შევარდნაძე წარმოადგენს. „გამორიცხული არ არის, მალე ნუგზარ შევარდნაძეს მიადგნენ, — აცხადებს ჩვენი წყარო, — მაგრამ როგორც ჩანს, ამისთვის საფუძვლიანად ემზადებიან. გიორგი რამიშვილს ბევრი რამის თქმა შეეძლო“.

რამდენად შეესაბამება ეს ვერსია სინამდვილეს, ძნელი სათქმელია — უშიშროების მაღალჩინოსნები ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ. ამასთან, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ ახალმა ხელისუფლებამ „ზარალას“ ბაზრობების ბიზნესის წართმევა მოუნდომა და მისი დაპატიმრებაც ამან განაპირობა.

ამ საქმიანობაში გამჭვირვალობის მიღწევა და ზუსტი შემოსავლების აღწერა დღემდე ვერავინ შეძლო. არადა, ბაზრების მეპატრონეებს ბევრ რამეში შეიძლება შეედავონ — იქნება ეს კონტრაბანდული საქონლის გასაღება თუ აღურიცხავი სავაჭრო ადგილები. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს უფროსი **ზაზა ხუციშვილი** აცხადებს, რომ კონტრაბანდა დღემდე რჩება ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლად: „საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში მთელი ინფრასტრუქტურა არის შექმნილი, რომელიც სწორედ კონტრაბანდაზეა აწყობილი. მართალია, მის წინააღმდეგ დღეს სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ კონტრაბანდისტებმა მოქმედების სქემა შეცვალეს. მაგალითად, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შემომავალი მსხვილი პარტია, საზღვრისპირა სოფლებში წვრილ-წვრილ პარტიებად იშლება და მსუბუქი მანქანებით შეაქვთ ბაზრობებზე. როდესაც ასეთ პარტიებს ვაკავებთ, მისი მეპატრონეები აცხადებენ, რომ საქონელი სახლიდან მიაქვთ, რადგან ღამით ბაზარში ვერ ტოვებენ ქურდობის შიშით. ასე რომ, კონტრაბანდასთან ბრძოლა ჯერ კიდევ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული...“

რაც შეეხება სავაჭრო ადგილების აღრიცხვას, ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, სამგორის ბაზრობის ასი სავაჭრო ადგილიდან მხოლოდ ორმოცი იყო რეგისტრირებული. დანარჩენი სამოცი ადგილიდან მირებული შემოსავლები ბაზრის მეპატრონეთა ჯიბეებში ილექებოდა. წლების მანძილზე ეს მექანიზმი დაუბრკოლებლად მუშაობდა, რადგან მას სახელისუფლებო წრეებიდან მფარველობდნენ. ამასთან, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ სფეროში გავლენათა ახალი გადანაწილება იწყება. ვიტალი დავლაშერიძე ელიავას ბაზრობაზე მისი გახსნის დღიდანვე საქმიანობს. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას იგი აცხადებს, რომ ხელისუფლებას სერიოზული ბერკეტები აქვს — მას შეუძლია ათასი (სხვათა შორის, სამართლიანი) ბრალდება წაუყენოს დირექციას და სულაც დახუროს ბაზრობა, მაგრამ დღეს ამაზე არ არის ლაპარაკი. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები დირექციაზე კი არა, „კრიშებზე“ ნადირობენ. ამას ერთადერთი ახსნა აქვს, — ხელისუფლების წარმომადგენლებს თვითონ სურთ „კრიშობა“ გაუწიონ ამ მომგებიან ბიზნესს და ძველი მეტოქეები გზიდან ჩამოიშორონ.

*დავით დევიძე*

მეზოთერაპია

• ცელულიტის მკურნალობა:
• აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
• კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
• ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
• პიგმენტური ლაქების მოცილება.

ხორავას 63. ტელ: 212-312, 364-464

„ჯენერალ სეკურიტი“
სიგნალიზაცია უფასოდ
GENERAL SECURITY
GS
SECURITY SERVICE
Visonic Ltd
PARADOX
KENWOOD
NOVUS
www.general-security.ge E-mail: info@general-security.ge

# გახეთქილი ქვევრი და მიწაში გაპარული ღვინო



შორეული ნათესავი შემხვდა შემთხვევით და დამწუხრებულმა მითხრა: — მოხუცი შეთე მოგვიკვდა, კვირას ვასაფლავებთ, თქვენებს გააგებინეო!..

შეთე 80-ს მიღწეული კაცი იყო, მაგრამ მაინც გამაკვირვა მისმა სიკვდილმა: შემოდგომაზე სანაქებო მოსავალი მოიწია, ასფუთიანი ქვევრები ღვინით აავსო და ამაყად დადიოდა სოფელში. არც ავადმყოფობისა ეტყობოდა რამე, და, მით უმეტეს, არც სასიკვდილოსი.

— რა მოუვიდა-მეთქი?! — ვიკითხე.

— გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე ცუდ ხასიათზე გაღვიძებია: — სიზმარში მიქელ-გაბრიელი ვნახე, აელო ბასრი ცული, ჩემს ვენახში იდგა და ვაზს ჭრიდაო... დავეტაკე ხელებში — რა სჩადი, რას ერჩი ვაზს, გასაკაფი ვერაფერი ნახე-მეთქი?!. ცივად შემომხედა — შეთე, სიკვდილსაც ხარკი სჭირდება, რამდენი ხანია შენი ოჯახიდან სიკვდილს წილი არ მიუღიაო!...

ამის მერე აიჩემა თურმე მოხუცმა, — მოვკვდები, თავი მთხოვა, მაგრამ ოღონდ შვილები და შვილიშვილები მიმყოფოს განგებამ კარგად და ჯანდაბას ჩემი თავი, აბა, ცას ხომ არ გამოვეკერებიო!..

— რამდენი შვილი ჰყავდა შეთეს?

— არც ერთი!...

— როგორ თუ არც ერთი, აბა, ძია ვანო და ძია გუგული ვინ არიან, ქალაქშიც ხომ ჰყავს ერთი შვილი, ისიც ვაჟია, თუ არ ვცდები...

— ეეჰ, ანგელოზია შეთე, ანგელოზი, მაგას სიკვდილი არც უნდა მორეოდა... თავად ობოლი იყო, მამა დაბადებამდე მოუკვდა, დედა კიდე თორმეტი წლისას. სოფელმა უპატრონა, აჭმევდნენ, ასმევდნენ. ის კიდე, როგორც შეეძლო, ისე უხდიდა ხალხს მადლობას. ვაზი უყვარდა ძალიან, მაგრამ საკუთარ ვენახს ვერ მოუარა ბალღმა, გაუხმა. მას მერე სხვის ვენახს ეფერებოდა, წამლობდა, უბარავდა, სხლავდა... გულში კი იმას ნატრობდა, იქნებ მამისეული ვენახი გავაცოცხლო როგორმეო... გგონია ვერ შეძლო? — შრომისმოყვარე ბიჭს მეზობლები და მამის ბიძაშვილები დაეხმარნენ, გამხმარი ვაზი ახალშენით შეაცვლევინეს და სულ მალე სანაქებო ვენახი ჰქონდა 16-17 წლის ბიჭს, ქვევრებიც კი ახალი ჩაყარა. სამი ასფუთიანიც მაშინდელია. ვენახი და ახალი მარანი რომ დაულოცეს, მაშინ უთქვამს შეთეს — სანამ ამ ქვევრებიდან ღვინო მიწაში არ გაიპარება, მანამ ვიცოცხლებო... ომი რომ დაიწყო, 17 წლისა იყო, მაგრამ მოხალისედ წავიდა, ვერ დააკავეს. ჰოდა, ვანო — უფროსი ბიჭი ომიდან ჩამოიყვანა, თქვა — რუსის ქალისგან შემეძინა, დედამისი მოკვდა და ობოლი დამრჩაო! არადა, ბავშვისთვის გვარი და სახელი რომ უნდა მიეცა, მაშინ გამოტყდა — ეშელონი რომ დაიბომბა, უამრავი ხალხი დაიხოცა, ე ბალღი მკვდარ ქალს ეხვეოდა და ტიროდა... ყურადღების მიმქცევიც არავინ ჰყავდა. ჩემი ობლობა გამახსენდა და გული დამეწვა, დავიფიცე, რომ ვუპატრონებდი. თან ომი საცაა დამთავრდებოდა, არ მოვიშორე, თან ვატარე და ალბათ ამისმა საცოდაობამაც გადამარჩინა სიკვდილსო!... რომ ჩამოიყვანა, 4 წლისა იყო მაშინ ვანო...

— გუგული?!

— თავად რო ბავშვიანი იყო, ქალიც ქვრივი ითხოვა — თავისი ობოლი ჰყავს გასაზრდელი, ჩემსას უფრო შეიცოდებსო... გუგული მის ცოლს, ჟენიას მოჰყვა, მაგრამ აბა გაუბედე გუგულის — შეთე მამაშენი არააო!..

— მე რომ არ მახსოვს შეთეს ცოლი?

— იმ საცოდავს ორი წელიც არ უცოცხლია, სისხლი გაუწყალდა და მოკვდა. გუგულიც დაობლდა. ჟენიას ნათესავებს უნდოდათ მისი წაყვანა — აბა, შეთე რა ვალდებულია, სხვის შვილს უპატრონოსო, მაგრამ არ დაანება: ვინც იტყვის, რომ გუგული ჩემი შვილი არაა, ჭიშკარი არ შემომიღოს, ამ ოჯახის მტერიაო!..

— ის ქალაქელიც ჟენიასგან ჰყავდა ალბათ?!.

— საშიკო? — სულაც არა, არც ისაა მისი სისხლი და ხორცი, იპოვა...

— არ გამაგიჟოთ, ბავშვი იპოვა?!.

— შეთე რკინიგზის სადგურზე მუშაობდა ღამის დარაჯად. 1952 წლის ზაფხულში იპოვა პლატფორმაზე ძველ ჩანთაში ჩასმული ბიჭუნა. შიმშილისაგან დაოსებული ტიროდა თურმე. ჩანთაში წერილიც იდო: — უბედურ დედაჩემს ჩემი პატრონობა არ შეუძლია და ნუ გამწირავთ სიკვდილისთვისო...

წამოიყვანა შეთემ. კარგა ხანს იმედოვნებდა — იქნებ დედამისი გონს მოვიდეს და მოიკითხოსო, მაგრამ არ გამოჩენილა პატრონი. ასე შერჩა მესამე ბიჭი შეთეს, რომელსაც მამამისის სახელი — ალექსანდრე დაარქვა, მაგრამ ყველანი საშიკოს ვეძახით...

კაი ბიჭები დაზარდა შეთემ, შრომის სიყვარული და ფასი ასწავლა. ვენახი გაუმრავლეს ოჯახს, ხვავი და ბარაქა შემატეს. მაგათი ღვინო ნაქებია სოფელში, წამალივით მარგებელი, თანაც საშიკო პროფესორია, მეღვინე. ქალაქში მაგას ეკითხებიან ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, ის კიდე — შეთეს. თან იძახდა: — პროფესორი მე კი არა, მამაჩემია, სადოქტორო მაგის გამოცდილებითა და კარნახით დავწერეო! — ამერიკაში და საფრანგეთშიც იწვევენ ლექციების წასაკითხად, ტკიცინა დოლარებს უხდიან თურმე!..

— ალბათ შეთე პაპა სიზმრის შიშმა მოკლა...

— შიშმა კი არა, რწმენამ — ხო გაიგე, რაც გითხარი, ბალღობაში რომ ასფუთიანი ქვევრები ჩაყარა, მაშინ თქვა: სანამ ამ ქვევრებიდან ღვინო მიწაში არ გაიპარება, მანამ ვიცოცხლებო! ჰოდა, ის უცნაური სიზმარი რომ ნახა, დაუძახა თურმე ვანოსა და გუგულის — რა ვიცი, იქნება სიზმარს არ უნდა დავუჯერო, მაგრამ თადარიგს მაინც დავიჭერ, სიკვდილიც სტუმარია, ღირსეული დახვედრა უნდაო! სათავისოდ გადანახული ასფუთიანი ქვევრი მოუხდია: ჩემს ქელეხში სტუმრებს ეს ღვინო ასვით, ვნახოთ, როგორი დადგაო?!.

მუხლებზე დამდგარმა მოუსუფთავა თურმე თავი ქვევრს, მიწა პირწმინდად გადააცალა — ქვევრში არ ჩავარდეს, ღვინო არ გააფუჭოსო! — მოხადა სარქველი და... გულზე იტაცა თურმე ხელი, დაიკვნესა: გაბზარული ქვევრიდან ღვინო მიწაში გაპარულიყო!..

— მართლა მოსულა ჩემი ჟამიო!.. — უთქვამს.

ამშვიდებდნენ თურმე ბიჭები, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა მათ ხვეწნას, შეთე რწმენამ აცოცხლა 80 წელი, თუ რამე მოკლავდა, სწორედ იმ რწმენის დასასრული... ჩაწვა იმ საღამოს და ერთი რამის თქმა შეძლო მხოლოდ: — საშიკოს გააგებინეთ, ცოლ-შვილი წამოიყვანოს და ცოცხალს მომისწრონო!..

— მოუსწრეს?!

— მოუსწრეს და ბედნიერიც წავიდა იმ ქვეყნად შეთე. უცქერდა თვალცრემლიან სამ ვაჟკაცს, აჟივლებულ შვილიშვილებს, გაიღიმა თურმე: გმადლობთ, უფალო, რომ ჩემი ვენახი უპატრონოდ არ რჩებაო! — და ჩიტივით გაუფრინდა სული...

...ასეთი ამბის მოსმენის მერე, აბა, რა მომათმენინებდა, რომ შეთე პაპას დაკრძალვაზე არ წავსულიყავი და საკუთარი თვალით არ მენახა მისი შვილები...

ვნახე და გავოგნდი. საოცრად ჰგავდა სამივე შეთეს. განსაკუთრებით საშიკო — კეხიანი ცხვირით და ხშირი, გადაბმული წარბებით... გუგული სიარულისას მთლად შეთესავით მიათრევდა მძიმედ მარჯვენა ფეხს, ქერა და ცისფერთვალება ვანოც მასავით ალალად ილიმებოდა და იჩეჩავდა მხრებს გაოცების ნიშნად!.. შეთეს სისხლი ამოძრავებდა მათ გულებს, შეთეს სიყვარული ედგათ თვალებში...

დაკრძალვის შემდეგ, სხვები რომ ქელეხის სუფრას მიუსხდნენ და მირონივით ღვინით შეთეს შესანდობარს სვამდნენ, რატომღაც მე ვენახისკენ გამიწია გულმა. თუმცა მარტის დასაწყისში სიცოცხლისა ბევრი არაფერი ეტყობოდა ნაზამთრალ ვაზს, მაინც შევნიშნე, რომ აქა-იქ უცნაური ნაჟური გასჩენოდა დახრილ ტოტებს — ტიროდა ვაზი... მართლა ტიროდა, და მივხვდი, რომ ვაზია თავად სიცოცხლე, თავისი სისხლით, მადლით, ცრემლებით...

**P.S.** ბაბუაჩემიც მაშინ მოკვდა, როცა ვაზი შეუგინეს: — ვის რალაში სჭირდება, ავჩეხოთ, ახლა საზამთრო უფრო სარფიანია, ღვინოს წყლითა და შაქრითაც დავაყენებთო!..

ჭკვიანი კაცი იყო ბაბუაჩემი, სულელებთან კამათი არ იკადრა, უთქმელმა დარდმა გაუხეთქა გული...

*ინგა ჯაყელი*






## რას გვეტყვი, მამაო?

**— სამეგრელოში ხშირად ნახავთ ოჯახის სალოცავებს, სადაც მიწაში ჩაფლული ქვევრების თავზე, აღდგომის წინადღეს დაკლული პირუტყვი გააქვთ. გადიან მხოლოდ კაცები. მთაში ყველაზე უფროსი ქვევრებს ამ საკლავს შემოატარებს, დაილოცებიან და შინ მიირთმევენ. გთხოვთ გვიპასუხოთ, ამ წესს ქრისტიანობასთან რა საერთო აქვს.**

— რასაც თქვენ ბრძანებთ, ქრისტიანობასთან საერთო არ აქვს. მხოლოდ ძველი აღთქმის, ანუ ქრისტეს მოსვლამდე, ეკლესიებში იყო მსხვერპლად შეწირვის წესი, რაც სიმბოლურად იესოს მომავალ ჯვარცმას განასახიერებდა. ამით ებრაელები სიმბოლურად იხსენებდნენ იმას, რომ მომავალი უფალი კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდად უნდა შეწირულიყო. თქვენგან ხსენებული რიტუალი იმ დროის გამოძახილი გახლავთ. დღეს ქრისტიანული კანონიკა მსხვერპლად შეწირვას უარყოფს. უკანასკნელი მსხვერპლი ჩვენი ცოდვების მტვირთველი ჯვარზე გაკრული ქრისტე გახლდათ.

**— როცა დავქორწინდი, ოჯახის წევრებმა მითხრეს, ჯერ შენთვის მარხვა არ შეიძლებაო. მეც დავეთანხმე, ცოდვა ხომ არ ჩავიდინე?**

— უნდა გითხრათ, რომ დაუფიქრებლად ცოდვა მართლაც ჩაგიდენიათ. საქმე იმაშია, რომ მარხვა შეინახოთ თუ არა, ეს დამოუკიდებლად ან ოჯახის რჩევით კი არა, მოძღვართან შეთანხმებით უნდა გადაწყვიტოთ. ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე, მოძღვარს შეუძლია მარხვის შერბილებაზე კურთხევა მისცეს... რახან განიცდით, მიბრძანდით ეკლესიაში, თქვით ამის შესახებ აღსარებაში და ეზიარეთ. საერთოდაც, ოჯახურ პრობლემებზე ესაუბრეთ მოძღვარს — ეკლესიურობა გამაძლიერებელია ოჯახისა. მოძღვრის ლოცვა-კურთხევა თქვენი ოჯახის მომავალს კეთილად წარმართავს.

**— ნაცნობმა, რომელიც ერთ-ერთი სექტის წევრია, თავისი დაწერილი ხატი მაჩუქა. მე იგი კედელზე დავკიდე, ცოდვას ხომ არ ჩავდივარ? ცოდვა ხომ არ არის ის, რომ ამავე სექტას, როგორც ხელოსანმა, სამუშაო შევუსრულე და მასში გასამრჯელო ავიღე?**

— სექტანტის დაწერილი ხატი შინ არ უნდა გქონდეთ. საქმე ისაა, რომ ხატი უფლის საჭვრეტი სარკმელია და თუ ეს სარკმელი არაქრისტიანული ხედვით არის შექმნილი, ეს ხედვა უფალს დაგაშორებთ. გარდა ამისა, ყოველი ხატი საეკლესიო კანონიკითა და ეკლესიის ლოცვა-კურთხევით უნდა იწერებოდეს. სხვანაირად მას მადლი არ ექნება. რაც შეხება სამუშაოში გასამრჯელოს აღებას: თქვენ ერში ცხოვრობთ და ეს ცხოვრება სხვადასხვა ადამიანთან შეგახვედრებთ. თქვენი პროფესიის გამო შეიძლება ამ ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობაც გქონდეთ და გასამრჯელოც აიღოთ. ასე რომ, სამუშაო შეასრულეთ და სარჩო მოიპოვეთ, ოღონდ გახსოვდეთ, რომ მათი რელიგიური აზროვნების თანამონაწილე არ გახდეთ და ამით ზიანი არ მიაყენოთ საკუთარ რწმენას.

**— გთხოვთ, ამიხსნათ, რას ნიშნავს განბანვა და არის თუ არა განმბანველი ნათლია?**

— სანამ ჩვენში ტაძრებს შემუსრავდნენ და ყველა ეკლესია ქრისტიანული კანონიკის სრული დაცვით მუშაობდა, მონათლულ ადამიანს მღვდელი განბანდა ნათლობიდან 3 დღის შემდეგ, — ხოლო მაშინ, როცა უფლის მსახურნი ცოტანი დარჩნენ და თვით მოსახლეობის რწმენაც შეირყა, ეს წესიც დავიწყებას მიეცა. თუმცაღა ქრისტიანის ცნობიერებაში რწმენის სიმბოლოდ დარჩა და გაბანვას ოჯახის ახლობელს ანდობენ, მყამად განბანვის რიტუალს თვით მღვდელი ასრულებს ნათლობის დამთავრებისთანავე.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „მეტალურგიულ კომბინატში სიმინდის დათესვას აპირებენ“

**(დასაწყისი იხ. გვ. 6)**

დახურულ სხდომას ათამდე ისეთი პირი ესწრებოდა, რომლებიც, წესით, იქ არ უნდა ყოფილიყვნენ. დღესაც ვერ გავარკვიეთ ზოგიერთის ვინაობა. მათ კრება ბალაგანად აქციეს. ყური არ ათხოვეს ჩვენს არგუმენტებსა და მოსაზრებებს, რომლებიც კომბინატის აღორძინებას შეეხებოდა. სხდომა ლამის სასამართლო პროცესად აქციეს როგორმე ჩვენს გასამტყუნებლად. ერთი სიტყვით, სხდომა უშედეგოდ დასრულდა, ანუ როგორც ქართველები ამბობთ — დარჩა კრება მხიარული. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბენო ქაშაკაშვილს ზურგს ამოფარებულ პირებს ქარხნის უკანონოდ ხელში ჩაგდება და ფულის გაკეთება უნდათ, მაგრამ სამწუხაროდ, არ იციან კანონიერი ბიზნესით ფულის გაკეთება. უკანონო ფულის კეთებამ კი საქართველოს ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი სახელმწიფო სადამდე მიიყვანა, თავადაც მოგეხსენებათ.

**— თქვენ ქართული მხარე გადანაშაულებთ იმაშიც, რომ ქარხნისთვის აუცილებელი ელექტროღუმელი დღემდე არ იყიდეთ.**

— ელექტროღუმელის დამონტაჟება 2005 წელს არის გათვალისწინებული. ძალიან ჩქარობენ ქართველი მაფიოზები ქარხნიდან ჩვენს გაგდებას. 2003 წლის აპრილში, როდესაც ქარხნის პრივატიზება მოვახდინეთ, მეორე დღესვე ჩემი აგენტები, სატელეფონო ზარებით აიკლეს — უცნობი პირები ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ, აფრთხილებდნენ, რომ ქარხანა არ ამუშავებულიყო. როდესაც მუქარა ყურად არ ვიღეთ და რეაბილიტაციის პროგრამის ამოქმედება დავიწყეთ, ქარხნის ერთ-ერთმა კრედიტორმა, კერძოდ „კილინგორ-ინვესტორმა“ სასამართლოში საჩივარი შეიტანა. ვფიქრობ, ამ ფირმის უკან ის პირები იდგნენ, რომლებსაც ქარხნის ჯართად დაჭრა სურდათ. სასამართლო პროცესი ნოემბრამდე გაგრძელდა და ჩვენ მოვიგეთ. ამასობაში მოსამზადებელი სამუშაოები მაინც მიმდინარეობდა და მალე მილსაგლინავი საამქრო ავამუშავეთ. რამდენიმე თვის შემდეგ „კილინგორ-ინვესტორმა“ (რომლისაც ქარხანას 12 მილიონი დოლარი მართებს. სხვათა შორის, ვალი ქარხანას ხელოვნურად შეუქმნეს) კვლავ იჩივლა. სასამართლომ პოლიტიკურ ზეწოლას ვერ გაუძლო, ჩვენი ქონება, მათ შორის საბრუნავი საშუალებები, დააყადაღა და იძულებული გაგვხადა, ამუშავებული ქარხანა გაგვეჩერებინა.

ყოველწლიურად რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან 20 ათასი ტონა(?!) ჯართი იყიდებოდა, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია. ვინ დამალა მარტენის ღუმელი? როგორ გამდიდრდნენ გაჩერებული ქარხნის დირექტორები? მე იძულებული გავხდი, დავკავშირებოდი ევროსაბჭოს კომისიის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს და ისინი საქმის კურსში ჩამეყენებინა. გარწმუნებთ, თუ ჩვენი ქარხნიდან გაძევება შეძლეს, ყველაფერს ვიღონებ, რათა ევროპას გავაგებინო, თუ როგორ იცავენ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში. ნუ მაიძულებენ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს მივმართო.

ჩვენამდე რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს ექვსი თუ შვიდი ინვესტორი ჰყავდა. დამისახელეთ თუნდაც ერთი მათგანი, რომელმაც ქარხანაში ერთი აგრეგატის ამუშავება მაინც შეძლო. ჩვენ კი, მიუხედავად დაუსრულებელი სასამართლო პროცესებისა და მორალური წნეხისა, მაინც შევძელით უზარმაზარი საამქროს ამუშავება, ხელფასების და პენსიების გაცემა, ბიუჯეტში თანხების შეტანა და ქარხნის ვალების გადახდაც დავიწყეთ. მეტი რა უნდა გვექნა? მუშაობა გვაცალეთ და გაჩვენებთ, რა შეგვიძლია...

საუბარი **სტას რასლავსკიმ**, იტალიური მეტალურგიული კომპანიების წარმომადგენელმა გაგვაწყვეტინა: — რეაბილიტაციის მმართველად საქართველოს მთავრობამ ბატონ გურამ ქაშაკაშვილის ვაჟი დანიშნა, ხოლო მამა მისი კონსულტანტია. ჩემი აგენტების წყალობით (ისინი 90-იან წლებში საქართველოში მილების შესყიდვას აწარმოებდნენ) კარგად ვიცი, თუ როგორ მოითხოვდა არაოფიციალურად ქაშაკაშვილი ყოველ ტონა მილზე დაახლოებით 50 დოლარს. სამაგიეროდ, იმავე თანხით მილის ოფიციალურ ღირებულებას საბუთებში ამცირებდა, რითაც სახელმწიფო და ბიუჯეტი ზარალდებოდა. ჩვენ ამ უკანონო ოპერაციაზე არ ვთანხმდებოდით და ამიტომ ხშირად უარს ვეუბნებოდით რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს მილების შესყიდვაზე.

კომენტარისათვის მივმართეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკონსტრუქტორო-საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს **გენო უშვერიძეს**: „მხოლოდ იმას გეტყვით, რაც ვიცი, რაშიც დარწმუნებული ვარ და რაც ჩემი თვალით მინახავს. ადრე ქარხანაში ინვესტორის სახელით ვინც შემოვიდა, ყველა აფერისტი იყო. იტალიელებმა კი ტექნიკურად გამართული, თეორიულად დასაბუთებული ბიზნესგეგმა წარმოადგინეს და შეძლეს ქარხნის ამუშავება. ამჟამად ცდილობენ ქარხანაში წარმოებულ მილს საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭოს. ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, საჭიროა კიდევ სოლიდური ინვესტიციები. ინვესტორს თუ პირობები არ შევუქმენით, სხვანაირად არაფერი გამოგვივა. ვწუხვარ, რომ ბევრმა დღეს რევოლუციონერის ნიღაბი მოირგო და ისე აკეთებენ თავიანთ ბინძურ საქმეს“.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველი, **ბენო ქაშაკაშვილი** კი ასეთ კომენტარს აკეთებს: „ჩვენ არავის არაფერს ვერჩით. ვისაც სიკეთის მოტანა შეუძლია რუსთავის მეტალურგიული კომბინატისთვის, ყველასთან მზად ვარ სათანამშრომლოდ. იტალიელმა ინვესტორებმა კი იმთავითვე გამოგვიცხადეს, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ, იტალიელები, არ ვაპირებთ თქვენთან თანამშრომლობას და ქარხანას ვტოვებთო. ამ განცხადებას იმით ხსნიან, თითქოს ჩვენ არ ვაძლევდეთ მუშაობის საშუალებას.

**— სხვა ინვესტორებისგან განსხვავებით, მათ მილსაგლინავი საამქრო აუმუშავებიათ, ხელფასები და პენსიები დაურიგებიათ. თქვენ როგორი ინფორმაცია გაქვთ?**

— ქარხანა მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ამუშავეს. რას აკეთებდნენ დანარჩენ დროს? ქარხანაში ჯერ კიდევ 2003 წლის დასაწყისში შემოვიდნენ. მიზეზად მოჰყავთ სასამართლო პროცესები, რომლებიც თითქოს მათ ხელს უშლიდა მუშაობის დაწყებაში. დიდი ამბავი, თუ პენსიები და ხელფასები დაარიგეს. იმაზე რატომ არაფერს ამბობთ, სამი ათასი ტონა ჯართი რომ გაყიდეს ქარხნიდან? ამონაგები თანხით ხომ ერთი წლის განმავლობაში ბევრი სოციალური პრობლემა გადაიჭრებოდა ქარხანაში? იტალიელებმა უამრავი პირობა არ შეასრულეს — დღემდე არ ჩამოუტანიათ ელექტროღუმელი. სახელმწიფო კომისია გადაწყვეტს, დარჩებიან თუ არა ინვესტორები კომბინატში. ჩვენ, ახალ ხელმძღვანელობას, ყველა რესურსი გვაქვს ქარხნის ორ თვეში ასამუშავებლად...

რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქარხნის გენერალურ დირექტორს, **ნოდარ ღვამბერიასაც**:

**— ბატონო ნოდარ, იტალიელებმა ხელშეკრულება მაჩვენეს, რომლის მიხედვითაც კერძო პირისთვის ლობის შეკეთება დაგივალებიათ, სამაგიეროდ, მას ხუთასი ტონა ლითონის ფურცელი მიუღია.**

— დაადგინეთ, როდის დაიდო გარიგება და მერე ვისაუბროთ.

**— აი, ხელშეკრულება, რომელზეც თქვენი ხელმოწერაა...**

ნოდარ ღვამბერიამ ხელშეკრულების ნახვა არ ისურვა. არც მე ჩავაჟინდი...

**გურამ ქაშაკაშვილი:** „არც ერთი ინვესტორის მუშაობა არ მომწონს. მათ გარეშეც მუშაობდა ქარხანა. მას შემდეგ, რაც ინვესტორები შემოიყვანეს, ქარხანას უზარმაზარი ვალები აჰკიდეს ხელოვნურად. რატომ უნდა წაიღონ იტალიელებმა მოგების 90% და ჩვენ მხოლოდ 10% გადმოგვიგდონ? ქარხანას ვერავის ვაჩუქებთ. მერე რა, რომ იტალიელები ვალებს ისტუმრებენ? 15 წლის განმავლობაში ვალებს ჩვენც გავისტუმრებთ და მეტსაც ვიზამთ“.

*P. S.* დაბეჯითებით ვერ გეტყვით, წავლენ თუ არა იტალიელი ინვესტორები რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან და თუ ეს მოხდა, მაშინ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში მოგვიწევს სირბილი. თუმცა როგორც ქაშაკაშვილები ამტკიცებენ, ორ თვეში ქარხანას აამუშავებენ და მეტსაც იზამენ. ღმერთმა ქნას, ჩვენ ეს გულწრფელად გაგვიხარდება, მაგრამ თუ ვერასოდეს ამუშავდა ქარხანა, მაშინ ვის და რომელი ქვეყნის ინვესტორს მივმართავთ დასახმარებლად? ვფიქრობთ, ამ მნიშვნელოვან საკითხს ახალი მთავრობისგან გულთან მიტანა და დიდი ყურადღება სჭირდება, რადგან ისედაც დაცარიელებული ქალაქი სულ არ გადაგვარდეს. თუ მთავრობის წარმომადგენლების ბოლოდროინდელ განცხადებებს გავიხსენებთ, რუსთავში კაზინოების გახსნაც იგეგმება, გართობა კარგია, მაგრამ მეტალურგიაც რომ სჭირდება ჩვენს ქვეყანას?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ხელისუფლებას ყოველთვის აქვს საშუალება, ვინმეს „კანონიერად“ მიედავოს

აჭარაში გონივრული მოქმედების გამო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტის შექება და მადლობა დაიმსახურა. ალბათ ეს ის ერთ-ერთი უიშვიათესი საკითხი იყო, რომელზეც ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც (თვით აბაშიძის პარლამენტარ მომხრეებსაც კი(!)) ერთნაირი აზრი ჰქონდათ. კარგა ხნის წინ გაუჩინარებული სტაჟიანი ოპოზიციონერი, ვაკის მაჟორიტარი **ლევან გაჩეჩილაძე** გასულ კვირას ხელისუფლებას ტაშს უკრავდა. ამჟამად უკვე უპარტიო დეპუტატს გაუჩინარებისა და დუმილის მიზეზი ვკითხეთ და ისიც, რაზე არ დაუკრავს



ახალ ხელისუფლებას ტაშს?

— ჯერჯერობით, დამოუკიდებელი დეპუტატი ვარ და პროცესებს ვაკვირდები. აქამდე იმიტომ არ ვჩანდი, რომ საჭიროდ არ მიმაჩნდა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე კომენტარის გაკეთება.

**— რატომ ჩათვალეთ საჭიროდ დუმილი?**

— შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის“ ხანის დასრულების შემდეგ პოლიტიკური აქტიურობის საფუძველი არ მქონდა. ახალ ხელისუფლებას კი ჯერ დრო უნდა მივცეთ კონკრეტული შედეგების მისაღწევად. სურვილის გარეშე თბილისის „დინამოსთვისაც“ არ დამიკრავს ტაში (ვერც ვერავინ დამაკვრევინებს), მაგრამ გასულ კვირას ტაში ნამდვილად დავუკარი აჭარაში მოპოვებულ გამარჯვებას. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი იმით, რომ უსისხლოდ მივაღწიეთ წარმატებას. მართლაც სადღესასწაულო განწყობა მქონდა. ასეთ არაორდინარულ ვითარებაში კაცმა რომ შენი კომენტარები „აკვეტო“ თავის გამოჩენისა და პოპულარობისთვის, სწორად არ მიმაჩნია (მით უმეტეს, როდესაც ინფორმაციასაც არ ფლობ სრულყოფილად). ჩემი დუმილის მიზეზი ისიც იყო, რომ პარტიიდან წამოვედი და ამაზე ლაპარაკიც არ მინდოდა. მე და დათოს ერთმანეთთან ძალზე ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, რომელიც პარტიულ ინტერესებსა და პოლიტიკაზე მაღლა დგას. რატომღაც ზოგიერთი პოლიტიკოსობასა და ადამიანურ, ქართულ ფასეულობებს ერთმანეთს ვერ უთავსებს, მეგობრობაშიც პოლიტიკოსებად რჩებიან. კაცი, რომელიც პირად ღირსებასა და ურთიერთობებს უღალატებს, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. ხალხის სიყვარული ხომ ეროვნული ფასეულობების დაცვით მოიპოვება? ამიტომ მიმაჩნია, რომ პარტიას ერთი ლიდერი უნდა ჰყავდეს. კარგია, როდესაც განსხვავებული აზრიც არსებობს, მაგრამ გადაწყვეტილებას ერთი კაცი უნდა იღებდეს.

**— ხომ არ გიხილავთ ისევ „მემარჯვენე ოპოზიციის“ ფრაქციაში?**

— არა, ამ საკითხზე ლაპარაკი უკვე დამთავრებულია. პარლამენტში ყველა ძალასთან თემატურად ვითანამშრომლებ. თუკი ხელისუფლება ჯანსაღ გადაწყვეტილებას მიიღებს, რამდენჯერაც მომიწევს, იმდენჯერ დავუკრავ ტაშს და არ მომერიდება; ხოლო რაც შეეშლებათ და იმ საკითხში კომპეტენტური თუკი ვიქნები, აუცილებლად გავაკრიტიკებ, არ გავჩუმდები. ავიღოთ თუნდაც პლებისციტის საკითხი, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა. მას მხარი დავუჭირე იმიტომ, რომ უბრალო განცხადებაში ამის ჩაწერა მაშინ, როდესაც პარლამენტის დადგენილებები და განკარგულებები არ სრულდება, პრობლემა არ იყო. განცხადებაში პლებისციტის შესახებ ჩანაწერი სულაც არ იყო იმის გარანტია, რომ ის ჩატარდება. ხელისუფლება აცხადებს, პლებისციტის ჩატარებას სამომავლოდ ვაპირებო. შე დალოცვილო, თუკი ასეთი განზრახვა მართლა გაქვს, ჯერ განცხადებაში უნდა ჩაწერო ეს და მერე რეალურად განახორციელო. კარგი იქნებოდა, გამარჯვებული აჭარლებისათვის ეკითხათ, უნდათ თუ არა ავტონომიის სტატუსი და ხელისუფლებაში მოსულთა ზედმეტი თანამდებობები. თანამდებობაზე რომ ხალხი მოვა და ისინი კიდევ თავიანთ ხალხს მიიყვანენ, მერე გაძნელდება სწორი საზოგადოებრივი აზრის შეტყობა. ხომ იცით, მადა ჭამაში მოდის და აღარც ენდომებათ მაღალჩინოსნებს ავტონომიის სტატუსის შეცვლა.

**— კი ამბობთ, ხელისუფლებას ჯერ უნდა ვაცალოთო, მაგრამ მის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან რომელი არ მოგეწონათ?**

— ბუნებრივია, ხელისუფლებას აქვს შეცდომები — ბევრი ნაჩქარევი და ნაუცბადევი გადაწყვეტილებაა მიღებული. ერთი ნაჩქარევი გადაწყვეტილების დაფარვას მეორე, ასევე ნაჩქარევი ნაბიჯებით ცდილობენ. ხშირად ეს არასწორი ფორმითა და მეთოდებით ხორციელდება, რაც ნაკლებად მისაღებია ჩემთვისაც და საზოგადოების ერთი ნაწილისთვისაც. როდესაც დემოკრატიულ, თავისუფალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ხელისუფლებამ ძალადობას არ უნდა მიმართოს, არ შეიძლება საზოგადოების დაშინება. ეს ახალ პარლამენტშიც იგრძნობა. სერიოზულად ვიმუშავებ, რომ შიში გაიფანტოს აქაც და გარეთაც. პარლამენტარებიც ფიქრობენ, ხმა რომ ამოვიღოთ, ვაითუ, ჩვენც რამე გამოგვიძებნონო. კანონი ორნაირად იკითხება და ამიტომ არსებობენ პროკურორი და ადვოკატიც. ხელისუფლებასაც ყოველთვის აქვს საშუალება, ვინმეს „კანონიერად“ მიედავოს. რა, არ ყოფილა ფაქტები, როცა ტყუილუბრალოდ დაადანაშაულეს ზოგიერთები? რა, „ლიმონკებისა“ და ავტომატების „შეყრები“ არ ხდება?

ასეთი ქმედებებით ინერგება შიში. ჩემმა თაობამ რამდენიმე ომი და რევოლუცია გადაიტანა, ბოლო 15 წელი ძალიან რთული იყო ყველას ფსიქიკისთვის და არ არის საკმარისი? არ მინდა ჩემს შვილებსა და მათ თაობასაც ასეთ ვითარებაში მოუხდეთ ცხოვრება. არ არის საჭირო ძალის დემონსტრირება მაშინ, როდესაც კაცი თავისი ფეხით მიდის და ჯდება საკანში. ის ხალხი, რომელთაც ფული გადაიხადეს, დარწმუნებული ვარ, ერთი და ორთვიანი პატიმრობის გარეშეც გაიღებდნენ ფულს. ვფიქრობ, ხელისუფლებას უნდა ეყოს გონიერება, რომ განსხვავებული აზრის გამო ვილაცის საქმიანობას ხელი არ შეუშალოს. რა ვქნა, მალე 40 წლის გავხდები და შიშის გამო პრინციპებს ვერ შევიცვლი. ამ ქვეყნიდან რომ წავალ, ვერც ბიზნესს წავიღებ და ვერც ფულს, მხოლოდ სახელი წამყვება. აქედან გამომდინარე, სახელს და ჩემს პრინციპებს ყველაფერს ვანაცვალებ, რაც გამაჩნია.

***მარი ზანდუკელი***



# გაქცევა



ასლან აბაშიძის რეჟიმი დაემხო და გაცილებით სწრაფად, ვიდრე ამას ბევრი მოელოდა. ჯერ კიდევ გაქცევის წინაღამეს ის თავის მომხრეებს ეუბნებოდა — აჭარას არ დავტოვებო, მაგრამ ბათუმში შუამავლად ჩასულ რფ-ის უშიშროების საბჭოს მდივანთან, იგორ ივანოვთან ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ ვაჟთან, გიორგისთან ერთად, ივანოვის თვითმფრინავით მოსკოვს გაფრინდა. მეორე თვითმფრინავით მოსკოვისკენ აიღო გეზი აჭარის უშიშროების მინისტრმა იოსებ გოგიტიძემ და აბაშიძესთან დაახლოებულმა რამდენიმე პირმა. ამრიგად, ბრძოლა ბათუმისთვის საქართველოს ხელისუფლებამ მოიგო და იქ სრული კონტროლი დააწესა.

გამთენიისას კი ბათუმში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა და მაშინვე განაცხადა: — პუტინმა კონსტრუქციული როლი ითამაშა, სისხლი რომ არ დაიღვარა, ამაში მასაც მიუძღვის წვლილიო. მიხეილ სააკაშვილს მართლაც ჰქონდა სამადლობელი — ბათუმისთვის ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, საქართველოს მეთაური ორჯერ ელაპარაკა ვლადიმირ პუტინს და სთხოვა, პოლიტიკური თავშესაფარი მიეცა აბაშიძისთვის, თუკი ის ნებაყოფლობით გადადგებოდა და მოსკოვში გაფრინდებოდა.

აჭარული კრიზისის მანძილზე, მოსკოვს ორი მიზანი ამოძრავებდა. პირველი, რომ კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო და ამას მიაღწია კიდეც; ამავე დროს, ცდილობდა (თუმცა, ოფიციალურად ამას არ აღიარებდა), მისთვის სასურველ აბაშიძეს ხელისუფლება შეენარჩუნებინა, ეს კი არ გამოუვიდა. უკანასკნელ წუთს, ეტყობა, კრემლში მიხვდნენ, რომ ორივე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო და გადაწყვიტეს, ერთი მაინც მიეყვანათ ბოლომდე. ახლა მოსკოვს უფლება აქვს, თბილისს სამაგიერო მოსთხოვოს. სარწმუნო ცნობით, სწორედ ამაზე იყო საუბარი მოსკოვში ვიზიტით ჩასულ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან სალომე ზურაბიშვილთან. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, მოსკოვი „თბილისისგან ელის ჩეჩნეთის „საინფორმაციო ცენტრების“ და „იჩქერიის წარმომადგენლობის“ დახურვას, პანკისის ხეობის „ბოევიკებისგან“ გაწმენდას, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში აფეთქებების ორგანიზატორის აჩიმეზ გოჩიაევის დაკავებასა და ექსტრადიციას“. მხოლოდ ამ პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ დადგება საკითხი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემსუბუქებისა. ქართველი მინისტრი მოსკოვს დაჰპირდა, — მაქსიმალურად გავითვალისწინებთ მოსკოვის სურვილებსო და კიდევ ერთხელ გადაიხადა მადლობა „აბაშიძისთვის“.

მოსკოვის მიერ ასლან აბაშიძის გაწირვა (რომელსაც თავდაპირველად ჭადრაკის მხედრის როლი ჰქონდა), თბილისის მიერ ბრწყინვალედ გათამაშებული პარტიის შედეგია. აჭარის კრიზისის მანძილზე საქართველოს ხელისუფლება უშეცდომოდ, გეგმაზომიერად მოქმედებდა. მას გამიზნული ჰქონდა ნელ-ნელა გაეძლიერებინა ზეწოლა ბათუმზე და ასლან აბაშიძე აეძულებინა, შეცდომები დაეშვა. გეგმამ გაამართლა — ფოთში გამართულმა ფართომასშტაბიანმა სამხედრო სწავლებებმა ასლან აბაშიძე წყობიდან გამოიყვანა და მან აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან ხიდების აფეთქება ბრძანა. ეს იყო მისი უდიდესი შეცდომა — აჭარის ლიდერმა ამით პირველმა ჩაშალა თბილისთან დიალოგის ხიდი. ქართული ხელისუფლების მეორე სვლა, ბათუმში აჭარის ოპოზიციის მცირე და უწყინარი მიტინგი იყო. აქაც მეორე დიდი შეცდომა დაუშვა აბაშიძემ — ოპოზიციონერების დარბევა ბრძანა და შედეგად თბილისის მიერ დაგებულ მახეში გაება: მცირე საპროტესტო აქცია უზარმაზარ მიტინგად იქცა. ამის შემდეგ პროცესი უმართავი გახდა. საქართველოს ხელისუფლებას მოგებულ პარტიაში მარტო წერტილის დასმა დასჭირდა. თბილისში იცოდნენ, რომ ასლან აბაშიძე საქართველოს ხელისუფებას არ ჩაჰბარდებოდა, საჭირო იყო ბათუმისთვის მისაღები შუამავლის პოვნა და ამ როლისთვის იდეალური იყო იგორ ივანოვი, რომელსაც უკვე ჰქონდა ამის გამოცდილება და შედეგმაც არ დააყოვნა.

თბილისის მიერ გათამაშებულ პარტიაში დაფაზე არ ჩანდა ფიგურა, რომელიც გადამწყვეტი იყო პირველი ვარდების რევოლუციის დროს — აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი...

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# აფხაზეთს ქართული ვარდები არ მოსწონს

6 მაისს მოსკოვში მოულოდნელად ჩაფრინდა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი რაულ ჰაჯიმბა. — პირად საქმეებზე ჩამოვედი. ეს საქართველოში მომხდარ ამბებთან არავითარ კავშირში არ არისო, — განაცხადა მან, მაგრამ ეტყობა, თვითმარქვია რესპუბლიკის პრემიერმა იცრუა. სოხუმი სერიოზულად შეაშფოთა აჭარის კრიზისის დასასრულმა და განსაკუთრებით პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ასლან აბაშიძის კაბინეტის ფანჯრიდან წარმოთქმულმა სიტყვებმა: — დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე სოხუმში შევალთო. ჰაჯიმბამ აღიარა, რომ აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესაბამის დამატებით თავდაცვით ზომებს იღებენ.

სოხუმში მყოფმა ვლადისლავ არძინბამ კი განაცხადა: — საქართველოს ხელისუფლება ახლა ეიფორიაშია. ჩვენთან ვარდების რევოლუცია არ გამოუვათ, რადგან აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ის საქართველოს ნაწილი არ არის და აქ არც ქართველები ცხოვრობენო.

***კომერსანტი***

# აბაშიძე რუსეთის ერთგული მოკავშირე იყო...

ბათუმის ბულვარზე, პლაჟსა და ჩოგბურთის კორტებს შორის უცნაური ნაგებობაა წამოჭიმული, რომელიც ეგვიპტურ პირამიდას წააგავს. ამბობენ, იქ რომ შეხვალ, ყველა ავადმყოფობა და უსიამოვნება მოგშორდებაო. მაგრამ საოცრება-პირამიდამ თავად აჭარის ლიდერს ვერაფერი უშველა... ახლა რა იქნება აჭარაში — მხოლოდ ღმერთმა უწყის. აბაშიძის გარემოცვა არ მალავდა, რომ ასლან აბაშიძე პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებდა რესპუბლიკაში ყველაფერს, რასაც შემოსავალი მოჰქონდა. ერთი მხრივ, ეს კარგი იყო, რადგან მისი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით აჭარაში (დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით) მუშაობდა საწარმოები, ადგილობრივ ხაზინას კი ფული ჰქონდა. მეორე მხრივ, აჭარის აშკარა განკერძოება აღიზიანებდა თბილისს, რადგან შემოსავლების უმეტესი ნაწილი (ავი ხმები ამბობენ, მთელი შემოსავალი) პალმების და მაგნოლიების მხარეში რჩებოდა. შეეგუებოდა ახალგაზრდა პრეზიდენტი იმას, რომ აბაშიძეს საკუთარი ძაღლსაშენი და ავიაპარკი აქვს, რომ აბაშიძემ საკუთარი შვილი ბათუმის მერად დასვა, ხოლო მისი ნათესავები — ნავთობტერმინალში, პორტსა და სარფის საბაჟოზე დათარეშობენ? ცხადია — არა, ყოველივე ეს არ შეესაბამება იმ დემოკრატიულ პრინციპებს, რაზედაც ასე ხშირად და გულმხურვალედ ლაპარაკობს სააკაშვილი. მაგრამ ისმის კითხვა: შეძლებს კი ის საქმის აწყობას ისე, რომ კვლავ იმუშაონ დაწესებულება-საწარმოებმა, ხალხმა პენსია და ხელფასი მიიღოს, ხოლო ღამღამობით ქუჩებში წესრიგი იყოს? „ფეოდალი“ აბაშიძე ხომ ამას ახერხებდა. „დემოკრატ“ სააკაშვილს წინ ძნელი გზა აქვს, მისი დეკლარაციები თითქოს სასიკეთოა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ზოგჯერ სიკეთის ქმნის სურვილი ავ ნაყოფს გამოიღებს. ამერიკელები ერაყში ტირანიისგან არაბების გადასარჩენად მივიდნენ, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ ნახა. აბაშიძე სეპარატისტი არ იყო, ის არასოდეს ლაპარაკობდა თავისი პატარა ავტონომიის გამოყოფაზე. მან თავისი სამყარო შექმნა — იმ კანონებით, რომელიც მისაღებად და კანონიერად მიაჩნდა. სუსტი შევარდნაძე იძულებული იყო, შეჰგუებოდა ამ თავნებობას, ენერგიულმა სააკაშვილმა კი, რომელიც ამერიკელების იმედზეა, წესრიგის აღდგენა გადაწყვიტა. ბოლო წლებში აჭარის ლიდერი რუსეთის მტკიცე და თანამიმდევრული მოკავშირე იყო. ის პირადად კურირებდა რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებულ საკითხებს, სწორედ მან წამოიწყო რამდენიმე ეკონომიკური პროექტი, კერძოდ, ბათუმის გარეუბანში ელიტური საცხოვრებელი რაიონის მშენებლობა. გააგრძელებს ასლან იბრაგიმოვიჩი რუსეთთან ერთად ბრძოლას, უკვე დაკარგული ძალაუფლების და ბიზნესის დასაბრუნებლად? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წავა საქმეები საქართველოში.



***როსიისკაია გაზეტა***

# საქართველოს მოვლენები რუსეთის ზესახელმწიფოს დაშლის დასაწყისია

იგორ ივანოვის სცენაზე გამოჩენა იმის მაუწყებელია, რომ კავკასიის დასუსტებულ მმართველებს სასიკეთო არაფერი ელით. მან ჯერ კიდევ ნოემბერში შევარდნაძე დაარწმუნა, გადამდგარიყო. ამჯერად კი აჭარაში მოაგვარა ჭირვეული თავადის, ასლან აბაშიძის წასვლის საქმე და თან წაიყოლა მოსკოვის გადასახლებაში.

თვითმფრინავში მსხდომთ ნამდვილად არ ჰქონდათ სამხიარულოდ საქმე — აბაშიძის გადადგომა ამიერკავკასიაში რუსეთის ჰეგემონიის გედის სიმღერაა. ის შეიძლება ამ ათწლეულში რუსეთის ზესახელმწიფოს დაშლის დასაწყისიც გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გადადგომა მოსკოვის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ივანოვი თავისი მთავრობის მითითებით მოქმედებდა. ვითომდა მომრიგებლის მანტიით შემოსილი კრემლი ფარ-ხმალს არ ჰყრის, ცდილობს, არ შეიმჩნიოს სისუსტე და კონცეფციის უქონლობა. კავკასიაში მოსკოვის საქმე წასულია.

სააკაშვილის ვარდების რევოლუცია საქართველოს განსამტკიცებლად იყო გამიზნული. მსგავსი მოვლენა შეიძლება მალე სომხეთშიც მოხდეს, რომელიც ამ რეგიონში მოსკოვის უკანასკნელი და ერთგული მოკავშირეა.

ყოფილი კოლონიებიდან გასვლა რუსეთის იზოლაციას გამოიწვევს და თვალნათლივ მიანიშნებს იმას, რომ მოსკოვი მოკავშირეებად მხოლოდ სუსტ სახელმწიფოებს და ავტორიტარულ რეჟიმებს მიიჩნევს. იქ, სადაც დემოკრატია იმარჯვებს, რუსეთს არ დაედგომება, მაგრამ ბათუმის მოვლენების შემდეგ, იმ სახელმწიფოთა მმართველებმა შეიძლება შეხედულებები შეიცვალონ და იფიქრონ, — რად გვინდა ისეთი მოკავშირე, რომელიც გაჭირვებაში ვერაფერს გაგვიკეთებს ერთის გარდა — ჩამოგდებულ ხელისუფალს თან წაიყვანს და მოსკოვის გარეუბანში, აგარაკზე დაასახლებს...

***ტაგეს ცაიტუნგი***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწები ბრძნობენ

— ელენე, ეს ბარათაშვილის ძეგლია, სახლში რომ მივალთ, წიგნს გაჩვენებ, ბევრი ლექსი დაწერა — უხსნის პატარა ელენე ელიაშვილს ბებია.

— დუმბაძის ლექსები? — გაუხარდა ელენეს.

***

ლულუ ბებო უხსნის პატარა ტატოს, თუ რა განსხვავებაა დედალსა და მამალს შორის.

— დედალი ქათამი ქალია და კვერცხს დებს, მამალი — კაცია და ყივის.

— ე.ი. მე კაცი და მამალი ვარ. შენ ქალი ხარ და დედალი ხომ? — კითხულობს ტატო.

— ჰო, შვილო, — პასუხობს ლულუ ბებო.

— მერე, შენ კვერცხს დებ? — უკვირს ტატოს.

***

5 წლის ლევანიკო ლომინეიშვილი სტუმრად მისულ დეიდას უხსნის:

— მანანა დეიდა, იცი, კატა ვეფხვის ნათესავია, ძაღლი — მგელის, ლომი კი — ჩემი...

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„ხალიანი ცხოველია, ლამაზი და ჭკვიანი, განსაცდელში ცრემლებსა ღვრის, როგორც ადამიანი“.***

I



II **ნახატში გამოტოვებული ადგილების ნაცვლად შეარჩიე შესაბამისი ფრაგმენტები**




## იესოს ამაღლება

**ბიბლიური მოთხრობა**

თერთმეტი მოწაფე გალილეას წავიდა, მთაზე, სადაც უბრძანა მათ უფალმა. იქ იხილეს იესო და თაყვანი სცეს მას. იესო მივიდა მათთან და უთხრა: „მამამ მომცა მე ძალაუფლება ცაზედ და მიწაზეც. ამ ძალაუფლებით გაგზავნით მე. წადით ყველა ხალხთან. ასწავლეთ მათ და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით. ასწავლეთ მათ და უთხარით ყველაფერი, რათა მათ ისე იცხოვრონ, როგორც მე გიბრძანეთ. დარწმუნებული იყავით, მე თქვენ არ მიგატოვებთ. მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე“. და გაიყვანა ისინი ბეთანიამდე და აღაპყრო ხელნი და აკურთხა ისინი და ამაღლდა ზეცად. ვიდრე ისინი ცას შეჰყურებდნენ მისი ამაღლებისას, მათ ორი კაცი წარუდგა თეთრი სამოსით, რომლებმაც უთხრეს: „გალილეველნო, რას დამდგარხართ და შეჰყურებთ ცას? იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად ამავალი იხილეთ იგი“.

ამაღლდა უფალი ზეცად და დაჯდა ღმერთის მარჯვნივ. ხოლო მოწაფეებმა თაყვანი სცეს მას და დიდი სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმს მთიდან. ისინი დადიოდნენ მუდამ ტაძარში, ადიდებდნენ და აკურთხებდნენ ღმერთს.

როცა სრულდებოდა ორმოცდაათობის დღე, (იუდეური დღესასწაული, რომელიც იმართებოდა პასექიდან 50-ე დღეს) ყველანი ერთად იყვნენ ერთ ადგილას და ანაზდად იგრგვინა ზეცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ და მოევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს, და აღივსნენ ყველანი სულით წმიდით და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ.

ხოლო მოწაფეები წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან უფლის შეწევნით, რომელიც განამტკიცებდა სიტყვას მათი თანმხლები სასწაულებით. ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ, მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ალბათ ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს.

**ისრების მიხედვით გაიარე ქოლგის ლაბირინთში**



III აბა, გამოიცანი

**1) რომელი არ მიეკუთვნება სიმებიან საკრავს?**
ა) არფა; ბ) ჩელო; გ) ბანჯო; დ) დაირა.

**2) რომელი ქიმიური ნივთიერებით ამუშავებენ სასმელ წყალს წყალსადენში?**
ა) გლიცერინით; ბ) ქლორით; გ) სოდით; დ) შაბიამნით.

**3) ამათგან რომელია საგალობელი?**
ა) „ჩაკრულო“; ბ) „ხასანბეგურა“; გ) „შენ ხარ ვენახი“; დ) „წინწყარო“.

**4) რომელი არ განუკურნავს იესოს?**
ა) ყრუ-მუნჯი; ბ) უსინათლო; გ) მთვარეული; დ) უფეხო.

**5) ამათგან რომელი ნიშნავს მრავალი ენის მცოდნეს?**
ა) პოლიგლოტი; ბ) პოლემიკა; გ) პოლიტოლოგი; დ) პოლიგრაფი.

**6) როგორ ადამიანზე ამბობენ: „წყალს ნაყავს“?**
ა) ბანაობის მოყვარულზე; ბ) წყალში მხტომელზე; გ) ფუჭად მშრომელზე; დ) ნაყოფიერად მშრომელზე.

**7) რა ეწოდება სახელისა და გვარის პირველ ასოებს?**
ა) ინიციალები; ბ) ინიციატივა; გ) ინერცია; დ) ინოვაცია.

**8) ვინ აღადგინა საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე?**
ა) ვახტანგ VI-მ; ბ) გიორგი ბრწყინვალემ; გ) თამარ მეფემ; დ) თეიმურაზ II-მ.

**იპოვე 10 განსხვავება**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



**„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ✚ და სია აჩვენეთ მშობლებს**

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. ქოშკლე
6. ირმისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნატუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. ნიქარა
26. ალადინი
27. ღორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. ქოჩორა რიკე
30. უფლისწული ბაყაყი
31. ბულბული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ტყე
48. არვიტიას ამბავი
49. ჯიუტი სპილუკა
50. შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

*„ჯერ სიმაღლის შიში უნდა დათრგუნო, მერე ასვლის ხერხები ისწავლო, გული და მუხლი შეაჩვიო... მწვერვალებს“.*

***მამის დარიგება***

# „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს...“

წლებს რომ შეეძლოს გაზომოს მანძილი, რომელიც ადამიანმა გაიარა, ვინ იცის, რამდენჯერ შემოვუვლიდით დედამიწას... მას არ უვლია ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის: მთა-მთა, მწვერვალ-მწვერვალ, კლდე-კლდე ნახტომებით, ცეკვით შემოუარა დედამიწას. მისი ცხოვრება უფსკრულით იყო შემოწერილი და მაინც ღრუბლებს ზევით მიილტვოდა. სადაც ის სუნთქავდა, იქ არწივებსაც უჭირთ აფრენა. ცისკენ მიმავალი გზა-ბილიკებიდან ეალერსებოდა დედამიწას. მისი ნაკვალევი ატყვია უშბას, პამირს, ტიანშანს, საფრანგეთისა და იტალიის მთათა მწვერვალებს. რამ ჩაუსახლა სულში მათი დაჯაბნის წადილი, თავად არ განუსჯია აროდეს. ერთი კია: უპატრონოდ მიტოვებული, შეუვალი და განდგომილი მყინვარები წარმართებივით იდგნენ და ელოდნენ... გაყინულ მკერდში ვიღაცის ჩახუტება ენატრებოდათ, ვიღაცის სითბო, მათზე ამაყის, ამაღლებულის, ვინც დაარღვევდა მათ საუკუნო მდუმარებას და მოვიდა იგი — სვანეთის მთებიდან...

## ფესვები

**მირონ ხერგიანი:** მწერალი, ავტორი წიგნისა „კლდის ვეფხვი“:

— „საოცარია მთა: შეგიჩვევს და ველარ მოსცილდები. თანდათან მშობელივით ახლობელი და საყვარელი ხდება. მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე მიწაში“. — ამბობდა ხოლმე მიხეილ ხერგიანი. ველარ მოსცილდა. ველარ უღალატა. ველარ შეელია, რადგან უკვე ღრმად ედგა ფესვები, რადგან იყო ბეთქილი, ჩორლა, მურათბი კიბოლანი, ალიოშა და გიო, ბექნუ და ჭიჭიკო, გაბრიელი და გოჯი, მაქსიმე და ბესარიონი... და იყო ორი მიხეილ ხერგიანი. „უმცროსი“ და „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილი. ისინი „ლომის ხეობის“ მონადირეები და მთამსვლელები იყვნენ, ყინულოვან მწვერვალთა მოტრფიალენი, იმათ სვე-ბედთან წილნაყარნი. ისინი თითქოს ფანტასტიკური სამყაროდან მოვიდნენ და ჩვენს თვალწინ შეერწყნენ რეალობას. მიხეილზე ამბობდნენ, ცალი თითით შიშველი კლდის ქიმზე რომ დაეკიდოს, მთელი კვირა კვნესა არ ამოხდებაო. შოტლანდიაში, კლდეზე მიშას ცოცვით გაოცებულ ინგლისის დედოფალს ორად ორი სიტყვა უბრძანებია: „კლდის ვეფხვი“. ამ სახელით გაიცნო იგი მსოფლიომ. ეს ეპითეტი იქცა მისი აღიარების სიმბოლოდ. მიშამ მსოფლიო გაოცებით მოახედა სვანეთის მთებისაკენ და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. სვანები მუდამ ქედს იხრიდნენ კაი ყმის წინაშე. მიშას მერე კი თითქოს ყველა გაოცებას გადაეჩვია, დარჩა სიამაყე. „კლდის ვეფხვის“ არსებობით მოგვრილი სიხარული, მისი დაკარგვის წარუხოცელი ტკივილი და სინანული.

სვანები ამბობენ: უშბა და თეთნულდი კლდეა, მიწაა, მიწისა და კლდის მომრევი კი ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულაო. მაგალითებიც თავზესაყრელად ჰქონდათ. ვერ შეედავებოდი — ავსტრალიელთა ჯგუფის, გერმანელი რაიზერის, ალიოშა ჯაფარიძის, ქელებში ონიანისა და მუხინის ტრაგიკული აღსასრული უშბაზე სხვადასხვა დროს, პიმენ დვალისა და სიმონ ჯაფარიძის დაღუპვა ნამქერებში... და მაინც, მიშას მაგიური ძალა ეწეოდა თვალშეუდგამი სიმაღლეებისკენ...

მადლობელი ვარ, რომ თავისი კაცობით ადამიანთა ურთიერთობის ბევრ ამოუხსნელ საიდუმლოს მაზიარა.

* * *

ძნელია მასზე წერა. შაბლონით ვერ მიხვალ მიშასთან. მან ბევრად გაუსწრო რეალობას. ხშირად ვამბობთ, რომ რაც კაცს გადახდება, ბედისწერაა, მომადლებული ნიჭი — ღვთით ბოძებულიო. ვერსად გაექცევი, რაც ბუნებამ დაგანათლა. ამასთან, წიაღია მთავარი. მუხა იმიტომაა ძლიერი, რომ მყარად უდგას ფესვები თავის წიაღში. მუხა ყველგან არ ხარობს... თუ არა უშბასავით ნათელი ბაბუა ანტონი, ვერც მიშა გაიტანდა შორს სვანეთის ფანტასტიკურ სიდიადეს. იყო რაღაც უჩვეული სისხლის დუღილი ამ მოდგმაში. ბაბუა ანტონი მიშას მწვერვალებთან ახლოს, მიუვალ გამოქვაბულებში დატოვებული კაჟის ჩამოტანას დაავალებდა, მასაც კაჟთან ერთად ნანადირევი შურთხიც ჩამოჰქონდა...

— ათი წელია, აღარ ჩამოდიან ლეგვემერის სათიბებში ჯიხვები, არც არჩვები სვამენ ლეხზირის ვეძას, მინაან!.. გააქციეს, დახოცეს და გაანადგურეს. არ კლავდნენ დედა ჯიხვს გიორგობამდე, არ აობლებდნენ ფოთრს (ჯიხვის შვილს. — ავტ.), არ უნდა დაეკოდათ ნადირი ერთზე მეტი, რომ არ გამწყრალიყვნენ დალები ლომის ხეობაში — იქ რომ ახვალთ, შეირიგეთ დალები, იმათაც უყვართ ქარდაკრული ადამიანების ხილვა. მაგრამ იცოდე, მონადირის საქმე სხვაა, მთამსვლელისა — სხვა. ხელმოცარული მონადირე შინაურებთან თუ შერცხვება. მთამსვლელს კი მთელი ქვეყანა ადევნებს თვალს... — ასე არიგებდა დიდ გზაზე გასვლის წინ თითქმის საუკუნემოლეული მოხუცი ბაბუა მიშას.

ასე ყალიბდებოდა ერთი ჩვეულებრივი სვანი ბიჭის ხასიათი — მტკიცე და თბილი, უტეხი და მთის ჰაერივით სუფთა. ამ სამყაროდან ოთხი კაცისოდენა ენერგია შეიწოვა, სახელიც ოთხი ერქვა: მინაანი, ჩვიმლიანი, მიხეილი, მიშა... მთელი ცხოვრება თან დაჰყვებოდა მამის ჩრდილგადაკრული სახე. „დიდხანს ვერ გამეგო, რას



ნიშნავდა დინჯი და დარბაისელი ადამიანის ასეთი აფორიაქება. დიდი ხნის მერე, სახიფათო განსაცდელის ჟამსღა მივხვდი ყოველივეს — მამა მთამსვლელი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამ კლდიან გზაზე მოაჯირიანი ბილიკები არ არსებობდა...“ — წერდა მიხეილ ხერგიანი.

## „მი ქა ხვი“

**აკაკი (ხუტა) ხერგიანი:** მიხეილის ბიძაშვილი, ევერესტის ექსპედიციის მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში:

— მიხეილი მესტიაში დაიბადა. 13 წლამდე იზრდებოდა სვანეთში. დავაჟკაცდა მთებში და სპორტულ სარბიელზე. მთამსვლელად სისხლის ყივილმა აქცია. ხერგიანებს მოდგმიდან ჰყავდათ მთამსვლელთა უბადლო ოსტატები. მიშას მამა — ბესარიონი, „უმცროსი“ მიშა, თვით მიშა და მისი და თინიკო მთასვლელები იყვნენ. მიშამ ბავშვობა კლდეებზე სირბილში გაატარა. ცამეტი წლისა მალულად აედევნა ბანგურიანზე მიმავალ ალპინისტებს, უფროსების დაუხმარებლად გავიდა თხემზე. ღამეც გაუთევია მარტოკას საჯიხვეებზე. იდგა თურმე და თეთრ მწვერვალებს ითვლიდა კავკასიონზე. სიჭაბუკეშივე გაიარა ალპიური სკოლა. თავიდან მაინც ფალავნობით მიიქცია ყურადღება — რომ ვიჭიდავებდიო — იხსენებდა მერე, რომელი ილეთით ვაქცევდი მოწინააღმდეგეს, ვერ ხვდებოდაო. როცა საბჭოთა კავშირს დასჭირდა გამორჩეული მთამსვლელის გაგზავნა საზღვარგარეთ, მაშინ მიაქციეს ყურადღება. მიშა იყო კაცი-ლეგენდა, მოარული სიკეთე. სულ ცდილობდა გზა გაეკვლია სხვისთვის. მის სპორტულ კარიერაში 19 შემთხვევაა ცნობილი, საკუთარი სიცოცხლის ფასად საფრთხეში ჩავარდნილებს რომ გაუწია დახმარება. თითქოს კაჟისაგან იყო გამოძერწილი. ექიმები გაოცებული იყვნენ მისი ჯანმრთელობით. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ხერგიანმა საბჭოთა ალპინიზმში თუ ვინმეს სიმამაცის, გამბედაობის, გამძლეობის კვალი დაუტოვებია, ყველაფერი ერთ ლამაზ თაიგულად შეკრა და ყველაზე დიდ სიმაღლეზე აიტანა. ურთიერთობაში ხომ ბადალი არ ჰყავდა. სამტროდ რომ მისულიყო კაცი, იმასაც კეთილად განაწყობდა. ეს ღვთითბოძებული თვისება გამოარჩევდა ყველასაგან. რუსი კოლეგები ამბობდნენ, მიშა ჯერ დიდი ადამიანია და მერე დიდი სპორტსმენიო. ზოგჯერ კოლეგას იმასაც ასწავლიდა, როგორ უნდა ეჯობნა მისთვის. იყო ასეთი კაცი — ალმაატელი ოლეგ კოსმაჩევი. გიჟდებოდა, ისე უნდოდა ეჯობნა მიშასთვის. მიშა უხსნიდა, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. ერთხელ მართლაც აჯობა. მიშა მივიდა და გადაეხვია. საოცარი ბუნების ადამიანი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და ამას განიცდიდა სასწაულად. მის გახსენებაზე გუნება წაუხდებოდა ხოლმე. ძლივს გამოდიოდა ბურუსიდან. დედის შემდეგ ამ ქვეყნად ყველაზე უფრო „უმცროსს“ შეეთვისა. ისინი სიამის ტყუპებივით იყვნენ. უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. რაღაცას რომ ვეძებდი, მიხო უმალ მომაჩეჩებდა ხელში. ხანდახან მიკვირდა, რა იცოდა, რას ვეძებდი. ერთგან ჩანჩქერი უნდა გამევლო. გავიჭედე, შემცივდა. ამ დროს მიხოს ისეთი შემოხედვა ვიგრძენი, გავთბი, გავმხნევდი, გავედი სამშვიდობოს. ჩემი მიხოს მაგიური სხივი სულ თან მდევდაო — იტყოდა ხოლმე.

ერთხელ უხასიათოდ ყოფილა. კლდეზე წინ წასულს შალვა მარგიანი ელაზღანდარებოდა რაღაცას. გულმოსულს უთქვამს — შემეშვიო. არ შეეშვა შალვა. გაწყრა მიშა, თოკის შეხსნა დაიწყო და ისეთ ქარაფზე დააპირა გადახტომა, სული ვერ გადაყვებოდა — არის წუთები, როცა ყველაფერი სულერთია შენთვის, მართლა აღარაფერი გინდა. ისეთ ხასიათზე ვიყავ, ნამდვილად დავაპირე გადაფრენა უფსკრულში, მაგრამ რომ გადმოვიხედე, მიხოს სასოწარკვეთილ თვალებზე ცრემლი დავინახე და იმან შემაჩერაო... ტიანშანზე თითქმის გაეყინა „უმცროსი“. შეჭირხლული სახიდან ფაქიზად ამტვრევდა ყინულის ლოლუებს. ხელებს უზელავდა. საძილე ტომარაში ფუთნიდა. თან თოვლს უდნობდა, რომ როგორმე მოესულიერებინა მწყურვალი. ეს იყო მწვერვალთან ახლოს, კლდის კიდურზე. გადამაგდეო — ემუდარებოდა თურმე „უმცროსი“, გათოშილი ბაგეებიდან სიკვდილის ხავილი ამოსდიოდა. გადამაგდე, ოღონდ ჩინეთის მხარეზე არაო... თუ არ გადამაგდებ, ძალას მოვიკრებ და მე თვითონ გადავვარდები, აქ, ამ სიმაღლეზე გაყინვას, მიწაზე დანარცხება მირჩევნიაო. — მეც გადმოგყვები — უთხრა თურმე მიშამ მტკიცედ. ის რომ იტყოდა, გააკეთებდა. ამიტომ აიღო ხელი განზრახვაზე „უმცროსმა“. მიშამ ზურგზე მოკიდებული ჩამოიყვანა სამშვიდობოს. შეუდარებელი თამადა იყო. ჩინებულად მღეროდა. რამდენიც არ უნდა დაელია, ფეხი არ აერეოდა. ერთხელ ბიძაშვილის ქორწილში თამადობდა, ბევრი სვა. მიშას ცოლისძმა და უმცროსი ძმა წავიდნენ „წამოსაყვანად“. მიშას წამოსაყვანი გახდა ორივე... ლექსებსაც წერდა. მე მაკითხებდა. სამწუხაროდ, მათ ველარსად მივაკვლიე, ალბათ არ ინახავდა. ინტერვიუს თითქმის არ იძლეოდა. ჟურნალისტებს რასაც ვეუბნები, სხვანაირად წერენ და მრცხვენიაო... მე დაჟინებით მირჩევდა არ გავყოლოდი ალპინიზმს. ერთხელ მითხრა — „მი ქა ხვი“ (მე საკმარისი ვარ). როცა სახიფათო ციცაბოებს შევუყევი, მაშინ მივხვდი, რატომ არ მიმეტებდა კლდე-ღრეებში სახეტიალოდ, იქ ხომ ყოველ წუთს გემუქრება საფრთხე...

## ვის, როგორ ახსოვს...

**ალექსანდრე კუზნეცოვი,** სსრკ-ის სპორტის ოსტატი ალპინიზმში:

— როგორ დავწერო მასზე? აი, გადავშალე ჩემი წიგნი „ვნიზუ სვანეტია“ — მიშასადმი მიძღვნილი. გადავიკითხე და მივხვდი, რომ უკეთესი იქნებოდა, მე მასზე აღარ დამეწერა. იგი უკვე წაიკითხა მილიონზე მეტმა კაცმა. წიგნი მიშაზე მოხვდა მწვერვალ „პობედაზე“ (7439მ) ალპინისტებმა მომიტანეს ერთი ეგზემპლარი, რომელიც მოხსნეს მწვერვალიდან. ეს ჯგუფი „პობედაზე“ დიკის მყინვარიდან ავიდა, ვაჟა-ფშაველას პიკის გავლით, მიხეილ ხერგიანის მიერ 1961 წელს გავლილი მარშრუტით.

მიშა საბჭოთა კავშირის თორმეტგზის ჩემპიონი იყო ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში. მიშა ძმას მეძახდა. მამამისი ბესარიონი — შვილს. შვიდჯერ ვიყავი ზემო სვანეთში. ვცხოვრობდი ბესარიონის ძველ, სვანურ კოშკიან სახლში... მიშა ოცნებობდა მწვერვალ „პობედიდან“ ჩამოესვენებინა და სვანეთში დაეკრძალა ილიკო“ (გაბლიანი).

**გივი ქართველიშვილი:** საქართველოს მთასვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

— 1964 წლის ზაფხულში ბაქსანის ხეობაში, ალპურ ბანაკ „სპარტაკში“, იმდროინდელ ალპინისტურ ელიტას მოეყარა თავი, მიშა ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლაში მწვრთნელად იყო მიწვეული და შეგირდად ქართული ჯგუფი ჰყავდა. ვვარჯიშობდით „კლდის ლაბორატორიაზე“, ყველა ჯგუფს თავისი მონაკვეთი ჰქონდა და ტექნიკის სადემონსტრაციოდ ყველა მიშას იწვევდა. ისიც უსიტყვოდ გადიოდა „სხვის“ ურთულეს მონაკვეთზე. მისი საჩვენებელი ცოცვა სოლო-კონცერტს ემსგავსებოდა, იგი გაოცებდა და რაღაც მაგიურს შთაგაგონებდა. ერთხელ, შესვენებაზე ყველა ერთმანეთში ავირიეთ, ვლაზღანდარობდით, ჩვენი სიცილ-ხარხარის ექო იქაურობას აყრუებდა. მიშა კი იქვე, ხის ძირში მიწოლილიყო და ისე მშვიდად და ღრმად ეძინა, გავოცდით. მისი სულიერი სიმშვიდისა და შესაშური, მოწესრიგებული ბუნების ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

## მთებზე მაღალი კაცი

**ჟან ფრანკო,** ფრანგი ალპინისტი:

— 1967 წელს ხერგიანი მიწვეული იყო ქალაქ შამონის ნაციონალურ სკოლაში. ფრანგები გააოცა მისმა სისხარტემ, მან ონიშჩენკოსთან ერთად ურთულესი ასვლებით გაიარა მონბლანის მასივში. ამ ორმა სპორტსმენმა უპრობლემოდ გაიარა გან-ჟორასის ჩრდილო კედელი, გრან-კაპუცინის აღმოსავლეთი კედელი, პტი-დრიუს დასავლეთი კედელი. მიხეილ ხერგიანი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ყველა დროის მთამსვლელთა შორის. მან ცოცვის მაღალი ტექნიკის დემონსტრაცია უჩვენა ბანკონგის მარშრუტზე.

**გივი წერეთლიანი** — სსრკ-ის სპორტის ოსტატი ალპინიზმში, მიშას მეგობარი:

— მიშასნაირები იშვიათად იბადებიან. რა პროფესიასაც არ უნდა გაჰყოლოდა, ყველა საქმეში აკადემიკოსი იქნებოდა. ძალიან მწყდება გული, რომ მას სუ-ალტოზე შალვა მარგიანი არ ახლდა თან. შალიკო ერთადერთი კაცი იყო, ვინც მიშას თავის ნებაზე არ უშვებდა. სპორტის გზა უსასრულო და მრავალფეროვანია. მაგრამ მიშაზე დიდი ადამიანი ალპინიზმს არ ჰყოლია. 1964 წელს მიშამ „სარკით“ უშბაზე ასვლა გადაწყვიტა. ეს იყო ურთულესი გზა — გაბრიელ ხერგიანის მიერ ერთხელ გავლილი. ჯგუფში მხოლოდ სვანი ალპინისტები იყვნენ: დიდი და პატარა მიშა ხერგიანები, პირიბე გვარლიანი, შოთა ჩართოლანი, ბაგაუ კვიციანი, შალვა მარგიანი და თქვენი მონა-მორჩილი. ჯგუფს ბექნუ ხერგიანი ხელმძღვანელობდა... არ ვაჭარბებ, ეს გმირობა იყო. ასეთ ხასიათებს მხოლოდ მთა ძერწავს...

## სიკვდილთან მოთამაშე

**ვიაჩესლავ ონიშჩენკო** — მოსკოველი ალპინისტი, მიშას მეწყვილე სუ-ალტოზე:

— მე ყოველ ჯერზე მასთან წყვილში ყოფნისას მაოგნებდა ცოცვის მისეული მანერა, პლასტიკური და რბილი. ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნება. ვუყურებდი და ვფიქრობდი — ნეტავ ამ გლუვ კედელზე როგორ ახერხებს მოჭიდებას? ჩვენი ბოლო შეხვედრა იტალიაში საბედისწერო გამოდგა. სუ-ალტოზე გავდიოდით. ეს არის 700-მეტრიანი მე-6 კატეგორიის სირთულის კედელი. შუა გზაზე შევისვენეთ. იქიდან შესანიშნავად ჩანდა სიმწვანესა და ალპიურ ყვავილებში ჩაფლული ხეობა.

— იცი? — მეუბნება მიშა, როცა თვალებს ვხუჭავ, ყველაფერი ეს ჩემს საყვარელ კუთხეს მაგონებს.

გავაგრძელეთ ალმა სვლა. ორასიოდე მეტრიღა დარჩა. მიშა ტრავერსით გადავიდა მარცხნივ და ჩემი მხედველობის არეალს მიეფარა. მოულოდნელად ქვათაცვენის ხმაური შემომესმა და დაზაფრულმა დავინახე, მიშას სხეული უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ქვას თოკი გადაეჭრა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა.




გეთაყვანები სვანეთო, რომ შენს წიაღში ჭეშმარიტი რაინდი იშვა. მან სულ 37 წელი სრული დატვირთვით იცხოვრა. ბედს მადლობას ვწირავ, რომ ასეთ ადამიანთან ურთიერთობის ფუფუნება მარგუნა. რომელ მწვერვალზეც უნდა ავიდე, მუდამ ვგრძნობ მის გასაოცარ სითბოს.

## ბოლოთქმა

ასეთი ადამიანები არ იკარგებიან, არც ბერდებიან. ცაზე არ ქრება მათი ბედის ვარსკვლავი. იალბუზის ყველაზე მაღალი მთის ყინულის ჯავშანს დღესაც ატყვია თენსინგ ნორგეის სტუმრობის საპატივსაცემოდ მიხეილ ხერგიანის ხელით ამოტვიფრული სტრიქონები: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჰიმალაის გმირო!..“

ოცდათხუთმეტი წელია ისევ ელიან სვანეთის მთები. ოცდათხუთმეტჯერ ამოანათეს მის საფლავზე თოვლქვეშ გაყურსულმა ენძელებმა. უმანკო ღიმილი შეაგებეს კავკასიონის შებლშეკრულ მწვერვალებს. მაგრამ ერთი ძარღვიც ვერ შეატოკეს. დგანან გოროზად და შორეულ გზებს გასცქერიან. იქნებ გამოჩნდეს ისევ ის ამაყი, მათზე მაღალი კაცი. პეშვით ამოიტანოს მზის სითბო და დედამიწის სურნელება. ერთხელ კიდევ შეამკოს დაფნის გვირგვინით წარმართი მწვერვალები. დამწუხრებულებს ხანდახან ცრემლი მოერევათ და ჩანჩქერებად იღვრებიან... მარადიული ლოდინია მათი იმედი...

***ეთერ თარიმანი***

# მთამ თუ ერთხელ ჩაგიხუტა, აღარ გაგიშვებს

## ექსკლუზიური ფოტოები უახლესი ისტორიიდან

გამოცანად რჩება, როგორ მოახერხა იმპერიაში შემავალმა, საქართველომ. 50-60-იან წლებში იდეოლოგიად სამშობლოს სიყვარული ექცია. ხალხური პოეზიის ნიმუშები, სიმღერები, ტრადიცია და ადათწესი გაიდეალდა. ახალგაზრდობა წავიდა მთაში, რათა მივიწყებული სიამაყე იქიდან ბარში ჩამოეტანა. მწვერვალების დაპყრობა ვაჟკაცობისა და კეთილშობილების სიმბოლო გახდა. გამოჩნდა არაერთი ნათელი სახელი და ერმა დაადასტურა, რომ მას სულიერი ძლიერება არ დაუკარგავს. მოვა დრო, ქვეყანა თავისი უახლესი ისტორიის წიგნს გადაშლის, რაც იმ დროს ქართველებს უკეთებიათ, ფასს დაადებს...

და არა მარტო მომავლისთვის, აწმყოსთვისაც პირველად ვაქვეყნებთ ფოტოებს, სადაც ჩვენი უახლესი წარსულია შენახული იმ ადამიანებთან ერთად, რომელთათვის მთავარი სამშობლოს მთა-ბარის სიყვარული იყო. ქართველმა გეოლოგმა **ამირან ვიბლიანმა** თავისი არქივი რამდენიმე ხნის წინ „გახსნა" და აქამდე უცნობი კადრების პირველად გამოქვეყნების უფლება ჩვენ მოგვანიჭა.



ქიუხებში. წინა პლანზე გურამ რჩეულიშვილი 1952 წ.

**— 50-იან წლებში ასეთ ფოტოებს იშვიათად იღებდნენ...**

— მაგას ვერ იტყვით, როცა გურამ თიკანაძის ნამუშევრებს ნახავთ. მე და გურამი ერთად ვსწავლობდით გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ვნახე მისი ფოტოები და ყველაფერი დამავიწყდა. ვთხოვე, გადაღება მასწავლე-მეთქი. სვანეთიდან ოჯახმა ფული გამომიგზავნა და აპარატი ვიყიდე. გურამის სახლში, პატარა ლაბორატორიაში, ვბეჭდავდით. პირველი კადრები რომ მჟღავნდებოდა, სიხარულით არ ვიცოდი, რა მექნა. მერე ვუთხარი, წამო, სვანეთში წაგიყვან-მეთქი. გადაირია...

პირველად იყო სვანეთში. როგორც კი დილას, ეზოში გამოჩნდა, შემოეხვივნენ ბავშვები და აღარც მოშორდნენ. ბავშვებთან ერთად მოიარა გარშემო მთა-ფერდობები. ანდამატივით იყო გურამი, ყველას იზიდავდა.

**— და ქალაქელი ბიჭი ველარც მოშორდა მთებს... თქვენ რატომ შეელიეთ ალპინისტობას?**

— მიზეზი მქონდა. ერთი-ორი წელიწადი დავდიოდი ალპინიადებზე, მაგრამ დედაჩემი და ჩემი 17 წლის და ავარიაში დაიღუპნენ. ოჯახში უფროსი შვილი ვიყავი და პასუხისმგებლობა დამაწვა — ხუთი და-ძმისთვის უნდა მეპატრონა. ვუპატრონე კიდეც. ისე, მთებს მხოლოდ გურამი კი არა, სხვებიც ველარ მოშორდნენ. ბევრმა სიცოცხლეც იქ დატოვა... ეს სიმწარე ჩემთან რჩება. გურამი რომ გარდაიცვალა, სვანური წესით ვუთიე ღამე. სვანეთში გურამივით არავინ უყვარდათ. თბილისში პირველი სვანური ზარი სწორედ მისი დაკრძალვის დღეს ითქვა... იმდენად გულსაკლავი იყო, მთელი ჭავჭავაძის პროსპექტი გაჩერდა... იცით, რა მეგობრები მყავდნენ? — ნალდები და ალალები... ყურში ახლაც ჩამესმის, როგორ მღეროდა გურამ რჩეულიშვილი ჩემთან, სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში: — *თეთრი ლობიო მოვხარშე, ხანდახან გაშავდება, ბიჭმა გოგოს რომ აკოცოს, ამით რა დაშავდება...* „ცისკარა" ხომ გინახავთ, აი, ის ცისკარა ჩემი მეგობარი იყო, თამაზ ტოგონიძე. ყველა „ტოგრიკას" ვეძახდით... ასე „დავუმახინჯეთ" ანდრო ჭიჭინაძესაც მშვენიერი გვარი — მთელი თბილისი „ჩიჩიკას" ძახილით დასდევდა უკან. „ჩიჩიკა" ცარიელი გული იყო. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, „გიჟდებოდნენ" თბილისელი გოგონები. აი, ტოგრიკაზე რომ გეუბნებით, იმხელა გოლიათი ისეთი მორცხვი იყო, ქალთან ცეკვა რცხვენოდა.

ჩეხოსლოვაკიაში ვიყავით ერთად, მაშინ „ტვისტი" იყო მოდაში და ყველა ცეკვავდა. შევამჩნიე, ულამაზესი ქალი თვალებით ჭამდა. წადი, გამოიწვიე-მეთქი... არაო, ამხელა კაცმა როგორ ვიცეკვოო. ძალით გავაგდე. უნდა გენახათ, ცეკვა როგორ ააწყო. საერთოდ, იქ ყოფნა კარგად მახსოვს — პირველი საბჭოთა ტურისტები ვიყავით და ისე გვიყურებდნენ, როგორც უცხო ნივთებს. ჩეხი მხატვარი გავიცანით იქ — გურამ თიკანაძემ სუვენირები გაგვატანა მასთან. თან გადაგვყვა ის კაცი. ერთხელ ფეხბურთის მატჩზე დაგვტოვა, თურმე ჩვენთვის ქართული ღვინო უძებნია მთელ ქალაქში. მერე ბავარიული ლუდი დაგვალევინა, პირველად ვსვამდით და ველარ მოვშორდით. რომ ავდექით, გავიხედე — ფულს გვიტენის ჯიბეში. ვერ ავიღებთო, — თავი მოვიკალით მე და ტოგრიკამ. აბა, ყური დამიგდეთო: თქვენთან რომ ვიყავი, გურამმა მთელი საქართველო მომატარა. ბათუმში ისეთი სუ-



ქიუხებში. მარჯვნიდან დგანან: ანდრო ჭიჭინაძე და ამირან ვიბლიანი (მეგობრებთან) 1952 წ.

ფრა დამახვედრეს, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ადგა თამადა და, საიდან გაიგო, არ ვიცი, მამა რომ გარდაცვლილი მყავდა, მამაჩემის შესანდობარი დალია. ჩვენ დიდი გლოვა არ ვიცით. მამა რომ დავკრძალე, მაშინ არ მიტირია, მაგრამ იმ კაცის სიტყვებზე გულამოსკვნით ავქვითინდი. საღამოს სასტუმროში რომ მიმაცილებდნენ, დილით ჯიბეები ფულით მქონდა სავსე. არ ვიცი, ვინ და როდის მიდებდა... თქვენისთანა თბილი ხალხი სიცოცხლეში არ მინახავს, ახლა ვალი უნდა დაგიბრუნოთო...

**— მეგობრებში გაგიმართლებიათ. სვანეთიდან ჩამოსულმა ბიჭმა ამდენი კარგი ხალხი როგორ იპოვეთ?**

— რა ვიცი. ყნოსვით ვგრძნობდით სიალალეს. მაგ ხალხს ყველას მთა უყვარდა. მთა, ხალასი თუ არ ხარ, არ მიგიღებს, არ გაპატიებს და დამარცხდები. იქ ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევა და გამტანი თუ არ ხარ, ვერ ივარგებ. ერთხელ, მე და გოგი რამიშვილი ბზიფის ქედზე ვიყავით გეოლოგიურ ექსპედიციაში. ჯიხვი შეგვეფეთა. თოფი არ გვქონდა, მაგრამ რომც გვქონოდა, ისე ლამაზი იყო, მაინც ვერ ვესროდით. დავუსტვინე და მთაზე გაქრა. იმ მთის ბილიკს ავუყევით. გოგიმ შვერილს წაატანა ხელი. შვერილი მოწყდა და გოგი ზურგით დაეცა. ველარ წამოვაყენე. შევამოწმე, — ფეხი აქვს ნაღრძობი! მოვიკიდე. ხუთი კილომეტრი ვატარე ზურგით. ბანაკში რომ მივედით, მეც მის გვერდით დავეცი.

**— ფოტოებს მხოლოდ მთაში იღებდით?**

— ცოტა უცხოური კადრებიც მაქვს. რა თქმა უნდა, ესეც ისტორიაა, მაგრამ ჩემთვის ფასი იმ ფოტოებს აქვს, სადაც ჩემი წინაპრები, მეგობრები და მთები ჩანან. თქვენ წარმოიდგინეთ, 1951 წელს ჭუბერის სკოლაც კი გადავიღე. დირექტორმა — ჩვენთან ფოტოგრაფი არ დადის, ეგება რამე გაგვიხერხოო... 53 წელი გავიდა მას შემდეგ. ეს სურათი სოფელში რომ ჩავიტანე, ატირდნენ... ნახე, რა ქართველები არიან! ამ ფოტოებს ვერაფერზე გავცვლი. იცით, რა ხალხი იყო ჩემი წინაპრები — გულანთებულები, მლოცველები...

ჩვენთან, სვანეთში, ყველა ოჯახს თავისი სახელი ჰქვია. ვიბლიანების წინაპარს ბაძუ რქმევია, ამიტომ ბაძუარები ვართ. ბაძუარები იმდენად შეძლებულები ყოფილან, ერთხელ 25 ხარი დაუკლავთ ლუხორში — საღვთო დღეობაზე. ამბობენ, — ცოლ-ქმარი რამდენ ხარსაც შესწირავს ღმერთს, იმ ქვეყნად ყველა ხორცშესხმული მიეგებებაო... ჰოდა, ლხინში 700 კაცი მიუწვევიათ ბაძუარებს, მათ შორის ყოფილა თათარყან დადეშქელიანიც. ლხინის დაწყებამდე თათარყანი განზე გაუხმიათ. სუფრასთან მთავარს ყანწი აუწევია და უთქვამს: — ბაძუარებს გაუმარჯოთ, რადგან თავისი ოჯახისთვის კი არა, ქვეყნისთვის მთხოვეს საქმის მოწყობაო — ბალყარელებთან ურთიერთობის მოგვარება და სისხლის აღებაზე მეთვალყურეობის დაწესება უთხოვიათ.

**— ბალყარეთი რა შუაშია?**

— სვანეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის გამყოფი ქედი ნაკრასა და ჭუბერს ესაზღვრება. ომის დროს ყარაჩაელებს და ბალყარელებს დააბრალეს — ჰიტლერს ოქროთი დარახტული ბედაური მიართვეს ძღვნადო და მოსახლეობა მშობლიური ადგილებიდან გაასახლეს ყაზახეთში. ქლუხორისა და ტირნიაუზის რაიონები კი, სტალინის ბრძანებით, საქართველოს შემოუერთდა. ყარაჩაელთა და ბალყარელთა სახლებში სვანები ჩაასახლეს. სვანური ოჯახები იქ 1944 წლიდან 1956 წლამდე ცხოვრობდნენ. ხრუშჩოვმა ეს ტერიტორია საქართველოს წაართვა და იქაურებიც დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. შინდაბრუნებულ ყარაჩაელებსა და ბალყარელებს სვანებმა ცეცხლზე ათუხთუხებული ქვაბებით კერძი დაუტოვეს, კარი გამოიჯარეს და სვანეთის გზას დაადგნენ. აი, კიდევ ერთი ამბავი: გადასახლებიდან დაბრუნებულ ერთ ბალყარელს მოერიდა ახალი მასპინძლის კარის შელება და ცოლეულებს შეეკედლა. მაშინ გიორგი კახიანმა წამოიყვანა ის კაცი და ორივე ოჯახი ორი წელიწადი ერთად ცხოვრობდა. მანამდე, 1936 წლამდე, ვიდრე სვანეთში საავტომობილო გზა შემოვიდოდა და მერეც, ჩვენ ულელტეხილებით ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და მეგობრობა გვქონდა. სვანეთიდან თაფლი და ხმელი ხილი გადაჰქონდათ ყაბარდოელებს, იქიდან პირუტყვი შემოჰყავდათ.

**— თითქოს დაგმშვიდდი... ეგებ ჩვენც ასევე შეგვხვდნენ ჩვენს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?**

— ღმერთმა ქნას... სვანები 12 წელიწადი ცხოვრობდნენ ყარაჩაელების სახლებში და გავერანებული კი არა, გაძლიერებული ჩააბარეს ულაპარაკოდ... თუმცა, იმ ადგილებში ახლაც ბევრი სვანური ოჯახი ცხოვრობს გადაკეთებული გვარებით. მაგალითად, ქურდიანები კურდანოვები არიან, ჯაფარიძეები — ჯაფაროვები. რაღა შორს წავიდეთ, ბაბუაჩემის ძმა, მირზა, უშვილებიათ გუნდელენში. ახლა იქ მისი შთამომავლების, მირზოევების უზარმაზარი გვარი ცხოვრობს. მეც მახსოვს, ომის წინ, ჩვენები ხშირად მიდიოდნენ იქ სტუმრად 7-8 კაცით. მერე ისინი ამოდიოდნენ. მამაჩემს მირზაბეგი დაარქვეს ბალყარეთში — 1929-30 წლებში იქ ცხოვრობდა და ყონაღები ჰყავდა.

**— სამწუხაროა, რომ ამ ურთიერთობაზე ახლა ცოტას ლაპარაკობენ.**

— სვანებს ძალიან დააკლდა ის ხალხი. 1993 წლიდან საზღვარზე რუსი ჯარისკაცები ჩააყენეს და ხელოვნური ბარიერი შეიქმნა. 1942-ში, როცა ჩვენებმა გერმანელები განდევნეს, გენერალმა ყურაშვილმა მამაჩემის ყონაღების ოჯახიდან ორი პატარა ბიჭი შეიპყრო გერმანელებთან კავშირის



ჭუბერი. გურამ თიკანაძემ პირველად ნახა სვანეთი 1953 წ.

ბრალდებით. ბიჭები სოხუმის ციხეში გაუგზავნიათ, იქ გაუმართლებიათ და გამოუშვიათ. ფეხით იარეს თურმე სვანეთამდე. დეკემბერი იყო, კაცი მოვიდა — ბალყარელები მირზაბეგს ეძებენო. მოახტა მამაჩემი ცხენს და მალე ორი გაუბედურებული, მშიერი ბიჭი მოიყვანა შინ. 15 დღე გვყავდა ოჯახში, ერთს ალი ერქვა. სამშობლოში ჩვენს ჯარისკაცებს გავაყოლეთ, გზას მიუკვლევდნენ. ალი ისე მარდად დადიოდა თურმე თოვლში, „შაითანი" შეურქმევიათ.

**— მერე აღარ გინახავთ ის ბიჭები?**

— 1986-ში ვნახე. ექსპედიციაში ალმასის გვირგვინების ბურღები დაგვჭირდა. ეს გვირგვინები ბალყარეთში იშოვება. წავედი. ხელად მიხვდნენ იქაურები, ვინც ვიქნებოდი. მიმასწავლეს ალის სახლი. გამოვიდა ალი, მუხლებზე დაეცა და ხელებს მიკოცნიდა: Амиран мой Бог-о. მთელი სოფელი შეიკრიბა, ყველას უამბო, როგორ გადავარჩინეთ...

**— შემდეგ აღარ ყოფილხართ იქ?**

— კი, 1993-ში ვიყავი. სვანებმა ბაქსანის ხეობაში, რესტორანში, იქაური 25 წლის ბიჭი მოკლეს. 65 წლის სვანიც დაიღუპა. ჩვენები იყვნენ დამნაშავენი. შესარიგებლად გამგზავნეს. შევკრიბე სოფლის თავკაცები და წავიყვანე. შევრიგდით. გასაოცარი რამ მითხრეს, — თქვენ უფრო ნაგებული ხართ, ქვეყნისთვის საჭირო ხნიერი კაცი დაკარგეთო. წარმოგიდგენიათ, რა პატივს სცემენ ასაკს?

**— გული მწყდება, რომ უფრო მეტი ფოტო არ გაქვთ გადაღებული...**

— მეც. მოსაკლავი ვარ. დიდი ხნით დავივიწყე აპარატი... ქვეყანა მომივლია და იმდენი კარგი რამ მინახავს, წამის გაჩერება მინდოდა.

**— მთები თუ გენატრებათ?**

— ვინც არ იცის, რა არის მთები, იმას არ მოენატრება. მთა ისეთი რამეა, ერთხელ თუ ჩაგიხუტა, აღარ გაგიშვებს...

*ეთერ ერაძე*


ულტრაკომი
ულტრაკომუნიკაციები

კომპანია „ულტრაკომი" აგიძლევს ფიქსირებული ტელეფონების დადგმას აკადემ-ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე. იჩქარეთ, პირველი ასი აბონენტისათვის ტელეფონის დადგმის ფასი მხოლოდ 149 ლარია! მოხვდით პირველ ასეულში, აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ნომერი და ისარგებლეთ ახალი ტელეფონით ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ დღეში.

- არავითარი წინასწარი გადასახადი;
- საბონენტო მხოლოდ 4 ლარი;
- უახლესი ციფრული სატელეფონო სადგური;
- მაღალი სიჩქარის ინტერნეტი (ADSL);
- ყველა სახის დამატებითი მომსახურება.



149 ლარი

42-11-11

# მამულ-დედული

## მაისის თვის სამუშაოები

**ბაღი:** ხეხილის სოკოვან დაავადებებთან საბრძოლველად გამოიყენეთ 1%-იანი ბორდოს ხსნარი — დაყვავილების შემდეგ.

სხვადასხვა ბუგრისა და ტკიპის (აბლაბუდის მკეთებელი ტკიპა) მოსაშორებლად საუკეთესოა 200 გ ახალდაჩეჩქვილი ნიორი 10 ლ წყალში კარგად შერეული და მაშინვე შესხურებული. რა თქმა უნდა, ნაზავი შესასხურებელ აპარატში ჩასხმამდე უნდა გაიწუროს მარლაში.

ასევე კარგ შედეგს იძლევა თავიანი ხახვის ქერცლის წყლიანი ნაყენი. ამისთვის აიღეთ 200 გრამი წმინდად დაფქული ქერცლი, დააყენეთ 10 ლ წყალში 10-12 საათი, გაწურეთ და შეასხურეთ.



სხვათა შორის, აბეზარი ჩიტების თავიდან მოსაშორებლად შესანიშნავი საშუალებაა შუაზე გაჭრილი ხახვების ჩამოკიდება იმ ხეებსა და ბუჩქებზე, რომლის კვირტსა თუ ნაყოფსაც ჩიტები ემტერებიან. დროდადრო გამშრალი ხახვის ნაჭრები შეცვალეთ ახლით.

მაისი წვიმების თვეა, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სარეველა მცენარეების ზრდა-განვითარებისთვის. ამიტომ თოხის ხშირად გამოყენება მოგიწევთ. ნათოხნი ბალახი ხეებსა და ბუჩქებს მიუყარეთ ძირში და კარგად მიტკეპნეთ. იგი ხელს უწყობს ტენის შენარჩუნებას ნიადაგში და ამავე დროს შესანიშნავი ორგანული სასუქიცაა.

**ვენახი:** სოკოვანი დაავადების, ჭრაქის საწინააღმდეგო და შეწამვლა 1%-იანი ბორდოს ხსნარით ტარდება ვაზის ყვავილობამდე, — მარცვლის გამონასკვისთანავე, V და V ისრიმობის, ანუ მარცვლის დამსხვილების პერიოდში, ბოლო წამლობა კი 2 კვირის შემდეგ.

აქვე შეგახსენებთ ბორდოს 1%-იანი ხსნარის დაყენების წესს: ხის ან თიხის ჭურჭელში ჩაასხით 90 ლ წყალი და ჩაკიდეთ შიგ 1 კგ დოლბანდში ან კაპრონის წინდაში მოთავსებული შაბიამანი. 750-800 გ კირის ნატეხები ჩააწყვეთ ტაშტში და დაასველეთ, კირი მთლიანად რომ დაიშლება, დაასხით წყალი და მიღებული „კირის რძე“ წვრილ ნაკადად ჩაასხით შაბიამნიან ხსნარში, თან ურიეთ ჯოხით შეუჩერებლად. წამლობამდე, რაც კი ვაზის შტამბზე და სხვა მრავალწლიან ტოტზე ზედმეტი ყლორტია, აუცილებლად შეაცალეთ.

ნაცარი საშიში სოკოვანი დაავადებაა, რომლის მოშორებაც მხოლოდ კოლოიდურ გოგირდს შეუძლია. გოგირდის წინასწარ შეფრქვევა საჭირო არ არის, როგორც კი ფოთლებზე მოთეთრო ფერის ლაქისებრ ფიფქს შეამჩნევთ, რომელიც ნაცარს წააგავს, მაშინვე შეაფრქვიეთ. უმჯობესია თუ წინასწარ დაავადებულ ფოთლებს შეაგროვებთ და დაწვავთ. სასურველ შედეგს იძლევა შეფრქვევა ყვავილობის პერიოდში. ამ ფაზაში ნაცარი საგრძნობლად აზიანებს ვაზს და რა თქმა უნდა, მოსავალს ამცირებს. გოგირდის შეფრქვევა სასურველია მშრალ, უქარო, ცხელ ამინდში და არავითარ შემთხვევაში ქარსა და წვიმაში.

**ბოსტანი:** მაისის შუა რიცხვებიდან ირგვება — პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა. იმარგლება ნათესები, ხოლო თუ რაიმე დაგრჩათ დასათესი (კიტრი, ლობიო, მწვანილი), შეგიძლიათ დათესოთ.

უკვე ამოსულ ბოსტნეულს გაუფხვიერეთ ნიადაგი და საჭიროების შემთხვევაში მორწყეთ. სქლად ნათესი აღმონაცენები შეათხელეთ.

ბოსტნეულის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად სასურველია თესლი წინასწარ მოათავსოთ სპეციალურ ხსნარ „ბიორაგში“.

„ბიორაგის“ ხსნარში თესლი მოათავსეთ: სიმინდი — 24 საათის, ლობიო — 15 საათის, სოია — 3 საათის, მზესუმზირა და მწვანილი — 12 საათის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები — 20 საათის განმავლობაში.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### ყავის ხე

**— როგორც კინოკადრებში მინახავს, ყავის ხე ძალზე ლამაზია. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, ვახაროთ იგი ჩვენს ბინაში.**

***მაიკო ჩაფიძე, თბილისი***



— ეს მუქმწვანე პრიალა ფოთლებისა და ქათქათა თეთრი, არომატული ყვავილების მქონე მცენარე, შეგვიძლია ეთიოპიიდან ჩვენს ბინაში „გადმოვასახლოთ“. ამისთვის საუკეთესოა ერთი წლის ყავის მარცვალი, თუმცა უფრო მეტი „ხნის“ თესლის გაღივებაც შეიძლება, თუ მას 60 გრადუსზე გაცხელებულ ანადუღარ წყალში მოვათავსებთ. წყლის გაცივების შემდეგ მარცვალს ჯერ აშრობენ, ხოლო მერე მუქ ვარდისფერ კალიუმის პერმანგანატის ხსნარში აჩერებენ 2-4 საათის განმავლობაში. ჩათესენ ხის ყუთში ან თიხის ქოთანში, რომელშიც ჩაყრილია ნაზავი: კორდის მიწა — 1 წილი, ტყის მიწა ან ნეშომპალა 1/2 წილი და ქვიშა — 1 წილი. თესლის გაღივების ტემპერატურაა 20 გრადუსი, ჩათესვის სიღრმე 1,5-2 სმ. ითესება ბრტყელი ზედაპირით ქვემოთ. აღმონაცენი გადააქვთ მცირე ზომის 5-7 სმ სიმაღლის ქოთანში. ყვავილობს 3-4 წლის ასაკში ყოველწლიურად, იკეთებს ნაყოფს და თესლს, ანუ ყავას. ასე რომ, რამდენიმე წელიწადში შეიძლება სტუმრებს „საკუთარი“ ყავით უმასპინძლოთ.

### ნიამორი

**— ჩემს ახლობელს შინ ნიამორის უზარმაზარი, გასაოცარი რქები აქვს. მითხრეს, რომ ნიამორი საქართველოში გადაშენდაო. იქნებ თქვენ გვიამბოთ ამ ცხოველის შესახებ.**

***ლაზარე კაშია, ვანი***

— ნიამორი, რომელიც საქართველოში (ფშავ-ხევსურეთი) წმინდა ცხოველად ითვლებოდა, მაინც ამოწყვიტეს უსულგულო ადამიანებმა. თუ გასულ საუკუნეში მცირე ჯგუფებად გვხვდებოდა თუშეთსა და პირიქითა ხევსურეთში, ამჟამად აქა-იქ თუ გამოჩნდება კავკასიონის კალთებზე. თხის ულამაზესი „წინაპრის“ სიმაღლე 80-95 სმ-ია, სიგრძე — 150, წონით 40 კგ-ს იშვიათად აღემატება. მოზრდილ მამრს აქვს შავი, რკალისებურად მოღუნული რქები, რომლის სიგრძე ხშირად 1 მეტრზე მეტიცაა. მდედრის რქების სიგრძე კი მხოლოდ 40 სმ-ია. შეიძლება ითქვას, რომ რქების სილამაზემაც დაღუპა ნიამორის ჯიში, თორემ მისი ხორცი არაფრით ჯობს ჯიხვისას, რომლის ჯოგებიც ჯერჯერობით შემორჩნენ კავკასიონს. ნიამორი ფართოდ გავრცელებული ცხოველია, გვხვდება ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიაში, ირანში, თურქმენეთში... მთის ტყეების ზემო და შუა სარტყლის მიუდგომელ, კლდოვან ადგილებში ბინადრობს ზღვის დონიდან 1 000-3 000 მ-ის სიმაღლეზე. იკვებება ბალახით, მერქნიანი მცენარეების ფოთლებითა და ტოტებით, კენკრით. „შეუღლება“ იწყება შემოდგომით და გრძელდება დეკემბრის ბოლომდე. შობს აპრილ-მაისში ერთ ან ორ თიკანს.

## შევარდენი



ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფრინველია, ბინადრობს ყველა კონტინენტზე (ანტარქტიდის გარდა) და ოკეანეთა კუნძულებზე, თუმცა არ ბუდობს უღრან ტაიგაში, ვრცელ ველებსა და უდაბნოში. მრავალი ქვესახეობიდან ზოგი ერთ ადგილზე ბუდობს, ზოგი გადამფრენია ან მომთაბარე. საქართველოში მოიპოვება კავკასიური შევარდენი, რომელიც ადგილობრივად მობინადრეა. ბუდობს ტყეებში, რომელთა მახლობლად გაშლილი მინდვრები და მდელოებია. ბუდეს იკეთებს უპირატესად მიუვალ კლდეებზე, უფრო იშვიათად, მაღალ ხეებზე. მარტის მეორე ნახევარში დებს 2-3 კვერცხს. კრუხად ჯდება დედალი, ხოლო მამალს მოაქვს საკვები. საინკუბაციო პერიოდი 28-29 დღეს გრძელდება.

შევარდნის საკვებია: მტრედი, გვრიტი, იხვი, ჭილყვავი და მრავალი სხვა, რომელთაც იჭერს ჰაერში.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიური შევარდენი სასარგებლო ფრინველების განადგურებით ზარალს აყენებს ბუნებას, მისი რიცხვი იმდენადაა შემცირებული, რომ საჭიროა მისი დაცვა.

## როგორ დავიცვათ მცენარეები

### მავნებლებთან ბრძოლის ბუნებრივი საშუალებები

**ამოჭერით და შეინახეთ!**

*1. 10 ლ წყალზე ვიღებთ 4 კგ ნედლ (ან 1 კგ ხმელ) პამიდვრის ნასხლავს, ვაქუცმაცებთ და ნელ ცეცხლზე ვადუღებთ 30 წუთს, ვაგრილებთ და კარგად გამოვწურავთ. შესაწამლად ყოველ 10 ლ წყალში ვხსნით 2-3 ლ ხსნარს, ვამატებთ 40 გ გახეხილ სარეცხის საპონს. კარგად ამოვურევთ საპნის სრულ გახსნამდე და შევასხურებთ. ნახარში ეფექტური საშუალებაა ვაშლის ფოთოლჭამია მწერებისა და ნაყოფჭამია მუხლუხოს წინააღმდეგ.*

*2. 1 კგ ფარსმანდუკის ხმელ მიწისზედა ნაწილს ვაქუცმაცებთ. ვასხამთ მდუღარე წყალს იმდენს, რომ კარგად გაიფუფქოს, ვაჩერებთ 30-40 წუთს, შემდეგ შევავსებთ ნაყენს 10 ლიტრამდე და ვაჩერებთ 48 საათს. ვფილტრავთ და ვასხურებთ. კლავს ყველა ტიპის მწერს.*

*3. 500 გ მწარე წიწაკას ვაქუცმაცებთ, ვასხამთ 10 ლ ცივ წყალს, ვაყოვნებთ 2 დღე-ღამეს და ვადუღებთ ნელ ცეცხლზე თავდახურულ ემალის ვედროში 30 წუთის განმავლობაში. გაცივების შემდეგ ვწურავთ, ვუმატებთ 40 გ სარეცხის საპონს და ვასხურებთ ერთი იმდენი წყლით გაზავებულ ნახარშს. გამოიყენება ბოსტნეული კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ.*

რაც დრო გადის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა და მავნებელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. მიუხედავად დღეს არსებული უამრავი ქიმიური საშუალებისა, ათასობით მავნებელი და დაავადებაა ცნობილი, რომელთა მიზეზითაც ყოველწლიურად მოსავლის 30% იკარგება. მართალია, ქიმიური საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს მაღალი მოსავლის მიღებას, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ბინძურდება გარემო — წყალი, ნიადაგი, ჰაერი, ნადგურდება სასარგებლო მწერები და ნადირ-ფრინველი.

სწორი აგროტექნიკის დაცვით და ბუნებრივი საშუალებების გამოყენებით კი შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, რა თქმა უნდა, შესაბამისად, გარემოს დაუბინძურებლად.

ჩვენი შორეული წინაპრები მავნებლებსა და მცენარეთა დაავადებებს ბუნებრივი საშუალებებით ებრძოდნენ. ჯერ კიდევ ძველ რომში მცენარეთა სამკურნალო საშუალებად იყენებდნენ ნაცარს, ნაკელს, გოგირდს. ამზადებდნენ რთულ ნაერთებსაც. პირველი პრაქტიკული რეკომენდაციები შეიმუშავა დემოკრიტემ ჩვ. წ.აღ.-მდე 470 წელს. იგი ხორბლეულის გუდაფშუტის საწინააღმდეგოდ კომბოსტოს წვენში თესლის დალბობას თვლიდა. თეოფრასტე ჩვ. წ.აღ.-მდე 300 წლის წინ წერდა, რომ მუხუდო ანადგურებს სარეველა მცენარეებს, პირველ რიგში, კუროსთავას. თამბაქოს XV საუკუნიდან იყენებდნენ მცენარის ტილისა და ბუგრების საწინააღმდეგოდ. ჩინეთში მრავალი ათასი წლის წინ ბალლინჯოს სპობდნენ ქრიზანთემას წვენით.

გლეხები ოდითგანვე აგროვებდნენ ჭიანჭველებს, ჭიამაიებს და „ასახლებდნენ“ თავიანთ მინდვრებზე მავნე მწერების გასანადგურებლად. ჭიანჭველების ერთი ბუდე ზაფხულის განმავლობაში ანადგურებს 1 მილიონამდე მავნე მწერს. თუმცა, ჭიანჭველები მარწყვის ბუჩქსაც ემტერებიან. მათ თავიდან მოსაცილებელ საშუალებასაც მიაგნეს გლეხებმა, საკმარისია ბუდეზე ხის ნაცარი მოაყაროს, რომ ჭიანჭველები გარბიან. მათ ასევე „ეშინიათ“ ოხრახუშის ფოთლების. ნაყოფჭამიას პეპლებს აფრთხობს ხის ტოტებზე მიბმული ასფურცელას და აბზინდის კონები...

## მკითხველის ფოტო



მე და ჩემი ბეკეკა

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## მოზაიკა

* * *

*პარიზის მახლობლად, პროვანსში ეწყობოდა დღესასწაული, რომელზეც ლამაზ ქალიშვილს ირჩევდნენ ვარდების დედოფლად და „როზერას“ უწოდებდნენ. მას თავზე ადგამდნენ ვარდების გვირგვინს — „შაპელს“, საიდანაც წარმოდგა სიტყვა „შლაპა“.*

* * *

*გარდა იმისა, რომ კოდალას (რომლის 8 სახეობაც გვხვდება საქართველოში) დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც ტყეების, ბაღების და პარკების უბადლო სანიტარს, მის მიერ გაკეთებულ ფუღუროებში იბუდებენ სხვადასხვა სახეობის ფრინველები.*

* * *

*მფრინავ თევზებს, რომელთა სიგრძე 30-50 სანტიმეტრია, შეუძლიათ აფრინდნენ 4-6 მ-ის სიმაღლეზე და იფრინონ 100-150 მეტრზე.*

* * *

*თევზი ლორწოიანა 25 სმ-ს აღწევს. სხეულის წინა ნაწილსა და თავზემოთ აქვს გარდიგარდმო ნაოჭები, რომელთაც გააჩნიათ მიწებების უნარი. ლორწოიანა უმეტესად ეკვრის ზვიგენსა და გემებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზვიგენი იჭერს ბევრ თევზს და ნარჩენები მასაც ხვდება. არც გემიდან გადმოყრილ ნარჩენებზე ამბობს უარს.*

## რედაქციისაგან:

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.**

**გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

CMYK





1. სხეული
2. ... – ენ-როლი
3. იუმორის ნათესავი
4. სასიყვარულო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის
5. მონეგასკთა სახელმწიფო
6. პირველი სახარების ავტორი
7. ... – მაჰმად ხანი
8. ლითონის გამოდნობის მაგარი ნარჩენები
9. სოფლის მოსახლე ოჯახი
10. 1/3600 საათი
11. ამაღლებული ადგილი ლექტორისთვის
12. მუნიციპალიტ. მეთაური
13. ვასკო ... გამა
14. „კაპიტან გრანტის შვილები“ პერსონაჟი
15. ღვთისმშობელი იტალიურად
16. ნაბოკოვის რომანი
17. „მე ის ... აღარა ვარ“
18. ცხოველის ფიგურა „გაზ-21“-ის კაპოტზე
19. შვედი მოჭადრაკე ... კრამლინგი
20. ... ფარულავა
21. აირი ჰაერის შემადგენლობაში
22. თიხის ჭურჭელი
23. ჭამის სურვილი
24. გერმანელი მწერალი
25. დიპლომატიური წერილი
26. ბერძნული ასო
27. ფინია
28. [illegible]
29. ცეკვის ნაბიჯი
30. მცირე არია
31. სუფრის გამძღოლი
32. „ჯადოქარი“ მარინა ვლადის პარტნიორი
33. ჭადრაკის თამაში ერთდროულად ბევრ დაფაზე
34. ადგილი მაყურებ. დარბაზში
35. ბერლინის ცენტრ. რკ. სადგური ... ბანჰოფი
36. ინგლისელი მწერალი
37. კაზინოების ქალაქი ნევადას შტატში
38. წერილობითი მიმართვა იუბილარისადმი
39. ძალოსნის იარაღი
40. სოკოს ქსელი პროდუქტზე
41. დიდი მტაცებელი ფრინველი
42. მძიმე შემთხვევა
43. მდინარე ევროპაში
44. სასწრ. დაზღ. ფირმა
45. სწრაფი, მკვირცხლი
46. რემბრანდტის მეუღლე
47. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
48. დიდი ჩაქუჩი
49. ღამის ფრინველი
50. იმპერატორთა დინასტია კორეაში
51. წინასწარი თანხა
52. ტელესერიალი „უბრალოდ ...“
53. პირველი ქართული საესტრ. ანსამბლი
54. ფუტკრის ოჯახი
55. კუკარაჩას შეყვარებული
56. დახრილი კოშკი ადგილმდებარეობა
57. ბონდი – შონ...
58. ვოლგის შენაკადი
59. საქართ. რაიონული ცენტრი
60. ფილმი კასიუს კლეის ცხოვრებაზე
61. ჰერცოგის სიმღერა „რიგოლეტოში“
62. მეფის მრჩეველი მუსლიმანებში
63. რუსი პროლეტ. მწერალი
64. სახელმწიფო ტერიტ. ერთეული
65. ზღვის ტრანსპორტი
66. ფრანგი მსახიობი
67. სამ. წერტ. კამათელზე
68. ნოტი
69. კალმანის ოპერეტა
70. შესაძლო შედეგი სპორტ. პაექრობისას
71. 3,14
72. ლონდონის საქმიანი ცენტრი
73. ქალაქი პარიზის მახლობლად







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ფაბერჟე; 2. ბესტსელერი; 3. დედა; 4. „რა“; 5. ჟირესი; 6. დიადემა; 7. რასა; 8. რე; 9. ტლუ; 10. „სანსი“; 11. „ნუტელა“; 12. მე; 13. ლამა; 14. ნირი; 15. „ტიბაანი“; 16. უცნობი; 17. ლორნეტი; 18. ტალი; 19. სიუზენი; 20. პარმა; 21. გარბო; 22. ნიკიტა; 23. „ევერტონი“; 24. ფანი; 25. „აელიტა“; 26. ლოო; 27. ლარი; 28. პაი; 29. ბაზა; 30. ლობიანი; 31. ავაზა; 32. ლეპორელო; 33. ეროტიკა; 34. თალია; 35. აიეტი; 36. მია; 37. რიტმი; 38. ლიტა; 39. ელეგია; 40. ძოლა; 41. ალა; 42. ზარზმა; 43. მაზაჩო; 44. ტრავერსი; 45. ხორუნჟი; 46. ზურგი; 47. შუ; 48. ლილა; 49. რაი; 50. ბრუნეი; 51. რაში; 52. „არსენალი“; 53. უვე; 54. ბულდოგი; 55. ვინჩი; 56. ფა; 57. ფუშე; 58. კიი; 59. რალი; 60. ნალი; 61. ბო; 62. ბოა; 63. გო; 64. სოლო; 65. არი; 66. რიკი; 67. რკო.

1. ფარული ოცნება; 2. ედემის გზა; 3. სიგრძეზე ხტომა; 4. როცა ზღვა შორსაა; 5. ფულის გათეთრება.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა რამაზ ალანიამ

# პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერი

**თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობა**

წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, აღნიშნული პიროვნება შეასრულებს თავის მოვალეობებს ორგანიზაციაში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის განყოფილებისა და მთლიანი ორგანიზაციის სათანადოდ წარმოჩენით, შერჩეული პიროვნება თავის წვლილს შეიტანს დადებითი და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში.

აღნიშნული პიროვნება ითანამშრომლებს წარმოების სპეციალისტებსა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანამშრომლებთან, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და ექსპორტი. მიზნობრივ ბაზრებზე მყიდველის მოზიდვა მოხდება სეზონურად, პროდუქტის სტაბილური ხარისხისა და მიწოდების უზრუნველყოფის გზით.

**მოვალეობების აღწერილობა**

აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის წინაშე. უშუალო ზედამხედველის არყოფნისას, აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე. ამ თანამდებობას ეკისრება პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის ჯგუფის ზედამხედველობა.

პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის მოვალეობებია:

1. ითანამშრომლოს AgVANTAGE–ის წარმოების, გადამუშავების, ლიზინგისა და მარკეტინგის თანამშრომლებსა და სოფლის მეურნეობის დარგის წამყვან მონაწილეებთან, რათა განისაზღვროს ექსპორტისათვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახეობები.

2. შექმნას და რეგულარულად განაახლოს საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის წარმოების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზა უნდა მოიცავდეს მოსავლიანობის კალენდრებს, რეგიონებს ხილისა და ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობის წარმოების მიხედვით და წარმოებისა და პროდუქტიულობის მახასიათებლებს.

3. შექმნას ქვეყანაში არსებული ძირითადი ნიადაგისა და კლიმატური პირობების მონაცემთა ბაზა.

4. შექმნას ქვეყანაში არსებული რწყვადი მიწებისა და მოქმედი სარწყავი სისტემების მონაცემთა ბაზა.

5. შექმნას და რეგულარულად განაახლოს AgVANTAGE–ის ექსპორტის გაზრდაზე მიმართულ პროექტებში მონაწილეობით დაინტერესებული ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებლებისა და მათ მიერ წარმოებული საექსპორტო პროდუქტების მონაცემთა ბაზა.

6. ითანამშრომლოს მწარმოებლებთან და სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი მომსახურებისა და მიწოდების კომპანიებთან, რათა მოხდეს ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაზე არსებული მოთხოვნილებების შესახებ მწარმოებელთა ცოდნის გაღრმავება, რის შედეგადაც მოხდება ექსპორტისათვის შესაფერისი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა. ამ მიზნით ჩაატაროს ან მოაწყოს საგანმანათლებლო ღონისძიებები.

7. კოორდინაცია გაუწიოს ხილისა და ბოსტნეულის წარმოების დარგებში რეგიონალური წარმომადგენლების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ მოსავლის მონიტორინგს, რომელიც გამიზნულია იმ საბაზრო ჯაჭვებისა და შეგროვების ცენტრებისათვის, რომლებსაც AgVANTAGE უწევს მხარდაჭერას.

8. ბაზრებსა და შეგროვების ცენტრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდებისას მათი ხარისხის, მოცულობის, ბრუნვისა და ღირებულების ასახვა, ამ ინფორმაციის შეჯამება და შესაბამისი პირებისათვის რეგულარული მიწოდება.

9. ითანამშრომლოს წარმოების, დახარისხების, შეფუთვისა და საექსპორტო მარკეტინგის პროგრამების შემუშავების კონკრეტული საკითხებისათვის დაქირავებულ მოკლევადიან სპეციალისტებთან, კოორდინაცია გაუწიოს მათ მიერ შემუშავებული პროგრამებისა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას.

**კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:**

- უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან ეკვივალენტური პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის საფუძვლიანი ცოდნა.
- 7-წლიანი გამოცდილება წარმოების, მოსავლის მოყვანის, აღებისა და შენახვის, აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვის სფეროში.
- ზოგადი აგრონომიის ცოდნა.
- ხილისა და ბოსტნეულის შენახვის სამაცივრო ტექნოლოგიების ცოდნა.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცირების პროცედურების გარკვეული ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- მართვის, ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში მუშაობის უნარი.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.
- კომპიუტერთან მუშაობის (Ms Word, Excel) გარკვეული ცოდნა.
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

ელ. ფოსტა:
vacancy mng@agvantage.org.ge

# AgVANTAGE

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაქსიმალური ზრდა

**AgVANTAGE** (ეგვენთიჯი) მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას საექსპორტო შესაძლებლობების შესაბამისად, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორების შერბილების გზით, რაც დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს, გადამამუშავებლებსა და გამსაღებლებს, წარმატებით იასპარეზონ საერთაშორისო ბაზრებზე. **AgVANTAGE**-ს აფინანსებს ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტო **(USAID)** და ახორციელებს **ACDI/VOCA.**

**ოფისის მდებარეობა:** თბილისი, საქართველო. **მუშაობის დაწყების თარიღი:** დაუყოვნებლივ.
**სამუშაო დატვირთვა:** სრული განაკვეთი (40 საათი კვირაში), ფიქსირებული ხელფასით.
**დაინტერესებულმა პირებმა მოგვაწოდეთ ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ან ინგლისურ ენაზე, მისამართზე: თბილისი, ილ. ჭავჭავაძის 39ა (ქართუ ჯგუფის შენობა), XII სართული ან გამოგვიგზავნეთ ელფოსტით (შესაბამის მისამართზე) ან ფაქსით: 29 18 42. გთხოვთ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი თანამდებობა. საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 18 მაისი.**

# რეგიონალური წარმომადგენელი ხილის წარმოების დარგში

**თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობა**

პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ აღნიშნული პიროვნება შეასრულებს თავის მოვალეობებს ორგანიზაციაში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის განყოფილებისა და მთლიანი ორგანიზაციის სათანადოდ წარმოჩენით, შერჩეული პიროვნება თავის წვლილს შეიტანს დადებითი და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში.

აღნიშნული პიროვნება ითანამშრომლებს წარმოების სპეციალისტებსა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანამშრომლებთან, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და ექსპორტი. მიზნობრივ ბაზრებზე მყიდველის მოზიდვა მოხდება სეზონურად, პროდუქტის სტაბილური ხარისხისა და მიწოდების უზრუნველყოფის გზით.

**მოვალეობების აღწერილობა:**

აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის წინაშე. უშუალო ზედამხედველის არყოფნისას, აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის წინაშე. ამ თანამდებობას არ ეკისრება საზედამხედველო ფუნქცია.

ხილის წარმოების დარგში რეგიონალური წარმომადგენლის მოვალეობებია:

1. ითანამშრომლოს AgVANTAGE–ის წარმოების, გადამუშავების, ლიზინგისა და მარკეტინგის თანამშრომლებსა და სოფლის მეურნეობის დარგის წამყვან მონაწილეებთან, რათა განისაზღვროს ექსპორტისათვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახეობები.

2. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს საქართველოში ხილის წარმოების მონაცემთა ბაზის შექმნასა და რეგულარულ განახლებაში. მონაცემთა ბაზა უნდა მოიცავდეს რეგიონებს ხილის სხვადასხვა სახეობის წარმოების მიხედვით და წარმოებისა და პროდუქტიულობის მახასიათებლებს.

3. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ქვეყანაში არსებული ძირითადი ნიადაგისა და კლიმატური პირობების მონაცემთა ბაზის შექმნაში.

4. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ქვეყანაში არსებული რწყვადი მიწებისა და მოქმედი სარწყავი სისტემების მონაცემთა ბაზის შექმნაში.

5. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს AgVANTAGE–ის ექსპორტის გაზრდაზე მიმართულ პროექტებში მონაწილეობით დაინტერესებული ხილის მწარმოებლებისა და მათ მიერ წარმოებული საექსპორტო პროდუქტების მონაცემთა ბაზის შექმნასა და რეგულარულ განახლებაში.

6. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ, ითანამშრომლოს მწარმოებლებთან და სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი მომსახურებისა და მიწოდების კომპანიებთან, რათა მოხდეს ხილის წარმოებაზე არსებული მოთხოვნილებების შესახებ მწარმოებელთა ცოდნის გაღრმავება, რის შედეგადაც მოხდება ექსპორტისათვის შესაფერისი ხილის მოყვანა. ამ მიზნით ჩაატაროს ან მოაწყოს საგანმანათლებლო ღონისძიებები.

7. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ, ხილის მოსავლის მონიტორინგი, რომელიც გამიზნულია იმ საბაზრო ჯაჭვებისა და შეგროვების ცენტრებისთვის, რომლებსაც AgVANTAGE უწევს მხარდაჭერას.

8. ბაზრებსა და შეგროვების ცენტრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდებისას მათი ხარისხის, მოცულობის, ბრუნვის და ღირებულების ასახვა, ამ ინფორმაციის შეჯამება და რეგულარული მიწოდება წარმოებისა და პროდუქტის კონსოლიდაციის მენეჯერისათვის.

9. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ხილის მოყვანის მოკლევადიან სპეციალისტთან მუშაობაში და მისი რეკომენდაციებისა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაში.

**კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:**

- უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან ეკვივალენტური პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის საფუძვლიანი ცოდნა.
- 3-წლიანი გამოცდილება წარმოების, მოსავლის მოყვანის, აღებისა და შენახვის, აგრეთვე ხილის შეფუთვის სფეროში.
- ზოგადი აგრონომიის, კერძოდ, ხილის სექტორის ცოდნა.
- ხილის შენახვის სამაცივრო ტექნოლოგიების ცოდნა.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცირების პროცედურების ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში დამოუკიდებლად ან ჯგუფში მუშაობის უნარი.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.
- სასურველია კომპიუტერთან მუშაობისა (Ms Word, Excel) და ინგლისური ენის ცოდნა.

ელ. ფოსტა:
vacancy fruit@agvantage.org.ge

# რეგიონალური წარმომადგენელი ბოსტნეულის წარმოების დარგში

**თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობა**

პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ აღნიშნული პიროვნება შეასრულებს თავის მოვალეობებს ორგანიზაციაში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის განყოფილებისა და მთლიანი ორგანიზაციის სათანადოდ წარმოჩენით, შერჩეული პიროვნება თავის წვლილს შეიტანს დადებითი და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში.

აღნიშნული პიროვნება ითანამშრომლებს წარმოების სპეციალისტებსა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანამშრომლებთან, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და ექსპორტი. მიზნობრივ ბაზრებზე მყიდველის მოზიდვა მოხდება სეზონურად, პროდუქტის სტაბილური ხარისხისა და მიწოდების უზრუნველყოფის გზით.

**მოვალეობების აღწერილობა.**

აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის წინაშე. უშუალო ზედამხედველის არყოფნისას, აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის წინაშე. ამ თანამდებობას არ ეკისრება საზედამხედველო ფუნქცია.

ბოსტნეულის წარმოების დარგში რეგიონალური წარმომადგენლის მოვალეობებია:

1. ითანამშრომლოს AgVANTAGE–ის წარმოების, გადამუშავების, ლიზინგისა და მარკეტინგის თანამშრომლებსა და სოფლის მეურნეობის დარგის წამყვან მონაწილეებთან, რათა განისაზღვროს ექსპორტისათვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახეობები.

2. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს საქართველოში ბოსტნეულის წარმოების მონაცემთა ბაზის შექმნასა და რეგულარულ განახლებაში. მონაცემთა ბაზა უნდა მოიცავდეს რეგიონებს ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობის წარმოების მიხედვით და წარმოებისა და პროდუქტიულობის მახასიათებლებს.

3. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ქვეყანაში არსებული ძირითადი ნიადაგისა და კლიმატური პირობების მონაცემთა ბაზის შექმნაში.

4. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ქვეყანაში არსებული რწყვადი მიწებისა და მოქმედი სარწყავი სისტემების მონაცემთა ბაზის შექმნაში.

5. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს AgVANTAGE–ის ექსპორტის გაზრდაზე მიმართულ პროექტებში მონაწილეობით დაინტერესებული ბოსტნეულის მწარმოებლებისა და მათ მიერ წარმოებული საექსპორტო პროდუქტების მონაცემთა ბაზის შექმნასა და რეგულარულ განახლებაში.

6. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ, ითანამშრომლოს მწარმოებლებთან და სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი მომსახურებისა და მიწოდების კომპანიებთან, რათა მოხდეს ბოსტნეულის წარმოებაზე არსებული მოთხოვნილებების შესახებ მწარმოებელთა ცოდნის გაღრმავება, რის შედეგადაც მოხდება ექსპორტისათვის შესაფერისი ბოსტნეულის მოყვანა. ამ მიზნით ჩაატაროს ან მოაწყოს საგანმანათლებლო ღონისძიებები.

7. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ, ბოსტნეულის მოსავლის მონიტორინგი, რომელიც გამიზნულია იმ საბაზრო ჯაჭვებისა და შეგროვების პუნქტებისათვის, რომლებსაც AgVANTAGE უწევს მხარდაჭერას.

8. ბაზრებსა და შეგროვების ცენტრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდებისას მათი ხარისხის, მოცულობის, ბრუნვისა და ღირებულების ასახვა, ამ ინფორმაციის შეჯამება და რეგულარული მიწოდება წარმოებისა და პროდუქტის კონსოლიდაციის მენეჯერისათვის.

9. დაეხმაროს პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერს ბოსტნეულის მოყვანის მოკლევადიან სპეციალისტთან მუშაობაში და მისი რეკომენდაციებისა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაში.

**კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:**

- უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან ეკვივალენტური პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის საფუძვლიანი ცოდნა.
- 3-წლიანი გამოცდილება წარმოების, მოსავლის მოყვანის, აღებისა და შენახვის, აგრეთვე ბოსტნეულის შეფუთვის სფეროში.
- ზოგადი აგრონომიის, კერძოდ, ბოსტნეულის სექტორის ცოდნა.
- ბოსტნეულის შენახვის სამაცივრო ტექნოლოგიების ცოდნა.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცირების პროცედურების ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში დამოუკიდებლად ან ჯგუფში მუშაობის უნარი.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.
- სასურველია კომპიუტერთან მუშაობისა (Ms Word, Excel) და ინგლისური ენის ცოდნა.

ელ. ფოსტა:
vacancy fruit@agvantage.org.ge

(გაგრძელება გვ. 26)

# მათთვის ყოველი შეხვედრა ტკბილიცაა და მწარეც



## ორი ცნობილი პიროვნება სიყვარულის ჰიმნს წერს

სასიყვარულო ამბები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ერთი განმასხვავებელი „შტრიხი“ მხოლოდ მათ, შეყვარებულებმა იციან.

ამ ბოლო ხანს თითქოს სერიალივით მიეწყო — ზედიზედ მომიხდა სიყვარულზე წერა. სრულიად მოულოდნელად დამიკავშირდა ჩემი უფროსი კოლეგა და შეხვედრა მთხოვა. მოულოდნელი რატომ უნდა ყოფილიყო ჟურნალისტების შეხვედრაო, — იკითხავთ ალბათ. თუ რას ეხებოდა ჩვენი საუბარი, ამას ცოტა მოგვიანებით გაგაგებინებთ. ახლა კი კვლავ ერთი სასიყვარულო ამბავი უნდა შემოგთავაზოთ, რომლის დაბეჭდვასაც, ვინ იცის, რა მოუთმენლად ელიან მისი გმირები.

(წერილში არ არის მითითებული სახელები. წერია „გოგო“ და „ბიჭი“. წლების გასვლის მერე კი — „ქალი“ და „კაცი“. მეც ასე მოვიხსენიებ მათ).

...ბიჭმა დაინახა თუ არა გოგო, თითქოს გულმა უკარნახაო: ეს არის „ის“, ვისაც ეძებ, ვინც გჭირდება და ვინც უსაზღვროდ შეგიყვარდებაო. ალბათ გული არასოდეს ცდება. მართლაც, გოგონა სწორედ „ის“ აღმოჩნდა, ვისაც ოცნებაში ელოლიავებოდა ბიჭი. ორივეს გრძნობა „დაფრთიანდა“ და მათ ყოველდღე ერთად ხედავდნენ: სასწავლებელში, ბაღში, კინოში, ქუჩაში — ერთი სიტყვით, ყველგან! მათი რომანი იმდენად მომხიბვლელი იყო, ყველაზე დიდი მოქილიკეც კი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას... მერე მოხდა ის, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება — ჯერ ბავშვურად გაიბუტნენ, მერე გოგოც გაბრაზდა და ბიჭიც. გოგო ადგა და... გათხოვდა! ბიჭი ადგა და... საქართველოდან შორს წავიდა! გავიდა დრო, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ტკივილების მკურნალად გვევლინება. როცა ბიჭი დაბრუნდა, უკვე კაცი იყო. გოგოც დაქალებულიყო, დედა გამხდარიყო. განგებამ ისინი კვლავ შეახვედრა ერთმანეთს. თუკი თავიდან იყო უზომო სიხარული ერთმანეთის ხილვისა, მერე და მერე, გაჭირდა ურთიერთობა, რადგან ვერც ერთმა ვერ შეძლო „მთავარი ტვირთის“ მოშორება. ორივე ატყობდა, რომ ვერასდროს დაანგრევდნენ ოჯახს, არადა ამდენი ხნის წინ დაკარგული და ხელახლა ნაპოვნი სიყვარულის დაკარგვა არ უნდოდათ. ისინი ფარულად, იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინაც წარსულის ლამაზ ეპიზოდებს იგონებდნენ, რომელიც ულევად ჰქონდათ... ეს შეხვედრები დღემდე გრძელდება. არც ქალმა და არც კაცმა არ უწყიან, რა იქნება ხვალ...

ეს ამბავი რომ იშვიათობა არ გახლავთ, ჩემმა უფროსმა კოლეგამ, მერაბ ბერაძემაც მითხრა. ალბათ იცნობთ მას, იგი გადაცემა „ენერგიის“ ენერგიული წამყვანია (ეს გადაცემა სულ მალე აღარც იქნება, რადგან ტელევიზიის განახლებულ ხელმძღვანელობას ახალ-ახალი პროექტები სურს და გამომგონებლობა არ აინტერესებს). ბატონმა მერაბმა გულწრფელი მადლობა გადამიხადა იმ წერილების გამო, სადაც სიყვარულზე ვწერ. მერე ისიც მითხრა, სწორედ ასეთმა სიყვარულმა ლექსი დამაწერინა და არ შემიძლია თქვენ არ გაგიმხილოთ, რადგან მე და მაცაცოს (კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე. — მ.ბ.) გვინდა ერთობლივი შემოქმედებით საჩუქარი მივუძღვნათ ჩვენს თაობას, თმაშევერცხლილ ქალებს და კაცებს, რომლებსაც გულში დღემდე შემორჩენიათ ამაღლებული გრძნობა და როგორც პატარა ბავშვს, ისე ეფერებიანო.

აი, ეს ლექსიც:

*ტკივილიანი სიყვარული, ჭაღარა თმებით,*
*კარგა ხანია, რაც ერთმანეთს*
*ფარულად ვხვდებით!*
*უცხო თვალისგან საიდუმლოდ გვიფარავს ფარდა,*
*სწორედ ამიტომ არვინ იცის, მე და შენ გარდა.*
*თუ რა ტკბილია და რა მწარე ყველა შეხვედრა,*
*ჩემთვის რამხელა სიმდიდრეა შენი შეხედვა.*
*როცა შენთან ვარ, მაშინ ვარ მხოლოდ ძლიერი,*
*ხმამაღლა ვერა, მაგრამ ჩუმად ვარ ბედნიერი.*
*მალულ სიყვარულს სხვა ძალა აქვს,*
*სხვაგვარი ეშხი.*
*ამდენი ხანი ვიცხოვრეთ და ის შეგვრჩა ხელში.*
*რა ოცნებებით შევცქეროდით ცას, რა გარინდებით,*
*თუმცა კი ვიცით, რომ ვერასოდეს*
*ვერ გავერინდებით!*
*და, მაინც, ჩემო, არა ვნანობ, რომ ასე მოხდა,*
*ჰო, წუხელ მარადის, რა საოცრად,*
*რა თეთრად თოვდა!*

**— ბატონო მერაბ, თქვენი და რუსუდან სებისკვერაძის ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ უკვე ქვეყანამ იცის: ქართული ფეხბურთის ჰიმნის ტექსტის ავტორი ხომ თქვენ ხართ, მუსიკის კი — ქალბატონი რუსუდანი. ამჟამად სიყვარულის ჰიმნისთვის ემზადებით?**

— სწორედაც რომ ვემზადებით. არა მგონია, აქამდე არსებობდა ადამიანი, რომელსაც სიყვარული, თავისი განუმეორებელი ძალით არ სწვეოდეს. მურტალო რომ მურტალოა (ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ გმირი), ისიც კი აღიარებს, ერთი რამის მეშინოდა, რომ ამ ქვეყნიდან უსიყვარულოდ არ წავსულიყავი, ახლა აღარ მეშინია, რადგან შემიყვარდაო. პირფერი არასოდეს ვყოფილვარ და შენც ნუ ჩამთვლი პირში მაქებრად. „კვირის პალიტრა“ ყოველთვის იყო ჩემი საყვარელი გაზეთი და, ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარს ეს რუბრიკა, სადაც ადამიანები თავიანთ გრძნობებს ალალად საუბრობენ და გულს გიხსნიან. აქედან დასკვნაც იოლად შეიძლება გავაკეთოთ: ხალხს მოჰბეზრდა ამდენი ფიქრი და წუწუნი ყოფით პრობლემებზე; როცა ყოველდღიურობა მძიმდება და აუტანელი ხდება, მეოცნება ადამიანი მიმართავს ერთგვარ ხერხს — იხსენებს წარსულის ლამაზ ეპიზოდებს, რომელიც გრძნობას უკავშირდება, ან ეძებს ახალს, რომელიც დროებით დაავიწყებს პრობლემათა ჯაჭვს. ამაში სამარცხვინო არაფერია. მთავარია, ახლობლის გული ტკენის ხარჯზე არ გინდოდეს „სიმძიმის“ „შესუბუქება“ და „ლირიკული გადახვევა“. თუმცა, შენი პუბლიკაციებიდან ისიც ჩანს, რომ ბევრის სიყვარული დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული, რადგან ზოგი წარსულიდან მოდის — ხომ გაგიგია, ყველაზე საშიში მიძინებული სიყვარულის გაღვიძებაო, ზოგიც შენი ცხოვრების შუაგზაზე „დაგეკვეხება“ და იტანჯები, რადგან ვეღარაფერს ცვლი. ეგეც ხომ იცი, ქართული მენტალიტეტი და რწმენა იდეალური ოჯახის შენარჩუნების შესახებ?! სამწუხაროდ, ყბადაღებული ფრაზა, „რას იტყვის ხალხი?!“ მამაკაცებს უფრო აშინებთ, ამიტომაც ქართველი კაცი ბევრი რამის გამო უკან იხევს.

**— ეტყობა, თქვენც გეგრძნოთ მალული სიყვარულის ძალა.**

— ჩემი მეუღლე ძალიან მიყვარს, მაგრამ მე, როგორც შემოქმედ კაცს, გატაცებაც მრავლად მქონია, თუმცა ეს ლექსი მაინცდამაინც ჩემზე კი არა, არამედ ყველა იმაზეა, ვინც დიდი გრძნობა გამოიარა და ვერავითარ ამოშალა თავისი გულიდან. შენც ხომ წერ ერთ-ერთ წერილში, ზოგჯერ ყველაზე მთავარი კადრს მიღმა რჩებაო. მინდა ამ ლექსით მივეფერო ყველას, ვისაც ბევრი ტკივილის მიუხედავად, მაინც ძალუძს დიდი სიყვარული. ასეთი ადამიანი თითქოს მაღლდება ჩემს თვალში, რადგან თავად სიყვარულია ღმერთი. ეჭვი არ მეპარება, მაცაცო ამ ლექსზე ისეთ სიმღერას დაწერს, რომ არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა თაობის ჰიმნად იქცევა. „კვირის პალიტრა“ კი ამ ჰიმნის თავიდათავი იქნება. დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას ამ რუბრიკისა და თბილი წერილებისთვის.

P.S. ჟურნალისტისთვის ამაზე ძვირფასი რა უნდა იყოს, როცა მკითხველი კოლეგა მადლობას გეუბნება... რაც შეეხება მერაბ ბერაძისა და რუსუდან სებისკვერაძის ერთობლივ შემოქმედებას, დაველოდოთ ლამაზ და გაუხუნარ სიყვარულზე დაწერილ სიმღერას.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**გამოხმაურება**

# „არასოდეს შეგაწუხებს ჩემი სიყვარული“

ამას წინათ (№17) დავბეჭდეთ ხელმოუწერელი წერილი, რომელიც იწყებოდა ასე: „არასოდეს შეგაწუხებს ჩემი სიყვარული“. მიუხედავად იმისა, რომ სახელი არ იყო მითითებული (თუნდაც შეცვლილი), მივხვდით, მისი ავტორი მამაკაცი იყო. წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში მივიღეთ ქალბატონების ბარათები. თითოეულს სჯერა, რომ მამაკაცის სიყვარულით სავსე სტრიქონები მხოლოდ მას ეკუთვნის.

ცოტა არ იყოს, დავიბენით, მაგრამ როცა ხელახლა და გულდასმით წავიკითხე შემოსული ბარათები, მივხვდით, ვინც უნდა ყოფილიყო წერილის ადრესატი. სწორედ მის პასუხს ვაქვეყნებთ:

„ეს ბარათი ჩემთვის იყო განკუთვნილი (ღრმად ვარ დარწმუნებული) და თქვენს „რესპონდენტს“ ვპასუხობ: „ჩემო სიცოცხლევ, შენი სიყვარულით არ შეგიწუხებივარ და არც დაგიღლივარ. ასე მგონია, შენი აღსარება უფლის წინაშე თავის მართლებაა. მართლაც, „დიდი და წრფელი სიყვარული არ იჟანგება“. მე არც მიცდია, რომ ჩვენს სიყვარულს ჟანგი მოსდებოდა. შენმა ბარათმა ამაფორიაქა, მთელი ღამე ტირილში გავათენე. თან მჯეროდა, თან არა, რომ იმ სტრიქონებს შენ მწერდი...

ასე თბილი სიტყვები მარტო შენ იცი. იმ სტრიქონებიდან შენს სუნთქვას ვგრძნობდი.

ვითომ დაგემშვიდობე და წავედი, მაგრამ ძნელია უშენობა. დღე და ღამე მელანდებოდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი: შეგიძლია უმისოდ, დიდხანს გაძლებ? თავადვე ვპასუხობდი: არა, არა და არა. მე უშენოდ, თუნდაც შენი ბარათების გარეშე, ვერ გავძლებ. შენსავით არავინ მყვარებია. ვერ ავიტან, შენი ბინიდან „ვიღაც სხვა“ ქალმა გამაგონოს ხმა. ეს ჩემი ცოცხლად დასამარება იქნება. ჩვენი სიყვარული მე არ გამიწირავს, ეს შენ დააბოლოე ასე. არ გინდოდა „შვილებისთვის შენი წილი ცოდვა დაგეტოვებინა“. მე შენთვის ის არ მითხოვია, რაც შენს შვილებს „დაამძიმებდა“.

ჩემო სიცოცხლევ, გთხოვ, მაპატიო დაუფიქრებელი ნაბიჯი, მაპატიე, თუ ოდესმე გული გატკინე, მომიტევე. მოდი, ახლიდან დავიწყოთ ცხოვრება. ჩვენ ხომ ურთმანეთოდ არ შეგვიძლია! იცოდე, ძალიან მიყვარხარ, მენატრები და გელოდები. შენი სიყვარული“.

# ფერადოვანი ზაფხული

ბუნებრივი მასალა მოდიდან არასოდეს გადის. იგი, თავისი თბილი და ნაზი ფერებით გამოკვეთს ქალის სილამაზეს.



ამ ზაფხულს მოდაშია ელეგანტური, ძალიან თანამედროვე ჩალის ქუდები და ხელჩანთები, რომელიც დამშვენებული იქნება მძივებით, ფერადი ქვებითა და ორიგინალური ნაქარგებით.

ზაფხულში ყველაზე რომანტიკული სამშვენისი — მარგალიტია. ქალი, რომელმაც მარგალიტის შნოიანად ტარება იცის, სინატიფით გამოირჩევა.



# სათვალის ყველაზე მოდური ფორმა

ამ სეზონზე კვლავ მოდაშია დიდი, პეპელას ფორმის სათვალე. მეორე მოდური მიმართულებაა — აეროდინამიკური ფორმები — პილოტის სათვალის მსგავსი მზის სათვალე.

მოდაშია ოდნავ შეფერილი ფერადი ლინზები.

# მოდაშია „ჩათი“

*როგორც ჩანს, მალე წარსულს ჩაბარდება აივნებზე და ფანჯრებში გადმოკიდებული „ვასასების“ ეპოქა და ჭორაობის ახალი „ტექნიკური“ მიმდინარეობა „ჩათი“ მსოფლიოს დაიპყრობს, რისი ნიშნებიც უკვე ჩანს. „ჩათაობაში“ დაოსტატებულები უამრავ საინტერესო ამბავს ჰყვებიან, მათ შორის ერთი მეც გადამხდა. ინტერნეტში „შემძვრალს“ ძალიან მიყვარს უცხოელებთან „ჩათაობა“. ასე ვცდილობ მათი ხასიათების, მისწრაფებების შესწავლას და ბევრი საინტერესო ნაცნობიც გავიჩინე. ამას წინათ, ერთ იტალიელ ყმაწვილს ჭორაობის შემდეგ ძალიან მოუნდა ჩემი ახლოს გაცნობა და პაემანი მილანში დამინიშნა. ინტერნეტით ურთიერთობის მანძილზე მას ერთხელაც არ მოსვლია თავში აზრად გაეგო, სად ვცხოვრობდი. რახან ინგლისურად ვსაუბრობდით, ალბათ იფიქრა, სადღაც მილანთან ახლოს ვიყავი და... მიქელეს ვუთხარი, — ქართველი ვარ და საქართველოში ვცხოვრობ-მეთქი. აი, მაშინ დაიწყო კურიოზები. უცებ მეკითხება — თბილისში ამას და ამას თუ იცნობო. მათ შორის ერთს საკმაოდ ახლოს ვიცნობ. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, თურმე მიქელე საქართველოში არაერთხელ ყოფილა და კიდევ ერთხელ აპირებს ჩამოსვლას. ვიმედოვნებ, ამის მერე მასთან საინტერესო ინტერვიუც კი შეიძლება შემოგთავაზოთ, მანამდე კი „მოჩათავეთა“ ნაამბობით გაგართობთ.*

**ლია (42 წლის):** — ჭორიკანა ვარ, ძირითადად ტელეფონით ვჭორაობდი ხოლმე, მაგრამ რაც ჩემს უფროს ვაჟს კომპიუტერი ვუყიდე, ჭორაობის საშუალებად ინტერნეტს ვიყენებ. ბავშვების შინ დაბრუნებამდე კარგად ვერთობი. თუმცა, ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. მაგალითად, როცა ჩემი მომხიბლავი ინტერნეტსახელის, „კნუტის“ გამო ბიჭუკელები პაემანს მინიშნავენ, როგორც კი ჩემს ასაკს გაიგებენ, მლანძღავენ — ამ ხნის დედაბერი სადაური კნუტი ხარ, კრუხი მაინც დაგეწერაო და ა.შ. ისე კი ძალიან მაკვირვებს, დღევანდელი გოგო-ბიჭების დიალოგი. ისეთი უწმაწური სიტყვებით ესაუბრებიან ერთმანეთს, გული მისკდება — ურთიერთპატივისცემის არანაირი გრძნობა არა აქვთ.

**ანუკი (21 წლის):** — „ჩათში“ მაგარი ამბები ხდება. ამას წინათ ჩემი დაქალი ვიღაც ბიჭს ეჭორავებოდა, ის კიდევ გამწარებული არშიყობდა. ამ დროს მათ ინტერნეტდიალოგში ჩაერთო გოგოს შეყვარებული და გაგიჟდა. იმ ბიჭს შეხვედრა სთხოვა, საქმე უნდა გავარჩიოთო. შეხვდნენ ერთმანეთს და იჩხუბეს. გოგოს შეყვარებულმა ის ბიჭი დანით დაჭრა. ამ ამბის გამო ბევრი ვინერვიულეთ. მე ჩემს დაქალს ვამტყუნებ. მას არ უნდა მიეცა ვიღაც უცხო ბიჭისთვის „ჩათაობის“ უფლება და არაფერიც არ მოხდებოდა. სულ მიკვირს, თუ ინტერნეტში ძრომიალი უნდათ, რაღა ამ უაზრო „ჩათში“ ხარჯავენ დროს, როცა უამრავი საინტერესო რამის ნახვა, წაკითხვა და დამახსოვრება შეიძლება.

**გოგი (25 წლის):** — „ჩათი“ დიდი გზაკვალის ამბნევი რამეა. ამას წინათ ერთი გოგო გავიცანი „ჩათში“. ისეთი სერიოზული და მიმზიდველი მეჩვენა, რომ პაემანი დავუნიშნე. როგორც მიმითითა, ისეთი აღწერილობის გოგო მართლაც მოვიდა დანიშნულ ადგილზე. ძალიან ლამაზი იყო, მივესალმე, გამოვეცნაური. ბარში დავპატიჟე. მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი იყო, საუბარში მაგარი დებილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გავგიჟდი, ნუთუ ეს ის არის-მეთქი! ჩვეულებრივად გავაგრძელე „ჩათში“ ჭორაობაც და შეხვედრებიც. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ რაღაც იდუმალებასთან მქონდა საქმე. ერთ დღესაც პაემანზე ძმაკაცი გავუშვი სადარაჯოდ. გოგო მოვიდა, იტრიალა, იტრიალა და რომ არ მივედი, ვიღაცას დაურეკა. ჩემი ძმაკაცი მის გვერდით იდგა და ყველაფერი ესმოდა. გოგომ ვიღაცას უთხრა, — არ მოვიდა და მოდი, ჩვენ შევხვდეთ ერთმანეთსო. მათ მიერ დათქმულ ადგილზე მივედი და „დამნაშავეც“ დავიჭირე... კარგი გოგოა, ისეთი ლამაზი ვერ არის, როგორიც მისი სულელი დაქალი, მაგრამ ძალიან ჭკვიანია და მასთან



ურთიერთობა მსიამოვნებს.

**ლუკა (19 წლის):** — არ მომწონს ეს იდიოტური „ჩათი“. ჭკუაგამოლეული ხალხი ერთობა მაგ სისულელით. წიგნი გადაშალონ და წაიკითხონ, ის ურჩევნიათ. ან წავიდნენ, ისეირნონ, თვალს წყალი დაალევინონ, ვიღაცა ნახონ, ტკბილი სიტყვა უთხრან, ამას რა სჯობს. „ჩათაობა“ თუ ასე გაგრძელდა, მალე რობოტებად ვიქცევით.

**მაკა (36 წლის):** — კადრების შემცირების გამო უმუშევარი დავრჩი. რომ არა „ჩათი“, გავაფრენდი. ყველას გავაგებინე ჩემი გასაჭირი. ერთ კვირაში იმდენი სამსახური მომიძებნეს ინტერნეტმეგობრებმა, რომ საქმე ასარჩევად მქონდა. მათთან ურთიერთობას რეალურ ცხოვრებაშიც ვაგრძელებ და მარტო ვირტუალურ ნაცნობობას არ ვჯერდები.

***ეკა ლომიძე***

# ხელისუფლებაში იუმორისტ-კონსულტანტის თანამდებობას ვითხოვ



*სანამ ძირითად თემაზე მოგახსენებდეთ, საინტერესო რჩევას შემოგთავაზებთ, რომელიც ერთმა ძალიან ცნობილმა მსახიობმა მასწავლა: თუ წონაში მოიმატეთ და ტრენაჟორებზე ვარჯიშიც მოგწყინდათ, თუ დილის ძილს თავს ვერ ართმევთ, ღიპის და ღაბაბის დათხელებას სირბილითაც ვერ ახერხებთ, — გულს ნუ გაიტეხთ. არსებობს თქვენი პრობლემის მოგვარების შესანიშნავი საშუალება — სიცილის თერაპია, რომელიც საქართველოში სიცილის დედოფლად აღიარებულ* **მზია კვირიკაშვილთან** *შეგიძლიათ გაიაროთ. თურმე ერთ თვეზე ნაკლები დროც საკმარისია იმისათვის, რომ თქვენი მუცელი სულ ცოტა 5 სანტიმეტრით შემცირდეს, 6 თვეში კი, თუ მსახიობს დავუჯერებთ, ვერავინ გიცნობთ და მარიფათის გამოჩენის შემთხვევაში შესაძლოა თავი რომელიმე ცნობილი დიზაინერის სამოდელო სააგენტოშიც ამოყოთ. ვფიქრობთ, ამ რჩევის გათვალისწინება არც იმ პოლიციელებს აწყენდათ, რომელთაც „ფუმფულა ღიპის გამო პოსტის დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ“. ექსკლუზიური ინფორმაციის მიღებისთანავე ქალბატონ მზიას დავუკავშირდი:*

**— ქალბატონო მზია, მართლა გახსენით „სიცილის კლინიკა“?**

— ჩემი კლინიკა არის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც სიცილის ექსტრასენსულ სეანსებს ჩაგიტარებთ. სიცილი სიცოცხლესაც ახანგრძლივებს, ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. ეჰ, ხელშეწყობა რომ მქონდეს, ისეთ საღამოებს მოვაწყობ, რომ მართლა ვუმკურნალებ ადამიანებს. სიცილი აკეთილშობილებს კიდეც ადამიანს, გამხიარულებულს გულზე დარდი გადაეყრება და აღარც ბოროტებაზე იფიქრებს.

„სიცილის კლინიკის“ გახსნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, თუ პარლამენტში სიცილის საღამოების ჩატარების საშუალებას მომცემს ხელისუფლება. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დავაახლოებ პოლიტიკოსებს ერთმანეთთან. თვეში ერთხელ, ან თუნდაც ორ თვეში ერთხელ ასეთი საღამოები არც პარლამენტს აწყენდა და არც მინისტრთა კაბინეტს. აი, მაშინ ნახავთ, რა შეუძლია სიცილის თერაპიას. მოკლედ, პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის იუმორისტ-კონსულტანტის თანამდებობას ვითხოვ. კატასტროფულ ხელფასს არ მოვითხოვ. მთავარია „იუმორინას“ ბოლო კონცერტიდან მომავალი წლის კონცერტამდე თავის გატანა შემეძლოს.

**— მხიარულ ადამიანზე იტყვიან, მაგას რა დააბერებს, ქალარა არ უჩნდებაო.**

— ტყუილია. თმას ვიღებავ, თორემ მეც მთლად გავჭაღარავდი. მთავარია, გული არ დაბერდეს. ჩემი გული დიდხანს არ დაბერდება, რადგან ყველა ასაკის ადამიანთან შემიძლია მეგობრობა. თითო მეგობარი თითო წლის სიცოცხლეს მმატებს. უბედნიერესი ქალი ვარ, როცა მეუბნებიან — შენ გაიხარე, რამდენი მაცინე, როგორ დამავიწყე ყველა პრობლემაო.

ერთი ანეკდოტი გამახსენდა და გეტყვით: *სადარბაზოში მეგრელს ყაჩაღი შუბლზე იარაღს მიადებს. გააჟრჟოლა მეგრელს, ცივი იარაღი რომ იგრძნო. გაისუსა, ხელებაწეული დგას. ყაჩაღი ეუბნება — არ გაინძრე, შენი... მეგრელი პასუხობს — დედა, შენ არ გაინძრე, თვარა მე რავა გავინძრევი, კაცო.*

**— მიკვირს, საპარლამენტო არჩევნების წინ რომელიმე პარტიაში რომ არ მიგიწვიეს, ისეთი მოთხოვნილება იყო მსახიობებზე.**

— რას ამბობთ, მე და პარლამენტი (კვდება სიცილით)?! როგორც სახედარს სალამურის არაფერი გაეგება, ისე მე არაფერი მესმის პოლიტიკისა. მინდა გითხრათ, რომ იმ საქმეში, რომელიც მე არ მესმის და არ მაინტერესებს, არასოდეს ვყოფ ცხვირს, მიუხედავად ჩემი ცხვირის სიდიდისა.

**— თურმე ერთ დროს ქართლოს კასრაძე კაზიან ჩაპლინს გეძახდათ. რა გაქვთ საერთო შარლიან ჩაპლინთან?**

— ალბათ სევდა, თორემ ჩაპლინს მე რას შევედრები. სტუდენტობის დროს პირველ კონცერტზე რომ გამოვჩნდი, ვასო გოძიაშვილი ბევრი მეფერა და მითხრა — ძალიან დიდი მომავალი გელის. არ გაჩერდე და არასოდეს არაფერი თავში არ აგივარდესო. რა თქმა უნდა, არაფერიც არ ამვარდნია თავში. რაც შეეხება მომავალს, ალბათ ამიხდა გოძიაშვილის წინასწარმეტყველება, რადგან ხალხმა სიცილის დედოფალი მიწოდა. გივი ბერიკაშვილთან ახლოს გავლას ვოცნებობდი წინათ, ახლა კი მის გვერდით სცენაზე ვდგავარ...

**— ამბობენ, ხიფათიანი ყოფილხართ.**

— ორჯერ სპორტის სასახლის სცენიდან გადმოვვარდი, ერთხელ ქუსლი ჩამეკვეხა იატაკში, ერთხელაც კიბე ჩამოვარდა ჩემთან ერთად. კახეთში 320-ვოლტიანმა დენმა დამარტყა და იმან მიშველა, რომ რეზინზე ვიდექი.

**— ვახტანგ კიკაბიძესთან დაკავშირებითაც გქონიათ თავგადასავალი.**

— ბუბა ძალიან „მოდაში“ რომ იყო, მეც დღევანდელი ტინეიჯერივით ვიყავი მასზე შეყვარებული. „ვეცემოდი“ რა. მეორეკურსელი ვიყავი, პირველად ჩავიცვი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. გავიპრანჭე, ჭკუაზე არა ვარ, ბუბას კონცერტზე მივდივარ. ჩემი ჭკუით თავი უნდა მოვაწონო. გვერდით მომყვება ჩემი „პროფესორშა“ და, რვეულების და დისერტაციების გარდა არაფერი რომ არ აინტერესებს. დღესაც ჭკუას მარიგებს 55 წლის ქალს. წესიერად გაიარე, გოგოო და არის ერთ ამბავში: მე კიდევ ქალი ვარ და ვკეკლუცობ, ამ ჩემი დის არაფერი მესმის. საზაფხულო თეატრში იყო „ორერას“ კონცერტი. წინასწარ დავწერე ფურცელზე, ბატონო ვახტანგ, ძალიან გთხოვთ, იმღერეთ „მეფაიტონე“-მეთქი. მოდაში იყო მაშინ ეს სიმღერა. მეათე რიგში მქონდა ბილეთი, მე კი წავედი და პირველ რიგში დავჯექი. ჩემმა დამ ვერაფრით წამიყვანა უკან. რას წავიდოდი, ბუბასთვის წერილი უნდა მესროლა, რომ ჩემთვის შეეხედა. გამოვიდა ბუბა და არ იმღერა „მეფაიტონე“?! აუ, გავგიჟდი, მაგრამ ისე გამოვშტერდი, როგორც კი დაამთავრა სიმღერა, მთელი ძალით გადავეყუდე მოაჯირს, რომლის შემდეგაც ორკესტრის ორმო იყო და მერე სცენა, ვესროლე ეს წერილი ბუბას პირდაპირ სახეში... თურმე მოაჯირის კარს გადავყუდებივარ, რომელიც ღიად იყო დარჩენილი. გადავეკიდე ორმოში. იქ ამბავი ატყდა... გავქანდი და გამოვქანდი ფეხების სხმარტალით. ვკივი, თან სახეწაშლილ ბუბას ვუყურებ, რომელიც აშკარად ფიქრობდა, ეს გიჟი ვინ არისო. ძლივს ამომათრიეს იქიდან. ძირს რომ ჩავვარდნილიყავი, სული არ დამყვებოდა. ჩემი და სიცილით კვდებოდა... მერე გავიდა წლები და „ლენფილმში“ მიმიწვიეს გადაღებაზე. მე ეპიზოდური როლი მქონდა ფილმში „ოლგა და კონსტანტინე“. კონსტანტინეს ბუბა თამაშობდა. ერთ დღესაც გადაღების შემდეგ ვისვენებდით, ბუბას ვუთხარი: — გახსოვს, ერთხელ შენს კონცერტზე ვილაც გოგო მოაჯირს რომ გადაეკიდა-მეთქი. მაგას რა დამავიწყებს, ვილაცა დაცენტრილი იყოო. ის დაცენტრილი აგერ გიზის-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვიცინეთ მაშინ.

...ჩემი თავგადასავლების წერა რომ დავიწყო ბავშვობიდან დღემდე, იმის წაკითხვისას სიცილით გული აუცილებლად შეგიწუხდებათ...




# ყველაზე მოუცლელი კაცი

## „ეს კაცი ჭკუით ბრმაა“?

როგორ ფიქრობთ, ვინ არის საქართველოში ყველაზე მოუცლელი და საქმეში პირთამდე ჩაძირული კაცი? პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი? ცდებით. კაცი, რომელსაც დროის დეფიციტის გამო პირადი ცხოვრებისთვისაც თითქმის არ სცალია — „ღამის შოუს“ „საბრალო“ წამყვანი **დათო გოგიჩაიშვილია**. ვინაიდან მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, „ყოველგვარი შესავლის გარეშე“ გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც დიდი „წამებისა“ და „წვალების“ შემდეგ შედგა.



**— დათო, რა განაპირობებს შენს კატასტროფულ მოუცლელობას? სულ წუწუნებ, დრო არა მაქვსო. კვირის განმავლობაში ხომ სულ ორჯერ გადიხარ ეთერში.**

— კვირაში ორჯერ ეთერში გასვლასაც დიდი შრომა სჭირდება. ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი მთელი კვირა დატვირთვით მუშაობს, რომ გადაცემა ისეთი გამოვიდეს, როგორიც გამოდის.

**— სატელეფონო საუბრისას მითხარი, რომ ამერიკული პრინციპით მუშაობ. რას ნიშნავს ეს და რა განსხვავებაა ამერიკულ და ქართულ „პრინციპებს“ შორის. დროის შეგრძნებას ხომ არ გულისხმობ?**

— ქართველებს მართლაც სხვანაირად გვაქვს დროის ფაქტორის შეგრძნება, მაგალითად, ამერიკაში მეგობარს რომ დაურეკავ და ეტყვი, — პარასკევს მე და შენ გერლფრენდებთან ერთად საღამოს კინოში ხომ არ წავსულიყავითო, გიპასუხებს — ძალიან კარგი იდეაა, 8 სთ-სა და ათ წუთზე გამოგივლითო, და ზუსტად იმ დროს შედგება თქვენი შეხვედრა. საქართველოში კი პირიქით ხდება. თუ მეგობარს ეკითხები: რას აკეთებ ხვალ ექვს საათზე, რაღაც შეკითხვები მაქვს შენთან და შეიძლება რომ გნახო? ის გპასუხობს — რა ვიცი, სად ვიქნები 6 სთ-ზე, დამირეკე 6-ის ნახევარზეო და ეს შეხვედრა ან შედგება, ან — არა. ასე ხდება საქმიან ურთიერთობებშიც. საქართველოში პუნქტუალობა ჩემს პირად პრობლემად იქცა, რომელთან შეგუებაც მიჭირს.

**— პოლიტიკური მოვლენების მიმართ შენს ინტერესს წმინდა მოქალაქეობრივი პოზიცია განაპირობებს თუ ეს იმისთვის გჭირდება, რომ საქილიკო მასალა მოიპოვო?**

— როგორც მოქალაქეს, ქართველს და გურულს, პოლიტიკა ისედაც მაინტერესებს და ჩემს გადაცემასაც სჭირდება პოლიტიკური მასალა. ამის გამო არა მარტო მე ვადევნებ თვალს პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ მთელი ჩვენი შემოქმედებითი გუნდიც.

**— რატომ მაინცდამაინც ასეთი შინაარსის გადაცემაზე შეაჩერე არჩევანი, როცა საქართველოში საინფორმაციო პროგრამების ბუმია და ეს მოდადაც კი იქცა?**

— ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ის არის, რომ საინფორმაციო გადაცემების ბუმია, მეორე ფაქტორი კი ის, რომ აშშ-ში ყოფნის დროს ვთანამშრომლობდი „ღამის შოუს“ ფორმატის გადაცემების შემქმნელებთან. ასეთი არჩევანი გავაკეთე ჩემი იუმორისტული წარსულის გამოც. ამ ფორმატის გადაცემის საქართველოში „გადმოტანის“ უფლება იოლად არ მომიპოვებია. დამჭირდა იმის მტკიცება, რომ ამ პროექტს კარგად გავაკეთებდი. ამ ეტაპზე კი ამერიკელებთან „ღამის შოუს“ განვითარების შესახებ ყოველკვირეული კონტაქტი მაქვს. ვუკავშირდები და ვაცნობ, რას ვაკეთებ, რისი გაკეთება მინდა და კონსულტაციებს ვიღებ.

**— ხშირად ხუმრობ შალვა ნათელაშვილზე, თუ იცი, როგორი რეაქცია აქვს ამაზე და ხომ არ არის აცრილი იუმორზე?**

— როცა შალვა ნათელაშვილი სტუმრად მოვიწვიეთ გადაცემაში, ჩაწერის წინ ძალიან კარგი რამ გვითხრა: პოლიტიკოსი, რომელიც იუმორზე ბრაზდება, არ შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდესო. ეს სიტყვები ჩემთვის ძვირფასი იყო.

**— ამერიკაში ცხოვრების დროს რამე საჰედლაინო კანონი ხომ არ დაგირღვევია?**

— არ დამირღვევია, მაგრამ ძალიან ბევრი პარადოქსული კანონი აქვთ. მაგალითად, ალკოჰოლური სასმელის საყიდლად რომ მიდიხარ, მართვის მოწმობა უნდა აჩვენო, რომელზედაც აწერია „მანქანა ნასვამმა არ ატარო“. სპორტული დარბაზის წინ, არის ინვალიდების სადგომი და ა.შ. ამაზე ხუმრობენ ხოლმე ამერიკელები.

**— „ღამის შოუში“ მოსაწვევი სტუმრებიდან, ვინმე ხომ არ ყოფილა თქვენთვის მოუხელთებელი?**

— მოუხელთებელი რას ნიშნავს?

**— რაც ამერიკაში „წაგიღეს“, ქართული სულ დაგავიწყდა? მოუხელთებელი შეიძლება ვთქვათ შენზე, რადგან სულ არ გცალია. ასეთი სიტყვის მნიშვნელობა არ იცი და სხვებს ჰედლაინებში აქილიკებ?**

— გასაგებია, ჩემთვის მოუხელთებელი მიხეილ სააკაშვილია.

**— შენზე ამბობენ, ბავშვობაში ძნელად აღსაზრდელი იყოო, ეს სიმართლეა თუ დეზინფორმაცია?**

— მართლაც ძალიან ჯიუტი ბავშვი ვიყავი. ჩემმა მშობლებმა ძალიან დიდი წვალება გამოიარეს ჩემს გამოზრდაში. მახასიათებდა მოვლენების თავისებური აღქმა. ერთხელ ქუჩაში დავინახე კაცი, რომელსაც სათვალე თავზე ეკეთა და მამაჩემს ვკითხე — ეს კაცი ჭკუით ბრმა არის-მეთქი?

**— ამბობენ, დათოს იუმორის ნიჭი მამისგან გამოჰყვაო.**

— მართალია. მამაჩემის სტუდენტები ხშირად იშველიებენ მის ფრაზებს. ერთხელ ლექციაზე უთქვამს: ერთი ნახვით შეყვარების წამალი არის ის, თუ მეორედ ნახვისას უკეთ დააკვირდებიო.

**— სევდიანი „ღამის შოუ“ თუ გინახავს?**

— სულ „სევდიანი“ არ არის (ეცინება)? თუ გინდა იგრძნო ადამიანთა სევდა, უნდა უყურო „ღამის შოუს“ (თვითკრიტიკით იწონებს თავს. — ე.ლ.). ერთ „საიდუმლოს“ გეტყვი: ჩვენთან სცენარისტებს თითო ხუმრობის მიხედვით უხდიან ჰონორარს, მაგრამ მაგ გადაცემაში ჯერ მე არ მინახავს ხუმრობა და ხომ წარმოგიდგენია სცენარისტები დღემდე რა ენთუზიაზმით მუშაობენ (რა თქმა უნდა, დათო ხუმრობს. — ე.ლ.) სამსახური რომ არ მაიძულებდეს, მაგათ ჩემმა მტერმა უყურა.

**— დათო გოგიჩაიშვილის „ღამის შოუში“ მიწვევას არ აპირებ?**

— საინტერესო იდეაა. გვქონდა მაგაზე ლაპარაკი და ტექნიკურად თუ შესაძლებელი იქნება, ალბათ „მივიწვევთ“ ჩვენს საიუბილეო გადაცემაზე ათი წლის შემდეგ.

**გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ**

## ორშაბათი 10 მაისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 1-2ს. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 15.15 სერიალი „ფორსაიტების საგა" 16.25 „ბედი" 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 17.25 პროფათეული 18.15 ანონსი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.45 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00 მოამბე 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 23.00 მოამბე 00.00 მხ. ფილმი „მადამ ბოვარი"

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" 21.00 „პალიტრა" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „პარმის სავანე„ 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.20 სერიალი „მაშველები„ 17.25 პერეკრისტოკი 18.20 „ტელეპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „უკვდავი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უცნაური ღამეები". მთ. რ-ში: რალფ ფაინსი, ანჯელა ბასეტი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 14.05, 16.50, 17.20, 02.10 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი" 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.40 ტვ-მარკეტი 14.20 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-11 ს. 15.40 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-12 ს. 16.00, 17.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" მე-6 ს. 21.30 „ვაკ-აჭი-ნიუსი" 23.00 სპორტ. პროგრამა „გოლი" 23.30 მხ. ფილმი „ითამაშე ბექჰემივით"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.10 დღის კინოდარბაზი 12.00, 15.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი „სადი„ (დანიელ ოტეი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ნიკოლას ნიკლბი"

12.00 ინდური მხ. ფილმი „სიყვარული„ 15.00 მხ. ფილმი „სასიზმრო ჩაძირვა„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა"

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета„ პროგრამა 18.40 სერიალი „ყავახანა„ 19.00 ეკონომისტი 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი" 21.30 ინდ. ფილმი „მოღალატე მეგობარი„ 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ორმაგი საყრდენი„ 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „აფერა„ (დასტინ ჰოფმანი) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მონტი პაიტონი და წმინდა გრაალი" (ჯონ კლიზი) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „შესანიშნავი" (ბელმონდო) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „დოგვილი„ (ნიკოლ კიდმანი)

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Док.сериал "Все путешествия команды Кусто". "Легенда "Калипсо" 07.50 Худ.фильм "ЗДЕСЬ ТВОЙ ФРОНТ" 09.20 Армейский магазин 09.50 Илья Резник. "Служить России". Концерт 11.10 "Непутевые заметки" 11.30 "Две славы солдата и актера" 12.20 "Угадай мелодию" 12.40 "Ералаш" 13.10 Боевик "ПО ЗАКОНАМ ВОЕННОГО ВРЕМЕНИ" 14.40 "Путешествия натуралиста" 15.10 "Дачники" 16.10 "КВН-2004". Премьер-лига. Вторая игра 18.00 "Ералаш" 18.10 "Космополитен - концерт" 20.00 "Кривое зеркало" 22.00 Время 22.20 Боевик "БАГРОВЫЕ РЕКИ" 00.20 Док.фильм "Список возмездия" 01.00 Концерт группы ДДТ 03.00 Худ.фильм "МОНСЕНЬОР"

## სამშაბათი 11 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 სერიალი „რვაფეხა" 1-ლი ს. 16.20 დოკ. სერიალი „მსახიობები" 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 17.30 „ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.45 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 მხ. ფილმი „მადამ ბოვარი„ მე-2ს.

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" 21.00 ჯადოსნური ეფექტი 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „პარმის სავანე" მე-2ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელეპუცები" 19.10 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უკანმოუხედავად". მთ. რ-ში: მაიკლ ჯეი ფოქსი, ჯეიმს ვუდსი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 14.35, 17.20, 02.50 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „ქულამები" 11.25 სპ. პროგრამა „გოლი" 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 02.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნიროვულფის საიდუმლოება" 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „ითამაშე ბექჰემივით" 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 02.00 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" 21.30 ღარის მახე 23.00 ერთხელ ჰოლივუდში 23.30 მხ. ფილმი „სიყვარული და 45 კალიბრიანი კოლტი" 01.10 სპ. პროგრამა „გოლი სერია A"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "ნოლტონის ზღვა" (ველ კილმერი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „სხვა სამყარო" (ბერჯიმ პატრიკი)

12.00 მხ. ფილმი 13.30 „საქმე და ეკონომიკა" 14.30 მხ. ფილმი „რეპეტიტორი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета„ პროგრამა 18.00 მუს. პაუზა 18.45 სპორტის სამყარო 19.45 მუს. პაუზა 20.00 პოლიტიკა, პოლიტიკა 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „ერთი ნახვით" 23.45 სერიალი „ყავახანა" 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" "ჩრდილთა საათი" 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 დებატები 202-ზე (განმ.) 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „შესანიშნავი" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „შაოლინის ხის კაცი" 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „სარას სამსახურში" (ელიზაბეტ ჰარლი) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ცივსისხლიანი დამქირავებელი" (მორგან ფრიმენი)

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "МЕРСЕДЕС УХОДИТ ОТ ПОГОНИ" 11.50 Сериал "КЛОН" 12.50 Мультсериал "Кошки-мышки" 13.20 Детектив "КОДЕКС БЕСЧЕСТИЯ", 1 серия 15.15 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Кумиры". Л. Лядова 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Худ.фильм "ДРУГАЯ ЖИЗНЬ" 22.00, 00.30 Время 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Тайны века. "Проклятие Брюса Ли" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Док.фильм "Сальвадор Дали. Жизнь без правил" 02.10 "На футболе" 02.40 Боевик "НОЧЬ СТРАШНОГО СУДА" 04.30 "Что? Где? Когда?"

## ოთხშაბათი 12 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია" 15.15 სერიალი „რვაფეხა" 16.15 დოკ. სერიალი „ევროპის ბუნებრივი დიდებულება" 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 17.15 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.45 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 მხ. ფილმი „წითელი სიცხე"

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" 21.00 „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 21.30 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „ჯარისკაცის მამა„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელეპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ალერსის ენაზე". მთ. რ-ში: შირლი მაკლეინი, ჯეკ ნიკოლსონი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.05 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „გოლი სერია A" 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 კალათბურთი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური სერია. 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" 21.30 „პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „ახალგაზრდა ეკატერინა"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "ზეციური ცეცხლი" (რასელ ქროუ) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ექსპერიმენტი" (კრისტიან ბერკელი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გენერალი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 მხ. ფილმი 15.00 „ვესტი" "РТР Планета„ პროგრამა 18.00 მუს. პაუზა 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი" 21.00 „ვესტი" 21.30 მუსიკა 23.00 ინდ. მხ. ფილმი „სიხარულშიც და მწუხარებაშიც„ 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" "შტორმი" 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „სარას სამსახურში" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ევოლუცია" (დევიდ დუხოვნი) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „შეყვარებული ექიმები" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „დოგმა" (ბენ აფლეკი)

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Детектив "КОДЕКС БЕСЧЕСТИЯ", 2 с. 14.30 "Голливудские преступления", ч. 4 15.15 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Просто смех! 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Худ.фильм "ДРУГАЯ ЖИЗНЬ" 22.00, 00.30 Время 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Спецназ. "Задание особой важности" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Искатели. "Славянские пирамиды" 01.40 Большой взрыв. "Непорочное зачатие" 02.10 Неизвестная планета. "Китайские монастыри" 02.40 Комедия "ДВА ВОРЧЛИВЫХ СТАРИКА" 04.30 "Что? Где? Когда?"

## ხუთშაბათი 13 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „იოანე-პავლე მე-2" 15.15 სერიალი „რვაფეხა" 16.20 დოკ. ფილმი „მინორკის ცხენები" 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.45 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 მხ. ფილმი „ანგელოზთა ორომტრიალი„

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" 21.00 „მამუნის ნიშნის ქვეშ" 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი" 22.00 მხ. ფილმი „სისი„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელეპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „დროის მანქანა". მთ. რ-ში: გაი პირსი, სამანტა მამბა

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 X-კლუზივი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 კალათბურთი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური სერია. 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.30 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" 21.30 საქმე № 23.00 „ქეტფაიტა" 23.30 მხ. ფილმი „ახალგაზრდა ეკატერინა-2"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "ზიგლი" (ნეილ დიკსონი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ანტუან ფიშერის ისტორია" (დერეკ ლუკი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 „ვესტი" "РТР Планета„ პროგრამა 18.00 მუს. პაუზა 18.45 სპორტის სამყარო 20.00 პოლიტიკა, პოლიტიკა 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 სერიალი „ყავახანა" 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „გამტაცებლები„ 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „შეყვარებული ექიმები" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ძარცვა" (ჯინ ჰეკმანი) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „ნიკიტა" (ჩეკი კარიო) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „არ თქვა არაფერი" (მაიკლ დუგლასი)

VII 09.05 მელოდია 09.15 „ჩიკუდა" 09.35 მობილურები 10.05 მელოდია 10.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.45 მელოდია 10.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 11.30 დოკ. ფილმი: „ცხოველთა სამყარო" 12.35 დისნეი და მისი მეგობრები 12.55 კომპიუტერული ტექნიკა 13.20 ანიმე 18.05 მელოდია 18.20 მობილურები 19.00 „ჩიკუდა" 19.40 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.40 კომპიუტერული ტექნიკა 21.15 „ღამის კაპრიზი" 22.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.50 „კინოკლუბი" - „ჩასაფრებულნი". მელოდრამა. რეჟ. ბერნარდო ბერტოლუჩი. როლებში: ტენდი ნიუტონი, დევიდ ტიულისი 00.25 მელოდია 00.45 აუდიო-ვიდეო-ტელე

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 "Ералаш" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Худ.фильм "ЗОЛОТО МАККЕННЫ", 1 с. 14.30 Док.детектив "Охота на "крокодилов" 15.15 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Памяти Никиты Богословского 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Худ.фильм "ДРУГАЯ ЖИЗНЬ" 22.00, 00.30 Время 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.35 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Ударная сила. "Личное оружие Макарова" 01.40 Сканер. "Танкодром" 02.10 "Голливудские преступления", часть 4 02.40 Комедия "ОДИН ВОРЧЛИВЕЕ ДРУГОГО". 04.20 "Что? Где? Когда?"

## პარასკევი 14 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „ინტერპოლი" 1-ლი ს. 15.15 სერიალი „რვაფეხა" 16.25 დოკ. სერიალი „პალიტრა" 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 17.20 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.45 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 კონცერტი (ტანია-მარია) 01.30 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ მეზობლის ძაღლი„

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" 21.00 ეგვიპტოლოგიის პიონერები 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „სისი„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელეპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ირმებზე მონადირენი". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, მერილ სტრიპი. 03.30 მხ. ფილმი „ფორსაჟი". მთ. რ-ში: პოლ უოკერი, ვინ დიზელი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.50, 02.45 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა" 11.30 „პირველი ნახევარი" 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 02.15 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „ახალგაზრდა ეკატერინა-2" 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X-კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „ფარული მუქარა" 01.05 „NBA"-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "მომხვიე ხელი„ (შანტალ ლობი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ყოველთვის" (ჰოლი ჰანტერი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „ამერიკული ურჩხული„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ. ფილმი „ნდობა„ 15.00 „ვესტი" "РТР Планета„ პროგრამა 18.00 საზოგადოება და ტრანსპორტი 19.00 მუს. პაუზა 20.00 „სცენის ოსტატები" 21.00 „ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 სერიალი „ყავახანა" 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო" "ყველას უყვარს მზე„ 03.45 პაუზის გარეშე

202 10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ნიკიტა" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მოდური რამ" (ჯორჯ ლუკასი) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა" (ვუპი გოლდბერგი) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „მექანიკური ფორთოხალი" (მალკოლმ მაკდაუელი)

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.20 Сериал "Клон" 12.15 "Ералаш" 12.40 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.20 Грегори Пек в легендарном фильме "ЗОЛОТО МАККЕННЫ". 2-я с. 14.30 "Голливудские преступления". Часть 4-я 15.20 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Звонок на большую перемену". 19.50 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Фабрика звезд" 23.50 "Что? Где? Когда?" 01.10 Кристофер Ламберт в боевике "ДРУИДЫ" 03.30 Мистический триллер "ПРЕДЗНАМЕНОВАНИЕ" ("Омен" - 3) 05.30 Джеймс Кэмерон представляет боевик "ТЕМНЫЙ АНГЕЛ"

## შაბათი 15 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.20 მხ. ფილმი „ადამიანი მატარებლიდან" 13.50 დოკ. ფილმი „საგნების ისტორია" 14.00 სერიალი „ნაპოლეონი" 15.15 სერიალი „გრაფი მონტე კრისტო" 17.00 დოკ. ფილმი „კანის ფესტივალი" 18.00 ვესტნიკი 18.40 „იმღერე რამე" 19.15 „მაცაცერა" 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.55 ფორტუნა 22.30 „საღამოს საუბრები" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.15 მხ. ფილმი „მდიდარი რომ ვიყო"

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „გრაფი მონტე კრისტო" 21.00 დოკ. ფილმი „ლაკრუა" 22.00 მხ. ფილმი „შეყვარებული გასტროლიორი„

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი" 18.00, 01.10 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.30 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები" 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო„ მხ. ფილმი „ტკბილი თექვსმეტი". რეჟ. კენ ლოუჩი. 01.20 მხ. ფილმი „პოლიციელი". მთ. რ-ში: ჯეიმს ვუდსი, ლესლი ენ უორენი.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები„ 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები„ 10.30 დილის ფოსტა 11.00 საკვირაო მოძღვრება 11.15, 16.45, 18.00, 02.00 იმედის მელოდიები 12.00 სამედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „ფარული მუქარა" 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.00 საქმე № 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 „ვაკ-აჭი-ნიუსი" 20.00 ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი" 20.45 სერიალი „მართლმსაჯულების 18 ბორბალი" 22.00, 01.55 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „რატომაც არა პატარავ" 01.25 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმები 10.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „კოდი „კოპერნიკი" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.00 დღის კინოდარბაზი 18.05 სერიალი „ეშმაკთან ცეკვა" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 ფეხბურთი მზეზე 21.00 მხ. ფილმი „მედალიონი" (ჯეკი ჩანი) 23.00 მხ. ფილმი „ჯიგლი„ (ჯენიფერ ლოპესი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „მანანაწალა ქალი მორგანი" 17.00 მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი 00.20 მხ. ფილმი

08.00 "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "РТР Планета„ პროგრამა 18.10 თქვენი ადვოკატი 19.00 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 „თინეიჯერი" 21.00 "РТР Планета„ პროგრამა 22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 სერიალი „ყავახანა" 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„ „ბებერი ქოფაკი„

202 10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი კინოგმირი" (ა. შვარცენეგერი) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი" (ბრიუს უილისი) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „მწარე მთვარე" (პიტერ კოიოტი)

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Великаны глубин. Киты" 07.50 Владислав Стржельчик в фильме "Поэма о крыльях". 1 с. 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 "Любовные истории". Илья Олейников 12.00 "Пестрая лента". Анна Герман 13.10 История с географией. "Братья по крови: Пожиратели растительности" 14.10 Дог-шоу 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.20 Умницы и умники 16.00 "Спасатели. Экстренный вызов" 16.30 Виталий Соломин в фильме "ЧЕРНЫЙ КВАДРАТ" 18.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 19.10 "Шутка за шуткой" 20.00 "Магия. Разоблачение" 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 "Розыгрыш" 23.40 Конкурс песни "Евровидение-2004". Прямой эфир из Турции 04.20 Классический триллер "ДОМ СЕКРЕТОВ" 06.00 Сериал "ТЕМНЫЙ АНГЕЛ"

## კვირა 16 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 09.10 დოკ. ფილმი 10.00 დილის პაემანი 11.05 „სტუმრად მასხიობთა სტუდიაში" (ტიმ რობინსი) 11.30 სპა 12.20 მხ. ფილმი „მამაჩემი გმირია" 13.45 დოკ. ფილმი „საგნების ისტორია" 14.00 სერიალი „ნაპოლეონი" 15.15 სპექტაკლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" 17.00 დოკ. სერიალი „ქვეყნები, ქვეყნები" 17.55 „მათი შვილები" (ლ. თაბუკაშვილი) 18.40 „იმღერე რამე" 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 დოკ. სერიალი „მე-20ს. დიდებული ქალბატონები" 21.00 მუს. ოქტაგონი 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ამბობენ" 23.15 საბ. ფილმი „ვივალდი, ისაკაძე და ზღვა" 00.15 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 „სტუმრად მასხიობთა სტუდიაში" (შერონ სტოუნი) 20.30 ძველი აფიშა 21.20 მრავალსახეობა 22.00 მხ. ფილმი „წინაალმდეგობა".

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.30 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი„ 19.00 მხ. ფილმი „გოლდფინგერი„ რეჟ. გაი ჰემილტონი. 21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მატრიცა: რევოლუცია„ 877 45-79-25 კიანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი, „ცისფერი უფსკრული„ 877 45-79-26 ჟან რენო, როზანა არკეტი, „უივერნის მამულის საიდუმლოებანი" 877 45-79-27 ნაომი ვოტსი, დერეკ ჯეკობი. 23.45 მხ. ფილმი „ვიკინგები". მთ. რ-ში: კირკ დუგლასი, ტონი კერტისი.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 18.45, 00.15 ქრონიკა 09.10, 12.50, 16.30, 19.50, 01.50 იმედის მელოდიები 09.30 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები„ 10.30 „დილის ფოსტა" 11.00 მხ. ფილმი „ლმერთი ღუმს" 12.30 საქმე № 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 „ნბა"-ს ჟურნალი 15.15 „რეტროსკოპი„- მხ. ფილმი „კაცები ვეფხვის ტყავში„ 17.05 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 17.30 სპ. პროგრამა „ასი" 18.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 20.00 სერიალი „ბოლო ხანს საქმეთა განყოფილება" 22.00 დროება 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.20 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია - პლეიოფი. 03.20 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმები 10.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „კოდი „კოპერნიკი" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება „მზერა" 18.05 სერიალი „ეშმაკთან ცეკვა" 19.00 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. 21.30 ფეხბურთი მზეზე 22.00 მხ. ფილმი „ლომის ბუნაგი" (სტივენ დორფი) 00.00 მხ. ფილმი „ლანჩსკი" (რიჩარდ დრეიფუსი)

12.00 გადაცემა „შამარია" 12.30 მხ. ფილმი „ანდრომედის კოლონია" 14.00 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 15.30 მხ. ფილმი „რუმიანცევი„ 17.00 მუსიკა 19.00 ინდ. მხ. ფილმი "ლალატი„ 22.00 „ჯაზ-პარნასი" 22.30 მხ. ფილმი

08.00 "РТР Планета„ პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15.00 "РТР Планета„ პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00 "РТР Планета„ პროგრამა 22.00 „იდენტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 სერიალი „ყავახანა" 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო„ „დღე და ღამე„

202 10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სიკვდილი ჰოლივუდში" (ჰარისონ ფორდი) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „ეის ვენტურა" (ჯიმ კერი) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „დონი ბრასკო" (ალ პაჩინო)

07.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Лилипуты в Антарктике" 07.40 Владислав Стржельчик в фильме "ПОЭМА О КРЫЛЬЯХ". 2 с. 09.20 Служу Отчизне! 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Лошадиная энциклопедия" 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Василий Меркурьев в фильме "ВЕРНЫЕ ДРУЗЬЯ" 15.10 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.30 "Путешествия натуралиста" 16.00 "Дачники" 17.00 "Большие родители". Маршал Василевский 17.30 Воскресный "Ералаш" 18.00 Живая природа. "Глазами зверя" 19.00 Времена 20.00 Игорь Костолевский в фильме "ДРУГАЯ ЖЕНЩИНА, ДРУГОЙ МУЖЧИНА" 22.00 Время 22.45 Премьера. Роб Шнайдер в комедии "ЖИВОТНОЕ" 00.15 Бокс. Антонио Тарвер - Рой Джонс 01.10 Антонио Бандерас в боевике "БЕЙ В КОСТЬ" 03.30 Чемпионат Европы по водным видам спорта. Передача из Испании 04.00 Фильм "ДЕТЕКТИВ ИЗ ГОЛЛИВУДА" 05.40 Сериал "ТЕМНЫЙ АНГЕЛ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

# რატომ განაცხადა უარი ტაისონმა კანდელაკთან ჩხუბზე?

## „მივიღე გადაწყვეტილება, პრომოუტერი შევიცვალო“



*ვარდების რევოლუციამ სხვებთან ერთად ცნობილი ქართველი მოკრივის გიორგი კანდელაკის პოლიტიკური კარიერაც იმსხვერპლა. „მე თუ პოლიტიკაში მოვდიოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა სპორტს. პარლამენტში სპორტის საკითხი რომ იხილებოდა, დარბაზში მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი იჯდა, უმრავლესობას კი ზეზეურად ეძინა“. — გულდაწყვეტით აცხადებს დღეს უკვე არშემდგარი პოლიტიკოსი გიორგი კანდელაკი. 22 მაისს საქართველოში კანდელაკს კიდევ ერთი ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რიგი მიზეზების გამო, ეს ბრძოლა გაურკვეველი ვადით გადაიდო. საუბარი* ***გიორგი კანდელაკთან*** *სწორედ ამ თემით დავიწყე.*

— **გავრცელდა ინფორმაცია, რომ 22 მაისს დაგეგმილი ორთაბრძოლა შესაძლოა აღარ ჩატარდეს. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— დიახ, ეს სიმართლეა, გეგმის მიხედვით ეს ბრძოლა 22 მაისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი პრომოუტერი და მენეჯერი ვერ შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, შეიძლება გადაიდოს.

— **კონკრეტულად, რა საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ?**

— აქ საუბარია ჩემი მომზადების თანხებზე, რომელიც ბრძოლის გამართვამდე ერთი თვით ადრე უნდა ჩაერიცხათ.

— **როგორც ვიცი, ეს ბრძოლა რამდენჯერმე გადაიდო...**

— დიახ, რამდენჯერმე გადაიდო და უფრო მეტიც, ახლა უკვე პრომოუტერსა და მენეჯერებს შორის სასამართლო დაიწყო, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ პრომოუტერი შევიცვალო. სხვათა შორის, ჩემი პრომოუტერი ინგლისელია, ის ამავდროულად, უცხოელი მოკრივეების პრომოუტერიც გახლავთ. მსგავსი პრობლემები, ბრძოლის რამდენჯერმე გადადება ვგულისხმობ, ბოლო ერთი წელია შემექმნა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, მასთან კონტრაქტი გავწყვიტო. სასამართლო ალბათ ათ დღეში დასრულდება. ახალი პრომოუტერის აყვანის შემდეგ, იმედია, მსგავსი პრობლემები აღარ მექნება.

**იმ საღამოს ერთ-ერთი ქართველის ოჯახში ვახშმად დაგვპატიჟეს. იმ ოჯახში კი კასეტაზე ჩაწერილი „შალახო“ ვიპოვე. წამოვიღე ეს კასეტა, მივუტანე შეჯიბრის ორგანიზატორებს და ვუთხარი: აი, ეს არის საქართველოს ჰიმნი-თქო.**

— **თქვენზე ითქვა, ტაისონს უნდა შეჯიბრებოდა, მაგრამ ტაისონმა უარი განაცხადაო...**

— მართალია, მაგრამ უარი შიშის გამო კი არ განაცხადა... ტაისონი უკვე წასული მოკრივეა, ამიტომ ის ეჩხუბება ამერიკელს ან ინგლისელს, ანუ იმას, ვისთან ჩხუბშიც უფრო მეტ თანხას გადაუხდიან. ჩემთან შეხვედრაზე თანხის გამო განაცხადა უარი. ტაისონი ფულზე ჩხუბობს, რადგან მას სახელი უკვე მოხვეჭილი აქვს. თუმც კი დღესდღეობით, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეთა ათეულშიც აღარ არის. უბრალოდ, ხალხს კიდევ ახსოვს ის.

— **როგორ ფიქრობთ, ტაისონს რომ შეჯიბრებოდით, დაამარცხებდით?**

— რა ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ძალ-ღონეს არ დავზოგავდი, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებდი.

— **იქნებ ის ამბავი მოგვიყვეთ, „შალახო“ რომ საქართველოს ჰიმნად გამოაცხადეთ?**

— 1992 წელს კიევში ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი კრივში. ჩავედით მე და დათო კვაჭაძე, რომელიც მაშინ ფედერაციის პრეზიდენტი იყო. დაგვიშვეს შეჯიბრზე, რადგან ეგონათ, რომ პირველივე ბრძოლას წავაგებდი, მაგრამ როცა 4 ბრძოლა მოვიგე, მიხვდნენ, რომ ფინალში ვარ და მსოფლიო ჩემპიონობაზეც დიდი პრეტენზია მაქვს... მაშინ დამიბარა ხელმძღვანელობამ და მითხრა: სასწრაფოდ თქვენი ჰიმნი და დროშა გვჭირდებაო. დროშა კი დავუხატე და მეორე დღესვე შეკერეს, მაგრამ ჰიმნი საიდან უნდა მომეტანა. იმ საღამოს ერთ-ერთი ქართველის ოჯახში ვახშმად დაგვპატიჟეს. იმ ოჯახში კი კასეტაზე ჩაწერილი „შალახო“ ვიპოვე. წამოვიღე ეს კასეტა, მივუტანე შეჯიბრის ორგანიზატორებს და ვუთხარი: აი, ეს არის საქართველოს ჰიმნი-თქო. მეორე დღეს შეჯიბრს 7000-მდე მაყურებელი ესწრებოდა. ჩემი გამოსვლისას ჩართეს „შალახო“, როგორც საქართველოს ჰიმნი და 7000-მდე კაცი ფეხზე წამოდგა. ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამცინებოდა...

— **რაზე ოცნებობთ?**

— ვოცნებობ მშვიდობიან და ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრებაზე. მინდა ყველა ქართველის სახეზე ღიმილს ვხედავდე.

***ინგა ჩადუნელი***

# „მალე დავამტკიცებთ, რომ აბაშიძე არძინბას ეხმარებოდა“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

— **ბოლო ორ დღეში აჭარაში დიდი ოდენობით იარაღი აღმოაჩინეს. ზოგი სახეობა თავდაცვის სამინისტროსაც კი არ აქვს შეიარაღებაში. საიდან შეიძინა ეს იარაღი აბაშიძემ?**

— იარაღის უპირველესი მომწოდებელი რუსეთი იყო, თუმცა ეს არაოფიციალური გზებით ხდებოდა. როცა საქართველომ სამაჩაბლო და აფხაზეთი დაკარგა, ეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაძლიერების ხარჯზე მოხდა. მისი დაინტერესება ამ რეგიონებით გასაგებიცაა — სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვან პერიმეტრს კარგავდა. წარმოიდგინეთ, როგორ შეეგუებოდა რუსეთი იმ აზრს, რომ ერთიანი საქართველოს რეგიონში — აფხაზეთში, ნატოს ჯარები განლაგებულიყვნენ. ამიტომაც გაითამაშა აფხაზეთის სცენარი. ამასობაში, გამოჩნდა აბაშიძეც, რომელიც მზად იყო, აჭარა ხონჩით მიერთმია რუსეთისთვის, ოღონდ თვითონ ყოფილიყო იქ პირველი პირი.

წინასწარ არაფერს ვიტყვი, მაგრამ მალე ოფიციალურად დავამტკიცებთ, რომ აბაშიძე არძინბას ხალხსაც ეხმარებოდა. იგი ძველი ფეოდალური სცენარით მუშაობდა: თუკი ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდებოდა, მით უფრო გაიძლიერებდა საკუთარ სამკვიდრებელს. იმავდროულად, სხვა გეგმაც არსებობდა. უპირველესად, სამცხე-ჯავახეთში არეულობა იგულისხმება. მზადდებოდა სცენარი, რომ აფხაზეთის მსგავსად ჯერ აჭარა დაიკარგებოდა, შემდეგ — სამცხე-ჯავახეთი. მაგრამ ამერიკის აქტიური ჩარევის გამო, რომელიც ვერაფრით შეეგუებოდა კავკასიაში რუსეთის გაძლიერებას, გეგმა ჩაიფუშა. ყოველივე ამაში განდობილი ასლან აბაშიძე კი მფარველებმა თავისთან წაიყვანეს ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში. ახლა მთელ ქვეყანაზეა დამოკიდებული, რომ ეს მომენტი არ დადგეს.

***დავით დევიძე***

მედიცინა

# ლეიშმანიოზით დაავადებულთა რიცხვი წელს პიკს მიაღწევს?!

**დღეს თბილისში ასჯერ უფრო მეტი ანტისანიტარიაა, ვიდრე ასი წლის წინ იყო(!)**




ბედის დაცინვაა, რომ თბილისში დღეს ასჯერ უფრო მეტი ანტისანიტარიაა, ვიდრე ასი წლის წინათ იყო... პრობლემების გარეშე არასოდეს გვიცხოვრია (ამაზე ძველი გაზეთებიც მეტყველებენ), მაგრამ XXI საუკუნის თბილისელებს, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობას, ისეთ პირობებში გვიხდება ცხოვრება, „მკვდარსაც კი გაეცინება“... ქუჩაში დანავარდობენ ვირთხები, უპატრონო, ცოფიანი ძაღლები თავს ესხმიან მოქალაქეებს. ბევრგან ყბადაღებული ბუნკერები „შემოგცინიან“ და აუტანელი „სურნელით“ ავსებენ არემარეს. არ იფიქროთ, ნაგავი მხოლოდ ბუნკერში შეიძლება ნახოთ. საკმარისია, სკვერში გაისეირნოთ ან მტკვრის სანაპიროს ჩაუყვეთ, ეს ყველგან თვალში საცემია. თბილისში ჩამოედინება პატარა მდინარეებიც, რომლებიც სიბინძურისგან ყარან. ვისაც მდინარე ვერეს, დიღმურას ან გლდანულას ახლოს ჩაუვლია, ალბათ სუნთქვაც კი შეკვრია... რამდენიმე შედარებით მოვლილი და „საჩვენებელი“ ქუჩა მთლიან სურათს ვერ ცვლის...

მალე ზაფხულიც მოვა და ამ ფონზე ერთიორად მეტი დაავადება იჩენს თავს, თუმცა უკვე დღეს არსებული სიტუაცია სერიოზული შიშის საფუძველს იძლევა.

ვესაუბრებით სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **გია ჭუბაბრიას**.

— ჩვენი ინსტიტუტი მალარიის გამო შეიქმნა 80 წლის წინათ, — გვითხრა ბატონმა გიამ, — მაშინ მალარია ძალიან გავრცელებული იყო. მედიცინამ შეძლო ამ სენის დამარცხება საქართველოში. თუმცა, რამდენიმე წელია ისევ იჩინა თავი. შარშან გვქონდა 314 შემთხვევა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ერთმა დაავადებულმა, შეიძლება 400 კაცი დაააავადოს. 1996 წლიდან მეზობელ სახელმწიფოებში მიმოსვლა გააქტიურდა. პირველი მალარიაც აზერბაიჯანიდან გადმოიტანეს... ტროპიკული მალარიის თითო-თითო შემთხვევა გვქონდა შარშანაც და წელსაც. ეს ყველაზე რთული და ადვილად გავრცელებადი მალარიაა. ჩვენდა საბედნიეროდ, დაავადებულები ზამთარში შემოვიდნენ ნიგერიიდან. ერთი მფრინავი იყო, მეორე ბიოლოგი. ორივე განიკურნა. კოღოების სეზონი არ იყო დაწყებული და ამან გვიშველა, რომ ტროპიკული მალარია არ გავრცელდა. ჩვენთან მხოლოდ სამდღიური მალარიაა გავრცელებული.

— **დაავადების გადამტან კოღოებთან ბრძოლა ძალიან რთულია?**

— რთულია, მაგრამ დაავადებული ადამიანი თუ არ იქნება, კოღო საშიშროებას აღარ წარმოადგენს. დღეს ყველაზე აქტუალური დაავადება ლეიშმანიოზია. ადრე ქვეყანაში ერთეული შემთხვევები ფიქსირდებოდა. რამდენიმე წელია, ლეიშმანიოზმა იმატა. დღეს უკვე პიკს მიაღწია. შარშანდელთან შედარებით დაავადებულთა რიცხვი მარტო პირველ კვარტალში 50%-ით გაიზარდა. 2002 წელს 101 ავადმყოფი იყო აღრიცხული, აქედან 72 — თბილისელი. 2003 წელს — 100, აქედან 66 თბილისელი. წელს კი უკვე 56 შემთხვევა გვაქვს. არადა, ჯერ მაისია, ლეიშმანიოზის სეზონი არც დამდგარა... დაავადების გადამტანი მწერი ფლებოტომუსია, რომელიც ვირთხების, თაგვების სოროებში სახლობს. სამკურნალო საშუალებები არსებობს, მაგრამ ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ ავადმყოფებს მკურნალობა, ექიმებიც წვალობენ. ჩვენი შენობა ავარიულია. ერთი მიწისძვრაც რომ მოხდეს, ნამდვილად ვეღარ გაუძლებს. რაკი პარაზიტული დაავადებები მატულობს, აუცილებელია, მკურნალობისთვის ყველა პირობა შეიქმნას.

ლეიშმანიოზის კერა თბილისშია. ადრე ბავშვთა დაავადებად იყო მიჩნეული, დღეს მოზრდილებიც ავადდებიან. ამისი მიზეზები შესწავლილი არ არის.

— **თბილისი ანტისანიტარიის ბუდედ იქცა, ამაზე დიდი მიზეზი რა საძებნელია...**

— დღეს ქუჩები გარე მოვაჭრეებისგან გათავისუფლდა, ეს კარგია, მაგრამ ანტისანიტარია მაინც არის. ამას მოჰყვება ათასნაირი დაავადება. იმატა ენტერობიოზმა (კუდმახვილა ჭიებმა) ბავშვებში, იმატა სხვადასხვა პარაზიტულმა სენმაც. ადრე ჩვენ ვიცოდით მთელ საქართველოში, სად რა მდგომარეობა იყო, ახლა რასაც მოგახსენებთ, ჩვენი ინსტიტუტის კლინიკურ მასალას ვეყრდნობი... რა მდგომარეობაა ქვეყანაში, ძნელი წარმოსადგენია... სამეურნეო ანგარიშზე ვართ გადასული და მასობრივი გამოკვლევების თანხა არ გაგვაჩნია... მოსახლეობაში პარაზიტულმა დაავადებებმა, ჩვენი მონაცემებით, ათჯერ მაინც იმატა, მაგრამ ყველას მკურნალობის საშუალებაც არა აქვს... არსებობს ხუთი დაავადება, რომლის მკურნალობაც უფასოა: მალარია, ლეიშმანიოზი (პარაზიტული დაავადება, რომელიც ძვლის ტვინს აზიანებს, იწვევს ანემიას და მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში მთავრდება ლეტალური შედეგით. — ლ.ჯ.), ბრუცელოზი, ამებიაზი და ტრიქინელოზი... ბრუცელოზი კვების პროდუქტებით გადადის, ტრიქინელოზიც ხორცისმიერი დაავადებაა.

— **სახიფათო შეიძლება იყოს ხორცის და რძის პროდუქტებიც?**

— შეუმოწმებელი ყველაფერი საშიშია. ბევრი პარაზიტული დაავადება მწვანილითაც ჩნდება.

— **გახსოვთ, იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მწვანილს კანალიზაციის წყლით რწყავდნენ ზოგიერთ რაიონში... თუ იცით დღეს რა მდგომარეობაა?**

— ასე ხდებოდა მარნეულში, გარდაბანში. ჩვენ საგანგებო ზომები მივიღეთ, ავკრძალეთ, მაგრამ, მაინც აქვს ადგილი ასეთ შემთხვევებს. სხვათა შორის, იმერეთში იმატა ფასციოლოზმა... ამ დაავადებას ავრცელებს წყალი, მწვანილი. გამორიცხული არ არის, იქიდანაც ჩამოვიდეს ქალაქში დაავადებული ბოსტნეული და სენმა აქაც იფეთქოს.

— **თბილისშიც არის დაბინძურებული პატარა მდინარეები, ეს საშიში არ არის ჯანმრთელობისათვის?**

— თავისუფლად შეიძლება ასეთი მდინარეების პირას პარაზიტული დაავადებების შემთხვევები გაიზარდოს. მარტო პატარა მდინარეებში კი არა, მტკვარში ყველანაირი სიბინძურე შეიძლება ნახოთ... მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა.

ლეიშმანიოზის და სხვა პარაზიტული დაავადებების მოსალოდნელი მატების ფონზე, სიმშვიდის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ოთარ ზენაიშვილმა** გვითხრა, ვისცერული ლეიშმანიოზი საქართველოში 1928 წლიდან აღირიცხება, მაგრამ 10-15 შემთხვევა თუ იქნებოდა წელიწადში... ბოლო 5-6 წელია, 70-110 ავადმყოფი შემოდის. ამდენი ლეიშმანიოზით დაავადებული არასოდეს გვყოლია. ვფიქრობთ, რომ ეს გამოიწვია უპატრონო ძაღლების სიმრავლემ. ფლებოტომუსი (დაავადების გადამტანი) ამდენი არასოდეს ყოფილა თბილისში. ამისი მიზეზია მომრავლებული თაგვები, ვირთხები, ვირთაგვები... სოციალური პირობების გაუარესებამ გამოიწვია დაავადებათა მატებაც. ისიც საგულისხმოა, რომ ლეიშმანიოზით დაავადებულთა რაოდენობა საქართველოშია ყველაზე მეტი... აზერბაიჯანშიც არის, ოღონდ ცოტა. სომხეთში თითქმის არ არის. ჩვენ პირველ ადგილზე(!) გავედით. ეს საშინელი დაავადებაა, აავადებს სისხლმბად ორგანოებს, ასუსტებს ადამიანს...

— **პროფილაქტიკა რა არის?**

— უნდა მოხდეს ძაღლების იზოლაცია და როგორმე განვაახლოთ ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლა. სახელმწიფო პროგრამა კი აფინანსებს ლეიშმანიოზის მკურნალობას, მაგრამ შეფერხებით. ავადმყოფი რომ შემოვა, მოცდა არ შეიძლება.

ფულის გადმორიცხვამდე, ჩვენ ზოგჯერ გვიწევს პაციენტს მოვთხოვოთ ფულის შემოტანა. ბუღალტერიაში ქვითარს მივცემთ, როცა ჯანდაცვის სამინისტრო ფულს გადმორიცხავს, ამ ქვითრით დახარჯულ თანხას ავუნაზღაურებთ პაციენტს... ესეც ცუდ ემოციას იწვევს ავადმყოფში. მკურნალობა ხომ საკმაოდ ძვირი ჯდება (პრეპარატებია ძვირი) — 410 ლარიდან ზემოთ. არადა, ლეიშმანიოზის მკურნალობას ნამდვილად სჭირდება მეტი ყურადღება და ხელშეწყობა.

***ლელა ჯიყაშვილი***

# შეკითხვა ექიმს

# მედიცინა

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 35 წლის მამაკაცი. ბოლო დროს თავს გულმავიწყობას ვატყობ. ვერ ვიხსენებ ტელეფონის ნომერს, ნაცნობი საგნის სახელს. რა შეიძლება იწვევდეს ასეთ გულმავიწყობას ახალგაზრდა ასაკში? იქნებ კვების რაციონში რაიმე პროდუქტების შეტანაა აუცილებელი? გთხოვთ, მირჩიოთ რამე.**

***მალხაზ გ. გორის რაიონი***



უკავშირდება თუ არა მეხსიერების დაქვეითება დაავადებას, ამას მხოლოდ ექიმი გადაწყვეტს. ზოგჯერ მსგავსი სიმპტომი ჩნდება ძლიერი აგზნების ან სტრესის დროს. როცა ასეთი მდგომარეობა გაივლის, მეხსიერება მთლიანად აღდგება ხოლმე. რადგან ტვინის მუშაობა მჭიდრო კავშირშია კვებასთან, ეცადეთ მიირთვათ B ჯგუფის ვიტამინების შემცველი საკვები: ყველი, ბარდა, ლობიო, წიწიბურა, კაკალი. სასარგებლოა თევზის ქონი და მცენარეული ზეთი (ზეითუნის, სოიის, მზესუმზირას, არაქისის). ხოლო ე.წ. „სწრაფ შაქრებს", რომლებიც შედის შაქარში, კანფეტში, ნამცხვრებში, ორგანიზმისთვის სარგებელი არ მოაქვს. მეხსიერებას აუმჯობესებს თაფლი, აგრეთვე ლიმონი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია უზმოზე.

**მაქვს ტერფების სოკოვანი დაავადება — მიკოზი. ექიმმა გამომიწერა ძალიან ძვირად ღირებული წამლები. გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოგვაწოდოთ სოკოს სამკურნალო ბუნებრივი საშუალებები. იმედი მაქვს, ჩემს შეკითხვას არ დატოვებთ უყურადღებოდ, რადგან ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აწუხებს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

***მკითხველი***

მიკოზის სამკურნალო ეფექტური ხალხური საშუალებაა ნივრის მარილიანი ხსნარი. ჯერ უნდა მოამზადოთ მარილწყალი, რისთვისაც 1 ლ წყალში უნდა გახსნათ 1 ჩ/კ სუფრის მარილი. შემდეგ დაჩეჩქვეთ ერთი კბილი ნიორი, დაასხით მას 1 სუფრის კოვზი მარილის ხსნარი. გაჭყლიტეთ და გადაწურეთ. მიღებულ ნარევს კიდევ 4 სუფრის კოვზი მარილწყალი დაუმატეთ. ამ ნაყენით დაისველეთ სოკოთი დაზიანებული ადგილები გამოჯანმრთელებამდე. მომზადებული წამალი ვარგისია მხოლოდ 12 საათის განმავლობაში.

მიკოზის დროს საკმაოდ ეფექტურია აგრეთვე ვაშლის ძმარი. ის დაზიანებულ ადგილებში დღეში 5-6-ჯერ უნდა შეიზილოთ, ვიდრე არ გამოჯანმრთელდებით.

გახსოვდეთ, რომ მიკოზის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმლის დამუშავებას. ძმარი განაზავეთ წყლით (1:2) და ამ ხსნარით ფეხსაცმელები შიგნიდან გაწმინდეთ. შემდეგ თითოეული ჩადეთ პოლიეთილენის პარკში, მჭიდროდ შეკარით და დატოვეთ ასე 2-3 საათით. ამის შემდეგ ფეხსაცმელი გასანიავებლად დადეთ ჰაერზე.

**მყავს ორი ვაჟი: 15 და 13 წლის. ძალიან ვღელავ, რადგან მათი ბევრი თანატოლი ნარკომანია. ვშიშობ, რამე არ გამომეპაროს. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ უნდა გამოვიცნო, ეტანება თუ არა მოზარდი ნარკოტიკს?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

მშობლებს მართლაც სიფხიზლე მართებთ, რადგან ნარკომანიის სენი დღევანდელი ახალგაზრდობის საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. არსებობს ნიშნები, რომლებიც დაგეხმარებათ, დროულად აღმოაჩინოთ შვილის ნარკოტიკებისადმი ლტოლვა.

— გუგები გაფართოებული ან ძალზე შევიწროებულია, თვალები კი შეწითლებული;
— მეტყველება არეული, შენელებული ან აჩქარებულია;
— მადა არ აქვს, ან ძალიან ბევრს ჭამს;
— აქვს ნანემსრები, ჩალურჯებები (სისხლჩაქცევათა კვალი);
— დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია;
— თამაშობს არტერიული წნევა;
— აღინიშნება უმიზეზო აგზნება ან პირიქით, მოდუნება;
— უეცრად კარგავს ინტერესს იმის მიმართ, რაც მანამდე იტაცებდა;
— შეკითხვებზე აგრესიულად პასუხობს;
— ბინიდან ქრება ფული, ნივთები;
— წყვეტს კავშირს ძველ ნაცნობებთან და იჩენს ახლებს, რომელთაც მშობლებს არ აცნობს. თუ ჩამოთვლილი ნიშნებიდან რამდენიმე მაინც გეცნოთ, სასწრაფოდ აჩვენეთ შვილი ექიმს.



**ერთი და იგივეა თუ არა დიაგნოზები: „პაროდონტიტი" და „პაროდონტოზი"? თუ არა, რა განსხვავებაა მათ შორის?**

***ნათია კორძაძე***

ეს დაავადებები ერთი და იგივე არ არის. პაროდონტიტი კბილის ირგვლივი ქსოვილის უპირატესად ანთებითი ხასიათის დაავადებაა. მას შემდეგ, რაც ანთება ღრმავდება, მას ერთვის ე.წ. დისტროფიული კომპონენტი (ქსოვილოვანი კვების დარღვევა), რის გამოც კბილები ირყევა. ამასთან ანთებითი ღრძილი სისხლმდენია, ქმნის პაროდონტალურ ჯიბეებს, რომლებშიც ლაგდება კბილის ნადები, მიკროორგანიზმები. დაავადება პაროდონტოზს კი ახასიათებს დისტროფიული კომპონენტი ანთების გარეშე. ამ დროს ღრძილი განილევა და კბილის ყელი შიშვლდება ისე, რომ არ ჩნდება პაროდონტალური ჯიბეები, არ არის ანთება, სისხლდენა. ღრძილი ფერმკრთალია. ასე რომ, ეს ორი დაავადება სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სხვადასხვაგვარ მკურნალობასაც მოითხოვს.

## კარაბადინი

**ველური გვირილა — ბაბუნა სასარგებლო მცენარეა. იგი არის ანთების საწინააღმდეგო, შველის ალერგიას, მარგებელია ფაღარათისა და მუცლის შებერვის დროსაც, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას, აგრეთვე სასარგებლოა ყელისა და სასუნთქი გზების დაავადებების დროს. ავადმყოფს მის ნაყენს დღეში რამდენჯერმე ასმევენ. ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 1 ს/კ მშრალ, დაქუცმაცებულ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ნაყენი დოლბანდში გაწურვის შემდეგ, მიირთვით თბილი.**

***ანი მამულაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** საუბარია მცენარეზე, რომლის ლათინური სახელწოდებაა TYMUS VULGARIS-ი, იგი მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით, მცენარის სამკურნალო თვისებებს განსაზღვრავს მასში თიმოლის შემცველი ეთერზეთი. თიმოლი ხოცავს კოკების ბაქტერიებს და მოქმედებს გრამუარყოფით ბაქტერიებზე — აფერხებს მათ გამრავლებას. დადგენილია აგრეთვე, რომ თიმოლს გააჩნია ანტიმიკოზური აქტივობა პათოგენურ სოკოებზე მოქმედებისას. ველური გვირილის პრეპარატებს აქვს გამოხატული ამოსახველებელი, ნახველის გამათხელებელი მოქმედება. ყველა აღნიშნული თვისება განაპირობებს მის ეფექტურობას სასუნთქი გზებით ანთებითი დაავადებების დროს. კერძოდ, იგი გამოიყენება ბრონქიტების, ტრაქეიტების, პნევმონიების, ბრონქოპნევმონიების დროს. მცენარის ნაყენის დალევისას ძლიერდება კუჭის წვენის სეკრეცია. იხსნება კუჭნაწლავის ტრაქტის სპაზმები, ფერხდება პათოგენური მიკროფლორის განვითარება. ამ ეფექტების გამო ნაყენი გამოიყენება დაბალი მჟავიანობის, ნაწლავთა სპაზმების, ატონიის, მეტეორიზმის დროს. ნაყენის დამზადების უფრო ზუსტი რეცეპტი ასეთია: 2ს/კ მცენარეს მომინანქრებულ ჭურჭელში დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავსახური. დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წუთი, შემდეგ შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ისწავლეთ სწორად ცხოვრება!



**1.** როგორც კი დაღლილობას იგრძნობთ, სადაც არ უნდა იყოთ — სამსახურში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას — 5-10 წუთით დაისვენეთ და მთელი დღე სასიამოვნო გუნებაგანწყობილება გარანტირებული გექნებათ;
**2.** შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ ღამით, რათა დილით ნათელი გონებით გაიღვიძოთ;
**3.** თუ გუშინ ვერ მოასწარით გამოძინება, დღეს მაინც გამოიძინეთ;
**4.** შინ ნუ წაიღებთ სამუშაოს;
**5.** ჭამეთ ცოტ-ცოტა, მაგრამ რეგულარულად. გახსოვდეთ, როგორც დიდი ხნით შიმშილობა, ისე მაძღრისად ჭამა — იწვევს დაღლილობას;
**6.** ყოველდღიურ რაციონში შეიტანეთ არანაკლებ 0,5კგ ხილ-ბოსტნეული, რომლებიც შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს და ვიტამინებს. ისინი ამაღლებენ იმუნიტეტს და ქმნიან კარგ გუნებაგანწყობას;
**7.** რეგულარულად მიიღეთ ვიტამინები და მიკროელემენტების შემცველი პრეპარატები, კერძოდ, იოდი და სელინი;
**8.** რაციონიდან გამორიცხეთ შემწვარი საკვები;
**9.** დაიცავით კანის ჰიგიენა. ხშირად იარეთ აბანოში ან კვირაში ერთხელ მაინც — საუნაში;
**10.** რაც შეიძლება მეტხანს დაყავით ჰაერზე;
**11.** ჩაიცვით მოხერხებული ფეხსაცმელი;
**12.** ხშირად გაიღიმეთ — სიცილი ხსნის დაძაბულობას;
**13.** გულიდან გადაიყარეთ ცუდი ფიქრები, იფიქრეთ სასიამოვნო ამბებზე...

***ლიზა №16***

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად
შეიძინეთ!!! 95 ლარად
• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი

• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი
შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55


რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.

მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84
სად, სართ. ტელ: 95-47-67; 899-26-51-08
75-06-14 (საღამოს)


თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!
მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:
სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!
კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

# შეკითხვა ექიმს

# მედიცინა

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ურმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 35 წლის მამაკაცი. ბოლო დროს თავს გულმავიწყობას ვამჩნევ. ვერ ვიხსენებ ტელეფონის ნომერს, ნაცნობი საგნის სახელს. რა შეიძლება იწვევდეს ასეთ გულმავიწყობას ახალგაზრდა ასაკში? იქნებ კვების რაციონში რაიმე პროდუქტების შეტანაა აუცილებელი? გთხოვთ, მირჩიოთ რამე.**

**მალხაზ გ. გორის რაიონი**



უკავშირდება თუ არა მეხსიერების დაქვეითება დაავადებას, ამას მხოლოდ ექიმი გადაწყვეტს. ზოგჯერ მსგავსი სიმპტომი ჩნდება ძლიერი აგზნების ან სტრესის დროს. როცა ასეთი მდგომარეობა გაივლის, მეხსიერება მთლიანად აღდგება ხოლმე. რადგან ტვინის მუშაობა მჭიდრო კავშირშია კვებასთან, ეცადეთ მიირთვათ B ჯგუფის ვიტამინების შემცველი საკვები: ყველი, ბარდა, ლობიო, წიწიბურა, კაკალი. სასარგებლოა თევზის ქონი და მცენარეული ზეთი (ზეითუნის, სოიის, მზესუმზირას, არაქისის). ხოლო ე.წ. „სწრაფ შაქრებს", რომლებიც შედის შაქარში, კანფეტში, ნამცხვრებში, ორგანიზმისთვის სარგებელი არ მოაქვს. მეხსიერებას აუმჯობესებს თაფლი, აგრეთვე ლიმონი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია უზმოზე.

**მაქვს ტერფების სოკოვანი დაავადება — მიკოზი. ექიმმა გამომიწერა ძალიან ძვირადღირებული წამლები. გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოგვაწოდოთ სოკოს სამკურნალო ბუნებრივი საშუალებები. იმედი მაქვს, ჩემს შეკითხვას არ დატოვებთ უყურადღებოდ, რადგან ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აწუხებს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

**მკითხველი**

მიკოზის სამკურნალო ეფექტური ხალხური საშუალებაა ნივრის მარილიანი ხსნარი. ჯერ უნდა მოამზადოთ მარილწყალი, რისთვისაც 1 ლ წყალში უნდა გახსნათ 1 ჩ/კ სუფრის მარილი. შემდეგ დაჩეჩქვეთ ერთი კბილი ნიორი, დაასხით მას 1 სუფრის კოვზი მარილის ხსნარი. გაჭყლიტეთ და გადაწურეთ. მიღებულ ნარევს კიდევ 4 სუფრის კოვზი მარილწყალი დაუმატეთ. ამ ნაყენით დაისველეთ სოკოთი დაზიანებული ადგილები გამოჯანმრთელებამდე. მომზადებული წამალი ვარგისია მხოლოდ 12 საათის განმავლობაში.

მიკოზის დროს საკმაოდ ეფექტურია აგრეთვე ვაშლის ძმარი. ის დაზიანებულ ადგილებში დღეში 5-6-ჯერ უნდა შეიზილოთ, ვიდრე არ გამოჯანმრთელდებით.

გახსოვდეთ, რომ მიკოზის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმლის დამუშავებას. ძმარი განაზავეთ წყლით (1:2) და ამ ხსნარით ფეხსაცმელები შიგნიდან გაწმინდეთ. შემდეგ თითოეული ჩადეთ პოლიეთილენის პარკში, მჭიდროდ შეკარით და დატოვეთ ასე 2-3 საათით. ამის შემდეგ ფეხსაცმელი გასანიავებლად დადეთ ჰაერზე.

**მყავს ორი ვაჟი: 15 და 13 წლის. ძალიან ვღელავ, რადგან მათი ბევრი თანატოლი ნარკომანია. ვშიშობ, რამე არ გამომეპაროს. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ უნდა გამოვიცნო, ეტანება თუ არა მოზარდი ნარკოტიკს?**

**თქვენი ერთგული მკითხველი**

მშობლებს მართლაც სიფხიზლე მართებთ, რადგან ნარკომანიის სენი დღევანდელი ახალგაზრდობის საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. არსებობს ნიშნები, რომლებიც დაგეხმარებათ, დროულად აღმოაჩინოთ შვილის ნარკოტიკებისადმი ლტოლვა.

— გუგები გაფართოებული ან ძალზე შევიწროებულია, თვალები კი შეწითლებული;
— მეტყველება არეული, შენელებული ან აჩქარებულია;
— მადა არ აქვს, ან ძალიან ბევრს ჭამს;
— აქვს ნანემსრები, ჩალურჯებები (სისხლჩაქცევათა კვალი);
— დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია;
— თამაშობს არტერიული წნევა;
— აღინიშნება უმიზეზო აგზნება ან პირიქით, მოდუნება;
— უეცრად კარგავს ინტერესს იმის მიმართ, რაც მანამდე იტაცებდა;
— შეკითხვებზე აგრესიულად პასუხობს;
— ბინიდან ქრება ფული, ნივთები;
— წყვეტს კავშირს ძველ ნაცნობებთან და იჩენს ახლებს, რომელთაც მშობლებს არ აცნობს. თუ ჩამოთვლილი ნიშნებიდან რამდენიმე მაინც გეცნოთ, სასწრაფოდ აჩვენეთ შვილი ექიმს.



**ერთი და იგივეა თუ არა დიაგნოზები: „პაროდონტიტი" და „პაროდონტოზი"? თუ არა, რა განსხვავებაა მათ შორის?**

**ნათია კორძაძე**

ეს დაავადებები ერთი და იგივე არ არის. პაროდონტიტი კბილის ირგვლივი ქსოვილის უპირატესად ანთებითი ხასიათის დაავადებაა. მას შემდეგ, რაც ანთება ღრმავდება, მას ერთვის ე.წ. დისტროფიული კომპონენტი (ქსოვილოვანი კვების დარღვევა), რის გამოც კბილები ირყევა. ამასთან ანთებითი ღრძილი სისხლმდენია, ქმნის პაროდონტალურ ჯიბეებს, რომლებშიც ლაგდება კბილის ნადები, მიკროორგანიზმები. დაავადება პაროდონტოზს კი ახასიათებს დისტროფიული კომპონენტი ანთების გარეშე. ამ დროს ღრძილი განილევა და კბილის ყელი შიშვლდება ისე, რომ არ ჩნდება პაროდონტალური ჯიბეები, არ არის ანთება, სისხლდენა. ღრძილი ფერმკრთალია. ასე რომ, ეს ორი დაავადება სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სხვადასხვაგვარ მკურნალობასაც მოითხოვს.

# კარაბადინი

**ველური გვირილა — ბაბუნა სასარგებლო მცენარეა. იგი არის ანთების საწინააღმდეგო, შვილის ალერგიას, მარგებელია ფალარათისა და მუცლის შებერვის დროსაც, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას, აგრეთვე სასარგებლოა ყელისა და სასუნთქი გზების დაავადებების დროს. ავადმყოფს მის ნაყენს დღეში რამდენჯერმე ასმევენ. ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 1 ს/კ მშრალ, დაქუცმაცებულ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ნაყენი დოლბანდში გაწურვის შემდეგ, მიირთვით თბილი.**

**ანი მამულაშვილი**

**ექიმის კომენტარი:** საუბარია მცენარეზე, რომლის ლათინური სახელწოდებაა TYMUS VULGARIS-ი, იგი მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით, მცენარის სამკურნალო თვისებებს განსაზღვრავს მასში თიმოლის შემცველი ეთერზეთი. თიმოლი ხოცავს კოკების ბაქტერიებს და მოქმედებს გრამუარყოფით ბაქტერიებზე — აფერხებს მათ გამრავლებას. დადგენილია აგრეთვე, რომ თიმოლს გააჩნია ანტიმიკოზური აქტივობა პათოგენურ სოკოებზე მოქმედებისას. ველური გვირილის პრეპარატებს აქვს გამოხატული ამოსახველებელი, ნახველის გამათხელებელი მოქმედება. ყველა აღნიშნული თვისება განაპირობებს მის ეფექტურობას სასუნთქი გზებით ანთებითი დაავადებების დროს. კერძოდ, იგი გამოიყენება ბრონქიტების, ტრაქეიტების, პნევმონიების, ბრონქოპნევმონიების დროს. მცენარის ნაყენის დალევისას ძლიერდება კუჭის წვენის სეკრეცია. იხსნება კუჭნაწლავის ტრაქტის სპაზმები, ფერხდება პათოგენური მიკროფლორის განვითარება. ამ ეფექტების გამო ნაყენი გამოიყენება დაბალი მჟავიანობის, ნაწლავთა სპაზმების, ატონიის, მეტეორიზმის დროს. ნაყენის დამზადების უფრო ზუსტი რეცეპტი ასეთია: 2ს/კ მცენარეს მომინანქრებულ ჭურჭელში დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავსახური. დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წუთი, შემდეგ შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

**მოამზადა თამარ მამაცაშვილმა**

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# ისწავლეთ სწორად ცხოვრება!



**1.** როგორც კი დაღლილობას იგრძნობთ, სადაც არ უნდა იყოთ — სამსახურში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას — 5-10 წუთით დაისვენეთ და მთელი დღე სასიამოვნო გუნება-განწყობილება გარანტირებული გექნებათ;

**2.** შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ ღამით, რათა დილით ნათელი გონებით გაიღვიძოთ;

**3.** თუ გუშინ ვერ მოასწარით გამოძინება, დღეს მაინც გამოიძინეთ;

**4.** შინ ნუ წაიღებთ სამუშაოს;

**5.** ჭამეთ ცოტ-ცოტა, მაგრამ რეგულარულად. გახსოვდეთ, როგორც დიდი ხნით შიმშილობა, ისე მაძღრისად ჭამა — იწვევს დაღლილობას;

**6.** ყოველდღიურ რაციონში შეიტანეთ არანაკლებ 0,5კგ ხილ-ბოსტნეული, რომლებიც შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს და ვიტამინებს. ისინი ამაღლებენ იმუნიტეტს და ქმნიან კარგ გუნება-განწყობას;

**7.** რეგულარულად მიიღეთ ვიტამინები და მიკროელემენტების შემცველი პრეპარატები, კერძოდ, იოდი და სელინი;

**8.** რაციონიდან გამორიცხეთ შემწვარი საკვები;

**9.** დაიცავით კანის ჰიგიენა. ხშირად იარეთ აბანოში ან კვირაში ერთხელ მაინც — საუნაში;

**10.** რაც შეიძლება მეტხანს დაყავით ჰაერზე;

**11.** ჩაიცვით მოხერხებული ფეხსაცმელი;

**12.** ხშირად გაიღიმეთ — სიცილი ხსნის დაძაბულობას;

**13.** გულიდან გადაიყარეთ ცუდი ფიქრები, იფიქრეთ სასიამოვნო ამბებზე...

**ლიზა №16**


ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად
შეიძინეთ!!! 95 ლარად.

• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი
შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎ 35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.

მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84
I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 899-26-51-08
75-06-14 (საღამოს)

N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!
მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:
სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!
კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

## მოკლედ

**ამერიკელი** მილიარდერი უორენ ბაფეტი, რომელიც პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა სიაში მეორე ადგილზეა, პრეზიდენტობის კანდიდატის, ჯონ კერის ეკონომიკურ მრჩევლად დაინიშნა. ბაფეტი კარგა ხანია აკრიტიკებს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საგადასახადო პოლიტიკას. ის შარშან კალიფორნიის გუბერნატორის არნოლდ შვარცენეგერის ფინანსური და ეკონომიკური მრჩეველი იყო.

**ლიბიის** კრიმინალურმა სასამართლომ 6 ბულგარელ და ერთ პალესტინელ ექიმს დახვრეტა მიუსაჯა. ექიმები ლიბიის ქალაქ ბენგაზში 1999 წელს დააკავეს. ისინი ბავშვთა საავადმყოფოში მუშაობდნენ, სისხლის გადასხმის დროს შიდსის ვირუსით დაინფიცირებულ მასალებს იყენებდნენ და 426 ბავშვს შეჰყარეს დაავადება. 26 ბავშვი გარდაიცვალა. ექიმები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ.

**პერუს** ქალაქ კუსკოში ვანდალებმა ინკების თორმეტკუთხოვანი ქვა დაჩხაპნეს და კუთხე ჩამოატეხეს. უზარმაზარი ლოდი, რომელსაც ქვისმთლელებმა უჩვეულო ფორმა მისცეს, კუსკოს ერთ-ერთი უძველესი სასახლის საძირკვლის ნაწილია. თავად სასახლე ესპანელებმა XVI საუკუნეში დაანგრიეს. ამ ღირსშესანიშნაობის აღდგენა ვერ მოხერხდება, რადგან ვანდალებმა ჩამონატეხი თან წაიღეს.

**პაბლო პიკასოს** „ჩიბუხიანი ბიჭი" სოტბის აუქციონზე 104 მლნ დოლარად გაიყიდა. აუქციონების ისტორიაში ამ ფასად არც ერთი ნახატი არ გაყიდულა. წინა რეკორდი ვან გოგის „ექიმ გაშეს პორტრეტს" ეკუთვნის, რომელიც კრისტის აუქციონზე 1990 წელს 82,5 მლნ დოლარად გაიყიდა.

„ჩიბუხიანი ბიჭი" 1950 წელს 30 ათას დოლარად შეიძინა ამერიკელმა ნავთობმაგნატმა ჯონ უიტნიმ. სოტბის აუქციონზე იგი მისი კოლექციის სხვა, 33 ექსპონატთან ერთად მოხვდა. შემოსულ თანხას უიტნის ქვრივის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი განკარგავს.

**MICROSOFT-ის** თავკაცი, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი, 800 ათასი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ მისმა საინვესტიციო კომპანიამ 50 მლნ დოლარად შეიძინა ფარმაცევტული კომპანია და ეს ფაქტი სახელმწიფოს დაუმალა. აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი გარიგებები უნდა ეცნობოს ხელისუფლებას. ბილ გეიტსი 40 მლრდ დოლარის მფლობელია.

**იაპონიის** მინისტრთა კაბინეტის გენერალურ მდივნად დაინიშნა იასუო ფუკუდას ყოფილი მოადგილე ჰიროიუკი ჰოსოდა. „მეორე" კაცი, იაპონიის მთავრობაში, იასუო ფუკუდა გადადგა საპენსიო ფონდში თანხების შეუტანლობის გამო ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით.

**ბრაზილიის** სამხრეთით, ტროპიკულმა ციკლონმა სამი ადამიანი შეიწირა. სანტა-კატარინას შტატში კოკისპირულმა წვიმებმა 600 ადამიანი უსახლკაროდ დატოვა, შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა, სან-პაულუს შტატის სანაპიროსთან ჩაიძირა მეთევზეთა ნავი, მეთევზეები ვერ იპოვეს.

# ევროკავშირს ახალი თავსატეხი გაუჩნდა



ევროკავშირის გაფართოებისადმი მიძღვნილმა ზეიმმა ძველ და ახალ ქვეყნებში სრულიად განსხვავებულად ჩაიარა. ევროკავშირში 1-ელ მაისს შესულმა ზარ-ზეიმით აღნიშნეს ეს დღე. ძველი წევრების დედაქალაქებში კი საკმაოდ უფერულად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ანტიგლობალისტების და გაერთიანების მოწინააღმდეგეთა ხმაურიან გამოსვლებს.

გაერთიანებული ევროპის წინაშე რთული ამოცანები დგას. დავიწყოთ იმით, რომ ევროკავშირში ახლა 450 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მისი მართვა უფრო გართულდა. 17-18 ივნისს სახელმწიფოთა მეთაურები ახალი კონსტიტუციის ტექსტზე იმსჯელებენ. 2000 წლის შეთანხმების მიხედვით, პოლონეთმა და ესპანეთმა ევროკავშირის მმართველ ორგანოებში თითქმის იმდენივე ხმა მიიღეს, რამდენიც გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ, თუმცა, ამ ქვეყნებში ბევრად მეტი მოსახლეობაა. კონსტიტუციის ახალი პროექტით, ხმების რაოდენობა უფრო ზუსტად იქნება შეფარდებული მოსახლეობის რაოდენობასთან.

ევროკავშირის გაფართოებამ საერთოევროპული სივრცის საზღვრების მოწყობის საკითხიც წამოჭრა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ევროკავშირის შემდგომი გაფართოებაა. ევროკომისიის მეთაურმა რომანო პროდიმ განაცხადა, — მისაღები ქვეყნები: რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატიისა და თურქეთის გარდა, ახლო მომავალში ევროკავშირში მხოლოდ ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები გაერთიანდება, უკრაინასა და, მით უმეტეს რუსეთს, ამის შანსი არა აქვთო.

*იზვესტია №78*

# ასამბლეამ პალესტინელებს დაუჭირა მხარი

ხმათა უმრავლესობით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა ღაზის სექტორში, იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში პალესტინის სუვერენიტეტს. ასამბლეის გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ გააჩნია მთავრობებისათვის, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის საერთო განწყობას მკაფიოდ გამოხატავს.

გაეროში პალესტინელი დამკვირვებლის თქმით, რეზოლუცია ადასტურებს პალესტინის უფლებებს და უარყოფს ისრაელის პრეტენზიას აღმოსავლეთ იერუსალიმზე. გაეროში აშშ-ის ელჩის მოადგილემ ჯეიმს კანიგჰენმა რეზოლუციას „მიზანშეუწონელი" უწოდა და დასძინა: — იგი ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის მიღწევის პროცესს ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელსო.

პრეზიდენტმა ბუშმა ისრაელს მოუწოდა, გაათავისუფლოს 1967 წელს მიტაცებული მიწა-წყალი და იგი პალესტინელებს გადასცეს. იორდანიის მეფე აბდულაჰ II-სთან საუბარში მან განაცხადა, — ხელიდან არ უნდა გავუშვათ პალესტინის სახელმწიფოს ფორმირების პროცესის დაწყება. ბუშმა აღარ გაიმეორა ადრე ისრაელის პრემიერ-მინისტრისათვის ნათქვამი, — აშშ მხარს უჭერს თქვენს განზრახვას, პალესტინის ტერიტორიებზე ებრაელთა დასახლებების შენარჩუნებასთან დაკავშირებითო. ახლა თეთრი სახლის პატრონი აცხადებს, — ამ საკითხში ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს გაეროს 1967 და 1973 წლების უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომელთა თანახმად, ისრაელმა მიტაცებული ტერიტორიები უნდა გაათავისუფლოს.

ამერიკის პრეზიდენტმა ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ მხარს უჭერს შარონის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარისა და 7500 ებრაელის გაყვანას, აგრეთვე დასავლეთ სანაპიროზე ტერიტორიის ნაწილის დათმობას. ბუშის თქმით, ეს „გაბედული გეგმაა" პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად.

*ნიუს რუ*

# კოფი ანანის თავი ათ კილოგრამ ოქროდ შეფასდა

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას" ლიდერმა უსამა ბინ ლადენმა განაცხადა, რომ 10 კგ ოქროს გადაიხდის ერაყში დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის, პოლ ბრემერის თავში. ანალოგიური ჯილდოა დაწესებული გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის, ერაყში მისი წარმომადგენლისა და აშშ-ის სამხედრო ძალთა მეთაურის ან მისი მოადგილის მკვლელობისთვის. ექსტრემისტული საიტების მიერ ინტერნეტში გავრცელებულ ოცწუთიან მიმართვაში, უსამა ბინ ლადენი ჯილდოს აწესებს ერაყში აშშ-ისა და გაეროს ნებისმიერი დიდი მოხელის მკვლელობისათვის. „იცით, ალბათ, რომ ამერიკა დიდ ჯილდოს დაჰპირდა ჩვენს წმინდან მეომართა მკვლელებს, მე კი დავაჯილდოებ მათ, ვინც თავისას მიუზღავს ოკუპაციურ ძალთა ჯარისკაცებს, მთავარი ჯილდო — ჯიჰადის მეომრის სახელი იქნება, მცირე კი — ოქრო", — ამბობს ხმა, რომელიც, როგორც გამოაცხადეს, უსამა ბინ ლადენს ეკუთვნის. „გაერო სიონიზმის იარაღია, რომელსაც ჰუმანიტარული მისია აქვს ნიღბად აფარებული", — მოძღვრავს საზოგადოებრიობას „ისლამისტთა ლიდერი". საინტერესოა, რომ იგი მხოლოდ ნახევარ-ნახევარ კილოგრამ ოქროს იმეტებს იაპონიის, იტალიისა და „უშიშროების საბჭოს სხვა მონებისათვის", რომლებმაც ჯარი გაუშვეს ერაყში.

10 კგ ოქრო — დაახლოებით 125 ათასი დოლარია, აშშ კი 50 მლნ დოლარს იხდის თავად უსამას თავში.

*ლენტა რუ*

# აიგება უდიდესი თვითმფრინავი

საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში დაიწყო მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავის A380-ის აგება. იმ ქარხნის მშენებლობა, რომელშიც თვითმფრინავი აიწყობა, 240 მლნ დოლარი დაჯდა. მისი სიგრძე 490 მეტრია, სიგანე — 250, სიმაღლე — 46 მეტრი. ბევრ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ ორსართულიანი სუპერლაინერი, რომელიც 555 მგზავრისთვისაა განკუთვნილი, გადატრიალებას მოახდენს ავიამრეწველობაში და ევროპული კონცერნის შემოსავალს გააორმაგებს.

A380-ის პირველი გაფრენა 2005 წლისთვისაა დაგეგმილი. 2008 წლიდან კი თვეში ოთხ ასეთ თვითმფრინავს ააგებენ. ფირმა Aribus-ის 11-მა ავიაკომპანიამ უკვე შეუკვეთა 129 თვითმფრინავი. ამერიკული, ჩინური და იაპონური კომპანიებიც ფიქრობენ მის შეძენას. აღმასრულებელი დირექტორის თქმით, A380-ის შეძენა სურს ორ აზიურ კომპანიასაც.

ახალ თვითმფრინავს ძირს დაუშვებლად და საწვავის მარაგის შეუვსებლად შეუძლია იფრინოს 14 ათასი კილომეტრი.

ამერიკული კონცერნი Boeing-ი, რომელიც 2001 წლიდან აღარ მუშაობს მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავების აგებაზე, აცხადებს, — ასეთი დიდი თვითმფრინავებისათვის ბაზარი გაცილებით მცირეა, ვიდრე კონკურენტებს ჰგონიათო.

*კომერსანტი №80*

## მოკლედ

**მექსიკაში** კოკისპირულად წვიმს. ქარიშხალმა 100-ზე მეტ სახლს ახადა სახურავი გვატემალის საზღვართან. წყალმა გადარეცხა გზები, მოშალა საკომუნიკაციო გადამცემები, უსახლკაროდ დარჩენილი მექსიკელები დროებით კარვებში დააბინავეს.

ერთი თვის წინ კოკისპირულმა წვიმამ ქვეყნის ჩრდილოეთში 50 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**მოსკოვში,** კრემლში, გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია. ამჯერად საზეიმო ცერემონიას არ დასწრებია ბორის ელცინი, რომელმაც პირველი ინაუგურაციის დროს ვლადიმირ პუტინს საპრეზიდენტო რეგალიები გადასცა. ინაუგურაციას ესწრებოდა ყველა წამყვანი სახელმწიფო მოხელე — 1700 ადამიანი. პუტინმა ფიცის დადების დროს განაცხადა, — ყველაფერს გავაკეთებ მილიონობით ადამიანის ნდობის გასამართლებლადო.

**ბასრაში** (ერაყი) ბრიტანეთის ჯარსა და რადიკალური შიიტური დაჯგუფების წევრებს შორის შეტაკება მოხდა. ამბოხებულ შიიტებს პროვინციის გუბერნატორის რეზიდენციის აღება უნდოდათ, მაგრამ ვერ შეძლეს. დაიღუპა ორი ერაყელი, დაიჭრა ერთი ბრიტანელი ჯარისკაცი.

**მუქთადა ას-სადრიმ,** ამბოხებულ შიიტთა ლიდერმა, ერაყის ქალაქ ნეჯეფის მეჩეთში იქადაგა. ნეჯეფში გრძელდება ამბოხებულთა ბრძოლა კოალიციის ჯართან, თავად მეჩეთი კი ამერიკელთა ტანკების სამიზნედაა ქცეული. ას-სადრი ამას არ შეუშინებია, ქალაქში 600 მცველის თანხლებით ჩამოვიდა და მომხრეებს მოუწოდა, — კოალიციის ჯარისკაცებს ისევე მოექეცით, როგორც ისინი მოექცნენ აბუ-გრეიბის ციხის ტუსაღებსო. შიიტთა ლიდერს შავი სუდარა ემოსა მოწამებრივი სიკვდილისთვის მზადყოფნის ნიშნად. მეჩეთში მან განაცხადა, — ამერიკა ირწმუნება, რომ ტერორიზმს ებრძვის, სურს დაამყაროს სამართლიანობა და თანასწორობა, ამავე დროს, იმას აკეთებს, რასაც ეშმაკეული სადამი სჩადიოდა, თანაც ზუსტად იმავე ციხეებში. ამერიკელი ჯარისკაცების საქციელს არანაირი გამართლება არა აქვს.

**მიუნხენში,** საგარეუბნო მატარებლისა და ლოკომოტივის შეჯახების შედეგად 60 ადამიანი დაშავდა. ეს ბავარიის დედაქალაქის სადგურ ლაიჰტერბერგრინგში მოხდა. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**ერაყში** დაიღუპა ბრწყინვალე პოლონელი ტელეჟურნალისტი ვალდემარ მილევიჩი. პოლონეთის პრეზიდენტმა თანაგრძნობა გამოუცხადა მის ოჯახს — ეს დიდი ტრაგედია და დანაკლისია, მაგრამ ცნობილი ჟურნალისტის სიკვდილი არ მოახდენს გავლენას ერაყში პოლონელების ყოფნაზე, უნდა შევასრულოთ ამოცანა, რომელიც ერაყში გვაკისრია, — თქვა ალექსანდრ კვაშნევსკიმ.

მილევიჩთან ერთად დაიღუპა ალჟირული წარმოშობის პოლონელი ჟურნალისტი მოუნირ ბუამრანე და ოპერატორი ეჟი ერნსტი. მათი მანქანა ბაღდადის შემოგარენში უცნობმა პირებმა დაცხრილეს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

(დასაწყისი გვ. 20)



# AgVANTAGE

## შეგროვების ცენტრების კოორდინატორი

### თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობა

პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ აღნიშნული პიროვნება შეასრულებს თავის მოვალეობებს ორგანიზაციაში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის განყოფილებისა და მთლიანი ორგანიზაციის სათანადოდ წარმოჩენით, შერჩეული პიროვნება თავის წვლილს შეიტანს დადებითი და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში.

აღნიშნული პიროვნება ითანამშრომლებს წარმოების სპეციალისტებსა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანამშრომლებთან, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და ექსპორტი. მიზნობრივ ბაზრებზე მყიდველის მოზიდვა მოხდება სეზონურად, პროდუქტის სტაბილური ხარისხისა და მიწოდების უზრუნველყოფის გზით.

მოვალეობების აღწერილობა.

აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია პროდუქტის წარმოებისა და კონსოლიდაციის მენეჯერის წინაშე. უშუალო ზედამხედველის არყოფნისას, აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის წინაშე. ამ თანამდებობას ეკისრება შეგროვების ცენტრების თანამშრომლების ზედამხედველობა.

შეგროვების ცენტრების კოორდინატორის მოვალეობებია:

1. ითანამშრომლოს AgVANTAGE–ის წარმომადგენლებთან ხილისა და ბოსტნეულის შეგროვების ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიისა და მოქმედების გეგმების შემუშავებაში.
2. წარმოებისა და მარკეტინგის ჯგუფებთან თანამშრომლობით განსაზღვროს მიწოდებაზე არსებული მოთხოვნები და ხელმისაწვდომობა, როგორც რაოდენობის ასევე მიწოდების პერიოდის თვალსაზრისით, და შესაბამისად შეკვეთების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.
3. ითანამშრომლოს წარმოების ჯგუფთან, რათა განისაზღვროს მოთხოვნილი პროდუქტების წარმოების რეგიონები. შექმნას მონაცემთა ბაზა თითოეული რეგიონის, მწარმოებელთა ასოციაციების, წამყვანი ფერმერების, გადამამუშავებლების, ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისა და აგრეთვე ძირითადი პროდუქტების წარმოების დეტალების მითითებით.
4. მოახდინოს შეგროვების ცენტრის არსის პოპულარიზაცია და გამოავლინოს კომერციულ საფუძვლებზე ერთი ან რამოდენიმე ცენტრის დაარსებით დაინტერესებული პოტენციური მსურველები.
5. დაეხმაროს შეგროვების ცენტრის დაარსებით დაინტერესებულ პირებს თითოეული მყიდველის შეკვეთის დასაკმაყოფილებლად მომარაგების დეტალური გეგმებისა და მიწოდების გრაფიკების მქონე ბიზნეს გეგმების მომზადებაში.
6. AgVANTAGE–ის წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვროს ის საჭირო ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული ცენტრის დაარსებასა და მუშაობას.
7. ითანამშრომლოს ხილისა და ბოსტნეულის წარმოების დარგებში რეგიონალურ წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაზე არსებული მოთხოვნილებების შესახებ მწარმოებელთა ცოდნის გაღრმავება; აკონტროლოს შეგროვების ცენტრებისათვის ხილისა და ბოსტნეულის მიწოდება; კოორდინაცია გაუწიოს ცენტრებსა და მყიდველთა შორის ურთიერთობას.
8. ბაზრებსა და შეგროვების ცენტრებში პროდუქტების მიწოდებისას მათი ხარისხის, რაოდენობის, ბრუნვისა და ღირებულების დოკუმენტირება, მიღებული ინფორმაციის შეჯამება და შესაბამისი პირებისათვის რეგულარული მიწოდება.

კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

- უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან ეკვივალენტური პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს სოფლის-მეურნეობის დარგის საფუძვლიანი ცოდნა.
- 3-წლიანი გამოცდილება წარმოების, მოსავლის მოყვანის, აღებისა და შენახვის, აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვის სფეროში.
- ზოგადი აგრონომიის ცოდნა.
- ხილისა და ბოსტნეულის შენახვის სამაცივრო ტექნოლოგიების ცოდნა.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცირების პროცედურების გარკვეული ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- მართვისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში დამოუკიდებლად ან ჯგუფში მუშაობის უნარი.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.
- კომპიუტერთან მუშაობის (Ms Word, Excel) გარკვეული ცოდნა.
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

ელ. ფოსტა: vacancy cd@agvantage.org.ge

# როგორ გამოიყენებს მთავრობა აჭარის ეკონომიკურ რესურსებს

**რეიგანმა ამერიკის ეკონომიკა სტაგნაციიდან გადასახადების დაწევით გამოიყვანა**

**როდესაც ამერიკის ეკონომიკა სტაგნაციაში ჩავარდა, რეიგანმა ბეიკერი ფინანსთა მინისტრად დანიშნა და ფაქტობრივად ამ ორმა ადამიანმა იპოვა ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოყვანის გზები. ეს გახლდათ მხოლოდ ორი რამ: საგადასახადო განაკვეთების შემცირება და საბანკო პროცენტის დაწევა.**



*უკანასკნელ პერიოდში, მოვლენები ჩვენს ქვეყანაში ელვის სისწრაფით ვითარდება. მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძე აჭარის მისადგომებთან ხიდებს აფეთქებდა (რამაც საგრძნობლად შეაშინა ტერიტორიული და აჭარის მოსახლეობა და ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარამდე მიიყვანა), ჩვენს მთავრობამ პარლამენტში განსახილველად გამოიტანა 2004 წლის ბიუჯეტი, რომელიც წინა წელთან შედარებით 400 მილიონი ლარითაა გაზრდილი. წარმოდგენილ ბიუჯეტს ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა და მთავრობას ამბიციურობაში დასდეს ბრალი. ბევრისთვის მიუღებელია, რომ ახალი ბიუჯეტი ძველი საგადასახადო კოდექსის ფარგლებშია გაწერილი, მაშინ, როცა უახლოეს მომავალში ახალი საგადასახადო სისტემა ამოქმედდება. ყველაფერთან ერთად მთავრობას სატრანზიტო გზების აღდგენის პრობლემაც დაემატა, მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა სარფის საბაჟოს გაკონტროლების საშუალება გვეძლევა. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს მთავრობა აჭარის ეკონომიკურ რესურსებს, მანამდე კი ექსპერტების და სახელმწიფო მოხელის კომენტარები მოვისმინოთ.*

**ნათია თუხნავა,** *ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე:*

— ნებისმიერი ჩვენი გათვლა, ეკონომიკური თუ ფინანსური პროგნოზი კეთდება იმ პირობით, რომ მთავრობას აქვს საშუალება იმუშაოს მთელი დატვირთვით. მაგრამ თუ მოხდა ისეთი გაუთვალისწინებელი რამ, როგორიცაა, მაგალითად, ქვეყანაში ხიდების აფეთქება, მთელი ჩვენი პროგნოზი თავდაყირა დგება. ამჟამინდელ სიტუაციაში დიდი დარტყმა ადგება ბიუჯეტის შესრულებას, საფრთხე ემუქრება საინვესტიციო გარემოს გამოცოცხლებას და ეჭვქვეშ დგება ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ხიდების აფეთქებით დიდი ზიანი მიადგა სატრანზიტო გადაზიდვებს. მთლიანად ბათუმის პორტზე წელიწადში მოდის 19 მილიონი ტონა ტვირთი, რკინიგზაზე გადაზიდული სატრანზიტო ტვირთის სიდიდე კი 9 მილიონ ტონას შეადგენს. აჭარის ბიუჯეტი წელიწადში, დაახლოებით, 90 მილიონი ლარია, საიდანაც 35 მილიონი, ანუ მესამედი საბაჟო გადასახადებზე მოდის — დღგ და აქციზი სარფიდან, რომლის 40% არსებული წესით ადგილზე რჩება.

აჭარაში მიმდინარე მოვლენებმა ასევე ეჭვქვეშ დააყენა ბათუმის საზღვაო მისადგომში ჩადებული მნიშვნელოვანი თურქული ინვესტიცია. საფრთხე დაემუქრა დიდი გვირაბის, ბათუმი-ციხისძირის მშენებლობის პროექტსაც, აღარაფერს ვამბობ ისეთ გლობალურ პროექტზე, როგორიც ნავთობსადენია. მისი რეალური ამოქმედებით მიღებული სიკეთის აუცილებელი პირობა ხომ პოლიტიკური სტაბილურობაა.

**— მიუხედავად აჭარაში მიმდინარე მოვლენებისა, საპარლამენტო კომიტეტებში არ შეჩერებულა 2004 წლის ბიუჯეტის განხილვა. ამ პროცესში თქვენც მონაწილეობთ. რამდენად რეალური იქნება ასე ნაჩქარევად მიღებული ბიუჯეტი?**

— გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, 2004 წლის ბიუჯეტი მხოლოდ მაისში შევა ძალაში. როგორც ხედავთ, ვადები დარღვეულია და ჩვენი სიჩქარეც ამით არის განპირობებული. გაჩნდა სერიოზული პერსპექტივა, აღდგეს სავალუტო ფონდის დიდი ხნის შეჩერებული პროგრამა. კარგი პირი უჩანს პარიზის კლუბში ჩვენი უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციას. რომ არა ეს გარემოებები, მერწმუნეთ, 2004 წლის ბიუჯეტი სრულიად სხვა პარამეტრებზე აეწყობოდა. პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიუჯეტში გაცილებით ნათლად და რეალურად არის გათვალისწინებული ეკონომიკური ზრდის შედეგები, რაც აისახა კიდეც საგადასახადო ბაზის გაფართოებაში. ჩვენი გათვლებით, რეალური ეკონომიკური ზრდა 6-7% იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს საგადასახადო შემოსავლები წინა წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდოს. აქედან 11-12%-ს თავად ეკონომიკური ზრდა იძლევა, ხოლო 15%-ის ამოღება ადმინისტრირების გამკაცრების ხარჯზე მოხდება:

წელს მთავრობის უპირველესი მიზანია, დაიწყოს სოციალური ვალდებულებების გასტუმრება. ამ ეტაპზე ამას შეიძლება ტაქტიკურად შევწიროთ სხვა ამოცანები. კარგი იქნებოდა, რომ დროში ერთმანეთს არ დასცილებოდა ახალი საგადასახადო კოდექსის შეტანა პარლამენტში და ბიუჯეტის განხილვა, მაგრამ როგორც გითხარით, ჩვენ ფორსმაჟორულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. რაც შეეხება ბიუჯეტის ამბიციურობას, მახსოვს, ადრე ბიუჯეტს მისი არაამბიციურობის გამო აკრიტიკებდნენ. ახლა, როცა მთავრობა საკუთარ თავზე იღებს ამ ბიუჯეტის შესრულების ვალდებულებას, იყოს ამბიციური, ოღონდ რეალისტურიც.

**ნიკო ორველაშვილი,** *ეკონომიკის ექსპერტი:*

— მთავრობის მიერ შემოთავაზებული 2004 წლის ბიუჯეტი ზედმეტად ამბიციურია. როდესაც ასეთ ოპტიმისტურ გათვლებს ვთავაზობთ საზოგადოებას, უნდა გვქონდეს ძალიან მყარი ხელშესახები არგუმენტაცია. კიდევ ერთი თვალში საცემი ტენდენცია იკვეთება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში. ეს გახლავთ უცხოური დახმარებებით მისაღები 400 მილიონი ლარი, რაც მთლიანადაა მიბმული გარკვეულ პირობებზე. საკმარისია, მთავრობამ სადმე წაიფორხილოს, ეს 400 მილიონი მაშინვე ეჭვქვეშ დადგება.

**— მაშინ რატომ იკისრა ხელისუფლებამ ამხელა ვალდებულება, ხომ შეიძლებოდა ბიუჯეტი უფრო მოკრძალებული ყოფილიყო?**

— ანალოგიური შეკითხვა მეც მაწუხებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც 2002 წლის ბიუჯეტი, მაშინდელმა და ახლანდელმა ფინანსთა მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა, ზუსტად 2004 წლის ბიუჯეტის სტილში დაგეგმა, ძირითადად უცხოური დახმარებების იმედად. შემდეგ რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს, საქართველოში ჯერ ერთი დიპლომატი გაიტაცეს, შემდეგ ვიღაც მოკლეს და ა.შ. ყველაფერი კი პიტერ შოუს გატაცებით დასრულდა. შედეგად 2002 წელს საერთოდ შეგვიწყდა უცხოური დახმარებები, რამაც გამოიწვია 300-მილიონიანი სეკვესტრი. ვშიშობ, იმავე შეცდომებს ხომ არ ვიმეორებთ! არავინ აიძულებდა ხელისუფლებას წარმოედგინა ასეთი ამბიციური პროგრამა. შემოეთავაზებინათ ის რეალური შემოსავლები, რაც მეტ-ნაკლებად გარანტირებულია, ხოლო სექტემბრისთვის, თუ დაინახავდნენ, რომ ყველაფერი კარგად ხორციელდება და დახმარებებსაც შეფერხება არ ემუქრება, შესულიყვნენ პარლამენტში წინადადებით, გაზრდილიყო საბიუჯეტო ხარჯები და შემოსავლები. როგორც ჩანს, ბიუჯეტშიც დევს რაღაც „პიარული მომენტი", რომელიც, სხვათა შორის, ზოგად ლაიტმოტივად გასდევს ხელისუფლების ქმედებას. ძალიან ხშირად აკეთებენ განცხადებებს, დაპირებებს, რეალურად კი არაფერი კეთდება. ეს შენიშვნა კონკრეტულად ეხება საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლას. ვისაც დაავიწყდა, შევახსენებ, — 3 აპრილს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც შედგა 17-კაციანი კომისია. კომისიას ერთ თვეში უნდა წარმოედგინა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი. თვეზე მეტი გავიდა და მაინტერესებს, სად არის აღნიშნული პროექტი?

**— ამ პროექტის მოპოვება ჩვენც ვცადეთ, თუმცა ჯერ მხოლოდ მისი სამუშაო ვერსიები არსებობს, პროექტზე მუშაობა დასრულებული არ არის.**

— რა თქმა უნდა, პროექტი მზად არ არის და ვერც იქნებოდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ კომისიის შემადგენლობაში შედის ექვსი-შვიდი მინისტრი, ამდენივე პარლამენტარი და ამდენივე არცთუ მოცლილი ადამიანი. ყველა მათგანს სათითაოდ ვუდასტურებ ჩემს პატივისცემას, მაგრამ მათი დაკავებულობის ხარისხიდან გამომდინარე, სრულიად შეუძლებელია ერთ თვეში მსგავსი სამუშაო შეესრულებინათ. ყველაზე შემაშფოთებელი კი ჩემთვის გახლავთ პრემიერ-მინისტრის და ფინანსთა მინისტრის არასერიოზული დამოკიდებულება ძალზე სერიოზული საკითხების მიმართ. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა დღეს სტრატეგიული განვითარების გეგმის გარეშე ცხოვრობს. ეს მუდმივად აბრკოლებს ურთიერთობას ჩვენს მთავრობასა და დონორ ქვეყნებს შორის. ჩვენი მთავრობა გამუდმებით ითხოვს დახმარებას დონორებისგან, მაგრამ როცა ეკითხებიან, რა არის ჩვენი პრიორიტეტი — პასუხი არა აქვთ. ყველა დონორი ცდილობს, დახმარება გაგიწიოს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. გაითვალისწინეთ, რომ დონორები მრავლად არიან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ყველა კეთილი განზრახვით გვიკეთებს რაღაცას, მაგრამ საბოლოო ჯამში ვექტორებია აცდენილი და ისე გამოგვდის, როგორც კრილოვის ცნობილ იგავშია, გედი, კიბო და ქარიყლაპია სხვადასხვა მხარეს რომ ეწევიან. ჩვენი მთავრობა სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, უნდა შექმნას საკუთარი პროგრამა, სადაც გამოკვეთილი იქნება ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები, მიმართულებები და ა.შ. ვიდრე ყოველივე ეს არ დალაგდება, მანამდე გვექნება სერიოზული შეშფოთების საბაბი.

**— ბატონო ნიკო, ყოველივე ამის გათვალისწინებით, თქვენი კოლეგები უკვე ხმამაღლა საუბრობენ მწვავე ეკონომიკური კრიზისის მოახლოებაზე...**

— მინდა გითხრათ, რომ მათ შორის ერთ-ერთი მეც გახლავართ. პირველი კვარტალის ბიუჯეტი შეასრულა არა საგადასახადო თუ საბაჟო დეპარტამენტებმა, არამედ ირაკლი ოქრუაშვილმა. საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ბიზნესწრეებში, გაჩნდა შიშის სინდრომი. ლეგალურ სექტორში მომუშავე ბიზნესმენებმა ამჯობინეს: დაე, ბიუჯეტს ჰქონდეს ჩემი ვალი, ვიდრე მე ბიუჯეტისო. მართალია, ფინანსთა სამინისტრომ აკრძალა წინსწრებით გადასახადების აკრება, მაგრამ რეალურად ისეთი გარემო პირობები შეიქმნა, რომ ბიზნესმენებმა ჯიბეები ამოიტრიალეს და ლამის უკანასკნელი თეთრები მიართვეს ფინანსთა მინისტრს. დღეს ის ბედნიერია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამ ბიზნესმენთა ერთმა ნაწილმა საერთოდ შეწყვიტა საქმიანობა და გაერიდა ამ ქვეყანას. ეს კი უახლოეს ხანში გამოიწვევს პროდუქტის შემცირებას და უმუშევრობის ზრდას. ბიზნესმენთა მეორე ნაწილმა მინიმუმამდე დაიყვანა თავისი აქტივობა. შეხედეთ მშენებლობას, მისი უმეტესი ნაწილი შეჩერებულია. ყოველივე ეს კი განაპირობებს ეკონომიკურ ვარდნას, რაც თავისთავად გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების კლებას. საბიუჯეტო შემოსავლების კლება კი თავისთავად იქნება სახელმწიფოს მხრიდან შეუსრულებელი სოციალური ვალდებულებები.

**ბონდო ზარნაძე,** *ეკონომისტი:*

— ვფიქრობ, რომ აჭარის მოქცევა ჩვენი ქვეყნის ერთიან საკონსტიტუციო სივრცეში, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნას როგორც აჭარის, ასევე მთლიანად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. წინა ხელისუფლების დროს, პოლიტიკური ჯიბრის გამო, აჭარაში არ იქმნებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ეს მაშინ, როდესაც 1810-1812 წლებში სწორედ ბათუმში შექმნა რუსეთის იმპერიამ პირველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა. დღევანდელი ვითარება საშუალებას გვაძლევს, ვაქციოთ აჭარა იმ ეკონომიკურ ფანჯრად, რომლის საშუალებითაც მოვიზიდავთ სერიოზულ ინვესტიციებს. ეკონომიკის განვითარებისთვის აჭარის რეგიონს ბევრი რესურსი გააჩნია. პირველ რიგში, ეს არის ზღვისპირეთი, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, თურქეთთან დამაკავშირებელი გზები და ა.შ. მთავარია, შევქმნათ ქვეყანაში სტაბილური საინვესტიციო გარემო და მივიღოთ ლიბერალური საგადასახადო კოდექსი. რამდენიმე დღის წინ საშუალება მქონდა, გავცნობოდი პროექტს, რომელშიც წარმოდგენილია, როგორ უნდა დარეგულირდეს ახალი საგადასახადო პროექტით გათვალისწინებული საშემოსავლო და მოგების გადასახადები. ამ პროექტის თანახმად, მოგების გადასახადი ორი პროცენტული პუნქტით მცირდება, ანუ 20-დან — 18%-მდე ჩამოდის ქვემოთ, რაც ფაქტობრივად არანაირი შეღავათი არ არის. გაუმართლებლად მიმაჩნია სიჩქარე და ფორსირებული მიდგომა ამ უდიდესი მნიშვნელობის კანონის მიმართ. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ გადასახადების შემცირებით იზრდება გადამხდელთა რაოდენობა. რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკა, რეიგანომიკის სახელით არის ცნობილი. ის და ბეიკერი სტუდენტობის მეგობრები გახლდნენ. ამიტომ, როდესაც ამერიკის ეკონომიკა სტაგნაციაში ჩავარდა, რეიგანმა ბეიკერი ფინანსთა მინისტრად დანიშნა და ფაქტობრივად ამ ორმა ადამიანმა იპოვა ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოყვანის გზები. ეს გახლდათ მხოლოდ ორი რამ: საგადასახადო განაკვეთების შემცირება და საბანკო პროცენტის დაწევა. გარდა ამ ორი პუნქტისა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ეროვნული ბიზნესის სასარგებლოდ საზღვრების დაცვა. საქართველოს ეკონომიკა ორიენტირებულია ძირითადად იმპორტზე, რაც ასევე დიდ ზიანს აყენებს ეროვნულ წარმოებას. ამრიგად, შესაცვლელია ქვეყნის ეკონომიკური კურსი და აქცენტი უნდა გაკეთდეს ექსპორტზე, ანუ ვალუტის შემომტან მეურნეობაზე.

საინტერესოა, როგორ მოახერხებენ 11 მაისამდე პარლამენტარები 1000-გვერდიანი ბიუჯეტის განხილვას, აღარაფერს ვამბობთ ბიუჯეტში გათვალისწინებულ მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებებზე. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ბიუჯეტში „შეწირულობა" ახლა აჭარის კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა შეიტანონ. იმ შემთხვევაში კი, თუ მთავრობა ასეთი ხერხებით გააგრძელებს ბიუჯეტის შევსებას, ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ, რაც შეიძლება მეტი დასაჭერი გვყავდეს(?!).

***ემა ტუხაშვილი***

„კვირის პალიტრის" 26 აპრილი-6 მაისის ნომერში (№17), სტატიაში **„პირიმზის" თანამშრომლები ინდმეწარმის სტატუსის მიღებაზე უარს აცხადებენ"** დაშვებული იყო უზუსტობა. ტექსტში აღნიშნულია: „ინდმეწარმეებს „პირიმზესთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება მოუწევთ, ხოლო აქციონერის სტატუსი ავტომატურად ჩამოერთმევათ". უნდა იყოს: „თუ ინდმეწარმეებს „პირიმზესთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება მოუწევთ, ამის შემდეგ ისინი რჩებიან აქციონერებად; მაგრამ „პირიმზის" თანამშრომლები აღარ იქნებიან".

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
უნივერსალური სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალე, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ:267888; 969164; ტელ/ფაქსი:969195;
მობ: 8.99. 569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

შპს „გეოკორი"
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ელიბეკრის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის" გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი:966-779

შპს „პოლიგრაფისტი" (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 8 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9600 |
| ევრო | 2,3596 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5013 |
| რუსული რუბლი | 0,0677 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3216 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. მთვარის კურიოზი



1970 წელი იყო. სოფელში მე და ჩემი სტუმრები აივანზე სუფრასთან ვსხედვართ და ვქეიფობთ. რაჭაში საღამო ჩამოდგა, სავსე მთვარე ზედ ჩვენს კაკალს დაადგა თავზე და აივანს ოქროს სხივები მოჰფინა.

თამადა ვარ. სტუმრებს ვეუბნები — აი, ჩვენ აქ არხეინად ვქეიფობთ, იქ კი, მთვარეზე ამერიკელი ასტრონავტები დასეირნობენ და სინჯებს იღებენ-მეთქი. გაიმართა სჯა-ბაასი, აუ, როგორ წავიდა წინ მეცნიერება და ტექნიკაო. სადაცაა, მარსზე და მთვარეზე მიწების პრივატიზაცია დაიწყება და მერე ნახე მთავრობაში საჩივრებიო... ამ საუბარს ჩემი 85 წელს მიღწეული ბაბუა უგდებს ყურს. გვისმინა, გვისმინა და მერე გაკვირვებულმა თქვა: — თქვენ მოატყუეთ თქვენისთანებიო! ჯერ ერთი, იქ რომ ვინმეს ფეხი დაუცდეს, ამ კაკლამდე სული არ დაჰყვებაო...

***„ქუთაისელი“***

## 2. ნაღდი რაჭველი

### (ზოგჯერ ანეკდოტიც მეორდება)

ბიძაჩემი, შალვა მესხი ერთხანს უძილობას უჩიოდა. შვილმა თბილისში ჩამოიყვანა ექიმებთან. ნევროპათოლოგმა ურჩია — ბევრი არაფერი გჭირს სამკურნალო, უბრალოდ, ძილის წინ სხვა რამეზე ნუ ფიქრობ, — თვლას მიეჩვიე და ასამდე ვიდრე დაითვლი, დაგეძინებაო.



იმავე დღეს სოფელში გაამგზავრეს. ორიოდე დღის შემდეგ შვილმა ჩააკითხა.

— როგორ მოგიხდა ექიმის რჩევა? — ჰკითხა მან მამამისს.

— ბევრი ვერაფერი, შვილო! ძილის წინ დათვლა კი დავიწყე, მაგრამ, როცა 100-ს მივაღწიე, უკვე მეორე დღის შუადღე იყო, ტყეში ფიჩხსა ვჭრიდი თონისთვის და აბა, იქ, ნადირებში ხომ არ დავიძინებდიო...

***გერონტი მესხი, თბილისი***

## 3. სიმძიმის „აუქციონი“

დეიდაჩემმა, რომელსაც კურიოზი ყველგან და ყოველთვის თან სდევს, ქათმები წაიყვანა ქალაქში გასაყიდად: გაქნილმა ვაჭარმა ხელში შეათამაშა ერთი ქათამი და დაღრეჯილმა ჩაილაპარაკა, — მსუბუქიაო.



— მძიმე მე ვარო! — უთხრა დეიდაჩემმა.

— მე შენზე მძიმე ვარო! — არ დაუთმო ვაჭარმა.

— ჰოდა, იყავი, ქათამი რაღად გინდაო!.. — შეუღრინა დეიდაჩემმა და დაწუნებული ქათამი ხელიდან გამოჰგლიჯა.

***ზურაბ გოჩაშვილი, ცხინვალი***

## 4. კახეთში ჩაწერილი ამბები



### მზრუნველი ბებო

ოქტომბრის ცივი დღეები იყო. მარო ბებოს შვილიშვილს, მეცხრეკლასელ ზაქროს, თანაკლასელებმა გამოუარეს და სკოლისკენ წავიდნენ. ამ დროს ესმით ბებიის განწირული ხმა: — ბიჭო, ზაქრო, ეგრე ტიტლიკანა რო მიდიხარ, ვერა ხედამ, როგორა ცივა. აჰა, ახლავე ეს ბუზგალტერი ჩაიცვიო!..

თან გარბოდა თან „ბეზრუკავკას“ მიაფრიალებდა.

### პამიდორი

მარო ბებო ეუბნება შვილიშვილს: — ბებო, ნატო, რაც შაიძლო, ბევრი პამიდორი ჭამე, შიგ ბევრი დინამიტები (ვიტამინები) ყოფილა, ახლა ჩვენი ექიმი ლაპარაკობდაო...

***თამარ ბარბაქაძე, თბილისი***

## 5. ოპერაცია „ინდაური“



ბარათაშვილის ქუჩით მიდიოდა აქვსენტი მამალაძე „პიანი“ ბაზრისკენ. აქეთ-იქით ხელში 6 ინდაური ეჭირა და მოგებას წინასწარ ანგარიშობდა. ზუსტად იმავე ქუჩაზე საგიჟეთის წინ მალალია კეკელიძე იდგა. დაინახა თუ არა აქვსენტი, მივიდა, შეაჩერა და ჰკითხა: — რავა ყიდი, ბიძაჩემო, ინდაურებსო?

— 10-10 მანეთად მოგცემ თითოს! — უთხრა აქვსენტიმ, — მაღლაკიდან მომყავს ფეხითო.

— ბიძაჩემო, 8-8 მანეთში მომეცი, აქვე გადაგიხდი ფულს, აგერ ამ სახლში (საგიჟეთზე მიუთითა), მამიდაშვილის ქორწილი გვაქვს ხვალ, შევალ, ოჯახს ვაჩვენებ ამ ინდაურებს და ფულსაც გამოგიტანო.

— კი, ბიძია, წაიყვანეო!.. — „კაი“ სახლით მოხიბლულმა უთხრა აქვსენტიმ და ზედ კართან აიტუზა, არსად გამეპაროსო.

შევიდა თუ არა მალალია, ინდაურები სადღაც „მიაყუჩა“ და მთავარ ექიმთან შევარდა. ეუბნება, — ვარლამიჩ, მიშველე რამე, აგერ, კართან კაცი დგას. სამი თვეა დამდევს, ინდაურების ფული მერგება შენგან და თუ არ მომცემ, მოგკლავო.

დირექტორმა მოადგილეს დაუძახა და სასწრაფოდ საგანგებო ბრიგადა „ოპერაციაზე“ გაეშურა. მივიდნენ კართან მომლოდინე აქვსენტისთან და, რა გნებავთო, ჰკითხეს. რა და შენთან რომ ინდაურები მოიყვანეს, იმის ფული მინდაო. ერთი ხელის აქნევა და სანიტრებმა აქვსენტი გაქაჩეს. მიათრევენ შიგნით, აქვსენტი აგინებს, ინდაურების ფული მომეცით, თვარა დედას გიტირებთო... უცებ საიდანღაც ექთანი გამოჩნდა შპრიცით ხელში და აქვსენტიც მიყუჩდა. მთელი სამი დღე ინდაურის ხსენება და ნემსიც უკვე მზად იყო. სამი დღის მერე მიაკვლია ბუჭაიამ მამამისს საგიჟეთში. მივიდა თუ არა მამასთან და ჰკითხა — როგორ მოხვდი აქო, აქვსენტიმ უთხრა, მაგას მერე გეტყვი, შვილო, მერე!.. მარა, აქ ინდაური არ ახსენო, თვარა შენც ნემსს გაგიკეთებენო.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## 6. ჭიუტი პაციენტი



გთავაზობთ კურიოზს, რომელიც ჩემს მეგობარს შეემთხვა 16 წლის წინ. ჩემმა მეგობარმა გოგონამ (ახლა საკმაოდ ცნობილი ექიმია) ის-ის იყო დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, გაიარა ორდინატურა და დაიწყო მუშაობა ექიმ-თერაპევტად საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრის საავადმყოფოში. ერთხელ ექიმის კაბინეტში ახალგაზრდა ვაჟი შევიდა და სთხოვა: — ექიმო, „მარგანცოვკა“ მომეცით!

— რად გინდა? — ჰკითხა ექიმმა.

— აუცილებლად უნდა მოვიწვა რაღაც!.. — აცხადებს „ავადმყოფი“.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მოიწვა?! — გაოცდა ახალგაზრდა ექიმი.

— აღარ მჭირდება და იმიტომ!.. — მთელი სერიოზულობით უხსნის ისიც.

გადაირია ჩემი მეგობარი. იფიქრა, ალბათ რაიმე ვენერიული დაავადება სჭირსო და სასწრაფოდ ვენეროლოგს დაუძახა: ახლა იმან დაუწყო ბიჭს გამოკითხვა: — რად გინდა ბიჭო, „მარგანცოვკა“?

— რა ვერ გაიგეთ? — გაბრაზდა ვაჟი — „ასოები“ უნდა მოვიწვა, აღარ მჭირდება, აღარ მიყვარს, მომბეზრდა!..

ამის გაგონებაზე ექიმები სულ გადაირივნენ. უცებ ექიმი-ვენეროლოგი „გონს მოვიდა“ და გაჯიუტებულ ბიჭს ჰკითხა:

— იცი, შენ „ასო“ რას ჰქვია?!

ამაზე პაციენტმა, როგორ თუ არ ვიციო და ყვირილი დაიწყო: ა, ბ, გ!..

თურმე ჩვენს გმირს ხელზე ტატუირებული „თეას“ მოშორება ნდომებია.

***ია შარაბიძე, თბილისი***

## 7. „კოლეგები“



ბიძაჩემის მეჯვარე, მამუკა შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ერთხელ მას და მის მეგობარს რაიონში მოუხდათ წასვლა. უკან გამობრუნებულებს გზად შემოაღამდათ, უმანქანოდ იყვნენ და ტრანსპორტს დაუწყეს ლოდინი.

...უცბად საიდანღაც ძაღლების ხროვა შემოეხვიათ. ხან ქვები დაუშინეს თურმე, ხან ჯოხები — რაღა არ სცადეს, მაგრამ ამაოდ. ძაღლები ჯიუტად, ღრენით მოსდევდნენ და ჩამოშორებას აღარ აპირებდნენ. არადა, არც მანქანა ჩანდა. ქვებით და სტვენით რომ ვერაფერს გახდნენ, მამუკამ ჯიბიდან „ქსივა“ ამოიღო და ძაღლებს უჩვენა და უთხრა: — მეც „ძაღლი“ ვარ, თქვენი თანამშრომელიო!.. ძაღლები მაშინვე გაჩუმდნენ და მალე აქეთ-იქით გაიფანტნენ. მამუკამ და მისმა მეგობარმა გზა გაოცებულებმა განაგრძეს. თან იმას ფიქრობდნენ, ძმაკაცები როგორ დაერწმუნებინათ ასეთი უცნაური თავგადასავლის სიმართლეში.

***თ. ფ., თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**8.** — იცი, ამას წინათ თბილისში ვიყავი და ზოოპარკში უფასოდ შემიშვეს! — გახარებულია ჭიჭიკია.

— კი მარა, ბიჯო, გასაოცარია პირდაპირ, იქიდან როგორ გამოგიშვეს...

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***





**9.** ნარკომანი ხვდება ნაცნობ კინორეჟისორს და ეკითხება: — იღებ, ტო რამე ფილმს?

— დიახ, ვიღებ სიყვარულზე!

— ვაა! ქალი ქალთან?

— არა, რას ამბობ!

— აბა, ცისფერებზე?

— არა, რას ამბობ, კაცს რომ ქალი უყვარს, გაიგე?

— ვა, ტო, დოკუმენტურ ფილმს იღებ?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

კვირის პალიტრა №19

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 12 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 13 მაისის 13 საათამდე.*

## მილოცვა

**ქალბატონ ქეთევან დუმბაძეს**

გილოცავთ შვილთაშვილის, სანდრო ჭელიძის, ამქვეყნად მოვლინებას. ბედნიერ დიდედობას, ჯანმრთელობას, ღვთის შეწევნას გისურვებთ, სიკეთე და სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს დიდ ოჯახს, ქალბატონო ქეთევან!

*ახლობლები*

**მარიამ ლონდარიძეს**

ჩვენო პატარა, საყვარელო გოგონავ! გილოცავთ მეორედ შობას – ნათლობას. ბედნიერი იყოს ეს დღე. დალოცვილი იყავი მშობლებით, ნათლიებით, ყველა ახლობლით. იხარე და იბედნიერე.

*შენი დედიკო ია და მამიკო მალხაზი*



**ჩვენო საყვარელო ხატია სიხარულიძე!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო შვილი, იყავ ჯანმრთელი, ბედნიერი და მხიარული. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*ციალა ბებია*



**მარიამ სეთურიძეს**

ჩვენო პატარა სიცოცხლევ, გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი, ჯანმრთელი, ულევი სიხარული გქონოდეს. სასახელო გოგო გაიზარდე, გფარავდეს ღმერთი.

*შენი მშობლები*



**სერგი ქავთარაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გქონდეს ულევი სიხარული. გაიზარდე სასახელო, როგორიც ბაბუა სერგო იყო. გაახარე მშობლები – ხათუნა და პაატა, ბებია ფლორა.

*დიდი სიყვარულით, ბებია ეთერ კუჭავა ოჯახით*



**გვანცა ნადიბაიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერ მომავალს, წინსვლას ცხოვრებაში.

*ნადიბაიძეების ოჯახი*

**ანიკო ალადაშვილს**

ჩემო საყვარელო ანო დეიდა! გილოცავ დაბადების დღეს – 9 მაისს. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიყვარულს, სიხარულს, შენს ერთა შვილ ვალერისთან, მეუღლესთან და ახლობლებთან ერთად.

*თამარ მარგიევი, თბილისი*

ალუდა ცალუღელაშვილს და თამრიკო შუშანაშვილს ვულოცავთ ბედნიერებას. ღმერთი ყოფილიყოს თქვენი მფარველი.

*იოსები და მანანა ცალუღელაშვილები*



**მიშიკო ცალუღელაშვილს!**

სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა არ მოგაკლოს სიკეთე. გაიზარდე კარგი, სასახელო ბიჭი.

*შენი მშობლები: იოსებ და მანანა ცალუღელაშვილები*

## მადლობა

გვინდა მადლობა გამოვუცხადოთ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორს **ბ-ნ რევაზ გაგუას**, დირექტორს ფინ/ეკონ. დარგში **ბ-ნ თედო საჟენიუკს**, თავისა და კისრის სიმსივნეების განყოფილებას. განსაკუთრებით პროფესორ **კონსტანტინე მარდალეიშვილს**, ექიმ **დავით ბახტურიძეს**, ანესთეზიოლოგ **ვაჟა სიხარულიძეს**, მედდა **ლანა ლაფაჩს**, მათ მიერ გამოჩენილი გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისათვის.

*მუდამ თქვენი მადლიერი პაციენტი ვლადიმერ ხუციშვილი*

**ქალბატონ ნათელა ბექაურს და გიორგი პაპუაშვილს!**

დედა მყავდა ძალიან მძიმედ ავად, 79 წლის, მაღალი შაქრით, წნევით და სახსრების ტკივილით. თანამშრომლის რჩევით მივაკითხე ქალბატონ ნათელას. მისმა დასალევმა წამალმა და სასწაულმოქმედმა მალამომ ერთდროულად სასწაული მოახდინა, ავადმყოფი ფეხზე დააყენა. თავს ძალიან კარგად გრძნობს. მე მადლობა მინდა გადავუხადო ქ-ნ ნათელას და ბატ. გიორგის. ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე ყველა გაჭირვებულის იმედად.

*პატ. თინა ქუფარაშვილი*

## ვიქირავებ

სასწრაფოდ! ვიქირავებ 2 ან 3 ოთახიან ნაკლებად კომფორტულ ბინას საბურთალოზე. სასურველია I ან II სართული. ტ. 893126327 – ზაური, 893126320 ილია

## ვიგირავებ

2-ოთახიან სუფთა, კეთილმოწყობილ ბინას 4000$-ის ფარგლებში. ტ: 877-74-87-44 თეა; 877-79-33-19 ჭიკო

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით. ოფიციალური ხელშეკრულებით, Au-Pip პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. დაგვირეკეთ თბილისში, 95-64-18; ქუთაისში 7-74-79

ხოლდინგოვის მრავალდარგოვანი კომპანია გიწვევთ სამუშაოდ მზარდი ანაზღაურებით. ტ. 899-43-92-49

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური) 2. კოსმეტიკა-ვიზაჟი (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები) 3. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115. კაბ. №20. ტ. 94-01-82; 95-83-18 სამ. 96-22-89 სახლი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

„გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

Российской компании для работы в Тбилиси требуется юрист (адвокат) с хорошим знанием гражданского, налогового, инвестиционного, приватизационного закондотальства Грузии, программ ЦЩКВб УЧСУД и русского языка. Возраст и пол значения не имеют. Соискателям необходимо прислать ответы на конкурсные вопросы и резюме на цццюекшегяфюкг или факсимильной связью +7 095 521 44 21. Контактный тел. +7 916 336 85 44. Победителю конкурса будет предложена работа с достойной оплатой.

Конкурсные вопросы

1. Порядок купли-продажи государственного (муниципального) недвижимого имущества. Регистрация прав собственности. Особенности сделки для иностранных юридических и физических лиц.
2. Законодательные гарантии и порядок инвестиционной деятельности для иностранных юридических и физических лиц.
3. Порядок ввоза имущества для коммерческой деятельности иностранных юридических и физических лиц или участников простого товарищества, статус и налогообложение имущества.
4. Порядок открытия и функционирования, налогообложение объектов игорного бизнеса. Особенности для иностранных юридических и физических лиц.

Все ответы должны содержать ссылку на конкретные законодательные нормы и сравнительный анализ в таблицах, для резидентов и не резидентов.

## მომსახურება

ახალი სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. უჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. ანტენის მეშვეობით შეგიძლიათ უყუროთ ქართულ, რუსულ და ევროპის 300 ტელეარხს, უმაღლესი ხარისხით. კომპლექტის ფასი – $135, მონტაჟი – $20. რუსეთის 23 ტელეარხი – ფასი მონტაჟით, $200-დან $220-მდე. ტელ: 899 94-27-04

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას მეორად სამეულებზე შალითების გამოცვლა მშრალი წმენდა. ტ. 76-01-33 გია

„ოქროს ვერძი" მაღაზია – იარაღის სახელოსნო გთავაზობთ: ფირმა ვალტერის ცეცხლსასროლ და თავდაცვის სხვადასხვა სახის პისტოლეტებს, გლუვლულიან და ხრახნილლულიან თოფებს, არბალეტებს, ყველა სახის იარაღს, რემონტი-სამიზნის გასწორება. ვმუშაობთ ყოველდღე, 11-19 სთ-მდე, კვირა და უქმე დღეებში 12-19 სთ-მდე. მის. რესპუბლიკის მოედანი, რუსთაველის 37, გასასვლელში. ტ. 98-22-58

## მკურნალობა

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლოესი აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ. 899-97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ქართული ფლორის მცენარეებით გთავაზობთ შემდეგი დაავადებების კომპლექსურ მკურნალობას: კოლიტი, ბუასილი, გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას, ალერგიას, ბრონქიალურ ასთმას, ნევროზს, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს. მის. დ. აღმაშენებლის 109 (ეზოში, ხელმარცხნივ, ნაცრისფერი ბოლო კარი). ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ. 94-19-84 (სამს); 96-35-92 (სამს) 899-74-23-69

სიახლე: ეკოლოგიურად სუფთა, რუსული წარმოების სერტიფიცირებული პროდუქცია ბავშვებისათვის: უნებლიე შარდვა. სიმაღლეში ზრდა, გონებრივი ჩამორჩენილობა. ძილის მოწესრიგება, იმუნიტეტის გაძლიერება, ჭირვეულობა, უმადობა, აუცილებელი ამინომჟავების, ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი. ტელ. 899-72-39-20 ნოდარი; 99-75-90

სერიოზული ალკოჰოლიზმისაგან სერიოზული განკურნება, სრული თერაპიული კურსით ნაბახუსევის (პახმელიის) სინდრომის, ნევროზების, აგრესიულობისაგან გათავისუფლება. სისხლის, ღვიძლის გასუფთავება, ჰეპატიტები. ექსკლუზიური, სერტიფიცირებული, კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატები. მკურნალობა შეიძლება პაციენტის სურვილის მიუხედავად (ოჯახის წევრის მიერ). ტ. 899-22-63-90 ნინო

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, სახსრების მარილოვანი დაავადება, ქრ. ბრონქიტი, კუჭის წყლული. ტელ. 99-75-90; 899-21-13-66 ლალი

ნევროზები – უძილობა, შიში, დეპრესია, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, პრობლემური კლიმაქსი, სახსრები, მარილები. ექსკლუზიური, სერტიფიცირებული პრეპარატებით (კრემლის ყოფილი ლაბორატორია), აკ. ლიხარიოვის მეთოდიკით. ტ. 899-22-63-90 ნინო

გთავაზობთ კანის ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას, გამონაყარისა და ლაქების გაქრობას, ნაოჭების გასწორებას და სხეულის კორექცია-გახდომას. აგრეთვე სიმაღლეში ზრდას თვეში 3-4 სმ. 25 წლამდე. მცენარეული პრეპარატებით მოგიგვარებთ ყველა პრობლემას. კონსულტ. მედეა ტელ. 34-02-38; 899-51-18-20

კლინიკა „ბერმანი" გიწვევთ უცხოეთის ქვეყნებში აპრობირებული აპარატურით აღჭურვილ ფიზიოთერაპიულ კაბინეტში. ვმკურნალობთ შემდეგ სისტემებს: სასუნთქი, გულსისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, საყრდენ-მამოძრავებელი, ქალთა და მამაკაცთა შარდსასქესო, შარდის შეუკავებლობა ბავშვებში, ალერგიები. მეთოდი გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით. ტელ. 899-93-22-82; 899-22-94-92

ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, ფსიქოემოციური სფეროს მოწესრიგება, უძილობა, ჰეპატიტები, ალკოჰოლზე დამოკიდებულება იხსნება მაქსიმალური ეფექტით. პრეპარატები მოსკოვშია დამზადებული. სერტიფიცირებულია. მათი მიღება უსაფრთხოა, გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება. ტელ. 893-36-87-62 ავთანდილი

გთავაზობთ ორგანიზმის გაწმენდას, საკვებგადამუშავების პროცესების ნორმალიზაციას, ჭარბი წონის მომატებას და ყოველივე ეს თქვენი ცხოვრების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში. ტელ. 93-38-46 ქ-ნი ნანა

წარმატებით ვმკურნალობთ ეთერზეთოვანი სამკურნალო მცენარეებით: ტუბერკულოზს ბავშვებსა და დიდებში. ვწმენდთ ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისაგან. ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს, ასევე სანაღვლე გზების ანთებებს, თირკმელ-კენჭოვან და წყლულოვან დაავადებებს, ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, რევმატიულ დაავადებებს, ვარჩენთ თმის ბუდობრივ ცვენას, რის შედეგადაც ამოდის თმა. ვარჩენთ ჰაიმორიტს, რინიტს. ტ. 52-95-32; 893-39-65-21 ნათელა. გიორგი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო

## იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## შევიძენ

ნახმარ „ნოუთბუქს" (სასურველია „ტოშიბას" ფირმა). ტელ. 893-99-19-76









## ჩვენო სოფიკო!

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო სოფო! წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი და ნაღველი. ეს უკვე მესამე დაბადების დღეა უშენოდ. უშენოდ მოვა გაზაფხული და გავა წლები. გვენატრები...

ღმერთს შევთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მარიკა, კუკური, გოჩა, სალომე, ნინო*

## ეთერ გაბელაიას გახსენება



12 მაისი მეორმოცე დღეა, რაც შენ აღარა ხარ ჩვენთან. 12 მაისი ხომ შენი დაბადების დღეც არის, რომელსაც პირველად ვხვდებით უშენოდ. ორმოცი ტკივილიანი დღე გვაშორებს იმ დღეებისა და წლებისგან, რომელიც ჩემში კეთილ მოგონებებად დარჩა. ძნელია, ჩემო ეთერ, უშენობა. შენ ხომ ის ერთადერთი ადამიანი იყავი, რომელმაც სრულიად ახალგაზრდას უდედობა არ მაგრძნობინე. ძნელია უშენობა შენი შვილისთვის, რომელმაც მზრუნველობა არ მოგაკლო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. წახვედი ჩვენგან უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, მაგრამ არა უჩინრად და უკვალოდ, რადგან დატოვე დიდი სიყვარული და სიკეთე ოჯახში, ნათესავებში, მეზობლებში, მეგობრებში და შენ მიერ აღზრდილ მოსწავლეებში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

*შენი ძმა ზურაბ გაბელაია*



## საქართველოს დამსახურებული არტისტის რეზო გორგიძის ხსოვნას!

41 წელია ჩვენი კორპუსის მცხოვრებნი ერთად ვიყავით ლხინში და ჭირში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ადამიანი დავკარგეთ. 6 მაისს კი ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა თქვენი მოულოდნელი გარდაცვალებიდან. თქვენ გვაზიარეთ მეზობლები საოპერო ხელოვნების სიყვარულს. შევიყვარეთ თქვენი რადამესი, კავარადოსი, დონ ხოზე, კანიო...

ყველასთან უანგაროდ მეგობრობდით, განსაკუთრებით გიყვარდათ ბავშვები. იყავით საუკეთესო პიროვნება, მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს თქვენი ლამაზი სული.

*მეზობლები*

## გია შალიკაშვილის ხსოვნას



ცხოვრება მაშინაა ლამაზი, როცა გიას მსგავსი ადამიანები არიან შენ გვერდით, როცა ლხინი გიათკეცდება და ჭირი გიმსუბუქდება ასეთი მეგობრების თანადგომით... მაშინ მზეც სხვანაირად ჩახჩახებს და სიცოცხლესაც სხვაგვარი ლაზათი აქვს, გიყვარს კიდეც და გულიც დიდი გაქვს – იმდენად დიდი, გგონია, მთელი დედამიწა ჩაგეტევა... გგონია მანამ, სანამ ერთ დღეს არ შეწყდება მეგობრის გულისცემა და ერთი ლამაზი სხივი არ მოაკლდება მნათობს...

გია შალიკაშვილის ტრაგიკული დასასრული არ შეიძლებოდა ლოგიკური ყოფილიყო... ის სულ 31 წლის იყო და დასაფრთიანებელი დატოვა ოთხი შვილი – ისეთივე ლამაზები და სიცოცხლის მოყვარულნი, როგორიც მათი მამა იყო...

სამწუხაროდ, სიკვდილს სხვა კანონზომიერებები აქვს...

მისმა სიკვდილმა დიდი ტკივილიანი სიცარიელე და გახუნებული მზის სინათლე დატოვა ერთი იმედით – ოდესმე ჩვენც გავუშინაურდებით სიკვდილს, რომელმაც ძალიან ადრე წაართვა სიცოცხლეს ერთ-ერთი კარგი ბიჭი... ჩვენთვის არ წაურთმევია, ჩვენ გია ისევ გვყავს...

*ოჯახი, ხარაგაულელი მეგობრები, „ნაცარიჩი“*



## ერასტო კობახიას გახსენება

უკვე მერამდენედ მოვიდა ჩემო მამიკო უშენოდ ავადმოსაგონარი 10 მაისი. მოუშუშებელია შენი დაკარგვით მიღებული იარა. დრო უძლური აღმოჩნდა გაეხუნებინა ჩვენი განუმეორებელი მამაშვილური სიყვარული. რამდენ სიკეთეს იტევდა შენი მგრძნობიარე, ადამიანების სიყვარულით გამთბარი გული. წლების უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, იმ ბედნიერ დღეებს დავიბრუნებდი, შენი მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშ რომ გავატარე. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესავოს, სამეგობროს. იყავი ერთადერთი ქალიშვილის სათუთად აღმზრდელი მამა, მზრუნველი ბაბუა, ერთგული მეუღლე, საფიცარი ძმა უსაყვარლესი დაიკოსი.

ადამიანების სიყვარულმა შთაგაგონა, რომ მე ექიმი ვყოფილიყავი. როგორ გიხაროდა, გეამაყებოდა, რომ ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე ვიდექი. შენ ჩემთვის და შენი აღზრდილი შვილიშვილებისათვის სიკეთის სიმბოლო იყავი, რომელიც ცხოვრების გზაზე ათინათივით მიგვიძღვის წინ, ცდომის უფლებას არ გვაძლევს და ჩვენც ადამიანებთან ურთიერთობისას არასოდეს გვავიწყდება, რომ კეთილშობილი ადამიანის ერასტო კობახიას შთამომავლები ვართ. შენგან ნასწავლი სიკეთითა და სიყვარულით აღვზარდე სამი შვილი, რომლებიც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან საფიცარი ბაბუის სახელს.

წახვედი და საგზლად დამიტოვე კაცური კაცის სახელი, რომელსაც დავიწყება არ უწერია, რადგან „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

გფარავდეს ნათელი უფლისა და ჩაუმქრალი კელაპტრისა, მარად რომ ენთება შენი ოჯახისა და შვილიშვილების გულებში.

*ლორა კობახია*

## მანანა ძაგანიას მონატრება



გაზაფხული სიცოცხლის დასაწყისი გვეგონა, შენთვის კი დასასრული აღმოჩნდა...

საბედისწერო გამოდგა ჩვენთვის 24 მარტი – მწარე მოგონებად გადაგვექცა ეს დღე. შენ ისეთი კეთილი და დიდსულოვანი იყავი, არ გვეგონა თუ ნაადრევად გიმუხთლებდა წუთისოფელი. განუზომელი ტკივილი დაუტოვე შენს შვილებს, მშობლებს, შენი სათაყვანებელი ძმის ოჯახს. შენ ხომ სოფო და ელენე შვილებისაგან გამორჩეული არ გყავდა, მათაც ძალიან უყვარდით.

დააკლდი შენს ნათესავებს, მეგობრებს, ყველას, ვინც გიცნობდა. გადის ცრემლიანი დღეები უშენოდ. გვენატრება შენი ტკბილი ხმის მოსმენა – შენი საყვარელი სიმღერები. დეიდა მაყვალას, რომელმაც ბოლომდე არ გიღალატა, დღემდე თვალზე ცრემლი არ შეშრობია. შენ ხომ შეუდარებელი დედა იყავი. შვილების დიდი დარდი გაგყვა თან – ნეტავ როგორ ააწყობენ ცხოვრებას, როგორ ვჭირდები ჩემს შვილებსო!

იმედი გქონდეს, რომ შენი მიშიკო და გიორგი გაამართლებენ შენს შვილობას. შენი ნათელი სული მისცემს მათ ამის ძალას.

ახლოვდება შენი დაბადების დღე, 15 მაისი, რომელსაც პირველად ვხვდებით უშენოდ. შენ ყვავილები გიყვარდა, ლამაზი ყვავილებით შევამკობთ შენს სამყოფელს. სანთლებს ავანთებთ, ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სათნო და სპეტაკი სული.

ვაი, რომ ცრემლების გარდა ვერაფერს გჩუქნით. შვილის სიკვდილით დედის დაჭრილ გულს ვერაფერი განკურნავს. ყველაზე დიდი სასჯელი ჩვენთვის უშენოდ სიცოცხლეა, რასაც შენს გამწარებულ დედას ოდნავ უმსუბუქებს ერთი მიზანი: სანამ სული უდგას, ემსახუროს შენს შვილებს, შენი დანაბარები შეასრულოს.

*შვილები, მშობლები, ძმის ოჯახი*



## დათო ტარიელის ძე მიშიძის გახსენება

მოვიდა გაზაფხული. 16 მაისი შენი დაბადების დღეა ჩემო ერთადერთო საფიცარო შვილო დათო! დღეს ორმოცი წელი შეგისრულდებოდა... თითქმის ექვსი თვეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. საბედისწერო გამოდგა შენთვის 2003 წლის 30 ნოემბერი. ვაი იმ დედის სიცოცხლეს, რომელსაც შვილმკვდარი დედა ჰქვია. რატომ გამწირე ამისთვის. სიკვდილს არ ელოდი. უეცრად წახვედი. პირველი კი მე უნდა წავსულიყავი. წახვედი და უსაზღვრო სევდა და ტკივილი დაგვიტოვე. ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ ყველას. ასე იქნება სანამ ცოცხლები ვართ. დღეს მიიღე ჩვენგან შენი სულის მოსახსენებლად დანთებული 40 სანთელი.

*შენი დედა, ახლობლები*

## ძმაო, ჯემალ!

ჩვენო მწარე, მოუშუშებელო ტკივილო. ნეტავ 1962 წლის იმ დღეს, როცა შენ შვებულებით თვენახევრით იყავი ჩამოსული ჯარიდან. დაბრუნდი უკან ჯარში და ჩამოხვედი ცინკის სამოსახლოთი.

1962 წლის 9 მაისი შენთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. ვარჯიშის დროს გიმტყუნა დამაგრებულმა ქამარმა. შენს დარდს გადაჰყვა შენი გაუბედურებული დედა.



შენი მოსახელე ძმისშვილიც ტრაგიკულად დაიღუპა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 16 წლისა თბილისის ზღვამ იმსხვერპლა 1990 წლის 31 მაისს. მასაც ჩვენი კარგი მეოჯახე მამა შეეწირა. გულდაწყვეტილი დატოვა დედ-მამა, ძმა, რომელთაც დიდი ტკივილი არგუნა ბედმა.

ძნელია ორი ახალგაზრდა ჯემალის, ორივე მაისში, ორივე ცინკის სამოსახლოთი გასტუმრება იმქვეყნად, საიდანაც არავინ ბრუნდება.

ჩვენო ძმაო ჯემალ! შენს პატივცემულ სიძეს კარლო საათაშვილს, რომელმაც ბელორუსიიდან ჩამოგასვენა და ქართულ მიწას მიგაბარა, შენი მოსახელე ძმისშვილის ცხედარიც ხომ მან დაინახა 12 დღის ძებნის შემდეგ თბილისის ზღვაში, 2 თვეა რაც გულმა უმტყუნა და ჩუმად, წყნარად, უპრეტენზიოდ დატოვა თავისი ტკბილი ოჯახი.

ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სულები. ჩვენგან კი თქვენი არ დავიწყება და მოგონება ყოფილიყოს.

*დები: ლაურა და გულიკო დუნდუები*

## ვალიკო სპირიდონის ძე ქობალიას გახსენება



ერთი წელი გავიდა გარდაცვალებიდან. როგორ გინდოდა სიცოცხლე და გიჭირდა ჩვენთან განშორება, მაგრამ მიისწრაფოდი და სთხოვდი ჩვენს უდროოდ გარდაცვლილ დედას – ელენეს წამიყვანეო. ფრუნზეს აკადემიის კურსდამთავრებულმა 25 წელი უმწიკვლოდ ემსახურე სამხედრო საქმეს. დემობილიზაციის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შენი შეგნებული და პატიოსანი ცხოვრება შეალიე მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. ისინი დღესაც გიხსენებენ და პატივს სცემენ შენს ნათელ ხსოვნას.

82 წლის ასაკში დაგვტოვე. ბოლომდე შემოგრჩა ჭკვიანი და სალი გონება. დადგა შენთვის სანატრელი 9 მაისი, რომელსაც სიხარულით ხვდებოდი.

გილოცავთ და ღმერთს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს ჩვენი დედ-მამის უმწიკვლო სულები.

*სვეტლანა, ცისანა, ვალერი ოჯახებით*

## ლეო დვალის გახსენება



იგი ჩემს მეხსიერებაში დარჩა ულამაზეს, დახვეწილ, გაწონასწორებულ შავქოჩრიან ჭაბუკად. არ დამავიწყდება 1945 წლის 9 მაისი. ომის დამთავრების დღესასწაული დაემთხვა ლეოს დაბადების დღეს. ვერის და ვაკის მრავალრიცხოვანი ახალგაზრდები მთელი დღის განმავლობაში ვზეიმობდით დვალების სტუმართმასპინძლიან ოჯახში. შემდგომშიც მრავალი წლის განმავლობაში 9 მაისს დვალების სახლში აღვნიშნავდით ორივე თარიღს.

ლეო დვალი გასაოცარი პიროვნება იყო – ყველასგან სიყვარულს იმსახურებდა, როგორც ყველა ქართველზე ქართველი, ნაღდი მეგობარი და შემდგომში ცნობილი ქირურგი – პროფესიონალი.

*ქართლოს კასრაძე*



## გია კახოშვილის მონატრება

ერთი წელი შესრულდა 6 მაისს (გიორგობას) ჩვენო შვილო, რაც შენ ჩვენგან წახვედი. როგორი მოულოდნელი, მწარე და შემზარავი იყო შენი სიკვდილი ჩვენო ლამაზო და ერთადერთო სანთელო. რაც დრო გადის, უფრო ძალიან გვენატრები. შენს საცოდავ დედ-მამას, შენს დებს, დისშვილებს რა სასტიკი განაჩენი გვერგო, არ ვიცით რატომ. 23 წლისამ დაგვტოვე და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი.

ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი უბედური მშობლები, შენი დები ნანა და ეკა კახოშვილები*

## ომარ კიკაბიძის მონატრება



ჩემო ერთადერთო, საფიცარო და უკვე სანატრელო ძმაო ომარ! წელიწადი ხდება, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. ძნელია იმასთან შეგუება, რომ ვერასოდეს ვერ განხავთ, ვერ გავიგებთ შენს ომახიან საუბარს ჩემო უაღრესად განათლებულო, კეთილო ადამიანო. ძალიან უჭირს შენს ოჯახს უშენობა, შენს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს დას და მის ოჯახს. უშენობით გამოწვეული ტკივილი მძიმეა შენი ახლობლებისთვის, ნათესავებისთვის. გულისტკივილით გიხსენებენ ისინი. ჩემო ომარ, ძალიან გულჩვილი იყავი, ყველაფერი მიგქონდა გულთან, სხვის გასაჭირს შენად ითავსებდი. წუხდი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე. ქვეყანა ნელ-ნელა წესრიგში დგება. ვაი რომ შენ ვერ მოესწარი ამ ყინულის დაძვრას, როგორ გაიხარებდი.

კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და სახელიც კაცური დატოვე. გვჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრე ბინა.

*შენი ოჯახი, შენი და – ლეილა ოჯახით*



## გია ლაბარტყავას ხსოვნას

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფელში, ეს სიკვდილია – მოულოდნელი, თავზარდამცემი ტრაგედია. ისევ მოვიდა 6 მაისი – შენი დაბადების დღე უშენოდ. 10 მაისს უფალმა თავისთან გიხმო, მაგრამ სამუდამოდ ჩვენს გულში დარჩი.

გილოცავთ გია დაბადების დღეს! ძნელია საფლავზე დაბადების დღის მილოცვა. ამ დღის აღნიშვნა კიდევ ერთი დიდი ტკივილია ჩვენთვის, მაგრამ სანთლების, ყვავილებისა და ცრემლების გარდა, ვერაფერს გიძღვნით.

ჩვენ ყოველთვის მოგიგონებთ ისეთს, როგორიც იყავი – ცოტათი უცნაური, მაგრამ კეთილი, უღალატო, ნაღდი ძმაკაცი, კარგი ექიმი, ყველას დამხმარე ჭირსა თუ ლხინში.

დაე ჩვენმა მონატრებამ, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა სასუფეველში.

*ნოდარი და ხათუნა*

## თემურ ხუნწკაიას მონატრება



12 მაისი შენი დაბადების დღეა. გვაკლიხარ და გვენატრები. წახვედი ამ ქვეყნიდან და წაიღე სიკეთით, სიყვარულით სავსე გული. წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი, მონატრება და აუტანელი სიცარიელე.

მოვალთ შენს საფლავთან. ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*



## ჯიმშიტაშვილი ვაჟას გახსენება

როგორ უღმერთოდ მომენატრა
შენთან საუბარი მამა:
„შორს ტყიდან ისმის საამო
ხმაური
ეს სიმფონიაა იქ დამალული.
უცნობი პოეტის უცნობი
სტროფები
ეს სიყვარულია ყველასგან ფარული.
ფოთლების შრიალში ვუცქერი მზეს,
ხეების ჩრდილებს ვაფარებ ხელს,
დანისლულ ჰორიზონტს შევავლებ თვალს
და მათზე შეგნიშნავ ნათელში მდგარს.
დავმალავ ცრემლებს თვალებზე მომდგარს
და ჩემს ხსოვნაში დაგტოვებ ცოცხალს.

*ოჯახი*

## თამუნა ალთუნაშვილის მონატრება



ჩემო ანგელოზო, მოვიდა ტკივილიანი ვარდობისთვე. 14 მაისი თამარობა და შენი დაბადების დღეა. მეორედ ვხვდებით უშენოდ. 4 წლის გახდებოდი უსაზღვროდ მენატრები, შენი ტიტინა ხმა ჩამესმის ყურებში და მოფერება მინდა. ღმერთმა დიდი საჩუქარი გვიბოძა შენი ძმის – პატარა როსტომის სახით, მაგრამ შენს სიცარიელეს ვერავინ შემივსებს.

სამ წელში სამი საყვარელი ადამიანი დავკარგეთ. ლიანა ბაბო, როსტომ ძია და შენ. სამივე მაისში დაბადებულები და მოუშუშებელი ჭრილობები ხართ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი უკვდავი სულები.

*მშობლები*



## ირაკლი ჩიქობავას გახსენება

ჩვენო ირაკლი! სამი წელი უშენოდ... უზომო ტკივილი, ტანჯვა, სიცარიელე ირგვლივ, მოდის მესამე შავბნელი 14 მაისი ჩვენს ოჯახში. როგორ გვიჭირს უშენობა, როგორ გვენატრები, მაგრამ მოგონებებისა და მწუხარების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. ჩვენო სიხარულო, გულით თბილო, კეთილო, სიცოცხლით სავსევ, მშრომელო, 35 წლისამ ყველაფერი მოასწარი. იშრომე დაუღალავად, მთლიანად დაიხარჯე, ამოწურე შენი შესაძლებლობები და უეცრად დატოვე ეს წუთისოფელი. ნუგეშად დაგვიტოვე ერთი ლამაზი სიცოცხლე, რომელსაც არაფერი აკლია იმ ამოუვსები სიცარიელის გარდა, რასაც უმამობა ჰქვია. აკლიხარ შენს ძმისშვილებსაც, რომელთაც ძალიან, ძალიან უყვარდათ ირაკლი ბიძია, ისინი არასოდეს დაგივიწყებენ და ყოველთვის მოგიგონებენ ისეთ ახალგაზრდას, როგორიც დარჩი მათ მეხსიერებაში. ირაკლი, ჩვენო სიცოცხლევ, 9 ივნისს 38 წელი შეგისრულდებოდა. კიდევ რამდენს გააკეთებდი, რამდენ სითბოს გასცემდი, რამდენს იშრომებდი, ახლა ისევ უშენოდ... მოვალთ შენს საფლავთან, შეგამკობთ ყვავილებით, დაგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენთვის. ყოველ წელს მოვა 9 ივნისი, შენ კი წლები არ მოგემატება და დარჩები მარად ახალგაზრდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*ოჯახი*

## ბორის სილიკაშვილის მონატრება



მოვიდა ჩვენი ოჯახისთვის ავადსახსენებელი 11 მაისი. 4 წელი შეგისრულდა ჩვენო საყვარელო ადამიანო – მარტო დამტოვე მაშინ, როცა შენი ჩემ გვერდით დგომა იყო საჭირო. ძნელი ყოფილა ძვირფასი მეუღლის გარეშე ცხოვრება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*ოჯახი*



## ლანდა შვილო,

უკვე მეოთხედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, 9 მაისს. რამდენი რამ შეიცვალა შენი ამქვეყნიდან მარადიულობაში წასვლის შემდეგ. მხოლოდ არ შეცვლილა ტკივილით დამძიმებული გული და იმედი იმისა, რომ სული უკვდავია და კვლავ შევხვდებით ცათა სასუფეველში. იზრდებიან და ვაჟკაცდებიან შენი ბიჭები – გიგი და ბექა, რომლებსაც ძალიან აკლიათ და ენატრებათ დედის სითბო და ალერსი. ყოველდღე გახსენებენ შენი ძმა დავითი, რძალი ინგა, ძმისშვილები – ლუკა, ლიკა, პატარა მარიამი, რომელსაც აუცილებლად ვასწავლით უცნობი მამიდის სიყვარულს. უყვარხარ და ენატრები ყველას – მეუღლეს, დედებს, დედიშვილებს, ბიძაშვილებს, მეგობრებს. ყველას ისევე უყვარხარ, როგორც ოთხი წლის წინათ. ჩვენ ყველანი ტკივილიანი გულით და ცრემლიანი თვალებით მოვალთ შენს საფლავთან. უამრავი ყვავილით და ანთებული სანთლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს, რომელიც ძალიან, ძალიან გიყვარდა. ილოცე შვილო, შენი ქმარ-შვილის ჯანმრთელობისა და სიკეთისათვის. ჩვენ კი აქედან არ მოგაკლებთ სიყვარულსა და ზრუნვას იმისთვის, რომ შენი სული მშვიდად იყოს.

*მშობლები*

## დავით გეწაძის მონატრება



დათო, 10 მაისს 33 წელი შეგისრულდებოდა. არ გაცალეს სიცოცხლე. 10 მაისს დიდი გულისტკივილით ვხვდებით, უშენოდ ძალიან გვიჭირს. შენი სითბო და სიყვარული მოგვაკლდა, მაგრამ მეტი რა დაგვრჩენია, მოვალთ შენს საფლავზე და სანთლებს ავანთებთ და ვილოცებთ შენს სულზე. ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*შენი ძმა, რძალი და ძმისშვილები.*



## ძვირფასო ანდრო სამხარაძე

6 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ დატოვე შენი მეუღლე გულიკო კაკაურიძე და შენი ერთადერთი საყვარელი შვილი ლია სამხარაძე. ორივენი დამწუხრებული და თვალცრემლიანები დავტირით შენს სურათებს. 2004 წლის 15 მაისს მოგილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენთვის, როგორც ცოცხალს. გილოცავენ აგრეთვე ყველა ახლობლები.

*გულიკო კაკაურიძე, ლია სამხარაძე*

## ნეკროლოგი

მეუღლე არჩილ გოგაია, შვილები თამაზი, შალვა, ლია გოგაიები, დედმამიშვილები: კოლია, მიხეილი, ნანი, გულო ლეჟავები, რძლები: დალი მელქაძე, ნანა კუბულაშვილი, შვილიშვილები: აჩიკო, თეონა, ნინო, ალეკო გოგაიები, დავით, სარდიონ ბარკალაიები. იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნინო შალვას ასული ლეჟავა-გოგაია. პანაშვიდი 9, 10 მაისს, გამოსვენება 11 მაისს, 15სთ-ზე. მის. თბილისი, დიდი ხევის №16

# სამი ქვის ლეგენდა

მდუმარენი არიან ქვები. არც თავის დაბადების ამბავს მოგითხრობენ, არც ხილულსა და გაგონილს, დგანან გაყურსულნი: არც იცინიან, არც ბერდებიან... სამაგიეროდ, ადამიანი თხზავდა ათასგვარ ლეგენდას მათზე, ლოცულობდა, ჭირ-ვარამის თანაზიარად თვლიდა. ყველა ქვას თავისი ისტორია აქვს, მაგრამ ქვაც არის და ქვაც: ზოგი ფეხწამოსაკრავია, ზოგი საჯილდაო, ზოგი საფლავის, ზოგი რიყის და რა ვიცი, რისი აღარ... და მაინც... ყველაზე მეტად მტკივა ქვა, რომელიც სახლის კედელს გამოსძვრა. გაოცებით კი სამი ქვა მაოცებს — „ნინოს ქვა“, „მოლევის ქვა“, და „კაცხის ქვასვეტი“. არც ერთი მათგანი კლდესთან ისე ახლოს არ არის, რომ მის ნატეხად ჩათვალო. არც მიწიდან ამოზიდულს ჰგავს რომელიმე. ჭიათურაში, ერგემლიძეებთან სტუმრობისას, მხცოვანი ერმილე ბაბუა მიყვებოდა უცნაურ ლეგენდას კაცხის სვეტზე: იმ არემარეში ახალი ედემის გაშენება უნებებია უფალს. მოუხმია ანგელოზნი, ზოგისთვის ყვავილნარის გაშენება უბრძანებია, ზოგისთვის — ხეხილის, ზოგისთვისაც ცხოველთა გამრავლება დაუვალებია. მორთეს და მოკაზმეს იქაურობა ანგელოზებმა. ერთ ადგილას ლეღვის ხე ამოიზარდა, ქვეშ უხსენებელმა დაიბუდა თურმე. გადმოხედა უფალმა ახალ ედემს. უზარმაზარი, ჭრელი უხსენებელიც დაინახა. განრისხდა. გადმოასხა წყეულს მდუღარე ტალახი, ამობუგა ქვეწარმავლის ბუდე. ჰაერშივე გაცივდა მოთუხთუხე ლავა, გაიყინა, აღიმართა სვეტად, ნიშნად იმისა, რომ დედამიწაზე მოშთობილიყო ცდუნება და ვერაგობა. მას შემდეგ „...რამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არის ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა ავალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი. ხალხმა სალოცავ ხატად აქცია სვეტი იგი. ორი დღეობა იმართებოდა მის ძირში — აღდგომის პირველ პარასკევს „სვეტობა“ და „კოხინჯრობა“ — 7 მაისს. ადამიანმა მაინც შეძლო შეუძლებელი: კაცხის სვეტზე პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მწერალ ლევან გოთუას თაოსნობით მოეწყო 1945 წელს. მას მერე აქ არაერთხელ გამართულა შეჯიბრება მეკლდეურობაში, ახალგაზრდათა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა კლდეზე ცოცვაში ჯაფარიძეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები და ა.შ. ამ „ფრიადი სიმაღლის“ დაპყრობა ახალ მწვერვალებთან შესარკინებლად განაწყობდა ქართველ ალპინისტებს, მოხალისე ჭაბუკებსა და მამაც მთამსვლელებს.

„ნინოს ქვა“ და „მოლევის ქვა“ გადმოცემით ქალ-ვაჟი ყოფილან. სიცოცხლის სიყვარულით გატაცებული წყვილი უფალს ხელისგულივით გაშლილ მიწაზე ციმციმ დაუშვია ზეციდან. დაულოცია კიდეც: დატკბით, იხარეთ მზისქვეშეთშიო. მათ კი ერთმანეთს უღალატეს და ქვებად იქცნენ დაწყევლილნი. დგას ახლა სამსართულიანი სახლისოდენა ორი ლოდი ერთმანეთისგან ერთი კილომეტრის სიშორეზე დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში და ერთმანეთისთვის ვერც ხმა მიუწვდენიათ, ვერც თვალი...

ქალ ლოდს — ნინოს ქვას ეძახიან. მცხეთიდან ერწო-თიანეთში მიმავალმა წმინდა ნინომ ამ ლოდის ძირში შეკრიბა თურმე ფხოვიდან ჩამოსული მთიელები და ქრისტეს სჯულზე მოაქცია.

მოლევის ქვა — ვაჟია, ბრგე და ამაყი. მის



კაცხის ქვასვეტი

ორივე მხარეს კოშკები აუგიათ წინაპრებს, კოშკის ერთ მხარეს ერეკლე II-ს სამარქაფო ცხენების თავლა მიუშენებია. მეჯინიბედ ერთგული ყმა ისაკა მანგოშვილი ჰყოლია მეფეს, რომლის მემკვიდრეები დღესაც ცხოვრობენ ჩინთში. მოლევის კოშკის ეს მხარე კომუნისტებმა მოარღვიეს და ნაგებობა საწყობად გადააკეთეს. მეორე კოშკი ჟამთასვლამ დაბზარა და ჩამოანგრია. მაგრამ „ნაშთი ძველი დიდებისა“ დღესაც სამკაულად ადგას არაგვის ნაპირზე აყვავებულ სოფელს.

P.S. არავინ იცის, ბუნების ეს საოცრებანი მართლა ციდან ჩამოცვივდა თუ დედამიწიდან ამოიზიდა. ერთი კი ცხადია: ნამდვილად არის მითოლოგიაში რაღაც რეალური, ხელშესახები, რაც საუკუნეების მანძილზე გაჰყვება ხოლმე ადამიანთა რწმენას...

**ეთერ თარიმანი**

ჩვენ გვწერენ

# ღვთის სასჯელი

ორი თვეა, ჩემი 24 წლის ვაჟი მძიმედ არის ავად. ისეთი თავის ტკივილი დასჩემდა, ფეხზე ველარ დგება. რა წამალი არ ვცადე, არაფერმა უშველა. ვაპირებდი, სახლი გამეყიდა და უცხოეთში წამეყვანა სამკურნალოდ, მაგრამ მივხვდი, რომ საქმე უბრალო ავადმყოფობაში არ იყო...



ჩვენს ოჯახში უცნაური ამბები დატრიალდა. რაღაც ძალა ემტერებოდა წამლებს, თუკი სადმე აბებს, კაფსულებს ან წვეთებს ნახავდა, აუცილებლად ძირს ყრიდა, სრესდა. პირველად რომ წავაწყდი ამას, ვიფიქრე, ტკივილით გამწარებულმა ვაჟამ გააკეთა-მეთქი. საძინებელში შევიხედე. ჩემი შვილი მოკუნტული იწვა და თვალებზე ხელები ჰქონდა აფარებული. აფთიაქში წავედი წამლების ხელახლა საყიდლად...

მეორე საღამოს ექთანი მოვიდა, ტკივილგამაყუჩებელი ინიექცია უნდა გაეკეთებინა. ერთი ამპულა ხელში ჩაატყდა, მეორე გატეხა და შპრიცი გაიჭედა, წამლის გამოშვება ვერ მოახერხა. ასეთი რამ ცხოვრებაში არ დამმართვნიაო, — შეწუხდა გოგო... იქით დავამშვიდე, კიდევ ვცადოთ-მეთქი. ძლივს მოახერხა ნემსის გაკეთება.

მეორე დღეს მსხვრევის ხმა შემომესმა. სააბაზანოდან გამოვვარდი. პატარა საააფთიაქო კარადიდან პანტაპუნტით ცვიოდა წამლის შუშები. გაოცებისაგან პირი დავაღე. ჩემი უბედური შვილიც ამდგარიყო და ძლივძლივობით მიაჩოჩებდა ფეხებს...

ეს რა ხდება ჩვენს თავსო? — ჩაილაპარაკა და ჩაიმუხლა... ის დღე დუმილში შემოგვეხარჯა. საღამოს ვაჟამ დამიძახა: — რაღაც უნდა გითხრა, წინასწარ პატიებას გთხოვ და ეცადე, ისე მომისმინო, არ შეიცხადოო.

— შენ არ იდარდო მე ყველაფერს ავიტანმეთქი, — მივუგე.

— ცუდი საქმე ჩავიდინე, დედა... ასე, სამი თვის წინ მე და ჩემი მეგობარი ნასვამები ვიყავით, ღამით მოვდიოდით ქუჩაში... წინასწარ განზრახული არაფერი გვქონდა, უბრალოდ უცებ მოგვივიდა თავში, იქნებ რომელიმე ფულიან ბიძას წავაწყდეთ და დაწყებული ლხინი ბოლომდე მივიყვანოთ, ღამითაც ვიგრიალოთო... ალალბედზე ერთი კაცი გამოჩნდა ქუჩის კუთხიდან, აჩქარებული მოდიოდა. ხელში პატარა შეკვრაც ეჭირა... ერთმანეთს თვალით ვანიშნეთ... ჩემმა მეგობარმა დაუძახა და რომ მობრუნდა, მე ზურგიდან ჯოხი ჩავცხე თავში... კაცი ჩაიკეცა. ვეცით. მე ქურთუკის ჯიბეები ამოვუბრუნე, იმან — შარვლის ჯიბეები გაუსინჯა. ჩვენი მსხვერპლი, ასე 50 წლის მამაკაცი, იწვა და გაფართოებული თვალებით გვიყურებდა. ორივე ხელით ჩაბღუჯული ჰქონდა შეკვრა... ჩვენ იმისი წართმევაც მოვუნდომეთ. აფართხალდა, ფეხების ქნევა დაიწყო... ეგეთი რა გაქვს, ბიძა, — უყვირა გუგამ და დაეჭიდა... მეც მივეხმარე. ყველაფერი ორ წუთში მოხდა, წავართვით და გავიქეცით.

ორი ქუჩა ავირბინეთ და მოფარებულში ნადავლს გადავხედეთ. ბევრი არაფერი იყო: საფულეში 47 ლარი, ბავშვების ფოტოები. რაღაც ქაღალდები: ანალიზის პასუხები... იმ შეკვრაში კი წამლები... გაბრაზებულებმა წამლები იქვე დავყარეთ. ჩემმა ძმაკაცმა ფეხიც კი დაჰკრა ორჯერ: ვითომ რა ტყუილი წვალება შემრჩაო. მას შემდეგ თავის ტკივილი დამჩემდა. ვინ იცის, იმ კაცის ცოდვამ მიწია. იქნებ ნასესხები ფულით ნაყიდი წამლები წავართვით...

მღელვარებისაგან ენა ჩამივარდა. ჩემი შვილი და ყაჩაღი?! თურმე რა უბედური ვყოფილვარ. თავს ძალა დავატანე და წვრილად გამოვკითხე, საბუთებიც ხომ არ მოგხვდათ ხელში-მეთქი. ძლივს გაიხსენა გვარი, რომელიც პირადობის მოწმობაზე წაუკითხავს. წავედი იმ ქუჩაზე, სადაც შვილმა მიმითითა და კითხვა-კითხვით, გვარის მიხედვით მივაკვლიე ერთ ოჯახს. გაჭირვებული ოჯახი ყოფილა... ცოტა ხნის წინ მძიმე ავადმყოფი შვილი გარდაცვლიათ. ორი ობოლი ბავშვი დარჩა მამის ამარაო.

მკვდარი წამოვედი იქიდან. ახლა ვაპირებ ყველაფერი გავყიდო და იმ ოჯახს მოვახმარო, თან ისე, რომ მათ ვერასოდეს გაიგონ. მჯერა, მხოლოდ მაშინ განიკურნება ჩემი შვილი.

**ლამარა კ. თბილისი**

# „ქმარმა პირობა შემისრულა!..“

მე და ჩემი მეუღლე გვიან დავქორწინდით. მე ორმოცის ვიყავი, ვახტანგი 47-ის. მძიმე ოპერაციის შემდეგ შვილოსნობის უნარი დავკარგე და ამის გამო საერთოდ არ ვაპირებდი გათხოვებას. უბავშვო ოჯახი კი ვერც წარმომედგინა და არც მინდოდა, მაგრამ ვახტანგი არ მომეშვა — „მიყვარხარ, სხვა ქალი არ მინდა, ბავშვს ავიყვანთ და ბოლოს და ბოლოს გავზრდითო.

დავქორწინდით, მაგრამ ბავშვი აღარ აგვიყვანია, შეგვეშინდა, ახალგაზრდები აღარ ვიყავით, ვახტანგს გული აწუხებდა და არ გვინდოდა პატარა უპატრონოდ დაგვეგდო...

22 წელიწადი ვიყავით ერთად. მშვიდად ვცხოვრობდით. ერთმანეთს ვუვლიდით და ვპატრონობდით. ორი წლის წინ გარდაიცვალა ვახტანგი, გულმა უღალატა. რომ ვტიროდი — „ეშენოდ რა მეშველება მეთქი!“ სიკვდილის წინ მითხრა: ჩემი სული არ მიგატოვებს. მალე იგრძნობ ისევ გვერდით გყავარო.

40-მდე არაფერი შემინიშნავს, მას მერე კი მართლაც ვგრძნობ, რომ მარტო არა ვარ. სახლში მუდამ ვიღაცაა. უცნაური რამ ხდება ჩემს თავს. უკვე მეორე წელია ხან ნივთები გადაადგილდება, ხან იატაკზე ვარდება. ორჯერ ნათურაც კი აინთო ღამით, ჩამრთველის ტკაცანის ხმაც გავიგონე. — მოგვითხრობდა მე და ჩემს მეგობარს 64 წელს გადაცილებული ქალი. გაოცება რომ შეგვატყო, გვითხრა — „არ გეგონოთ რაიმე მეჩვენება, ან ჭკუაზე ვარ გადასული. აი, თუნდაც ეს კატა, ერთი ციცქნა კნუტი იყო, როცა ვახტანგმა მოიყვანა. კალთაში გამოზარდა, ხატაურას ვეძახით. მას უყვარს ვახტანგის საწოლზე მოსვენება და ხშირად უცნაურ მოძრაობებს აკეთებს, თითქოს ვიღაცა ზურგზე უსვამს ხელს, თან სიამოვნებით კრუტუნებს. ხან ვახტანგის გადიდებულის ურათის წინ დასკუპდება და შეიძლება მთელი საათი არ გაინძრეს ისე უცქერის...

ვახტანგს თებერვალში დაბადების დღე აქვს. საკურთხი გავუკეთე და სანთელი რომ ავანთე, იმ ოთახის კარი თავისით გაიღო, სადაც სუფრა მქონდა გაშლილი. არადა, კარებები დაკეტილი იყო, ნიავიც არ იძროდა. ცოტა ხანში კი ვახტანგისთვის დადებული ჩანგალი ხმაურით გადმოვარდა იატაკზე...

ყველაფერი ეს ჩემს დას და დისშვილებს მოვუყევი, დარჩნენ კიდევაც, მაგრამ სანამ ჩემთან იყვნენ, უჩვეულო არაფერი მომხდარა. როგორც კი წავიდნენ, იმავე საღამოს პიანინოს კლავიშებმა თავისით გამოსცეს ხმა...

ძალიან მინდოდა თქვენთვის მომეყოლა ყველაფერი ეს. იმდენ უჩვეულოა მბავზე წერს, ალბათ, გჯერათ კიდევაც რომ ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება, რასაც ყველა ვერ აცნობიერებს“.

ნამდვილად არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ამ უცნაური ქალბატონისთვის, მაგრამ ის იყო რომ სათქმელს თავი მოუყარა, იმ ოთახის კარი გაიღო, სადაც ვისხედით. მარტო ჩვენ კი არა, მასპინძელსაც ეგონა, რომ მისი საყვარელი ფისო ხატაურა შემოვიდა და დაუძახა კიდეც, მაგრამ ახალგაღვიძებული კატა იქვე ტახტიდან წამოიზლაზნა და კნავილით გამოგვეპასუხა...

— აი, თქვენი არ მოერიდა და გაგრძნობინათ, რომ აქაა... ეს ვახტანგიაო!“ — დაჟინებით გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა. შიშით შემამცივნა.

— მე კი შევეჩვიე, უკვე და აღარც მეშინია. პირიქით რაღაცის იმედიც აქვს. მარტოობასაც მიმსუბუქებსო“ — დასძინა რწმენით ჩემმა რესპონდენტმა. აღარ შევედავე...

# „ჩემს ბედში მფარველი ანგელოზი ჩაერია!..“

ახალგაზრდა ქალბატონი რედაქციაში შვილთან ერთად გვესტუმრა. ორიოდე წლის ლოყებდაკრაწულ ბიჭუნას დედა რომ ტყუილზე არ დაიფიცებდა, უეჭველია...

— 25 წლისა ისე მოვიყარე, შეყვარებული არავინ მყვარებია. გატაცებები როგორ არ მქონია, მაგრამ ისეთი სერიოზული არაფერი ხდებოდა, რომ ოჯახის შექმნა მეფიქრა. ინსტიტუტიც დავამთავრე, ასპირანტურასაც ვამთავრებდი, რომ გაიგიჟეს თავი ცალკე ჩემმა მშობლებმა და ცალკე მამიდა-დეიდებმა: „დარჩები გაუთხოვარი ამ წიგნების გადამკიდე და რა თავში იხლიო მერე მაგ შენს სწავლა-განათლებას?!..

დატრიალდნენ, საქმეში ნაცნობ-მეგობრები ჩარიეს და ხელად გამომიძებნეს „შესაფერისი კანდიდატი“ საქმროდ.

ლაშა ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი, თავისი ბიზნესი ჰქონდა და მისივე სიტყვებით თუ ვიტყვი, უცოლოდ იმიტომ დარჩენილა, რომ „პატიოსანი ქალი ჩვენს დროში ძნელი სანახავია!..“

მოკლედ, გაგვაცნეს ერთმანეთი და დავიწყეთ შეხვედრები. ერთი შეხედვით კაცს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, არც ქცევის წესები დაეწუნებოდა, არც ლაპარაკის მანერა, საჩუქრებიც ყოველთვის გემოვნებით შერჩეული მოჰქონდა ჩემთვის და... მაინც არ მომწონდა მასში რაღაცა — განსაკუთრებით თვალები: მზერა აცაბაცა გაურბოდა და საუბრისას არასოდეს გაგისწორებდა თვალს, დამნაშავე ყოფილიყო თითქოს შენს წინაშე...

სახლში რომ ვთქვი ამის შესახებ, გაგონებაც არ ისურვეს — „შენ იმ ასაკში ხარ, განსაკუთრებით წუნიები რომ ხდებიან ქალები“ და თითქმის ჩემი თანხმობის გარეშე დანიშნეს ქორწილი.

ნიშნობის მეორე დღეს ეკლესიაში წავედი, ყველა ხატის წინ ავანთე სანთელი და რატომღაც ერთი რამ ვთხოვე: „განსაცდელს ამარიდეთ, გული ცუდს მიგრძნობს, და თუ ღირსი ვარ, ავისგან დამიფარეთ-მეთქი!..“

— იმ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე — ჩემი საქმრო რატომღაც დანით გამომიდგა და თავისთვის რომ მეშველა ჭის მსგავს ღრმულში ჩავხტი. ის იყო წყალში უნდა ჩავვარდნილიყავი, რომელიც რატომღაც სისხლივით წითელი იყო, რომ თეთრებში ჩაცმული არსება გაჩნდა და ხელებში დამიჭირა. მერე ჭის აღმოსავლეთ კედელზე რაღაც შვერილებზე მიმითითა და მითხრა: „რადგან უცოდველი ხარ და რწმენაც შეინარჩუნე, უფალმა შეისმინაო შენი თხოვნა!..“ მე იმ შვერილს მოვეჭიდე და რომ დავაკვირდი ციფრი „2“-ს ფორმა ჰქონდა, ზემოთაც „ორიანი“ ეკიდა, იმის ზევით — „შვიდიანი“, სულ ექვსი რიცხვი იყო — ისინიც გათავდა და ჭიდანაც ამოვედი.

...გამოღვიძებულს საოცარი სიცხადით მახსოვდა ექვსივე ციფრი და მაშინვე ჩავიწერე რომ არ დამვიწყებოდა!..

ლაშას რომ შევხვდი, ის კოშმარი სიზმარი გამახსენდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თავს გავიუბედურებდი, თუ ამ კაცს არ ჩამოვშორდებოდი. ქორწილამდე ერთი თვე რჩებოდა, მაისის ჩათავებას ველოდებოდით...

სიზმარში ნანახი ციფრები მოსვენებას არ მაძლევდა და რადგან რიცხვი ექვსნიშნა იყო, რატომღაც ტელეფონის ნომრად მივიჩნიე და ერთ საღამოს ავკრიბე. მამაკაცმა მიპასუხა და ბავშვობაშიც რომ არ გამიკეთებია მსგავსი რამ, ლაპარაკი გავუბი...

ერთი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ვურეკავდი დათოს (ასე გამეცნო) და როცა შეხვედრა მთხოვა, არ მითქვამს მისთვის უარი...

თუმცა განათლებით არ გამოირჩეოდა და არც საკუთარი ბიზნესის მფლობელი იყო (იგი ერთ-ერთი პროფილაქტიკის თანამშრომელია, უბრალო მუშა-კაცი), მაინც ბევრად დადებითად განვეწყვე მის მიმართ, ვიდრე ლაშას მიმართ ვიყავი განწყობილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ბავშვობაში ერთ სოფელში ვისვენებდით ზაფხულობით გორის რაიონში, სადაც მე დეიდა მყავდა გათხოვილი და დათოს დედულეთი ყოფილა. გავიხსენეთ ერთმანეთი და დათომ ისიც კი მითხრა: „გეპრანჭებოდი, მაგრამ შენ არ მაქცევდი ყურადღებას!“ — ბევრი ვიცინეთ და ვიხალისეთ ბავშვობის მოგონებებით. მერე კი, არ დამიმალავს და ვუთხარი დანიშნული რომ ვიყავი, ისიც რომ საქმრო არ მიყვარდა...

...ქორწილამდე სამი დღის ადრე შევხვდი დათოს და დავპატიჟე კიდევაც, რაზეც მოულოდნელად მითხრა „ახლავე უბედური ხარ ამ ქორწილის გამო და იტანჯები, მე კი მართლა მიყვარხარ... იფიქრე ამაზე და თუ გაბედავ, ხვალ მანქანით მოგაკითხავ და გავიპაროთო!..“

...დამაბნია დათომ. მთელი ღამე არ მიძინია. თუ წამთვლემდა, ისევ თეთრსამოსიანი არსება მელანდებოდა და დათოსკენ მითითებდა, აშკარად მანიშნებდა, რომ არჩევანი იმის სასარგებლოდ უნდა გამეკეთებინა...

...მოკლედ, გვიპასუხეთ!...

დიდი სკანდალი იყო. მშობლებმა მკვდრად გამომაცხადეს და მხოლოდ მას შემდეგ შემირიგდნენ, რაც ლაშას თავს ტრაგედია დატრიალდა. მან მალე შეირთო ცოლი „ჩემს ჯიბრზე“, ძალიან კარგი და ჩემზე ახალგაზრდა გოგონა, რომელიც... მოკლა!... ჰო, დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ექვსი თვის ფეხმძიმეს და მოკლა, რას ერჩოდა დღემდე არავინ იცის, რადგან ლაშა ამის შემდეგ ჭკუიდან გადავიდა და დღემდე ერთ-ერთ ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობენ, ისიც გამჟღავნდა, რომ შიზოფრენია მას ბავშვობიდან სტანჯავდა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნიჭიერი იყო და მშობლების თანადგომით და მუდმივი მკურნალობით ბევრსაც მიაღწია და მისი სიგიჟის შესახებაც ძალიან ახლობლების გარდა არავინ იცოდა!..

მე და დათო ბედნიერები ვართ, უკვე ორი შვილი გვყავს და ეჭვიც არ მეპარება ჩემს ბედში მფრაველი ანგელოზი ჩაერია, უფლის ნებით სასწაული მიჩვენა და ავისგანაც დამიცვა!..

...ალბათ ასეც იყო!..

ყოველ შემთხვევაში, რაღაც ძალამ ნამდვილად აარიდა მშვენიერი ქალბატონი ავს!..

**ინგა ჯაყელი**

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. შველი.
II. მე-2 და მე-4 ფრაგმენტები.
III. **აბა, გამოიცანი:** 1) — დ); 2) — ბ); 3) — გ); 4) — დ); 5) — ა); 6) — გ); 7) — ა); 8) — ბ).

# მანეკენები ბრალს სდებენ



ბევრი სახელგანთქმული მანეკენი, მათ შორის კლაუდია შიფერი და ჰაიდი კლუმი თავიანთ ყოფილ შეფს, სამოდელო სააგენტო „ელიტეს" მფლობელს ჰონორარების გადაუხდელობასა და იძულებით სექსურთიერთობაში სდებს ბრალს.

სწორედ მანეკენების გულახდილობის წყალობით შეიქნა ცნობილი, რომ „ელიტეს" მეპატრონე ჯონ კასაბლანკა არც ისე წმინდა სულის ყოფილა. კლაუდია შიფერის თქმით, მანეკენები პოდიუმის შიშის დასაძლევად ხშირად ხმარობენ ნარკოტიკებსა და სასმელსაც ეტანებიან. ბევრი ნარკომანიც კი გამხდარა. კასაბლანკას თურმე ეს ხელსაც აძლევდა — არცთუ იშვიათად თვითონვე ამარაგებდა გოგოებს მოსაწევით.

„ჟურნალის სატიტულო გვერდზე მოსახვედრად გოგონები იძულებული არიან, ლოგინში ჩაუწვნენ უამრავ ფოტოგრაფს, პროდიუსერს, თვით სააგენტოს მფლობელსაც", — განაცხადა ახლახან ჰაიდი კლუმმა. პოდიუმის „მშრომელები" ჯონ კასაბლანკას თაღლითობაშიც სდებენ ბრალს — იგი განახევრებულ ჰონორარებს უხდიდა მათ. კასაბლანკა თავს იმართლებს, გოგოებს პლასტიკური ოპერაციებისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობაში ვუხდიდი ფულსო. სამაგიეროდ, ვერაფერს ამბობს „იძულებით სექსურთიერთობებზე". სასამართლოზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართება, მილიონობით დოლარი ვალის მქონე კასაბლანკას მაინც მოუწევს მისთვის არასასიამოვნო კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

*ეხო პლანეტი №16*

# „ხავერდოვანი" ბინ ლადენი



აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო ახალ პროექტზე მუშაობს (რამდენიმე ხნის წინ „კვირის პალიტრა" წერდა ამ თემაზე) — ბიზნესმენმა კენ ფიშბურგმა ბინ ლადენის გამოსახულებიანი ტუალეტის ქაღალდის გამოშვება გადაწყვიტა.

პენტაგონმა მაშინვე აიტაცა საქმოსნის იდეა. ქაღალდის პირველი პარტია სადაცაა გამოვა სერიულად. საცდელი ეგზემპლარები კი უკვე გაიგზავნა ერაყში, აშშ-ის მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტთან. ჯარისკაცებში თურმე დიდი მოწონება დაიმსახურა ამ საყოფაცხოვრებო საგანმა. ასე გადაწყვიტა პენტაგონმა ფიშბურგის იდეის რეალიზება. საგულისხმოა, რომ უპირველესი ტერორისტის გამოსახულების გარდა, ქაღალდზე არის წარწერაც: „გავაქროთ ტერორიზმის კვალი".

„ყველაფერს, რაც კი ღიმილს მოჰგვრის პენტაგონს, მხარს დავუჭერთ", — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

*ვოკრუგ სვეტა №15*

# უკანასკნელი პერანგი გაყიდა და მოიგო



ინგლისელმა პროფესიონალმა ბანქოს მოთამაშემ, ეშლი რეველმა, გაყიდა მთელი ქონება, მათ შორის ტანსაცმელიც და აღებული 135 ათასი დოლარით ლას-ვეგასს რულეტის სათამაშოდ მიაშურა. კაზინო „ჰარდ-როკში" ის თავის ოჯახის წევრებთან ერთად მივიდა, ხოლო მისი ფსონის ჩამოსვლას ადგილობრივი ტელეარხები გადასცემდნენ. როგორც 32 წლის ბრიტანელმა განაცხადა, მან გადაწყვიტა, ვიდრე ახალგაზრდა იყო, დიდ ფსონზე ეთამაშა, რათა წაგება მისთვის საბედისწერო არ აღმოჩენილიყო. ტელემაყურებელი ხედავდა, როგორ მივიდა რეველი რულეტის მაგიდასთან და წითელზე 135 ათასი დოლარი დადო. კრუპიემ მიიღო ფსონი, დაატრიალა ბურთულა და რამდენიმე წამის შემდეგ ეშლი რეველი გაორმაგებული თანხის მფლობელი გახდა: ბურთულა წითელ 7-ზე გაჩერდა. „ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი", — თქვა თამაშის შემდეგ ბედნიერმა ბრიტანელმა, რომლის ქონებაც უკვე 270 ათასი დოლარი გახდა. როცა ხალხის აღფრთოვანებული შეძახილები შეწყდა, ყველა რეველს მისცვივდა შეკითხვით: ბედს ერთხელ კიდევ ხომ არ სცდიო. „კმარა, არა მგონია, იღბალმა მეორედ გამიღიმოს", — მიუგო ჟურნალისტებს მოგებულმა.

*ნიუზუიქი*

# გუბერნატორი ზნეობის სკოლაში დადის



ყოფილმა ტერმინატორმა, ამჟამად კი კალიფორნიის გუბერნატორმა სამუშაო ადგილზე სექსდევნისა და ძალადობის სრული კურსი გაიარა.

განათლების სრულყოფა ამ სფეროში ცოლმა, მარია შრაივერმა აიძულა. მასზე კარგად ვინ იცის, როგორ უციმციმებს თვალები არნის მომხიბლავი მდივანი ქალების დანახვაზე. ყველას გასაოცრად, არნის უარი არ უთქვამს. საქმე ის არის, რომ გუბერნატორის პოსტზე წინასაარჩევნო კამპანიის დროს თექვსმეტმა ქალმა მაინც დასდო ბრალი შვარცენეგერს, გასაქანს არ გვაძლევდაო. ამბობენ, სკანდალი რომ თავიდან აეცილებინა, ჯიბეზე გაიკრა ხელიო.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ კურსებს, ძირითადად, მას მსხვილი ბიზნესმენები ესწრებიან. აქ მათ ასწავლიან, „როგორ მოიგერიონ მდივანი ქალების შემოტევა" და პირიქით — „როგორ შეიკავონ თავი".

თვითმხილველთა თქმით, ტერმინატორს მოეწონა სალექციო კურსი. დარბაზში, სადაც სწავლება მიმდინარეობს, პირველ რიგში ჯდება და... თვალებით ჭამს ლექტორ ქალს...

*სპიდ-ინფო №16*

# ძუნწი ჯეიმს ბონდი



ჯეიმს ბონდის ერთ-ერთი შემსრულებელი შონ კონერი ვინ იცის, მერამდენედ ამხილეს წუწურაქობაში. ლონდონელმა საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორებმა შონ კონერის წერილობით სთხოვეს, აფრიკის მოშიმშილე ბავშვებისთვის შემოწირულობა გაიღეთო. მალე პასუხის ნაცვლად პატარა ბანდეროლი დაბრუნდა შონის წარწერით: „კეთილშობილური მიზნებისთვის". ბანდეროლში აკურატულად დაკეცილი რუხი ჰალსტუხი იდო. ორგანიზატორებმა იფიქრეს, სიძუნწით ცნობილი შოტლანდიელი გვეხუმრებაო და ბანდეროლი უკან გაუგზავნეს.

მეორე დღეს ოფისში ზარი გაისმა — შონ კონერიმ ორგანიზატორებს აუხსნა, ეს სწორედ ის ჰალსტუხია, რომელიც ჯეიმს ბონდის როლის შესრულებისას მეკეთაო. მისი თქმით, ჯეიმს ბონდის ეს აქსესუარი შონ კონერის თაყვანისმცემლებისგან რამდენიმე ათას გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული. ამიტომ ჰალსტუხი უთუოდ შეავსებს საქველმოქმედო კონცერტის სალაროსო.

*ტვ პარკი №16*

# კოსმოსური ტურისტი



კოსმოსში გასამგზავრებლად კიდევ ერთი ტურისტი ემზადება. 58 წლის გრეგორი ოლსენი, მილიარდერი, მეცნიერი, ფილანთროპი, „სენსორს ანლიმიტედის" მფლობელია. ის 20 მლნ დოლარს უხდის რუსებს, რომ ოქტომბერში მათი კოსმოსური ხომალდით „სოიუზით" საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გაემგზავროს.

იგი წინამორბედი კოსმოსური ტურისტისგან განსხვავებით, რომელიც ორბიტულ სადგურზე სტატისტის როლს ასრულებდა, არ აპირებს გულხელდაკრეფილ ჯდომას. უნდა თავისი კომპანიის პროდუქციისთვის სენსორები კოსმოსში გამოცადოს. „მე მინდა კოსმოსში სასარგებლო საქმე ვაკეთო", — აცხადებს მომავალი კოსმონავტი. მას თავისი სენსორების გამოსაცდელად უკვე გამზადებული აქვს აღჭურვილობა, რომელსაც რუსული რაკეტით გადაიტანენ სადგურზე. როგორც ამბობენ, ოლსენზე მეტად კოსმოსში გამგზავრებას მისი შვილიშვილები ელიან. პატარებმა უკვე შეუდგინეს ბაბუას კოსმოსიდან ჩამოსატანი საჩუქრების სია. „სენსორს სანლიმიტედში" კი გაჩნდა ახალი „შეკითხვა-ხუმრობა" — გამოეწერება თუ არა ფირმის მეპატრონეს კოსმოსში გასამგზავრებლად სამივლინებო ხარჯები?"

*მირორი*

# „დიდოსტატი"



ფრინველებს შორის კონკურსში, რომელიც ახლახან ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში, ხუნანში გაიმართა, აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა პოლიგლოტმა თუთიყუშმა, მეტსახელად „ლიანლიანი". ლიანლიანი სამ ენაზე მღერის — ჩინურად, ადგილობრივ დიალექტზე და ინგლისურად. პოლიგლოტმა 200 კონკურსანტს აჯობა, მათ შორის „პროფესიონალ მგალობლებს". მოლაპარაკე ლიანლიანს მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს, მაგრამ მსმენელებს ყველაზე მეტად მისი მხატვრული კითხვა აჯადოებს — როცა თუთიყუში ძველჩინური ეპოსის ვირშების დეკლამირებას იწყებს, პუბლიკა პირდაღებული უსმენს. ვირშებს თვით ჩინელებიც გაჭირვებით იმახსოვრებენ, უნიკალური თუთიყუში კი სხაპასხუპით კითხულობს.

*პრიროდა №4*

# იცით თუ არა, რომ

...ლეგენდარულმა საფეხბურთო კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა" თავისი თავგადაკლული თაყვანისმცემლებისთვის სასაფლაო გახსნა. იგი ბუენოს-აირესში, კლუბ ლაბომბორენას სტადიონის ახლოსაა. „ბოკას" ხელმძღვანელობას ეს იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც კლუბში გულშემატკივრებისგან უამრავი წერილი მივიდა თხოვნით, ჩვენი კერპების სტადიონთან ახლოს დაგვასაფლავეთო.

...ჩინეთში გაიყიდა მობილური ტელეფონის 1,1 მილიონად ღირებული ნომერი. უცნობმა მყიდველმა ეს თანხა ასეთ ნომერში გაიღო: 135-85-85-85-85. ეს ციფრი ჩინურად წამოთქმისას დაახლოებით ნიშნავს: „იყავი მდიდარი", ოღონდ მხოლოდ ოთხჯერ წარმოთქმის შემდეგ.

...ლონდონში ახალი სპეცსამსახური შეიქმნა. თუ ალბიონის მკვიდრს მირთმეული ყავის ხარისხი არ მოეწონა, შეუძლია დაუკავშირდეს „არომატულ" პოლიციას და შემთხვევის ადგილზე გამოიძახოს მისი თანამშრომელი. უხარისხო ყავის მოხარშვაში მხილებულ ბარის მეპატრონეს ჯარიმა და შელახული რეპუტაცია ემუქრება.

*მირ ნოვოსტეი №16*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შილერის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ტ | ი | ნ | ო | ე | ს | ა | | ი | ი | უ | | ლ | ი | ო | დ | ნ | კ | ი | ო | ე | ა | | ნ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** რა ერქვა გიორგი ბრწყინვალის მამას; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ი.** არგონავტების წინამძღოლი; **ს.** შეჯიბრი თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ვ.** რა ერქვა ჯულია რობერტსის პერსონაჟს ფილმში „ლამაზმანი"; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ..."; **თ.** მცენარე, რომლის მერქნისგანაც ჩიჩილაკს ამზადებენ; **პ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას მარჯვენა ხელს ციხეში; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ლ.** ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ტ.** ადამიანისადმი მტრულად განწყობილი ტყიური არსება სკანდინავიურ მითოლოგიაში; **რ.** პოპოვის პირმშო; **ი.** ძველი ქართული შეჯიბრი ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **ს.** მობილური ტელეფონების მწარმოებელი გერმანული ფირმა; **ფ.** წყლის საღებავებით დახატული სურათი ახალშელესილ, ჯერ კიდევ სველ კედელზე, ჭერზე; **ე.** განსწავლული ადამიანი; **რ.** გრაფი, კარდინალ რიშელიეს მარჯვენა ხელი დიუმას ნაწარმოებებში; **ე.** ქალის სახელი, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ბ.** მსუბუქი, ვერანდებიანი შენობა ინდოეთში; **შ.** მოხდენილობა, სილამაზე, ლაზათი; **ი.** მგალობელი ფრინველი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩადრი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ებრაელი; **ნ.** ნეი; **თ.** თაგვი; **ა.** ამერიკა; **ნ.** ნობელი; **ე.** ეტალონი; **რ.** როსინი; **თ.** თეირანი; **ა.** ანანასი; **დ.** დაფნა; **ა.** აზარტი; **რ.** რადა; **მ.** მონტეგი; **ო.** ო'ტული; **ი.** იაგო; **წ.** წყალი; **ყ.** ყასაბი; **ე.** ელცინი; **ნ.** ნოე; **თ.** თემიდა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **დარიგებას იაფად ნუ გასცემ.**

# მილიარდერის გავხდი!..

## ფილმმა „ქრისტეს ვნებანი“ მსოფლიო შეძრა, მელ გიბსონი კერპად იქცა

მელ გიბსონი ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელ დღეზე ფილმის გადასაღებად 20 მლნ დოლარს ლამის კარდაკარ



ითხოვდა, მაგრამ არც ერთმა სტუდიამ არ ისურვა დახმარება — ძალიან საშიში თემააო. მელი უკან არ იხევდა, როგორც იქნა, თავი მოუყარა ფულს, ზედ თავისი 30 მილიონიც დაადო და გადაღებას შეუდგა.

ფილმი წლის მოვლენად იქცა და მის შემქმნელს მილიარდ დოლარს ჰპირდება...

„ქრისტეს ვნებანი“, ერთგვარად, საშინელებათა ციკლის ფილმებს განეკუთვნება... მელ გიბსონმა ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელი 12 საათი აღწერა ფილმში და, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არ გადაუხვევია ბიბლიიდან (სურათში მხოლოდ არამეულად და ლათინურად საუბრობენ), უხვადაა გაჯერებული სისხლითა და წამებით. ჯეიმს კევიზელი, რომელმაც ეკრანზე ქრისტე განასახიერა, 8 საათს უნდებოდა გრიმის გაკეთებას, რათა მისი სხეული ნაგვემს დამსგავსებოდა. ერთ-ერთი დუბლის გადაღებისას ათეულობით რომაელი ჯარისკაცი ჯოხებით სცემს და მისი სხეულიდან სისხლი შადრევანივით მოსჩქეფს. და ეს ყველაფერი მსხვილი ხედით ჩანს ეკრანზე. ერთმა „რომაელმა“ კი კევიზელს 30-სანტიმეტრიანი ზოლი დააჩნია ზურგზე, ჯვრის ტარებისას ჯეიმსს მხარი ამოუვარდა, გოლგოთაზე მეხი დაეცა, მაგრამ არაფერი დაშავებია. ყოველივე ეს თვითმხილველებს ზეციურ კურთხევად ენიშნათ. მერე კევიზელს ფილტვების ანთება დაემართა — გადაღებისას, საშინელ ქარში, ჯვარზე გაკრული იყო.

მელ გიბსონი, რომელიც ღრმად მორწმუნე ადამიანია, ჰყვებოდა, რომ ქრისტეს აგონიასა და სიკვდილზე ფილმის გადაღება 12 წლის წინ მოუვიდა ფიქრად, როცა თავად სულიერ კრიზისს განიცდიდა და თავის მოკვლასაც კი აპირებდა. მაგრამ ლოცვამ, მაცხოვრის რწმენამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან.

მელს ეგონა,



რომ „ქრისტეს ვნებანი“ უფრო რელიგიური ფილმი იქნებოდა, ვიდრე კომერციული, მაგრამ შეცდა — მარტო პირველი ხუთი დღის მანძილზე ფილმმა რეკორდული თანხა — 117 მლნ დოლარი მოიტანა!

ფილმმა საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოულოდნელი რეკლამა გაუკეთა სურათს ბრალდებებმა — მავანნი ანტისემიტიზმს სწამებდნენ, მაგრამ ფილმში ებრაელები გაცილებით სიმპათიურად გამოიყურებიან, ვიდრე სადისტი რომაელები. კანზასში, ფილმის პრემიერაზე, ორი მაყურებელი ინფარქტით გარდაიცვალა, რაოდენ ღრმად მორწმუნე უნდა იყოს ადამიანი, რომ შეძლოს ორი საათის მანძილზე თვალყური ადევნოს უცოდველი ადამიანის ტანჯვა-წამებას და შემდეგ სრულიად ამაღლებულმა დატოვოს დარბაზი.

მელ გიბსონის ნაგვემი მესია გვასწავლის მორჩილებას, სიყვარულს, შენდობას და ნაწამები თავისი ჯალათების სულის გადარჩენაზე ემუდარება მამაზეციერს...

### ვინ თამაშობს ფილმში

მელ გიბსონმა უარი თქვა სურათში ჰოლივუდის ვარსკვლავების მიწვევაზე. იესოს როლზე მსახიობი ჯეიმს კევიზელი დაამტკიცა, გიბსონივით ისიც კათოლიკეა. დემონური გარეგნობის გამო ხშირად იღებდნენ სათავგადასავლო და კრიმინალურ ფილმებში: „წვრილი წითელი ზოლი“, „ანგელოსის თვალები“, „გრაფი მონტე-კრისტოს“ ამერიკულ ვერსიაში, ის ედმონ დანტესს თამაშობდა... იტალიელმა ვარსკვლავმა მონიკა ბელუჩიმ მარიამ მაგდალინელი ითამაშა, რუმინელმა მსახიობმა მაია მორგენშტერნმა — მარიამ ღვთისმშობლის, ბულგარელმა ხრისტო ჟივკოვმა — იოანესი. ხოლო ცნობილი იტალიერი მსახიობისა და მომღერლის ადრიანო ჩელენტანოს ქალიშვილს, როზალინდას, გიბსონმა სატანის როლი შესთავაზა...



# ასეთია მელ გიბსონი

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ცნობილ მსახიობს ახალგაზრდობაში სცენის შიში სჭირდა. სიდნეის დრამატული ხელოვნების ინსტიტუტში მომავალი ვარსკვლავი საბუთების შეტანას ვერ ბედავდა. ეს საქმე მისმა ერთ-ერთმა დამ მოაგვარა. მეტი რა ჩარა იყო — მელს უნდა ჩაებარებინა გამოცდები. სადებიუტო სპექტაკლზე ნერვიულობით კანკალებდა. რა მომავალი უნდა ჰქონოდა ამ მშიშარა ნევრასთენიკს? მაგრამ გიბსონმა შიშზე გამარჯვების გზა იპოვა — ჩხუბი! მშვიდი ყმაწვილი თანდათან ნამდვილ ბუნტისთავად იქცა. რა თქმა უნდა, მასაც ხვდებოდა!



როცა ავსტრალიელმა რეჟისორმა ჯორჯ მილერმა „შეშლილი მაქსის“ სინჯებზე მიიწვია, გადასაღებ მოედანზე მისმა გამოჩენამ კინოს მესვეურებს თავზარი დასცა. „ცოტა ხნის წინ მაგარ შარში გავეხვიე. სახე დასივებული მქონდა, ნალ-რძობ ხელს ძლივს ვამოძრავებდი,“ — იხსენებს მელი. ამ სურათმა დიდი წარმატება მოიპოვა. ის აშშ-მაც კი იყიდა. გიბსონი ჰოლივუდში მიიწვიეს.

გარეგნობით მელს ბადალი არ ჰყავს. კარგა ხანია პლანეტის 50 ულამაზესი მამაკაცის სიაშია შეყვანილი. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია მეორე რეკორდი: ჰოლივუდური მოდისგან განსხვავებით, გიბსონს 24 წელია, ცოლად ჰყავს რობინ მური და ეს მშვენიერი მანდილოსანი მისი ერთადერთი სიყვარულია. ჰოლივუდში აფუთფუთებული ჭორი — სოფი მარსოთია გატაცებულიო, თითქმის არავინ დაიჯერა, უპირველესად რობინმა.

რობინი სტომატოლოგიურ კლინიკაში მედდად მუშაობდა, როცა მელი გაიცნო. მაშინ მას არავინ იცნობდა. ორივე ოცნებობდა ბევრ შვილზე. ცოლ-ქმარმა ოცნება აიხდინა — მათ შვიდი(!) შვილი ჰყავთ. რობინი გულგრილად ეპყრობა ვარსკვლავის ცოლის როლს. იშვიათად დაჰყვება ქმარს თავყრილობებზე და უარს ამბობს ფოტოგრაფირებაზე. ეს მეგობრული ოჯახი ზეპური საზოგადოებიდან მოშორებით დასახლდა — ავსტრალიაში, რანჩოში.

# ტომ კრუზი ოჯახში ბრუნდება

ჰოლივუდში სენსაციური სიახლეა. ცოტა ხნის წინ თავ-თავიანთი პრესმდივნების საშუალებით დაშორების შესახებ საჯაროდ განაცხადეს ტომ კრუზმა და პენელოპა კრუსმა. ზოგის აზრით, ამ განშორებაში დამნაშავეა ტომი, ვინაიდან იგი ცნობილია, როგორც ყინულივით ცივი გულის პატრონი. თავისი პირველი ცოლიც — ჯიმი როჯერსიც ფაქტის წინაშე დააყენა, განუცხადა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, რადგან ნიკოლ კიდმანთან მინდა ცხოვრე-



ბაო. ნიკოლმა კი თავის მხრივ გაიხსენა მათი ქორწინების 10 წლის თავზე ტომმა როგორ მოახსენა, განცხადება შევიტანე განქორწინებაზეო. ახლა ტომი სიდნეიში გაფრინდა, სადაც მისი ყოფილი ცოლი ნიკოლი ცხოვრობს ბავშვებთან ერთად. ტომმა დაავალა პრესმდივანს ნიკოლის მახლობლად ვილის შერჩევა. რა ქნას კრუზმა, თუ ოჯახში უნდა დაბრუნება. შესაძლოა, ნიკოლმა მიიღოს კიდევ, მან ხომ ვერააწყო პირადი ცხოვრება კრუზთან განშორების შემდეგ. იქნებ მარტოობას ისევ ყოფილი ქმარი არჩიოს.

# ტკბარი გზააბნეული კრავისთვის



„მხოლოდ ლოცვებითა და მორჩილებით დასძლევს ნარკოდამოკიდებულებას“, — განაცხადა ამას წინათ ტელევიზიით მომღერალ უიტნი ჰიუსტონის სულიერმა მოძღვარმა — პრინცმა აზელ ბენ იზრაელმა. რამ აიძულა ასეთი პატივსაცემი და ჰიუსტონისთვის ახლობელი კაცი საჯაროდ ესაუბრა ვარსკვლავის პრობლემებზე? არც ისე დიდი ხანია, რაც 40 წლის პოპმომღერალმა სპეციალიზებულ კლინიკაში ნარკომანიის სამკურნალო კურსი გაიარა. ყველაფერი წყალში ჩაყარა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ექიმებს დაეთხოვა ბავშვის ნახვის საბაბით. „მზრუნველი დედიკო“ აღარ დაბრუნებულა. კლინიკის თანამშრომლებმა ჰიუსტონი მის სახლში იპოვეს... თითქმის შეურაცხადი. სწორედ ამან აუვსო მოთმინების ფიალა მომღერლის მოძღვარს — ის ერთადერთი კაცია, რომელსაც ემორჩილება ჭირვეული ჰიუსტონი. პრინც აზელ ბენ იზრაელს თანამედროვე მედიცინის არაფერი სწამს და თვითონვე აპირებს სამკურნალო კურსის დაწყებას. საამისოდ მოძღვარი ჰიუსტონს დროებით იზოლაციაში მოაქცევს იმ გულშემატკივარი ფანებისგან, რომლებიც მას კოკაინით ამარაგებენ. „გზააბნეული კრავის“ ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული იქნება, გარემოცვაში კი მხოლოდ ღვთისმოსავი, მისი მოძღვრის მიერ შერჩეული ხალხი ეყოლება.

# ბონდს ქარაფშუტები არ მოსწონს



უკანასკნელმა ჯეიმს ბონდმა „ამერიკის უკანასკნელ ქალწულს“ ქარაფშუტა უწოდა.

საიდუმლო არავისთვის არის, რომ ბრიტნი სპირსს ამ ბოლო დროს აღარ უმართლებს. ამიტომ მისი ამასწინანდელი განცხადება — ბონდიანის მორიგ სერიაში ბონდის სატრფოს როლის შესრულებას ვაპირებო — ბევრმა შოუბიზნესის ოლიმპზე ადგილის შენარჩუნების მცდელობად აღიქვა. საზოგადოების შთაბეჭდილების გასამძაფრებლად მოქმედმა ჯეიმს ბონდმა, ინგლისელმა მსახიობმა პირს ბროსნანმა განაცხადა: „ვფიქრობ, ბრიტნი ბონდიანისთვის ყველაზე შეუფერებელი კანდიდატურაა. ვერ წარმომიდგენია ეს ქარაფშუტა ბონდის გვერდით... სამაგიეროდ, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი კეირა ნაიტლის ან მონიკა ბელუჩისთან ერთად“. პირს ბროსნანის ეს განცხადება და ფილმ „გზაჯვარედინში“ წარუმატებლობა ალბათ საბოლოოდ დაუსვამს წერტილს სპირსის გეგმებს. თუმცა ჯერ ისიც არავინ იცის, გადაიღებენ თუ არა ბონდიანის შემდეგ სერიას — როგორც ბროსნანმა გაუმხილა ჟურნალისტებს, ფილმის გადაღება შეჩერებულია.




# კალაძემ სკუდეტო მოიგო

16 მაისს კარლო ანჩელოტის „მილანი“ „სან სიროზე“ სერია „A“-ს გათამაშების ბოლო მატჩს გამართავს „ბრეშას“ წინააღმდეგ. ამ მატჩის შემდეგ დაიწყება ოფიციალური ზეიმი, რომელიც მიეძღვნება „მილანის“ მიერ სკუდეტოს მეჩვიდმეტეჯერ მოგებას.

ქალაქ მილანის ერთი ნაწილი „ინტერს“ გულშემატკივრობს — „ინტერი“ და „მილანი“ მოსისხლე მტრები არიან, ამიტომაც „ინტერის“ ბევრმა გულშემატკივარმა გადაწყვიტა, რომ 16 მაისისთვის უბრალოდ დატოვოს ქალაქი, რათა უნებური მომსწრე არ აღმოჩნდეს, მათი თქმით, „დაწყევლილი კვირისა“, რომელიც „მილანის“ ტრიუმფისადმია მიძღვნილი.



მიუხედავად იმისა, რომ სერია „A“-ს ტრიუმფატორმა „მოახერხა“ და წააგო მეოთხედფინალური მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“, მიუხედავად იმისა, რომ „მილანმა“ საკონტინენტთაშორისო მატჩის ფინალი დათმო არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან“, მიაჩნიათ, რომ დღევანდელი შემადგენლობა უძლიერესია კლუბის მთელი ისტორიის მანძილზე. ცხადია ისიც, რომ თუკი შარშან იტალიური გუნდები „მილანს“ კონკურენციას უწევდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე, წელს ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ კარლო ანჩელოტის გუნდის წინაშე. თუმცა, ბედმა წელს მაინც დასაჯა ანჩელოტი, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას შარშან მოგებული ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული, 26 მაისს გერმანიაში, ქალაქ გელზენკირხენში, სადაც წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზეიმი — ჩემპიონთა ლიგის ფინალია დანიშნული.

ამ დღეებში იტალიური პრესა დაკავებულია იმით, რომ სერია „A“-ს ტრიუმფატორის თითოეულ წევრს ქულებით აფასებს. სასიამოვნოა ის, რომ გუნდის ქართველმა ლეგიონერმა კახა კალაძემ უმაღლესი შეფასება — 10-იანი დაიმსახურა. ბუნებრივია, ბევრს შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ასეთი შეფასება, მით უფრო, რომ წელს კახას მართლაც ჩაუვარდა სეზონი ტრავმების გამო, მაგრამ იტალიელები თავიანთ გადაწყვეტილებას ასე განმარტავენ: ფეხბურთი გუნდური თამაშია და როცა სათადარიგოთა სკამზე გყავს ისეთი ფეხბურთელი, როგორიც კახა კალაძეა, ეს იმედს წარმოადგენს გუნდისთვის.

ერთი სიტყვით, ჩვენებურს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში მესამე ფეხბურთელია, ვისაც ხვდა პატივი სკუდეტოს მოგებისა, საკმაოდ გულთბილად ეპყრობიან.

პირველად სკუდეტო ყოფილმა კიევის დინამოელმა, ამჟამად ამავე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ „სამპდორიას“ შემადგენლობაში მოიგო 1991 წელს, წლევანდელი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი უდავოდ კახა კალაძის მეგობარი, ასევე ყოფილი კიევის „დინამოელი“ ანდრეი შევჩენკოა.

სკუდეტო კალაძემ და მისმა მეგობრებმა „რომასთან“ საშინაო მატჩის მოგების შემდეგ გაინაღდეს.

**კახა კალაძე:** ეს მატჩი ძალზე რთული გახლდათ. აქცენტი სწრაფ გოლზე გადავიტანეთ და გაგვიმართლა. ანდრეი შევჩენკომ შესანიშნავი გოლი შეაგდო კაკას პასით. შემდეგ კი იმაზე ვფიქრობდით, რომ მეტოქისთვის არ მიგვეცა საშუალება, ინიციატივა აელო ხელში. „რომას“ ორივე მატჩი მოვუგეთ, ეს გუნდი ჩვენი უშუალო კონკურენტი გახლდათ სკუდეტოსთვის ბრძოლაში. ასე რომ, ვფიქრობ, წლევანდელი ტრიუმფი კანონზომიერი იყო

**— გასახარია, რომ ჩემპიონობას მოედანზე შეხვდი...**

— ამან განსაკუთრებით გამახარა. მატჩის წინ ვესაუბრე ანჩელოტის, რომელმაც გამამხნევა და წარმატებით დაბრუნება მისურვა, მიუხედავად ჩემი ტრავმებისა, გუნდის ხელმძღვანელთა მხრიდან არასდროს მიგრძნია უყურადღებობა. ანჩელოტის ჩემთან ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა, ასევე ხშირად მეხმიანება სილვიო ბერლუსკონი, მხარში მიდგას მთელი გუნდი. „მილანი“, არა მარტო საფეხბურთო მოედანზე, მოედანს მიღმაც შეკრული გუნდია. რა თქმა უნდა, ასეთი ურთიერთობები საკმაო მოტივაციაა იმისთვის, რომ გუნდმა წარმატებით იასპარეზოს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ „მილანს“ ჯერ კიდევ ბევრი შეუძლია.

**— საინტერესოა შენი უახლოესი გეგმები...**

— რაც შეეხება ჩემს გეგმებს, ბუნებრივია, მინდა, რომ „მილანის“ დარჩენილ თამაშებში მივიღო მონაწილეობა. 16 მაისს გუნდი ბოლო მატჩს ატარებს „სან სიროზე“, ამის მერე კი მთლიანად გადავერთვები საქართველოს ნაკრებზე, რომელსაც მაისის ბოლოს საკონტროლო სპარინგი აქვს თბილისში ისრაელის ნაკრებთან. მე მჯერა, რომ ალან ჟირესის ხელმძღვანელობით ნაკრები მიაღწევს სასურველ მიზანს. ყოველ შემთხვევაში, ის პოტენციალი, რომელიც მის ხელშია, ამის ვარაუდის საშუალებას იძლევა.

**— არის ბევრი ვარაუდი, რომ „მილანიდან“ შეიძლება წახვიდე... სახელდება კონკრეტული გუნდებიც — „ბაიერნი“, „ტოტენჰემი“...**

— არა, ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. „მილანში“ თავს კარგად ვგრძნობ და ჩემი სურვილია დავრჩე ამ გუნდში, „მილანის“ ხელმძღვანელობაც ჩემ მიმართ კარგადაა განწყობილი. ცხადად თქვეს, რომ გუნდის სქემაში მომიაზრებენ, ასე რომ, არანაირი საფუძველი არ არის იმისთვის, რომ ჩემი კონტრაქტი „მილანთან“ ნაადრევად შეწყდეს.

# „რეალი“ მწვრთნელს ეძებს და მორიენტესს იბრუნებს

მიმდინარე სეზონი წარუმატებელი გამოდგა ესპანეთის სამეფო კლუბის — მადრიდის „რეალისთვის“. გუნდი, რომელიც სეზონის წინ ყველა ტიტულის მოგებას გეგმავდა, ალბათ უტიტულოდ დარჩება. „რეალი“ ნაადრევად დაემშვიდობა ჩემპიონთა ლიგას, დათმო ესპანეთის თასიც და პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსიც თითქმის აღარ აქვს.



ფერნანდო მორიენტესი

ბუნებრივია, ასეთ შედეგებს გუნდის ხელმძღვანელთა მხრიდან რადიკალური ცვლილებები მოჰყვება, „რეალი“ უკვე ეძებს მთავარი მწვრთნელის, კარლოს კეირუშის შემცვლელს.

განიხილებოდა „ლაციოს“ თავკაცის, რობერტო მანჩინის კანდიდატურა, სახელდებოდა ასევე ჯოვანი ტრაპატონიც, თუმცა ორივე ვარიანტი გამოირიცხა. „რეალის“ მთავარი მესაჭის ადგილზე მოიაზრებენ „ბოკა ხუნიორსის“ არგენტინელ მწვრთნელს კარლოს ბიანკის, რომლის კონტრაქტიც არგენტინულ გუნდთან ერთ წელიწადში იწურება.

„რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი არ მალავს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც სურს გუნდის მთავარი მწვრთნელის შერჩევა. გარდა იმისა, რომ კანდიდატი საქვეყნოდ აღიარებული სპეციალისტი უნდა იყოს, თავისუფლად უნდა შეეძლოს ევროპულ ენებზე საუბარი. ვისენტე დელ ბოსკე, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული „რეალის“ ბოლოდროინდელი წარმატებები, სწორედ ევროპული ენების არცოდნის გამო დაიწუნეს. მართალია, კეირუში კარგად ფლობს ოთხ ევროპულ ენას, მაგრამ მარტო ეს რომ არ კმარა, „რეალის“ მიმდინარე შედეგებიდანაც კარგად ჩანს.

კულუარებში გაიჟღერა ხოსე ანტონიო კამაჩოს სახელმაც, თუმცა ეს ვარიანტი უმრავლესობას არარეალურად მიაჩნია.

„რეალის“ პრეზიდენტი აცხადებს, რომ ესპანეთის ნაკრების ფორვარდი, ფრანგულ „მონაკოში“ იჯარის წესით გადასული ფერნანდო მორიენტესი გუნდს 30 ივნისს დაუბრუნდება, ეს ის თარიღია, როცა მთავრდება იჯარის ვადა. „ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ იმ ბრწყინვალე სეზონით, რომელიც მორიენტესმა „მონაკოში“ ჩაატარა, ის გუნდის საუკეთესო მოთამაშეა და ამას ყოველ მატჩში ადასტურებს. ჩვენ მას დავიბრუნებთ 30 ივნისს, კონტრაქტით ფერნანდო ჩვენთან ორი წლით დარჩება.“

რაც შეეხება თავად „მონაკოს“, მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მორიენტესის შეძენის შესაძლებლობა მისი სიძვირის გამო კლუბს არა აქვს, თუმცა, „რეალთან“ მოლაპარაკების მზადყოფნა უკვე გამოთქვა იტალიის „მილანის“ ვიცეპრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. შეელევა თუ არა პერესი მორიენტესს, ძნელი სათქმელია. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, მას გადაწყვეტილი აქვს, რომ სეზონის ბოლოს „მონაკოს“ დატოვებს.

ერთი სიტყვით, ახალი სეზონისთვის „რეალი“ აქედანვე ემზადება...

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩები

ჩელსი — მონაკო 2:2 (1:3)
დეპორტივო — პორტო 0:1 (0:0)

ამრიგად ფინალში, რომელიც 26 მაისს გაიმართება გელზენკირხენში, ითამაშებენ მონაკო — პორტო

## უეფას თასი. ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩები

ვალენსია — ვილიარეალი 1:0 (0:0)
მარსელი — ნიუკასლი 2:0 (0:0)

ფინალური მატჩი გიოტებორგში 19 მაისს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან ვალენსია — მარსელი

# უმდიდრესნი

ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ ყველაზე დიდ ხელფასს თურმე დევიდ ბექჰემს უხდიან. მხოლოდ ამ სეზონში მადრიდის „რეალს“ ბექჰემისათვის ხელფასის სახით 4,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხდია. პრემიებსა და ყველა სხვა სახის შემოსავალს თუ შევკრებთ, გამოდის, რომ „ბექზის“ წლიური შემოსავალი მხოლოდ ფეხბურთიდან 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოფილა.



მეორე-მესამე ადგილებსაც „რეალის“ ფეხბურთელები რონალდო და ზინედინ ზიდანი ინაწილებენ. ბრაზილიელის ჯამაგირი წელიწადში 11 მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოფილა, ფრანგისა — 1,6 მილიონით ნაკლები.

მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი — „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი — სერ ალექს ფერგიუსონი ყოფილა, „ეშმაკების გაწვრთნაში ფერგიუსონს წელიწადში 5,8 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდიან. ინგლისის ნაკრების თავკაცის სვენ გორან ერიქსონის წლიური შემოსავალი 3,7 მილიონია. „რომას“ მწვრთნელის ფაბიო კაპელოს ჯამაგირი 2,8 მილიონია, ლონდონის „არსენალის“ თავკაცის არსენ ვენგერის ხელფასი კი წელიწადში „მხოლოდ“ 2,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოფილა.

# კრესპო „მილანში“, რუი კოშტა „ჩელსიში“?



ერნან კრესპო

იტალიურ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „მილანი“ და „ჩელსი“ ფეხბურთელებს გაცვლიან. კარლო ანჩელოტის გუნდს ლონდონელთაგან არგენტინელი ერნან კრესპოს გადაყვანა სურს, სანაცვლოდ კი „არისტოკრატებისთვის“ მანუელ რუი კოშტას დათმობას აპირებს. „მილანში“ ბრაზილიელი კაკას გადასვლის შემდეგ რუი კოშტამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და სავარაუდოა, რომ იგი აბრამოვიჩის გუნდის წინადადებას დათანხმდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალი სეზონიდან „ჩელსი“ „პორტუს“ ამჟამინდელმა თავკაცმა ჟოზე მაურინიომ უნდა ჩაიბაროს, რომელიც საჯაროდ ამჟღავნებს სიმპათიებს რუი კოშტას მიმართ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ჩელსი“ და „მილანი“ მოლაპარაკებას წარმატებით დაასრულებენ.

# რივალდო „ბოლტონში“ გადადის

ბრაზილიელი რივალდო, რომელმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში დატოვა „მილანი“ და მშობლიურ „კრუზეიროში“ გადაბარგდა, ალბათ სულ მალე ევროპაში დაბრუნდება. მსოფლიოს ყოფილი საუკეთესო ფეხბურთელის შეძენა ინგლისურმა „ბოლტონმა“ განიზრახა. რივალდო ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. პირველადი თანხმობა ბრაზილიელმა უკვე განაცხადა. კონტრაქტის პირობებზე ალბათ უახლოეს დღეებში მოილაპარაკებენ. სხვათა შორის, რივალდო, რომელსაც ესპანეთსა და იტალიის კლუბებში უთამაშია, ხშირად ამბობდა, რომ სიამოვნებით იასპარეზებდა ინგლისურ პრემიერლიგაში. ამის შანსი მსოფლიო ჩემპიონს „ბოლტონში“ მიეცემა. „მოხარული ვიქნები, თუ „ბოლტონს“ ევროსაგზურს მოვაპოვებინებ“. — განაცხადა ბრაზილიელმა.



# „იუვენტუსი“ ვიერის იბრუნებს...



მომავალი საფეხბურთო სეზონის დასაწყისში არ არის გამორიცხული, „ინტერის“ ფორვარდი კრისტიან ვიერი „იუვენტუსს“ დაუბრუნდეს. მას შემდეგ, რაც ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთმა გრანდმა საკმაოდ მძიმე სეზონი გადაიტანა და მისთვის ჩვეულ შედეგებს ვერ მიაღწია, ეძებენ რეზერვებს, რომლის ამოქმედებაც „ბებერ ქალბატონს“ რჩეულთა შორის დააბრუნებს.

ერთ-ერთი ასეთი რეზერვი კრისტიან ვიერია. ამას არ მალავს გუნდის გენერალური დირექტორი ლუიჯი მოჯი: „მე ყოველთვის მომწონდა „ბობო“ და ვიცი, რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ის ჩვენი გუნდისთვის. უნდა იყიდო ისეთი ფეხბურთელი, რომელიც დიდ კლუბში თამაშისთვის მზად არის, ვიერი სწორედ ასეთ ფეხბურთელად მიმაჩნია.“

ასე რომ, „ბებერი ქალბატონი“ ვიერის იბრუნებს...

**გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა**

## №18 (396) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

**„ვინ უშლის ნერვებს პრეზიდენტ სააკაშვილს ყველაზე მეტად?"** — ამ კითხვას 552 რესპონდენტი გამოეხმაურა. საკონკურსო იყო 546 ბარათი (213 ქალი, 333 მამაკაცი). როგორც მოსალოდნელი იყო, მათგან 527 მკითხველი — 97% თვლის, რომ სააკაშვილს ყველაზე მეტად ასლან აბაშიძე აღიზიანებს. **7,89** საშუალო ქულით აჭარის ყოფილი მეთაური პირველ ადგილზეა. ბოლო დღეების მანძილზე აბაშიძე პრეზიდენტის (და არა მარტო პრეზიდენტის) მართლაც საშინელ გულისწყრომას იმსახურებდა. თუმცა, დღეს უკვე ალბათ, პრეზიდენტს აბაშიძე აღარ ანაღვლებს.

მიხეილ სააკაშვილის ნერვების მომშლელთა რეიტინგის „ერთ-ერთ საპრიზო ადგილს" შალვა ნათელაშვილი ფლობს — საშუალო ქულაა 6,49.

ჩვენი მკითხველების აზრით, პრეზიდენტს არანაკლებ უშლის ნერვებს ლევან მამალაძეც, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასლან აბაშიძის ფაქტორმა ყველა ფიგურა ჩრდილში მოაქცია.

რესპონდენტები თვლიან, რომ აქ ჩამოთვლილ ადამიანთა შორის ყველაზე უწყინარი კობა დავითაშვილია, მკითხველთა 37%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით.

2002 წლის ნოემბერში ანალოგიური კითხვით მივმართეთ მკითხველებს. კითხვა, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძეს ეხებოდა. ორი წლის წინ პრეზიდენტის ნერვების მომშლელთა სათავეში დღევანდელი პრეზიდენტი იყო. შევარდნაძეს მაშინ ყველაზე მეტად სააკაშვილი აღიზიანებდა; რესპონდენტთა აზრით, აბაშიძე და ნათელაშვილი რაღაც „განსაკუთრებული ბედისანი" არიან — ისინი ზუსტად ერთნაირად უშლიან ორივე პრეზიდენტს ნერვებს. მაშინდელ რეიტინგში მეორე ადგილზე ასლან აბაშიძეა, ხოლო მესამეზე — შალვა ნათელაშვილი.

რაც შეეხება დღევანდელ რეიტინგს, როგორც ვხედავთ, ედუარდ შევარდნაძე ახლა უკვე ნაკლებად აღიზიანებს პრეზიდენტს. მკითხველებს მიაჩნიათ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ, შევარდნაძის მიმართ სააკაშვილს განწყობა შეეცვალა.




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 17 წლის **ვალერი დარბაიძე,** 55 წლის **რინა ცაგარეიშვილი,** 60 წლის **გივი ალადაშვილი** და 37 წლის **რობერტ ბენიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 12 მაისს, 17 საათზე.

## №19 (397) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და «მკითხველის პრემიაში».

№19 (397) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 12 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 13 მაისის 13 საათამდე.

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.

თემა №19(397) — პროფესიონალი ლიდერი

**თქვენი აზრით, რომელ უწყებას ჰყავს ყველაზე კომპეტენტური და პროფესიონალი ლიდერი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№19(397) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ლიდერი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | თბილისის საკრებულო — ზაზა ბეგაშვილი | |
| 2 | შინაგან საქმეთა სამინისტრო — გიორგი ბარამიძე | |
| 3 | ფინანსთა სამინისტრო — ზურაბ ნოღაიდელი | |
| 4 | უშიშროების საბჭო — ვანო მერაბიშვილი | |
| 5 | თბილისის მერია — ზურაბ ჭიაბერაშვილი | |
| 6 | განათლების სამინისტრო — კახა ლომაია | |
| 7 | თავდაცვის სამინისტრო — გელა ბეჟუაშვილი | |
| 8 | გენერალური პროკურატურა — ირაკლი ოქრუაშვილი | |
| 9 | უშიშროების სამინისტრო — ზურაბ ადეიშვილი | |

**მკითხველის რეიტინგი**

თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე ენამწარე ქართველი პოლიტიკოსი?

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

____________________ თქვენი სახელი, გვარი

____________________ ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ყველაზე პროფესიონალი ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცები**



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | გიორგი თარგამაძე | 40,9% | 7. | დიმა ობოლაძე | 2,9% |
| 2. | კოკა ყანდიაშვილი | 11,2% | 8-9. | ჯანრი კაშია | 2,4% |
| 3. | აკაკი გოგიჩაიშვილი | 8,5% | 8-9. | ზაალ უდუმაშვილი | 2,4% |
| 4. | დავით კიკალიშვილი | 7,5% | 10. | ნიკა ტაბატაძე | 2,2% |
| 5. | ირაკლი იმნაიშვილი | 4,1% | | სხვა ჟურნალისტები | 12,1% |
| 6. | ნუგზარ რუხაძე | 3,4% | | მიჭირს პასუხის გაცემა | 2,2% |
| | | | | არც ერთი | 0,2% |

**P.S.** მიუხედავად იმისა, რომ კოკა ყანდიაშვილის მართლაც წარმატებული პროექტი ეთერში აღარ გადის, მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა ის ერთ-ერთ პროფესიონალ ტელეჟურნალისტად დაასახელა.

იგივე შეიძლება ითქვას ნუგზარ რუხაძისა და ნიკა ტაბატაძის შესახებაც — მაყურებელს ისინი ახსოვს და ჯეროვნად აფასებს მათ პროფესიონალიზმს.

*მკითხველის რეიტინგში 432 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ფოტოკონკურსი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— ვერც ერთი არჩევნები უჩემოდ ვერ ჩაივლის!..

**ჯ.გ.** — ბატონო, ბატონო, გუშინ რომ იყვნენ, ისინი მოდიან ისევ!

**ა.ა.** — ეს ხიდები ააფეთქეთ, ბიჭებს დამიძახეთ, გადამმალეთ!

*(მ/ფ „წუნა და წრუწუნა")*

*ეკა შაშიაშვილი, თბილისი*

**ჯ.გ.** — შეხედე, ბაბუ, ფოთის მხრიდან ქორი მოფრინდა და ჩვენი წიწილა მოიტაცა.

**ა.ა.** — მერე, ავაფეთქოთ ის ხიდი, ე ჩოლოქზე რომაა და ველარ მოგვტაცებს.

*დათო ხრიკაძე, ხაშური*

**ა.ა.** — ბიჭოს! როგორ გარბიან ეს ვირთხები გემიდან! ვიძირებით ვითომ?

**ჯ.გ.** — ვიძირებით კი არა!.. უკეთესი საჭმელი ნახეს. მადა ჭამაში მოდის, ხომ იცი.

*ნათია დადეშქელიანი, თბილისი*

**ა.** — ასამდე ხიდი ავაშენე, რა მოხდა თუ სამი ავაფეთქე.

*გივი კაციტაძე, თბილისი*

**აა** — ხედავ, ჯემალ? ბაბუინებიც მიგვირბიან.

**ჯგ** — ეს რა გვიყვეს, კაცოო?

*გიორგი ბეგიაშვილი, თბილისი*

**ტელევიზორში უყურებენ ხიდების აფეთქებას:**

**ა.ა.** — *ერთი... ორი... სამი... „ნეტკაჩოვ სნამი"... ჩქარა, პორტიც ააფეთქე! არ მეთმობა სკამი.*

**ჯგ** — *აღარ უნდა ლოდინი, თუ მექნება ტროტილი.*

*ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო*



ჯემალ გოგიტიძე, ასლან აბაშიძე

**აა.** — იქით რა ხდება?

**ჯ.გ.** — იქით, ბატონო, მტრებია, სამხედრო წვრთნას გადიან.

**აა.** — აბა, აქეთ?

**ჯ.გ.** — აქეთაც მტრებია, და საერთოდ, ალყაში ვართ.

**ა.ა.** — კი მაგრამ, მე როგორ მოვხვდი აქ!..

*(კ/ფ „ყვარყვარე")*

*პაატა ჩიქოვანი, სენაკი*




2003 წლის მსოფლიო პრესის ფოტოკონკურსზე გაიმარჯვა ფოტომ „ერაყელი მამა-შვილი ტყვეთა ბანაკში“

11/V ☾
უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეა
13/V 4-დან 6 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნარგილე; 4. პალიტრა; 6. ლაუდა; 7. ნუარე; 8. სიტრო; 9. იბისი; 10. იატაკი; 13. ფრესკა; 16. კრისი; 18. ხალვაში; 19. ზამბეზი; 20. ოჰარა; 22. გრაცია; 23. სიგარა; 25. გრატა; 27. ბრაზი; 28. იასპი; 29. ძაღლი; 30. იაკინთე; 31. ამფიბია.

**შვეულად:** 1. ნოტარიუსი; 2. ელინისტი; 3. გუდასტვირი; 4. პატეფონი; 5. აუდიტორია; 11. ტოლმა; 12. კრასი; 14. რომბი; 15. სცენა; 16. კიო; 17. იზა; 21. არაჯანსაღი; 22. გარნიზონი; 24. ამპლიტუდა; 25. გაბრიაძე; 26. აბისინია.



ყოველ ოთხშაბათს
ყველაფერი გოლონდის შესახებ



**თარაზულად:** 1. მოლიერის „ტარტიუფის“ ჟანრი; 4. ფრანგული ჯიშის წითელი ყურძენი; 6. მდინარე ლონდონში; 7. ერთგვარი სასმისი; 8. იგივეა, რაც ფირი; 9. ინგლისელის ნაბიჯის ტოლი სიგრძის ერთეული; 10. დასავლეთ ევროპის უძველეს მთათა სისტემა; 13. მსახიობი, მშვენიერი ნინა ფილმში „კავკასიელი ტყვე ქალი“; 16. ის, რამაც შექმნა ადამიანი; 18. ზღვის მოლუსკი თავფეხიანთა კლასისა, რომლის ხორცი ძვირფას საკვებ პროდუქტად ითვლება; 19. ამა წლის „ოსკარების“ მფლობელი ავსტრალიელი რეჟისორი; 20. ქსელების მქსოველი მწერი; 22. უძველესი სახელმწიფო მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით დაარსებულ მე-13-10ს.ს. ჩვენს წ.აღ-მდე; 23. მაუგლის მეგობარი; 25. ლუდის სასმისი; 27. ყველაზე პოპულარული პარკოსანი მცენარე საქართველოში; 28. იგივეა, რაც ბიძა; 29. გერმანელი ჩოგბურთელი ქალი; 30. ქვეყანა, სადაც დიდ პატივშია ჯუჯა ხეების გამოყვანის ტრადიცია; 31. ყველაზე წყალუხვი მდინარე დედამიწაზე.

**შვეულად:** 1. ცხენოსანთა ჯარი; 2. სკოლის დამთავრების მოწმობა; 3. მსახიობის გასტროლების მომწყობი აგენტი; 4. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 5. მუზეუმში ან გამოფენაზე გამოტანილი საგანი; 11. მაჯისცემა; 12. ცურვის სტილი; 14. ცნობიერებაში სინამდვილის ასახვის პროცესი; 15. ქალაქი საფრანგეთში, ბუნებრივი აბრეშუმის წარმოების ევროპული ცენტრი; 16. ქართველი მწერალი ... არაგვისპირელი; 17. ხვეწნა, მუდარა, ვედრება; 21. მოთხრობა, რომელმაც თავიდანვე მიიპყრო საერთო ყურადღება და პოპულარული გახადა კუპრინი; 22. განყოფილება უმაღლეს სასწავლებელში; 24. მეთაურთან დანიშნული ოფიცერი, სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად; 25. ადმინისტრაციული ოლქი სამხრეთ იტალიაში; 26. მკურნალობის ჩვეულებრივი, არაჰომეოპათიური მეთოდების სახელწოდება.

შეადგინა რამაზ ალანიამ

## ტიმბერლეიკს ფაქტზე წაასწრეს!

ჰოლივუდის ვარსკვლავი კამერონ დიასი რამდენიმე დღის წინ მოულოდნელად გაემგზავრა თავის შეყვარებულთან, ჯასტინ ტიმბერლეიკთან ლაგუნაბიჩის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც ეს უკანასკნელი ცხოვრობს. ლამაზმანის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მის ნომერში პორნოვიდეოკასეტები და ჟურნალები აღმოაჩინა. ამ დროს ჯასტინი სასტუმროს წინ მეგობრებთან ერთად სილაში ირუჯებოდა. განრისხებულმა კამერონმა აიღო ჟურნალები და კასეტები, აივანზე გაიჭრა და თავზე დააყარა შეყვარებულს. გაოგნებული მუსიკოსი მომენტალურად სატრფოსთან გაჩნდა და დაუწყო მტკიცება, რომ ყველაფერი მის მეგობარს ეკუთვნოდა, თავად არც კი ჩაუხედავს ჟურნალებში, კასეტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დაუჯერა თუ არა მსახიობმა სატრფოს, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, სკანდალის მოწყობის შემდეგ დაცხრა. რაც შეეხება ჯასტინს, ის ძალიან შეწუხდა მომხდარის გამო, ვინაიდან კამერონზე დაქორწინებას აპირებს...

## დეპარდიეს ახალი სიყვარული



ჟერარ დეპარდიეს გული კვლავ დაკავებულია. 55 წლის მსახიობის ახალ შეყვარებულს (იგი ერთ-ერთი წამყვანი მოდების სახლის დიზაინერის ასისტენტია) ჰქვია ვალერი და ის ჟერარზე ბევრად ახალგაზრდაა. წყვილმა შეხვედრა დაიწყო დაახლოებით სამი კვირის წინ. შეყვარებულები ყველა წვეულებაზე ერთად ჩნდებიან. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს რომანი, არავინ იცის. დეპარდიე ერთგულებით არ გამოირჩევა. შარშან ის დაშორდა კაროლ ბუკეს და სულ ახლახან კი ფანი არდანს დაემშვიდობა...

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 19 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№19 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 13 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.